მ ა ი კ ო
ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

ჭრიჭინა

ლექსები

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1962

ეოთელა ⸗ ამოქალოვსა, ⸗ სოფლისა

მოქმედი პირნი

მარინე ფერაძე. მეტსახელად „ჭრიჭინა“, 18 წლისა.
ნიკიფორე ფერაძე. ჭრიჭინას მამა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 45 წლისა.
ეფროსინე. ნიკიფორეს დედა, 70 წლისა.
ელპიტე. ეფროსინეს ბიძაშვილი. 80 წლისა.
მარინე ფერაძე. ბრიგადირი, 22 წლისა.
გიორგი ჭელიძე. მშენებლობის ბრიგადირი და კოლმეურნეობის პარტორგი, 28 წლისა.
კოხტა. შოფერი, 27 წლისა.
მაყვალა. მერგოლური, 23 წლისა.
ბიჭიკო. ელექტრომონტიორი, 40 წლისა.
ცქრიალა. ბიჭიკოს ცოლი, კოლმეურნე, 30 წლისა.
ირაკლი ნამორაძე. პროფესორი, ქირურგი, 45 წლისა.
ელენე. ირაკლის ცოლი, 44 წლისა.
თინა. მათი ქალიშვილი, ექიმი, 23 წლისა.
სანდრო. თინას ამხანაგი, 28 წლისა.
შოთა. აგრონომი, 26 წლისა.

ეპიზოდურ როლებში:

ფოსტალიონი, მიხეილი, ციცინო. თინას ამხანაგები და კოლმეურნეები.

მოქმედება წარმოებს სოფელ ბეღლეთში და თბილისში
1949 — 1950 წლებში.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

სოფელი ბჟოლეთი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ნიკიფორე ფერაძის კარ-მიდამო. ეზოში აივნიანი სახლი. სახლის წინ ყვავილნარი, ტალავერი, ხეხილი. აივანზე ტახტი დგას. ტახტთან, კედელზე, გიტარაა, ტახტის წინ მაგიდა. კუთხეში პატარა მაგიდა პატეფონით, ფანჯრის რაფაზე ტელეფონის აპარატი.

ღობის იქით სოფლის ქუჩაა. მოშორებით ისმის მშენებლების ხმაური — ხერხეის ხმა, შეძახილები: „ე, ბიჭო, აქეთ, აქეთ," „ავრე, ჰო!" და სხვა. შორიდან ოდნავ ისმის „მუშური".

ვ რ ი ვ ი ნ ა (ეზოს სიღრმეში, თუთის ხის ტოტზე ჩამომჯდარი მღერის),

ბეღურები ყივიან,
დამჭიკჭიკა მერცხალმა...
სად ფრინველთა ლბინია,
იქ მომლხენი მეცა ვარ!
ლერწმის ღერი ვარ!

—

ჩამომძახის გუგული,
ლხენით კვნესის ბულბული...

სად სიმღერა მეგულვის,
იქ იმღერის ეს გულიც!
ბედნიერი ვარ!

(ეიშკარში შემოდის სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ეფროსინე. ხელში კალათა და სეკატორი უპირავს. ეტყობა გახარებულია).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. (აივანზე ადის, ოთახში შეიხედავს, ეზოს მოავლებს თვალს.) სად უნდა იყოს? (ჭრიჭინა, ბებიას დაინახავს. მიიმალება.) ჭრიჭინა, გოგო, ჭრიჭინა! (ხის ტოტებში მიმალული ჭრიჭინა ფრინველებს ბაძავს, უსტვენს, ჭიკჭიკებს.) სადა ხარ-მეთქი, გოგო! (ეზოში დაეძებს.) ხმა გამეცი, რაღა დროს ჩემი კუკუ-მალულობის თამაშია? ჭრიჭინა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აქა ვარ, ბებია, აქ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ვაი, შენ დაგენაცვლოს ბებიაშენი! სად „აქ", შენ შემოგევლე! (თუთის ხისკენ წაფრატუნდება.) უი, ღმერთო მომკალი და ესაა! თხებს დაუტოვე წასაკითხავად, გოგო, ეს წიგნი? (წიგნს აიღებს. თუთის ხიდან პატარა შტო ჩამოვარდება, ეფროსინეს ფეხთით დაეცემა.) — შეთვალდა თუთა, თუ? დედა, დედა, რამდენი ფოთოლი ჩამოგიყრია ძირს, — ერთ ჩელტ აბრეშუმის ჭიას ეყოფოდა ჯერზე!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ფოთოლი გენანება, ბებია? ის კი არა, აგრონომი რომ ვიქნები, ისეთი შტო უნდა დავამყნო ამ ხეს, რომ ფოთოლის მაგივრადაც თუთას ისხამდეს. ჰო, ჰო, ჰო, რა ბალებს გავაშენებ, რა ვენახებს!

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ნეტავი იმ დღეს მომასწრო, აგრონომი დაგოგავდე ამ ეზო-გარემოში, ნასწავლი, სახელოვანი ქალი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მაინდამაინც აგრონომი გინდა გამოვიდე? სამასწავლებლო ინსტიტუტში რომ შევიდე?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. იფ, ყველასაგან დაფასებული ქალი იქნები, მასწავლებელი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მასწავლებელი რომ მკაცრი უნდა იყოს? — არა, მე მასწავლებლად არ ვივარგებ. მოდი, საექიმოზე შევალ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ეგ სულ უკეთესი! ერთს მოარჩენ — ათასი დაგლოცავს.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. ყველა რომ ვერ მოვარჩინო? აჰ, აჰ, ისევ აგრონომობა ჯობს.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ხეზე სად გაგონილა, გოგო, ამისთანა საქმის გადაწყვეტა! ან რალა დროს შენი ხეებზე პოტიალია?

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. რაზე მეძახდი?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. უიმე, სულ არ გადამივარდა გულიდან? სასიხარულო ამბავი, სასიხარულო!

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. სასიხარულო! (ელვის სისწრაფით დაეშვება ხიდან).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. უი, უი, არ დამლუპო, კიბეს მოგიტან!

ჰ რ ი ჰ ი ნ ა (ხიდან ისკუპებს, ეფროსინესთან დახტება, ხელს დააელებს, დაატრიალებს.) რა მიხარია, რა მიხარია!

ე ფ რ ო ს ი ნ ე. უი, უი, უი!

ჰ რ ი ჰ ი ნ ა (ხელს უშვებს.) სასიხარულოო? (ტრიალებს.) რა მიხარია, რა მიხარია!

ე ფ რ ო ს ი ნ ე. არ უნდა იცოდე, მაინც რა გიხარია? (მიწიდან ფოთოლს კრეფს, კალთაში იგროვებს).

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. რად არ მეუბნები?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. მამაშენმა თბილისიდან ამბავი ჩამოიტანა.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. ჩამოვიდა თუ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ჰო. მარინესათვის შრომის გმირის წოდება მიუნიჭებიათ.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. ჩვენი მარინესათვის?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აბა, ვის მისცემდნენ? ოქროს ხელი აქვს, ოქროსი.

(ხმები შორიდან: მიტინგზე, ხალხო, მიტინგზე!)

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ე, მთელი სოფელი ფეხზეა! კლუბში მიტინგი იქნებაო.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. რა მიხარია, რა მიხარია! (ვარდებს კრეფს, ჯიშკრისკენ გარბის).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. სად გარბიხარ, გოგო?

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. მარინესთან და იქიდან კლუბში.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ეს ფოთოლი წაგემძღვარებია თან, ცქრიალასთან შეგერბინა, დაგეტოვებია. მადლია, ჭიას დააპურებდა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მერე, ბებია, მერე. (ციშკრიდან ბებიას ჰაეროვან კოცნას უგზავნის და სიმღერით მიიმალება).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ვაი, შენ შემოგევლოს ბებიაშენი. (აივანზე სუფრას აწყობს. ციშკარში ნიკიფორე შემოდის).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. გამარჯობა, დედაჩემო! საით მიიმღეროდა ის შენი ნებიერი?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. მარინესთან.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. გასაოცარია, პირი რომ არ ეღლება?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. იმღეროს, შე კაცო, ვის რას უშავებს?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. სწორედ უშავებს. სხვებსაც, თავისთავსაც და, თუ სიმართლე გინდა, მე და შენც. 18 წლის გოგოა, არც უტვინოა, არც ხეიბარი, ტოლებში ალმასივით უნდა გამოირჩეოდეს...

ე ფ რ ო ს ი ნ ე. არ გამოირჩევა, თუ?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ლამაზი სახით და ცეკვა-სიმღერით? ან ისეთი ხმა მაინც ჰქონდეს.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. როგორ, ცუდი ხმა აქვს? აგერ, ნიმფამ...

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ნიმფა ვინლაა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. საბავშვო ბაღში რომ უკრავს პიანინოზე. ჭრიჭინას უთბრა, შენი ხმა მაგონებსო... დასწყევლა ღმერთმა, რამ დამავიწყა იმ ფრინველის სახელი! ჰო... ჰო, ციცარი!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. კარგი ხმა ჰქონია.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. (ჯაჯარებით). მომღერლის სახელი ჩამოგავს, ბიჭო, ციცარს.. ჰო, ციცარონიას ხმას მაგონებსო.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ციცარონია ვინლაა, დედაჩემო! ეს ნიმფაო, ეს ციცარონიაო! რა სახელებია!! გადაირევა სწორედ, კაცი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აქაური კი არაა, — საზღვარგარეთელი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ნიმფა საიდან იცნობს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. გრამაფონში გაუცვნია.

ნ ი კ ი ფ ო რ ე მართლაც გრამაფონში გაიცნობდა. მაშ, იმ ნიმფამ გადამირია გოგო?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რა იყო, ბიჭო, მღერის ბავშვი, ხომ არ ტირის!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ბავშვია, დედაჩემო, ჭრიჭინა? ან ის რუ-

გორ მოგწონს, რომ შენი წყალობით, სოფელში იმისი მშვენ-
ერი სახელი „მარინე“ დაივიწყეს და „ჭრიჭინას“ ეძახიან?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. სიყვარულით ეძახიან, სიძულვილით ხომ
არა!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. მერე შეშვენის ჩვენს ოჯახს ჭრიჭინა ქა-
ლიშვილი?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რას აუხირდი, ბიჭო, მაგ გოგოს? ვინ
გყავს მაგის მეტი? სანთელიეთ მაგ ერთ ჭრიჭინა-გოგოს შევ-
ჩერებივართ, — წამლად დავედე და თავს შემოვევლე! არ
გაგიგონია: ერთის შემხედვარი — წყალში ჩამხედვარიო?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. შრომას რომ კაცი მოეკლა, ცოცხალი
აღარ იქნებოდი. აგერ 70 წლის ქალი ხარ და ერთ წუთს არ
ისვენებ. არა, ჩემს კოლმეურნეობაში ადამიანი არაა, რომ არ
შრომობდეს. ჩემი ღვიძლი შვილი კი სულ მღერის და ცეკ-
ვავს, ცეკვაეს და მღერის.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. იჰ!!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. მაგრამ აქაოდა დედით ობოლიაო, გამინე-
ბივრე შვილი და აღარაა მისი საშველი!

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რა ბუზანკალმა გიკბინა, ბიჭო, იმ თბი-
ლისში, აღარ მეტყვი?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ბუზანკალი კი არა, დანა რომ დამკრა
გულზე, წვეთი სისხლი არ გამომდინდება. (ხმას დაუწევს.) —
თითქოს საგანგებოდ, ჩვენი გმირიც მარინეა, ისიც ნიკიფორეს
ასული და გვარადაც ფერაძე.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. მერე, გწყინს, შე კაცო?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. რას ქვია „მწყინს“. ქალმა კოლმეურნეობა
და გვარი მისახელა. მაგრამ ქალაქში ყველას ეგონა, რომ ჩემ-
მა შვილმა მიიღო ჯილდო. ყველა მილოცავდა და მეც ყველა-
სათვის სათითაოდ უნდა ამეხსნა, რომ ეს შეცდომაა. სირცხ-
ვილმა დამწვა, სირცხვილმა! კიდევ კარგი არ შემეკითხნენ,
რას აკეთებს შენი შვილიო.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ხომ მუშაობს სამკითხველოში?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. დანარჩენ დროს? აუღია ხელში ჩონგური
ან გიტარა და... ეჰ, დედაჩემო, დედაჩემო!!

ეფროსინე. შე კაცო, მაგის ხნისას მეც კი მემღერებოდა. აგერ, სწავლასაც ხომ აპირებს.

ნიკიფორე. შარშანაც დააპირა, მაგრამ როგორც წაჭრიჭინდა თბილისში, ისე ჩამოჭრიჭინდა.

ეფროსინე. ყოველთვის ჩაიჭრება გამოცდებზე, თუ? ა, ნახავ, თუ არ მიიღონ ახლა ინსტიტუტში. მე შენ გეტყვი და ნიჭი აკლია!

ნიკიფორე (მოლბება). არა, ნიჭი კი არ აკლია, მაგრამ...

ეფროსინე. ჰოდა გული დაიდინჯე, დაჯექი, ლუკმა შეჭამე. (ციცაში ღვინოს დაასხამს.) ეს შენი მშვიდობით დაბრუნების იყოს.

ნიკიფორე. შენც გაგიმარჯოს. (სვამს, ჭამს.) იფ, ტყუილია, შენნაირად კერძს ვერავინ გააკეთებს. არა, რა იქნებოდა, შენი შვილიშვილიც...

ეფროსინე (აწყვეტინებს). კარგი, კარგი, ლუკმა შეირგე.

(ეზოში შემოდის კოხტა).

კოხტა. ეფროსინე ბიცოლა, ჭრიჭინა შინაა?

ნიკიფორე (წამოხტება). არ მყავს მე აქ ჭრიჭინები, გესმის? ჭრიჭინა და კალია მინდორში ეძებე.

კოხტა (დაბნეულად). მე... თქვენს ქალიშვილს ვკითხულობ.

ნიკიფორე. ჩემს ქალიშვილს სახელი აქვს — ჭრიჭ... ფუჭ, მარინე ჰქვია.

ეფროსინე. კოხტა, თავმჯდომარე ცოტა დაღლილია... მარინეს კი კლუბში იპოვნი.

ნიკიფორე. (მოლბება). რა ჰქენი, შანქანა შეაკეთე?

კოხტა. სულ პრიალი გაუდის.

ნიკიფორე. მაშ გაგიყლია შუსრი ქათმებისათვის, ჰა?

კოხტა. ეს სულ მაყვალას მოგონილია. აგერ, სამი დღეა რემონტიდან გამოვიდა და შერცხვენილი კაცი ვიყო, თუ ერთი ქათამი გამეტანოს...

ნიკიფორე. ვითომ?

კოხტა. ამბობენ მარინემ გმირობა მიიღოო, მართალია?

ნიკიფორე. მართალია.

კოხტა. ამიტომ გჭირდებათ ორკესტრი?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ამიტომ, (საათს დახედავს.) თხუთმეტ წუთში მზად უნდა იყოთ.

კ ო ხ ტ ა. მედოლე რომ არა გვყავს? ბიჭიკო რაიონშია, კალისტრო...

ნ ი კ ი ფ ო რ ე. (აწყვეტინებს). საიდანაც გინდა მედოლე გაიჩინე.

კ ო ხ ტ ა. მეც ამიტომ მოვედი თქვენთან.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. როგორ, მე დავუკრა დოლზე, თუ?

კ ო ხ ტ ა. ჭრიჭინასათვის მინდოდა მეთხოვა.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ისევ ჭრიჭინა! რა იცის იმან დოლზე დაკვრის?

(ჭიშკართან გამოჩნდა კოლმეურნე ვაჟი, სასულე საკრავით ხელში).

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ვ ა ჟ ი. კოხტა, ჭრიჭინა უკვე დავითანხმეთ, წამოდი.

კ ო ხ ტ ა. მართლა? (გარბის).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. აჰა! რალა გიჭირს, დედაჩემო! შენი შვილიშვილი ახლა დოლზე დაკვრითაც გაგვახარებს. (აჩქარებით გადის. ეფროსინე ოთახში შედის. ქუჩაში ხმაურით მიდიან კოლმეურნეები. ხმები „ყოჩაღ, ყოჩაღ, ქალო". „არ გვასახელა?" და სხვა).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. (გამოდის სადღესასწაულოდ გამოწყობილი. ქუჩაში სასულე ორკესტრი გამოჩნდება. ჭრიჭინა დოლზე უკრავს. ჭიშკართან შეჩერდება, ეფროსინეს ხელს უქნევს და დაკვრით განაგრძობს გზას).

ე, თუ არ უკრავს! ჰო, ჰო, რას უკრავს! შენ მოინდომე და რას არ გააკეთებ, რასა! შენ შემოგევლოს ბებიაშენი!

სურათი მეორე

იგივე დეკორაცია, რაც პირველ სურათში. მეორე დღის საღამოა. აივანზე მაყვალა საკერავ მანქანას აჩხაკუნებს — კაბას ჰკერავს. ეფროსინე ჩემოდანში ტანსაცმელს აწყობს. სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, საბრძოლო ნიშნებით მკერდდამშვენებული კოხტა გიტარაზე უკრავს.

კ ო ხ ტ ა (სიმღერას თხზავს).

„გოგო წითელ პერანგაა.. (იმეორებს. ეფროსინე ჩემოდანთან შეჩერ-

ლება. ეტყობა, იგონებს რა აქვს კიდეე ჩასალაგებელი.) „გოგო წითელ პერანგაა“...

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კარგია, დედაშვილობას, პატარა ხანს გაჩუმდი, ჭკუა-გონება დამეფანტა. რა ვიცი, დილას ჩიოდი. ავად ვარო და...

კ ო ხ ტ ა. სიმღერა ტკბილის წამალია, ეფროსინე ბიცოლა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. (ფუსფუსებს). ბებიაშენი როგორაა?

კ ო ხ ტ ა. ქარები აწუხებს. რა არ ვცადეთ, მაგრამ...

ე ფ რ ო ს ი ნ ე. იმღეროს და მოურჩება. (სიცილი).

მ ა ყ ვ ა ლ ა. თქვენ რომ ეწვალებით, ჭრიჭინა ვერ ჩაალაგებდა თავის ბარგს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ეჰ, შრომა, შვილო, რომ გათხოვდება მაშინაც ეყოფა.

კ ო ხ ტ ა. ამდენხანს სადაა, მაინც?

მ ა ყ ვ ა ლ ა. (ირონიით). ძალიან ღელავ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. სამკითხველოში გამოგევლო, შე კაცო, წამოგეყვანა.

კ ო ხ ტ ა. გამოვუარე, მაგრამ ახლოსაც ვერ მივეკარე. მთელი სოფელი თავზე ეხვია.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. უყვართ, მისი ჭირიმე, ემშვიდობებიან. (მაყვალას). მოუსწრებ კაბას თუ იცი?

მ ა ყ ვ ა ლ ა. ა, ერთს ჩავამაშინებ და...

ე ფ რ ო ს ი ნ ე. გუშინ სალამოს რომ გადმოსულიყავი. გულდინჯად შეკერავდი.

მ ა ყ ვ ა ლ ა. სანამ ვახშამი გავაკეთე, მივდექ-მოვდექი — შემომალამდა, ღამე მარტო სიარული კი...

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აჰ, აჰ, შაურად არ ღირხართ ახლანდელი ქალები. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გოგოს კი არა, აგერ სამოცდაათი წლის ქალი ვარ და მე არ მეშინია ღამე სიარულის.

კ ო ხ ტ ა (იცინის). ჩვიდმეტი წლისაა, მერე, მაყვალა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. მეტის იქნება, თუ? ასე მგონია, გუშინწინ მეჯდა კალთაში.

კ ო ხ ტ ა. აბა, სულ ჩვილი ყოფილა.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ნუ ხარ, ბიჭო, შენ, ჩემი კბილის ჭია!

კ ო ხ ტ ა (ხმადაბლა). კბილები კი აღარა გაქვს და...

მ ა ყ ვ ა ლ ა. რაიო?

კ ო ხ ტ ა. შენ კბილზე ჩემი მტერი წამოეგო-მეთქი.

მ ა ყ ვ ა ლ ა. აგრეა. მაშ რა გგონია, ტყუილ-უბრალოდ წამოვაკვრევინებ ვინმეს ხელს?

კ ო ხ ტ ა. ჰოდა, აბა, ვინ გერჩის! ხარ ხელუხლებლად და ეგაა!

მ ა ყ ვ ა ლ ა. რა გინდა, ბიჭო, ჩემგან, რას შემომიჩნდი ამ საღამოს?

კ ო ხ ტ ა. მე შემოგიჩნდი, თუ შენ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აჰ, აჰ, რა ამბავია!

კ ო ხ ტ ა. არაფერი. (ჩაილაპარაკებს.) „ძაღლი ჰყეფს, — ქარავანი მიდის“.

მ ა ყ ვ ა ლ ა. რაიო, რაიო?

კ ო ხ ტ ა (უკრავს). — შენ ის გირჩევნია მითხრა, ვინ არის ის კაცი, ტელეგრაფის ბოძივით რომ არჭვია ყოველ დღე შენს ნაკვეთზე?

მ ა ყ ვ ა ლ ა. მეევნახეობის ინსტრუქტორია. მერე, შენ რა გესაქმება?

კ ო ხ ტ ა. არაფერი. (პაუზა.) დიდი გულადი ბიჭი ყოფილა. შენს ახლომახლო ტრიალში შეიძლება შეუყვარდე კიდეც...

მ ა ყ ვ ა ლ ა. გეხარბება?

კ ო ხ ტ ა. მებრალება. იღუპება კაცი, ისიც პასუხისმგებელი მუშაკი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რა აქვს შესაბრალი? ასეთი ვარსკვლავივით გოგო...

კ ო ხ ტ ა. კუდიანი ვარსკვლავია, კუდიანი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კუდიანი რა სახსენებელია, შე კაცო, ჯვარი აქაურობას!

მ ა ყ ვ ა ლ ა (იცინის). არაფერია, ბებია, არაფერი. ვიცი, რამაც გაამწარა ეს საცოდავი. არ ხედავთ, როგორ ჩამოურიჩხინებია მკერდზე ჩინ-მენდლები? მაგრამ ორი მაგდენიც რომ მიიბნიოს, მაინც არ დაენანება ჭრიჭინას მაგისი აქ დატოვება.

კ ო ხ ტ ა. ჰო, ჰო, ამის პატრონს ოჯახში საკეცე არ დაეჭირდება, — ენით იღებს ნაკვერჩხალს, ენით.

მ ა ყ ვ ა ლ ა. შენს ენას უნდა დაედოს ის ნაკვერჩხალი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კარგია, დედაშვილობას. თქვენ გაზავოთ, თუ საქმე ვაკეთო? (კოხტას.) ამ ჩხუბს ის ჯობს, მომეხმარო, ქვევრიდან ღვინო ამოიღო. ნიკიფორე დამპირდა, მაგრამ დაიკარგა კაცი.

კ ო ხ ტ ა. ახლავე ბიცოლა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. მე ხაჭაპურებს მივხედავ. (მაყვალას.) — ნუ დაიზარებ და შენ ლამპა მიუნათე.

(გადიან. სცენა ერთ ხანს ცარიელია. შემდეგ ჭიშკარს უახლოვდებიან ხელიხელ გადახვეული ჭრიჭინა და მარინე. მარინე შეჩერდება).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აჰ, უარი არ გამაგონო, თორემ ვიფიქრებ, რომ გადიდკაცდი და ჩემთან აღარ კადრულობ ყოფნას.

მ ა რ ი ნ ე. მატარებელში ერთად არ ვიქნებით?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ოცნებით). ხედავ, რა ღამეა? იქნებ უკანასკნელ საღამოს ვატარებ ამ ეზოში? ხვალიდან თბილისში ვიქნები და დაიწყება ჩემთვის სულ სხვა ცხოვრება.

მ ა რ ი ნ ე. ესე იგი ჭრიჭინას აღარავინ დაგიძახებს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ძია ირაკლის ოჯახში ჭრიჭინას მეძახიან. ინსტიტუტში კი მეც ისე, როგორც შენ, მერქმევა — მარინე ნიკიფორეს ასული ფერაძე. (ისმის კოხტას სიმღერა).

მ ა რ ი ნ ე. ვინ მღერის?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. კოხტაა, ყოველ საღამოს ასე მყარაულობს.

მ ა რ ი ნ ე. თუ არ გინდა გყარაულობდეს, გეთქვა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რამდენიც გინდა, უთხარი. (სიცილით) — არა, რომ ვუყვარდე, კიდევ ჰო.

მ ა რ ი ნ ე. რატომ გგონია, რომ არ უყვარხარ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ვისაც უყვარს, საქვეყნოდ არ ყვირის. (ისმის ჭალის სიცილი).

მ ა რ ი ნ ე. ვილაც იცინის.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მაყვალაა. კაბას მიკერავს. ძველით ხომ ვერ წავალ თბილისში.

მ ა რ ი ნ ე. ეჰ, ჭრიჭინა, ჭრიჭინა! ახლაც რომ სეირნობას და მხიარულებას გადაჰყვე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რას ამბობ! ისიც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის. შოთას ეგონა...

მ ა რ ი ნ ე. ვინ შოთას?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ეჰ! გინდა, მოგიყვე, რა მომივიდა შარშან? გამოცდების წინ გავიცანი ერთი სტუდენტი შოთა კევლიშვილი. წელს ამთავრებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. (ამოოხვრით.) რომ იცოდე, რა ჭკვიანია, რა ლამაზი... ჰოდა, სად არ ვიყავით ერთად: ბაღებში, კინოებში...

მ ა რ ი ნ ე. რაღა ჭკვიანი ყოფილა, თუ გაცდენდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ის რა შუაშია? პირიქით მთელი საათობით მამეცადინებდა, მაგრამ მე მხოლოდ იმისი ხმა მესმოდა მუსიკასავით... თავში კი არაფერი შედიოდა.

(ჯიბიდან სურათი ამოიღო, მარინეს გაუწოდა.) შენ როგორ ფიქრობ. ტყუილ-უბრალოდ ერთობოდა ჩემთან? მატყუებდა?

მ ა რ ი ნ ე. სახე პატიოსანი აქვს, ჭკვიანური თვალები. ეს სურათი იმან გაჩუქა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ინსტიტუტის კედლის გაზეთიდან ამოვჭერი.

მ ა რ ი ნ ე. არ დაგიჭირეს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. დიდი საქმე! შოთა სხვა სურათს მისცემს.

მ ა რ ი ნ ე. წერილებს არ გწერს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მომწერა, მაგრამ... უკანვე, გაუხსნელად დავუბრუნე. რა უნდა მეპასუხნა ისეთი სირცხვილის შემდეგ? (ამოიოხრებს.) ეჰ, ნეტავ რა ეწერა იმ წერილებში.

მ ა რ ი ნ ე. იცი, რად მიდიხარ თბილისში?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (გაოცებული). სწავლის გასაგრძელებლად.

მ ა რ ი ნ ე. გარკვეული გაქვს, რომელ ინსტიტუტში გინდა შესვლა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ალბათ აგრონომიულზე. თუ არა და — სადაც მოვხვდები.

მ ა რ ი ნ ე. ესე იგი, შენთვის მთავარია გათხოვდე. ვის წაყვები ცოლად, სულ ერთია, არა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ეგ საიდან მოიტანე?

მ ა რ ი ნ ე. პროფესიასაც ისეთი სიყვარულით უნდა ამორჩევა, როგორც ქმარს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. იჰ, ნეტავი შენ! ერთი ეს მითხარი, ვარსკვლავს როდის მიიღებ?

მ ა რ ი ნ ე. ალბათ ხვალ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჰო, ჰო, ჰო, ჩემს მეგობარს, ჩემს მეზობელს, გმირს რომ გავყვები გვერდით, მთელი რუსთაველის გამზირი ჩვენ დაგვრჩება.

მ ა რ ი ნ ე. გამზირზე რა გვინდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აპ, უარი არ გამაგონო!

მ ა რ ი ნ ე (ღიმილით). ამაზე მატარებელში ვილაპარაკოთ. ახლა კი გამომიტანე ჩემი ჩანთა. (ქრიჭინა ჩანთას გამოურბენინებს). ბარგი ხომ ჩალაგებული გაქვს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ბებიაჩემი ჩაალაგებდა.

მ ა რ ი ნ ე. გამოგივლი. (გადის).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მღერის).

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა...
სად იყო და სად არა,
ყვავილების ჭრელა-ჭრელა
თავზე გადმოგვაყარა.
შენ კი სად ხარ? მსურდა მეთქვა,
რასაც ამბობს გულის ფეთქვა
დაფარულად.

რაც შენ სახელს შორით ეუვლი,
აგერ, ჭრელი გაზაფხული გაპარულა!!!

(გამოდიან, ეფროსინე, კოხტა და მაყვალა).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. უი, მატარებლის გასვლამდე ერთი საათია. ამას კი სიმღერა გაუჩაღებია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ერთი საათი? მერედა, რას გაჩერებულხარ? ბარგი ჩაალაგე? (აივანზე არბის, ჩემოდანს გახსნის, სინჯავს. ეფროსინე ეხმარება. მაყვალა კაბას აუთოვებს.)

კ ო ხ ტ ა (გიტარაზე ამღერებს).

„გოგო წითელ პერანგა
შენ რომ წახვალ, მე რა ვქნა...
ოდილავ და�ა...
შენ რომ წახვალ,
მე რა ვქნა და“...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (სიცილით). ბიჭო, კოხტა, რა დამდუღრული მღერი?

კ ო ხ ტ ა. რომ არ ვკივი, არ გიკვირს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აგრე მწარედ ვის შესჩივი?

კ ო ხ ტ ა. აგერ, მაყვალას.

მ ა ყ ვ ა ლ ა. რას ჰგავს, რას!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჩემი გულზე დასაბნევი სად არის?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რაო, რას ეძებ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჩემი გულზე დასაბნევი, ბრჭყვიალა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ზაბროშკა?

კ ო ხ ტ ა (მღერის). სიძემ რა მოგიტანა,

ზაბროშკა მომიტანაა...
ოხოხოია მრავალჟამიერ...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ვიპოვე! (ტახტის ქვეშიდან ფეხსაცმელს გამოათრევს.) ბანტი! ცალი ბანტი!

კ ო ხ ტ ა. ისიც იქ იქნება. (ტახტის ქვეშ შეძვრება).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ღმერთო მომკალი! რა უნდა, გოგო, ტახტქვეშ სტუმარს, ან რა საჭიროა ფეხსაცმელზე ასეთი პოტიკ-პოტიკი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მოდაშია, ბებია. (ოთახში შერბის).

კ ო ხ ტ ა (ტახტქვეშიდან ბანტი გამოაქვს). თქვენ კი არ იცვამდით ბანტიან ფეხსაცმლებს, ეფროსინე ბიცოლა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. როგორ არა! კაპიტონმა რომ დამნიშნა, ისეთი „პოლსაპოჟკები“ მომიტანა, ერთ საათს ვუნდებოდი იმათ შეკვრა-გახსნას. გაჩვენო? (ოთახიდან ძველებური მაღალყელიანი ფეხსაცმელი გამოაქვს.) ცუდია?

კ ო ხ ტ ა. დიდებულია. გეთხოვებიათ შვილიშვილისათვის.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კი დედა, კი შვილო! ვინ მყავს იმის უკეთესი? (ფეხსაცმელს ჩემოდანში დებს. კოხტა და მაყვალა ჩუმად იცინიან).

კ ო ხ ტ ა. ერთ წელიწადს შეკვრას მოუნდება, ერთ წელიწადს — გახსნას და ამასობაში სწავლაც დამთავრდება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ოთახიდან გამორბის). კაბა რომ ვერ მომისწრო, რაღა მეშველება?

კ ო ხ ტ ა. რა გეჩქარება! სულ ნუ წახვალ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რას ამბობ, რას, ათასი საქმეა.

მ ა ყ ვ ა ლ ა (კაბას ვაუწოდებს). აჰა, ჩაიცვი და შენი ქორწილიც მენახოს ამ კაბაში.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შენ გენაცვალე! (მაყვალას აკოცებს. კაბას ოთახში გაარბენინებს).

კ ო ხ ტ ა. შენ ქორწილს როდისღა ვჭამთ, მაყვალა?

მ ა ყ ვ ა ლ ა. მერე, შენ რა?

კ ო ხ ტ ა. არაფერი... მეჩქარებოდა.

მ ა ყ ვ ა ლ ა. რა საჩქაროა?

კ ო ხ ტ ა. მე მეგონა, შენც გეჩქარებოდა, თორემ ისე ქალიც, ღვინის არ იყოს, რაც ხანში შესულია, ისა ჯობს.

მ ა ყ ვ ა ლ ა. შენს თავზე იზრუნე.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ახალ კაბაში გამოწყობილი ოთახიდან გამორბის). მიხდება?

კ ო ხ ტ ა. გიხდება კი არა, გხატავს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ღიღინებს, ტრიალებს). „გულში ჭირიმე, სულში ჭირიმე, შენ გენაცვალეეე“... (აივანზე ამოსულ ნიკიფორეს დაეჯახება).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ჭრიჭინა, გოგო, სარეკელასავით რომ დაქანაობ იქით-აქეთ, კრიახისა და ხტუნვის მეტი არაფერი უნდა გახსოვდეს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. „გულში ჭირიმე, სულში ჭირიმე“... სწავლა, მამა, სწავლა!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ეჰ, შეაყარე კედელს ცერცვი! დღეს მთელი ორი საათი გარიგებდი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შენი დარიგება სულ აქაა ჩაბეჭდილი. (შუბლზე მიიდებს ხელს.) კარგად ვისწავლო, ძია ირაკლის გავუგონო, წერილები გწეროთ, კიდევ... ჰო, მახსოვდეს, რომ ადამიანი შრომით ფასდება და არა მხიარულობით. აჰა, დამმახსოვრებია, თუ არა?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ვხედავ, როგორც დაგმახსოვრებია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რას ილუშები?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. მე არ ვილუშები.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არა, ილუშები, ილუშები. თუ არ გაილიმებ, არსადაც არ წავალ.

ნ ი კ ი ფ ო რ ე (გაეღიმება). ეჰ, შენთან სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აგრე, შე კაცო, რა ფასი დაადე ამ შენს ღიმილს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. შენ თუ არ გამოესარჩლე, არ შეგიძლია. მორჩით, მორჩით ჩალაგებას; წასვლის დროა. (ოთახში შედის).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მაყვალა, ერთი ეს ღილი გადამიკერე ცოტა აქეთ. ბებიაჩემო, ნემსი და ძაფი!

ე ფ რ ო ს ი ნ ე (მაყვალას ნემსსა და ძაფს მიაწოდებს). აჰ, აგრე როგორ შეიძლება! (ძაფის ნაწყვეტს ადებს თავზე ჭრიჭინას).

კ ო ხ ტ ა. ეგ რაღაა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ბედი დაეკერება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ცისკისებს). ის არ ჯობს, თუ დამეკერება? ვეღარსად წავა.

კ ო ხ ტ ა. ეფროსინე ბიცოლა, თუ არ გენანება, ერთი ნაწყვეტი ძაფი მაყვალასაც დაადე თავზე. იქნებ ეშველოს რამე.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ამაზე იტყვიან: უკუდო ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უგერიებდაო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მაყვალას, ხმადაბლა). ძალიან გიყვარს?

მ ა ყ ვ ა ლ ა. ვინ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (კოხტაზე ანიშნებს). მიგიხვდი, ხომ?

მ ა ყ ვ ა ლ ა. რას ამბობ, (ცრემლი მოერევა.) ჯერ მომკალი და...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ხელს ჰხვევს). არა, არა, შენ არ მომიკვდე, არავინ გაიგებს (ხმამაღლა.) რა იქნება ახლა ერთი პროფესორის ბედი რომ დამეკეროს? ბებია, ეფროსინე ბებია, პროფესორ სიძეს ჩამოგიყვან თბილისიდან, პროფესორს.

კ ო ხ ტ ა. ჩამოიყვან რა! აქ ნაკლები ბიჭები ვართ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. დედა, დედა, რას მოვესწარი! ჩვენს ქალიშვილობაში ასე ვინ იტლიკინებდა საქმროებზე? კაცთან „კი"-ს და „არა"-ს მეტს ვერაფერს ვიტყოდით და ასე ტუჩდაწკეპული ვიღიმებოდით. (ნაზად იღიმება.)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ცისკისებს. ეფროსინეს ხელს დაავლებს, ტახტისკენ

მიჰყავს). ბებია, შენ გენაცვალე, ერთი შენებური, ძველებური სიმღერაც მოიგონე რა!..

ეფროსინე. დამანებე, გოგო, თავი!

ჭრიჭინა. შენ შემოგევლე!

ეფროსინე. ეჰ, სულ ჩემი ბრალია ამ გოგოს გასულელება. კოხტა, მოკიდე დედაშვილობას ხელი მაგ გიტარას.

კოხტა (გიტარს უკრავს. ეფროსინე, ჭრიჭინა, კოხტა და მაყვალა მღერიან).

მეტად მშვენიერი ვარ,
და მით ბედნიერი ვარ,
სალამოობით ბულვარში,
ვარალალო,
სასეირნოდ დავდივარ.

მარინე. (შემოდის ჩემოდნით ხელში). ოჰო, ამას აქ ცეკვა-სიმღერა გაუჩაღებია. ხომ არ გადაგიფიქრებია წამოსვლა?

ჭრიჭინა. შენ გენაცვალე, მარინე, პატარა მომხიარულებას კიდევ მოვასწრებთ. (ხელს ახვევს, ტახტისაკენ მიჰყავს).

ეფროსინე. მოდი, ჩვენო გმირო, ჩვენო თვალის ჩინო, ერთი შენი იადონის ხმა გამაგონე.

მარინე. მე არ ვმღერი, ეფროსინე ბებია.

ეფროსინე. კარგი, ერთი! ქმარ-შვილში რომ ჩავარდები, სიდინჯე მაშინაც გეყოფა.

მარინე (დარცხვენით). — მე... არც გავთხოვდები...

ეფროსინე. ეჰ, დალუპულა, აბა, ის საცოდავი.

კოხტა (სიცილით). ვინ?

ეფროსინე. ვითომ არ იცი! ჩვენი პარტორგი გიორგი. ომიდან, შენი არ იყოს, სახელოვანი და ჯანმრთელი დაგვიბრუნდა და აქ გვიკლავს ეს ქალი...

მარინე. რას ბრძანებთ, ბებია...

ეფროსინე. მერე და რა ბიჭია! თვალადი, ტანადი, ჭკვიანი, შვიათი ხასიათის, ძვირფასი ოჯახის შვილი...

კოხტა. ა, ასეთი მაჭანკალი რომ მომცა, გავკეთდებოდი კაცი.

მ ა ყ ვ ა ლ ა. კი, მაგრამ მარინეს თუ არ უყვარს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. იქნებ უყვარს კიდეც, მაგრამ თავის გულში ჩასახედად რომ არ იცლის? (გადის).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მარინეს). ხომ არ გწყინს ბებიას ხუმრობა?

მ ა რ ი ნ ე. არა... არაფერია. (გამოდის ნიკიფორე).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. აბა, მზადა ხართ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მზადა ვართ, მაშ! (უწესრიგოდ ჰყრის ჩემოდანში ნივთებს და კეტავს.) უჰ, ჩემი ხელჩანთა?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. რაო?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. „რედიკული". (ყველანი ეძებენ. გამოდის ეფროსინე კალათით და დოქით ხელში).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ირაკლის უთხარი, ეფროსინე ბებიამ შემოგითვალა: „თქვენი გასაბედი კი არაფერია, მაგრამ ხომ გაგიგონია: ირემმა ირემს ბალახი მოუკითხაო". კიდევ ეძებთ რამეს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. უჰ, ჩემოდანში იქნება, ჩემოდანში. (ჩემოდანს ხსნის, შიგ ხელს ურევს.) აგერ!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ნეტავი თავს არ დაკარგავდე და...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მაგის ჯავრი ნუ გაქვს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. სამკითხველოსათვის შესაძენი წიგნების სია და მიმართვა ხომ არ გავიწყდება?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აგერ, სხვა საბუთებთან ჩავდე. (ეძებს ყდაში.) გასაოცარია! მიმართვის ქაღალდი აგერაა. სია კი...

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ან ხეზე იქნება სადმე, ან ხის ქვეშ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ბებია, პატეფონზე ცისფერი ქაღალდი არ დაგინახავს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ცისფერი? ზოლიანი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჰოო!

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ღმერთო კი მომკალი! აგერ ეგდო ძირს და იმით ცეცხლი მოვაკიზინე ბუხარში, ხაჭაპურს რომ ვაცხობდი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ო-ო-ო დიდებული საქმეა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. უჰ, ეგ როგორ მოგვიდა, ბებიაჩემო?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ბებია კი არა, შენ ხარ მოსაკლავი. ქარი გიქრის თავში.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კარგი, შე კაცო, რა გაყვირებს. სულ კი არ დამწვარა! (გადის).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. რა გიყო, რომ არ ვიცი? მთელი ორი საათი გიორგი და მე იმ სიას ვადგენდით...

მ ა რ ი ნ ე. მართლაც ვერაა კარგი საქმე. (შემოდის ეფროსინე).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ა, შე კაცო, ხომ გითხარი, კუთხე ჰქონია ჭომწვარი, პატარათი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. კარგი „პატარაა".

კ ო ხ ტ ა (ათვალიერებს). „ტრაქტორისტის ცნობარამდე" მთელია, შემდეგ კი...

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ა, ბატონო!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მოიცა, მოიცა! (დაძაბულად ფიქრობს.) „ტრაქტორისტის ცნობარი", არა? (უეცრად.) კოხტა, კოხტა, წერე, შენ გენაცვალე! (თვალს დახუჭავს, კარნახობს.) „ტაჯიკელი მეაბრეშუმეების გამოცდილება" ხუთი ცალი, „საკოლმეურნეო მინდვრების მავნებლებთან ბრძოლა" — ათი ცალი, დაწერე?

კ ო ხ ტ ა. დავწერე.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მერე: „ვეფხისტყაოსანი" — ათი ცალი, „ომი და მშვიდობა" ტოლსტოისა — ათი ცალი, „ორი კაპიტანი" კავერინის — ათი ცალი, „გვადი ბიგვა" ჭიაჩელის — ათი ცალი, ათი ცალი ჭავჭავაძე.

კ ო ხ ტ ა. აი მეხსიერება!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. და ასეთი მეხსიერებით შარშან გამოცდებზე ჩაიჭრა!

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კარგი, კაცო, ნუ შეიკალი ბავშვი ხელში. არ უნდა გიხაროდეს, რომ ასეთი ნათელი გონების შვილი გყავს? (ტირის.) ჩვენ კი, ღმერთმა იცის, სად ვგზავნით მთელი ხუთი წლით.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ომში ხომ არ გზავნით, ბებია, სასწავლებლად მიდის.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კი, მაგრამ, არ გაგიგონიათ? — ფათერაკს ასი თვალი აქვსო. ცქრიალამ თქვა: თბილისში ავტომობილები

ბუზებივით ირევიან, ფეხს ვერ აუქცევო... სული თუ ჩამომ-
ყვებოდა, აღარ მეგონაო.

(შემოდის გიორგი).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ოო, ვინ მოსულა! (მრავალმნიშვნელოვნად გადა-
ხედავს მარინეს.) შენც ჩვენ გასაცილებლად მოხვედი, გიორგი?

გ ი ო რ გ ი. რა თქმა უნდა (მარინეს). ძლივს ვიპოვე დრო.

მ ა რ ი ნ ე (უხერხულად). ჩვენ ვერ მივაგნებდით სადგურს,
თუ? შენ იმდენი საქმე გაქვს... ამ საღამოს ხომ კრებაცაა.

გ ი ო რ გ ი. არა უშავს, მოვასწრებ...

მ ა რ ი ნ ე. აბა წავიდეთ. (გიორგი ართმევს მარინეს ჩემოდანს.)
აჰ, აჰ, არაფრის გულისათვის, მე ვერ ვზიდავ თუ? (არ ანებებს.
შეცბუნებული გიორგი ხელს ძირს დაუშვებს).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (გიორგის შეხედავს, გადაიკისკისებს და თაეის ბარგს
აჩეჩებს ხელში). — აჰ, მაგაზე არ მოიწყინო, ჩემო გიორგი, ბარ-
გის ზიდვა თუ გინდა, ა, გენაცვალე!

გ ი ო რ გ ი. გოგო, ჭრიჭინი აღარ უნდა მოიშალო? დროა,
დრო!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მხიარულად). აუცილებლად, აუცილებლად.
(ყველანი ჭიშკრისკენ მიდიან).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აბა, კეთილი გზა და მშვიდობით შინ და-
ბრუნება! წალმა და წალმართიანად გატაროს დედაშვილობის
გამჩენმა. (ჭრიჭინას სამჯერ შემოაბრუნებს, დაკოცნის, ლაპარაკით მიჰ-
ყვება ჭიშკრამდე.) ირაკლის და მის ცოლს უთხარი: ნუ ჩამატანთ
თქვენი ნახვის ნატერას სამარეში, ერთხელ მაინც შემავლე-
ბინეთ თქვენზე კიდევ თვალი-თქო და კიდევ უთხარი...

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

სურათი მესამე

თბილისი. პროფესორ ირაკლი ნამორაძის ბინა. გემოვნებით მორთული ოთახი. ოთახს სამი კარი აქვს. ტალანისაკენ, გვერდით ოთახისაკენ და აივნისაკენ. ელენე და თინა მიდი-მოდიან, ფუსფუსებენ. ირაკლი გაზეთს კითხულობს.

ირაკლი. არა, მაინც გასაოცარია, რა იქნა ამდენხანს ჭრიჭინა? წამოსვლა თუ გადაიფიქრა.

ელენე. იმისგან კი არ გამიკვირდება, მაგრამ დეპეშაა ნიკიფორე აწერს ხელს.

ირაკლი. ცნობათა ბიუროში დაგვერეკა, გაგვეგო.

ელენე. დავრეკე. ყველა მატარებელი იქიდან მხოლოდ დილითაა.

ირაკლი (საათს დახედავს). ახლა სამია.

თინა. დილით გამოცდიდან პირდაპირ სადგურზე გავიქეცი, მაგრამ დავაგვიანე და ისე შევწუხდი...

ელენე. არაფერია, რომ ჩამოსულიყო, მარტოკაც მოვიდოდა. საინტერესოა, რისთვის მოდის?

თინა. ალბათ გამოცდების ჩასაბარებლად. შარშან...

ირაკლი (აწყვეტინებს). მე რომ შარშან იმისთვის მომეცალა, არც ჩაიჭრებოდა. ვამეცადინებდი, გარეთ ფეხს არ გავადგმევინებდი.

ელენე. აღზრდის სისტემა არა აქვს, სისტემა. დედა არა ჰყავს, მამას მისთვის არ სცალია.

ირაკლი. არა, მაგით ვერ იმართლებს თავს ნიკიფორე. მაშ ვისაც რაიონის მოვლა აკისრია? რესპუბლიკის? — შვი-

ლები აღარ გააჩინოს? (უეცრად.) უჰ, მაგაზე მომაგონდა. ჭავ-ჭანიძეს დეპეშა უნდა გავუგზავნო.

ე ლ ე ნ ე. რაშია საქმე?

ი რ ა კ ლ ი (სიცილით). ოჯახის წევრი შემატებია.

ე ლ ე ნ ე. მახსოვს, შარშან მეხუთე შვილი მივულოცეთ.

თ ი ნ ა (იცინის). მამიკო, რა ეშველება ტელეგრაფს, შენ რომ არ ჰყავდე? რაც შენ დეპეშების გზავნა გიყვარს!

ი რ ა კ ლ ი. კი არ მიყვარს, უბრალო ადამიანურ მოვა-ლეობად მიმაჩნია. (პაუზა.) ჰო! ნიკიფორეს თუ ერთი შვილისა-თვის ვერ მოუელია, რა ჰქნას ჭავჭანიძემ? ინსტიტუტი აბარია, ისე გამოდის ექვსივე შვილი ალალბედზე უნდა გაუშვას, არა? (პაუზა.) თინიკო, რა დროს მოვლენ ჩვენი მომავალი ექიმები?

თ ი ნ ა. ასე, ექვსი საათისათვის. საღამოს კი შეიძლება სადმე გავიაროთ.

ი რ ა კ ლ ი. დღეს ბოლო საგანი ჩააბარე, არა? რა მიიღე?

თ ი ნ ა. ხუთი.

ი რ ა კ ლ ი. დამსახურებული დროსტარებაა. ისიც კარ-გია, რომ სადილად იქნებიან. ხვალ სამეცნიერო საბჭოზე ჩემი მოხსენებაა და ამაღამ კიდევ უნდა გადავხედო. (ელენეს) ხომ ყველაფერი მზადა გაქვთ?

ე ლ ე ნ ე. ყველაფერი. საუზმისთვის თუ ვიყიდით რამეს კიდევ, თორემ...

ი რ ა კ ლ ი. მე ხუთი საათისათვის ინსტიტუტში უნდა ვიყო — ოთხიოდე სტუდენტი მყავს გამოსაცდელი. საავად-მყოფოშიც შევივლი, დღევანდელ ნაოპერაციებს დავხედავ. სადილად ნუ მელოდებით. (გაზეთის კითხვას მიუბრუნდება).

ე ლ ე ნ ე (თინას ხმადაბლა). რამდენი იქნებით? (თინა უხმოდ ითვლის თითებზე).

ი რ ა კ ლ ი (წამოიყვირებს). რაიო? ელენე, თინა!

ე ლ ე ნ ე. რა ამბავია?

თ ი ნ ა. რა მოხდა?

ი რ ა კ ლ ი (გაზეთს აფრიალებს). ახლა კი მესმის, რატომ უნდა ჩამოსულიყო ჭრიჭინა.

თ ი ნ ა (სიცილით). როგორ, გაზეთში წერია ჭრიჭინას წასვ-ლა-წამოსვლის ამბები?

ი რ ა კ ლ ი. სწორედ რომ წერია. (ხელმით კითხულობს.) „სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება: მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება ახალშენის რაიონის სოფელ ბეოლეთის კოლმეურნეობა „ნათელი გზის“ მერგოლურს მარინე ნიკიფორეს ასულ ფერაძეს 3 ჰექტარი ვენახიდან თითოეულზე ას ოცი ცენტნერი ყურძნის მოსავლის მიღებისათვის“. ესეც თქვენი ჭრიჭინა!

ე ლ ე ნ ე. უცნაური მეტამორფოზა! ქალიშვილი, რომელსაც მეტ სახელად „ჭრიჭინა“ შეარქვეს...

თ ი ნ ა (სიცილით). სიმღერაც კი გამოუთქვეს. გახსოვთ? თვითონვე მღეროდა. (ჩაიმღერებს).

ჩვენ გვყავს ერთი ჭრიჭინა,
თავი გამოიჩინა — რით?
დღე და ღამე ხტის,
არ აჩერებს პირს...
ჭრიჭი, ჭრიჭი, ჭრიჭინა.

ი რ ა კ ლ ი. და ახლა კოლმეურნეობის მერგულური, შრომის გმირი, სახელოვანი ქალი! კეთილი და პატიოსანი! კეთილი და პატიოსანი! (ხელებს იფშვნეტს).

თ ი ნ ა. თუ შეცდომა არაა, მართლაც სიზმარს უფრო ჰგავს ეს ამბავი.

ი რ ა კ ლ ი. უმაღლესი საბჭოს დადგენილებებში შეცდომები არ არის ხოლმე.

ე ლ ე ნ ე (დაფიქრებული). არა, დღეს ისე იცვლება ჩვენში ადამიანის ფსიქიკა, მისი დამოკიდებულება შრომისადმი, რომ გასაოცარი აღარაფერია! მეც სკოლაში მუშაობის პრაქტიკიდან არა ერთი საოცარი შემთხვევა მაგონდება.

ი რ ა კ ლ ი. მე არ ვიცი, რა გაგონდება, მაგრამ მაგ გოგონაში კი იყო რაღაც ისეთი, ისეთი, რაც კაცს აფიქრებინებდა...

ე ლ ე ნ ე. შენ წარმოიდგინე, მეც მიფიქრია...

თ ი ნ ა (ციტკისებს). აჰ, აჰ; არ შემიძლია! ადამიანმა თუ ერთი აიწია, მის ირგვლივ მყოფები დაიწყებენ მტკიცებას, რომ...

ი რ ა კ ლ ი (წყენით). ფაქტი ფაქტია!

თ ი ნ ა. მამა, განა მე არ მიხარია?

ე ლ ე ნ ე. ერთი კი ცხადია: მის ასეთ გარდაქმნას უეჭველად რაღაც ღრმა, ფსიქოლოგიური პროცესი უსწრებდა წინ. საინტერესოა, რა მოხდა, რა განიცადა?

ი რ ა კ ლ ი. არა, წარმოგიდგენიათ, რა გახარებულები იქნებიან ეფროსინე და ნიკიფორე? ახლავე დეპეშა უნდა გავუგზავნოთ. (წერს.) „გულით გილოცავთ ძვირფასი მარინეს წარმატებას. ელენე, ირაკლი, თინა ნამორაძეები". როგორ მოგწონთ?

თ ი ნ ა. ჩაუმატე „გოცნით მრავალს".

ი რ ა კ ლ ი (წერს). ჩავუმატე.

თ ი ნ ა (სიცილით). ნეტავი შორიდან მაინც დამანახა, როგორ იქცევა ახლა ჭრიჭინა, როგორ უჭირავს თავი?

ი რ ა კ ლ ი. ალბათ მთელი რაიონი ხელის გულზე ატარებს. შეიძლება გუშინ საღამოს საზეიმო შეხვედრაც მოუწყვეს და ვეღარ მოასწრო წამოსვლა? (წამოდგება.) წავალ, დეპეშებს გავგზავნი. (ელენეს.) თუ გინდა წამოდი. აქეთობას საუზმისათვისაც ვიყიდოთ რამე. (გადიან).

თ ი ნ ა. ჭრიჭინა — ვმირი! ჰა, (იცინის—როიალზე უკრავს, მღერის).

ჩვენ გვყავს ერთი ჭრიჭინა,
თავი გამოიჩინა — რით?
დღე და ღამე ხტის...

(ზარი. ტალანში გადის და იქიდან ჭრიჭინასთან და შოთასთან ერთად ბრუნდება.) მარინე, შენ გენაცვალე! შობრძანდით, მობრძანდით.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შოთა ვერ იცანი?

თ ი ნ ა. როგორ არა! მაპატიეთ, შოთა, სიხარულით ისე დავიბენი... (შოთას ხელს ართმევს. ჭრიჭინას.) შენი ბარგი სადღაა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შესანახ კამერაში. დილას ჩემ ამხანაგთან ერთად სადგურიდან პირდაპირ უმაღლეს საბჭოში წავედი და...

თ ი ნ ა. ხომ ჩვენთან გაჩერდები?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რა თქმა უნდა.

შ ო თ ა. ქვითარი მომეცი. გამოცდას მოვრჩები თუ არა, სადგურში წავალ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ბარგის ნაწილი ჩემი ამხანაგისაა.

თ ი ნ ა. ოოო, ძალიან კარგი! იმ შენ ამხანაგსაც აქ მოვიტყუებთ. თქვენც ძალიან გთხოვთ, შოთა, დღეს სადილად ჩემთან ამხანაგები შეიკრიბებიან და რამდენიმე საათი ერთად გავატაროთ. (ჭრიჭინას.) წარმომიდგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ხმადაბლა). ნუ მაწითლებ, თინიკო. (ხმამაღლა.). დედა და მამა სად არიან?

თ ი ნ ა. ახლავე მოვლენ.

შ ო თ ა. მაშ მე...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. იცი, რა? მოდი, ინსტიტუტის ბაღში შევხვდეთ ერთმანეთს. ბიბლიოლექტორში წამომყევი, იქ პატარა საქმე მაქვს და იქიდან წავიდეთ ბარგის გამოსატანად.

შ ო თ ა. კარგი, მაშ ერთ საათში მოდი. (გადის. ჭრიჭინა ოცნებით გააყოლებს თვალს).

თ ი ნ ა (თითს დაუქნევს). არა, ერთი ეს მითხარი, ასე ჩამოსვლისთანავე სად მონახე შოთა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. წარმოგიდგენიათ? იქვე, უმაღლესი საბჭოს შენობასთან შემხვდა.

თ ი ნ ა (მრავალმნიშვნელოვნად). ასე რომ თბილისში შეენორმაგი ჯილდო გელოდებოდა? მართლაც მოსალოცაია გაქვს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მოეხვევა). თინიკო!! (ოცნებით.) იცი? შოთამ მითხრა, რომ ჩვენ დღეიდან სულ ერთად ვიქნებით, სულ ერთად!!

თ ი ნ ა. მაშ ჩვენი დღევანდელი ზეიმის დედოფალი შენა ხარ. მართლაც გმირი ხარ, ყოველმხრივ გმირი. ახლა ნახე, რომ დაიწყება მოლოცვები...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აჰ, აჰ, არავითარი მოლოცვები! მე ჯერ თვითონაც ვერ გამოვრკვეულვარ, ისე ვარ გაბრუებული, თავი სიზმარში მგონია. თან... ცოტა არ იყოს, ამ საქმეში ცრუმორწმუნეც ვარ... და ძალიან გთხოვ, დღეს ნურავითარი მოლოცვა ნუ იქნება.

თ ი ნ ა (გაოცებული). რა არის აქ დასამალი? მე ისიც მიკვირს, მამაშენმა რომ არ გვითხრა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მამა მომიკვდეს, თუ მას სცოდნოდეს რამე. ერთი სიტყვით, ძალიან გთხოვ, თინიკო, ძია ირაკლი მაინც ნუ დამიწყებს მოლოცვას. ხომ იცი იმისი ხუმრობის ამბავი და არ მინდა წარამარა ვწითლდებოდე თქვენ სტუმრებთან.

თ ი ნ ა (დაბნეულად). კარგი, კარგი ჩემო ჭრიჭ... ოჰ, მარინე, მაპატიე. ძველი ჩვევით წამომცდება ხოლმე.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რამდენიც გინდა დამიძახე. მე სულაც არ მწყინს.

თ ი ნ ა. რას ამბობ! მაშინ სხვა იყო! ნუ გეწყინება და, მართლაც ჭრიჭინა იყავი. ახლა კი...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (სიცილით). ალარ შემფერის, არა?

თ ი ნ ა. რა თქმა უნდა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჰო, მართლა! შენ სად აპირებ მუშაობას?

თ ი ნ ა. რაიონში.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. იცი, რა? ითხოვე, ჩვენს სოფელში გაგაწესონ. ისეთი საავადმყოფო შენდება, რომ... ჩემს ოთახში იცხოვრებ. მამამაც ასე შემოგითვალა. იცი, რა კარგი ეზო გვაქვს? ხეხილი, ყვავილები, ვარდები, რა გინდა სულო და გულო! პაციენტიც კი გელოდება.

თ ი ნ ა. პაციენტიც?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჰო, ელპიტე ბებია. საწყალი ცალი თვალით ველარ ხედავს.

თ ი ნ ა. რა დაავადება აქვს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მაგისი რა მოგახსენო!

თ ი ნ ა. ოჰ, მე საუბარი გაგიბი და სულ დამავიწყდა, რომ ნამგზავრი ხარ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მე არაფერი არ მინდა, მხოლოდ ხელ-პირს დავიბან.

(ოთახიდან გადის).

თ ი ნ ა (ტალანში გადის, ტელეფონში ხმაჭარლა ლაპარაკობს). ნანა ხარ? სიხარული ალარ მეტევა გულში — იმიტომ დაგირეკე. გახსოვს, შარშან რომ იყო ჩვენთან სტუმრად ჩვენი ნათესავი ქალიშვილი?! ჰოო! უკაცრავად! ახლა ის ჭრიჭინა კი არა, გმირია, სოციალისტური შრომის გმირი! მამას ვფიცავარ! დღევანდელი გაზეთი გაშალე და ნახავ, მარინე ნიკიფორეს ასული

ფერაძე. ჰოდა დღეს ჩამოვიდა უმაღლეს საბჭოშია გამოძახებული. რა თქმა უნდა, ჩვენთანაა. რომ გაჩვენა, გაოცდები, ისე უპირავს თავი. ჰო, ჰო, არ დაიგვიანო. (შემოდის ელენე და ირაკლი შეხვეულებით ხელში).

ირაკლი. აჰა, (შეხვეულებს თინას გადასცემს.) დეპეშაც გავგზავნეთ.

თინა. იუბილარი კი აქ გვეწვია.

ელენე. ჭრიჭინა?

ირაკლი. რას ამბობ, როდის?

თინა. ამ დილით ჩამოსულა, მაგრამ სადგურიდან პირდაპირ უმაღლეს საბჭოში წასულა.

ირაკლი. ყოჩაღ, გოგო! ახლა სადაა?

თინა (ხმადაბლა). ემზადება. საქმროსთან შეხვედრა აქვს დანიშნული.

ელენე. საქმროსთან?

თინა. ჰო, შოთასთან. გახსოვთ? შარშან რომ მოაკითხავდა ხოლმე.

ელენე. ეს — მეორე ახალი ამბავი...

ირაკლი. მახსოვს, როგორ არა. კარგი ყმაწვილია, დინჯი, წესიერი.

თინა. დღეს გადაუწყვეტიათ.

ელენე. რა დროს თითის სიგრძე გოგოს გათხოვებაა?

ირაკლი. ეს „თითის სიგრძე" გოგო უკვე გმირია და იმდენი ჭკუაც აქვს, რომ გაარჩიოს, რა არის მისთვის ცუდი და რა — კარგი. (იცინის.) ჰა, ჰა, ჰა! რამდენი რამ მივულოცოთ იმ გოგოს, ალარც ვიცი! (ელენეს ხელს დაუალებს, ოთახისკენ მიპყავს).

თინა (წინ გადაუდგება). აჰ, აჰ, არავითარი მილოცვა! არ ვიცი რატომ, მაგრამ დაჟინებით მთხოვა, დღეს არავითარი მილოცვა არ იყოსო.

ირაკლი. საოცარია! ხომ ნამდვილად...

თინა. რა თქმა უნდა.

ელენე. ქალი უკვე უმაღლეს საბჭოშიც ყოფილა და...

ჭრიჭინა (შემოდის). ოჰ, დეიდა ელენე, ძია ირაკლი! (ეხვევა).

ელენე. გამარჯობა, ჩვენო ჭკვიანო გოგო.

ირაკლი. ო-ო-ო, ჩვენო ჭრიჭ... მარინე, რა გაგვახარე, რა გაგვახარე! აი, შე ეშმაკო, შენა! არა, ასე ჩუმად, ასე მოულოდნელად, ასეთი საქმეების გაჩარხვა...

ჭრიჭინა. თინა, მე ხომ გთხოვე...

ირაკლი. ვიცი, ვიცი! ამიტომაც ახლა თავს ვიკავებ მოლოცვისაგან. დაე, აგრე იყოს! შენი საქმის შესახებ როცა გინდა, მაშინ მოგვიყვები. ერთს კი მაინც გეტყვი: ყოჩაღ, ყოჩაღ, გოგო! (ჭრიჭინა დაიმორცხვებს.) ო-ო-ო! კარგია, კარგი! სისადავე, თავმდაბლობა, მოკრძალება ადამიანის უძვირფასესი სამკაულებია. კეთილი და პატიოსანი! (გვერდით მოისვამს.) ახლა ეს მითხარი, ბებიაშენი როგორაა?

ელენე. რაღა კითხვა უნდა! ალბათ ერთი ოცი წლით მაინც გაახალგაზრდავდება.

ჭრიჭინა. ერთი ვაგონი მოკითხვა გამომატანა. გთხოვათ, ნუ ჩამატანთ თქვენი ნახვის ნატვრას საფლავშიო.

ირაკლი. დამნაშავე ვარ, მაგრამ რა ვქნა, ვერა და ვერ მოვიცალე. აი, შენ ქორწილში კი...

თინა. მარინე, შენ არ იგვიანებ?

ჭრიჭინა. დიაღ... მე ბოდიშს მოვიხდი, პატარა საქმე მაქვს.

ელენე. წადი, გენაცვალე, წადი. შენს საქმეებს მიხედე.

თინა. არ დაიგვიანოთ. (ჭრიჭინა გადის).

ირაკლი. არა, მაინც რა არის აქ დასამალი?

ელენე. სიხარულით დაბნეულია ბავშვი, ვერ ხედავ?

თინა. ჰო! (ტელეფონისკენ მიდის, ნომერს კრეფს.) „ისე ვარ გაბრუებული თავი სიზმარში მგონიაო. ჯერ მეც ვერ გამოვრკვეულვარო" (ტელეფონში.) თუ შეიძლება, თქვენს მეზობელს, სანდროს სთხოვეთ.

ირაკლი. ვინ სანდროს ეძახი?

თინა (ხმადაბლა). გუდაძეს.

ირაკლი. პატიჟობ, თუ?

თინა. უკვე დავპატიჟე.

ირაკლი. არ მესმის, რა გაქვს მასთან საერთო?

თ ი ნ ა. რატომ! სკოლაში ერთად ვსწავლობდით, პირველ კურსზეც.

ი რ ა კ ლ ი. საიდანაც გამოაგდეს...

თ ი ნ ა. ყაჩაღობისათვის ხომ არ გამორიცხეს? დარჩა საგნები ჩაუბარებელი და... ისე, რა ვიცი, ყველა „კარგ ბიჭს“ ეძახის. ადამიანისთვის ცეცხლში ჩადგება. მხიარულია, სიტყვამოსწრებული, შესანიშნავი თამადა.

ი რ ა კ ლ ი. ოოო, შესანიშნავი დახასიათებაა თანამედროვე ახალგაზრდისათვის. მოუსვი გვერდით უქნარა, — შრომის გმირს.

თ ი ნ ა. მამიკო, რატომ გავიწყდება, რომ ამ შრომის გმირს წინათ ჭრიჭინას ეძახდნენ?

ი რ ა კ ლ ი. ის მართლაც ჭრიჭინა იყო. ეგ შენი სანდრო კი კალიაა და მე მიკვირს, რა უნდა ჩემს ოჯახში კალიებს!!!

თ ი ნ ა (აწყვეტინებს). ششش! (ტელეფონში.) სანდრო ხარ? რომ იცოდე, ვინ გვეწვია! — ჩემი დობილი, სოციალისტური შრომის გმირი. რა თქმა უნდა, იქნება. ფოტოაპარატი? უეჭველად წამოიღე.

სურათი მეოთხე

ინსტიტუტის ბაღის ერთი კუთხე. ჯგუფ-ჯგუფად დგანან და სხედან სტუდენტები — მეცადინეობენ. ერთ-ერთ სკამზე ჭრიჭინა ზის. ხელში გაშლილი წიგნი უჭირავს. მოუთმენლობა ეტყობა. აქეთ-იქით იყურება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ხელჩანთიდან სარკეს იღებს. თმას ისწორებს. თავის თავს უღიმის). ბებიას და მამას ჰგონიათ, რომ შენ უკვე წიგნს მოკიდე ხელი. (წიგნს დახედავს.) არა, წიგნი კი მიჭირავს ხელში, მაგრამ რა სწავლა, რის სწავლა? ქალი ვთხოვდები და ესაა! მაინც ვეუბნებოდი ბებიაჩემს: „თბილისიდან სიძეს ჩამოგიყვან-მეთქი“ და... მე შენ გეტყვი არ მოეწონებათ. არა, ბედი კი მქონია! — როგორ ვუყვარვარ!!! და, საერთოდ, როგორ მევლება ყველა თავს. „ჭრიჭინასაც“ კი აღარ მეძახიან. თინამ „არ შეგფერისო“. რა თქმა უნდა, დღე-დღეზე შოთა კევლი-

შვილის მეუღლე გავხდები და... (წამოიყვირებს.) რა მიხარია, რა მიხარია!! (სტუდენტები გაოცებით შეხედავენ. ჭრიჭინა სტუდენტებს უთვალთვალებს.) საწყლები, როგორ ჩასჩიჩინებენ წიგნებს. შოთაც თურმე ღამეებს ათენებს წიგნზე. მეც ასე უნდა ვიწვალო? აჰ! აჰ! (დაფიქრებით.) არა და შოთას რომ დავპირდი, ვისწავლიმეთქი? რა თქმა უნდა ვისწავლი, ვისწავლი და ისიც როგორ! (წიგნს ფურცლავს. რადიორეპროდუქტორიდან საცეკვაო მუსიკას გადმოსცემენ.) იფ, ამას რა ჯობს? (მხრებს შეათამაშებს, ხმას ააყოლებს. შენიშნავს სტუდენტების გაოცებულ მზერას. სერიოზულ სახეს მიიღებს, წიგნის ფურცლას განაგრძობს. გამოდის მოდაზე ჩაცმული სანდრო, ფოტოაპარატით მხარზე).

სანდრო (სტუდენტებს ჩაეცინის). სალიუტ, სალიუტ!

პირველი სტუდ. გამარჯობა, სანდრო.

სანდრო. ჯანმრთელობა და სამიანი, ბიჭებო! ეს წუთისოფელი განა იმად ღირს, რომ იტანჯო და ოფლი ღვარო? (ჩაიღიღინებს.) ისევ ის ჯობს, გაიხარო, ლამაზები შეიყვარო... (ჭრიჭინას შენიშნავს.) ბიჭოს! ეს რა ჩიტი მოფრენილა? — ახალია! (მიუახლოვდება.) ბოდიში, ქალიშვილო! სტუდენტი ბრძანდებით?

ჭრიჭინა (ცივად). არა.

სანდრო. მაშ, წელს აპირებთ?

ჭრიჭინა. დიახ.

სანდრო. ხედავთ, გამოვიცანი. (ფოტოაპარატს მოიმარჯვებს.) მე მგონი, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თუ თქვენს სურათს ჟურნალში მოვათავსებთ. (სურათს გადაუღებს.) თქვენი სახელი? (ჭრიჭინა სდუმს.) ვიღაცას ელოდებით, ესეც გამოვიცანი. ამდენი გამოცანის ამოხსნისათვის თქვენს გულში თუ არა, თქვენს გვერდით მაინც დამითმეთ ადგილი. (გვერდით მოუჯდება. ჭრიჭინა სკამს გადაინაცვლებს. თავისთვის.) რქიანი ყოფილა! (წამოდგება. სტუდენტებს.) იკითხეთ, ბიჭებო, სახარება, მოგეცემათ გახარება. „ორეევუარ.“ (გადის. გამოდის შოთა).

შოთა (ჭრიჭინას გვერდით მიუჯდება). დიდიხანია მელოდები?

ჭრიჭინა. რა მიიღე?

შოთა. ხუთი.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. შენ ისევ ხუთებზე სწავლობ? (შოთა უდასტურებს.) ძალიან გიყვარვარ?

შ ო თ ა. ძალიან. მაგრამ შენგან ისე ვარ დაშინებული... შარშან ისე უეცრად გამიფრინდი...

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. ახლაც რომ ისე გავიპარო, გეწყინება?

შ ო თ ა. აპირებ, თუ?

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. არა, ეს-ისე. შენ იცი შარშან რატომ წავედი?

შ ო თ ა. ვიცი. ახლა ხომ ხარ მომზადებული?

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. ა, სულ წიგნი მიჭირავს ხელში.

შ ო თ ა. წიგნს წაკითხვა უნდა.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. მაგას რად მეუბნები, შოთა? განა მე არ ვიცი?

შ ო თ ა. გეწყინა?

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. არა, მაგრამ... ეჰ, რატომ არ გამოიგონებენ მეცნიერები ისეთ აბს, რომ ჩაყლაპო და უეცრად გახდე ექიმი. მასწავლებელი და აგრონომი. (შოთა იცინის.) იცინე, იცინე. (ეუბნით.) შენ ახლა ამთავრებ და მიდიხარ, მე კი მთელი ხუთი წელი აქ უნდა ვიყო.

შ ო თ ა. შენ ვერც კი წარმოგიდგენია, რა სწრაფად გაფრინდება ეს წლები. ისე გაერთობი სწავლაში, რომ ჩემს თავს მხოლოდ ჩემი წერილები თუ მოგაგონებენ. მე კი იცი, რა ვიფიქრე? ვითხოვ გამაწესონ შენს რაიონში. ორდადეგებს ყოველთვის ერთად გავატარებთ, სწავლაშიც მოგეხმარები. წარმოგიდგენია, რა სიხარულით შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს? შემდეგ კი შენ იქნები არა მარტო ჩემი მეუღლე — ჩემი თანაშემწეც.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. მე კი მგონია, შენ იქნები ჩემი თანაშემწე.

შ ო თ ა (სიცილით). შეიძლება აგრეც იყოს.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. შოთა, მე მაინც არ მესმის, რად აირჩიე მეაბრეშუმეობა, მთელი სიცოცხლე რაღაც ჭიების მოვლას უნდა შეალიო?

შ ო თ ა. შენ ცუდი წარმოდგენა გქონია, მარინე, იმ პაწაწა მშრომელებზე. ეგ ლამაზად მოხატული კაბა ვისი ნახელავია? იმ ჭიების. პიონერთა ყელსახვევი? დროშები? პარაშუტები? (ოცნებით.) გავა არც ისე დიდი დრო და ჩვენ შეგვეძლება აბრე-

შუმით შევმოსოთ ყოველი საბჭოთა ადამიანი. განა ეს საინტერესო არ არის?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (დაფიქრებული). მე არასდროს ამაზე არ მიფიქრია. (საათს დახედავს.) უჰ, სულ დამავიწყდა, ჩემთვის ტელეფონით უნდა დაერეკა.

შ ო თ ა. ვის უნდა დაერეკა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ეშმაკურად). ეგ რად გაინტერესებს?

შ ო თ ა (უხერხულად). არა... ისე... შენ შარშან მეუბნებოდი, თბილისში შენს მეტი მეგობარი არა მყავსო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ახლა კი, შენ წარმოიდგინე, მყავს.

შ ო თ ა. ჰოო? მაინც ვინ არის, ქალია თუ კაცი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რად გინდა, იცოდე?

შ ო თ ა. ისე...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (სიხარულით). ეჰვიანობ, რა თქმა უნდა. ეჰვიანობ!

შ ო თ ა. სრულებითაც არა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ეჰვიანობ, ეჰვიანობ!

შ ო თ ა (ღიმილით). გინდა რომ ვეჰვიანობდე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. კარგი, რადგან აგრეა, გეტყვი — ქალია. და ჩემ იცოდე, როგორი! აი, გაგაცნობ და ვიცი მოგეწონება. მხოლოდ, იცოდე (თითს დაუქნევს.) არ შეგიყვარდეს. წამო, ვიგვიანებთ. ჩვენები სადილად გველოდებიან.

(ხელს დაავლებს, გადიან).

სურათი მეხუთე

იგივე დეკორაცია, რაც მესამე სურათში. სასადილო მაგიდას უსხედან ელენე, თინა, შოთა და რამდენიმე სტუმარი — თინას ამხანაგები. სანდროს ფოტოაპარატი მოუმარჯვებია — ჭრიჭინას სურათს უღებს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (გიტარაზე უკრავს, მღერის).

ოქტომბერში თუ ჩვენ მხარეს გაგივლია,
შეამჩნევდი მიმობნეულს მინდორ-ველად:
პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია,
იმერეთში ეძახიან საპოვნელას.

შევხედე და მიმიზიდა იმთავითვე...
თურმე ყველა სასოებით ანდობს იმედს,
ბედს დაეძებს, თუ დანაკარგ-რამე ნივთებს,
ევედრება: „საპოვნელა, მაპოვნინე“!!
მეც სათუთად მივიბნიე იგი მკერდზე,
ჩემს გულშიაც მივუჩინე მყუდრო ბინა.
ვენაცვალე! სხვა საუნჯეს აღარ ვეძებ,
რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა.

(სიმღერის დამთავრებისას ოთახში ირაკლი შემოდის).

ყ ვ ე ლ ა ნ ი (ტაში). მშვენიერია, მშვენიერი.

ე ლ ე ნ ე. ჩვენი მარინე მართლაც სასიამოვნოდ მღერის.

ს ა ნ დ რ ო. „ექსტრა“, „ექსტრა“! მე გული არ მითმენს, მეგობრებო, რომ განმეორებით არ შევსვა ძვირფასი მარინეს სადღეგრძელო. (ყიქას სწევს.) ჯანმრთელობის მეტი რაღა გისურვოთ? იმ დალოცვილ ბუნებას თავისი მშვენიერი ქალთა სულ თქვენზე დაუბერტყავს! (სვამს).

ხ მ ე ბ ი. „გაგიმარჯოს“, „გისურვებ ბედნიერებას“, „კარგად იყავი“, „იცოცხლე“ (სვამენ).

ს ა ნ დ რ ო (სიცილით). არა, მართლა უცნაური ალღო კი მაქვს. წელან, ბაღში, ალბათ გულმა თუ მიგრძნო, რომ სწორედ თქვენა ხართ ის არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელზედაც ამდენი მსმენია.

ჰ რ ი პ ი ნ ა. რად დამცინით?

ს ა ნ დ რ ო. ო-ო-ო! ნუ მორცხვობთ! მართალია, თავმდაბლობა ამშვენებს ყველა დიდბუნებოვან ადამიანს, გმირია, ის თუ...

ი რ ა კ ლ ი (სუფრას მიუახლოვდება). გამარჯობათ, კოლეგებო! (ყველანი წამოდგებიან, ესალმებიან.) დაბრძანდით, დაბრძანდით.

ს ა ნ დ რ ო. სალამი, პატივცემულო პროფესორო, მაგრამ ყველა რომ თქვენი კოლეგა არა ვართ? შოთა, მაგალითად...

ი რ ა კ ლ ი. ვიცი, ვიცი, ავრონომია. (შოთას.) — კარგია, მოგგონებივართ.

ს ა ნ დ რ ო. თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო.

ი რ ა კ ლ ი (ყურს არიდებს). მაშ დღეს მორჩით გამოცდებს?

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი. დიახ!

ი რ ა კ ლ ი (ღიმილით). მთავარი გამოცდა კი, თუმცა ჯერ წინა გაქვთ, ცხოვრების გამოცდა...

ს ა ნ დ რ ო (სიცილით). სწორია, პროფესორო, მთავარი მაინც „შანსია".

ი რ ა კ ლ ი. რა?

ს ა ნ დ რ ო. ესე იგი მოხერხებულობა. მე, მაგალითად, მყავს ერთი მეგობარი. საშუალო სასწავლებელიც არ დაუმთავრებია, მაგრამ ნუ გეწყინებათ და ზოგიერთ აკადემიკოსზე უკეთ ცხოვრობს. ძვირფასი ბინა, „ზიმი" და რა გინდა სულო და გულო!

ი რ ა კ ლ ი (წარბს შეიკრავს). ერთად მუშაობთ?

ს ა ნ დ რ ო. მე...

თ ი ნ ა. მამა, სანდრო კინომსახიობია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ინტერესით). კინომსახიობი? (უხერხულად.) რატომღაც არ მახსოვს...

ს ა ნ დ რ ო (მოჩვენებითი მორცხვობით). ეტყობა, ვერ დამიმსახურებია თქვენი ყურადღება. ისე კი, მაგალითად, „ბედნიერ შეხვედრაში" ვასრულებდი ერთ-ერთი სპორტსმენის, ლელოს მოთამაშის როლს.

ი რ ა კ ლ ი (მსუბუქი ირონიით). დიაღ, დიაღ, მომაგონდა! იმ სურათში ამხანაგმა სანდრომ შეჰქმნა ლელოს მოთამაშის ბრწყინვალე, განუმეორებელი სახე.

თ ი ნ ა (ირაკლის, ხმადაბლა). — რას ერჩი?

ი რ ა კ ლ ი (ხმადაბლა). არ მომწონს მე ეს შენი მსახიობი.

ს ა ნ დ რ ო. ნუ დაგვიფიცავთ, პროფესორო, და რამდენი კაცის ცოდვა დაიდეთ დღეს კისერზე?

ი რ ა კ ლ ი. ცოდვა?

ს ა ნ დ რ ო. დღეს ინსტიტუტის ბაღში ვნახე თქვენი ორიანით განგმირული ჭაბუკი. როდესაც გაიგო, რომ თქვენს ოჯახ-

ში მოვდივარ, გულსაკლავად შემომკვნესა და მთხოვა... (ირაკლი წარბს შეიკრავს. თინა სანდროს ანიშნებს, გაჩუმდიო).

ელენე (თასით ყურძენი და დოქით ღვინო შემოაქვს). ირაკლი, ეს მარინეს მორთმეული მოსაკითხია.

ირაკლი. ოო, გმადლობ, მარინე, გმადლობ.

სანდრო (ელენეს დოქს ჩამოართმევს). თუ ამ დოქის შინაარსი მის ფორმას შეჰფერის...

ირაკლი (ცივად). ვფიქრობ, შემოწმება არ გაგიჭირდებათ. დაასხით, ყმაწვილო, დაასხით.

სანდრო (ჭიქებში ღვინოს ასხავს). ამ სასმისით, მეგობრებო, ვადღეგრძელოთ ჩვენი სუფრაზე შემოსწრებული წევრი, დიდად პატივცემული...

ირაკლი. ბოდიში, მაგრამ ნება მომეცით ამ ღვინით, ჩვენი ქვეყნის ერთ პატარა სოფელ ბეოლეთში მოყვანილი ღვინით, შევსვა მშრომელების სადღეგრძელო. სულ ერთია. რასაც აკეთებენ ისინი: ბაღ-ვენახებს აყვავებენ, თუ ვარსკვლავებს უთვალთვალებენ, უდაბნოებს რწყავენ თუ ადამიანს მკურნალობენ. ყველა მათი სადღეგრძელო, ვინც იოლი გზებით არ ეძიებს სახელს და ამიტომ ყველაზე ადრე მოიპოვებს მას. ვინც არ ცდილობს ნაცნობობის წყალობით ციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფას და ამიტომ დამსახურებულ ჯილდოდ იღებს ისეთ ვარსკვლავს, რომლის ბადალი არსადაა, მთელ სამყაროში. (სვამს. ტაში).

ჭრიჭინა. რა მწყინს, რომ აქ არაა ჩემი მეგობარი.

პირველი სტუდენტი. რატომ?

ჭრიჭინა. მას ისეთ სიამოვნებას მიანიჭებდა ძია ირაკლის სიტყვები.

სანდრო. რაც შეეხება ვარსკვლავებს...

ირაკლი. თქვენ კონიაკის ბოთლზე დახატული უფრო გხიბლავთ, არა?

სანდრო. თავის დროზე ეგეც კარგია, პატივცემულო პროფესორო! ჰმ, ჰმ. (ყურძენს გასინჯავს.) — იფ, შარბათია, შარბათი! მაგრამ იელისში ყურძენი?

ჭრიჭინა. ბებიაჩემი შესანიშნავად ინახავს ყურძენს...

ს ა ნ დ რ ო. მართალი გითხრათ, გიცქერით და პირდაპირ წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ იმდენი ყურძენი მაგ ბროლის თითებმა დაკრიფეს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (სიცილით). ყურძენს მე მხოლოდ ვჭამ.

ს ა ნ დ რ ო. ეგ არის, დაგიჯერეთ. რა ჰქვია თქვენს სოფელს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ბეოლეთი.

ს ა ნ დ რ ო. ლამაზია?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ძალიან.

ს ა ნ დ რ ო. ნეტავი მაჩვენა! — არა, ქორწილში რომ არ დამპატიჟოთ, მაინც გეწვევით. (ჭრიჭინა დაიმორცხვებს.) თუმცა ჩემს ნაცნობებს შორის მე არც კი მეგულება ისეთი ყმაწვილი... (ბოთა შეიშმუშნება. თინა სანდროს პიჯაკის კალთას ჩამოსწვეს. სანდრო მიხვდება.) ჰოოო! ჰმ, ჰმ! მოდით და ჩვენი შეხვედრის სამახსოვროდ ერთი სურათი კიდევ მაჩუქეთ. (ყურძნის მტევანს აწოდებს.) აგრე, არ გაინძრეთ. გმადლობთ. ეს ასე ვთქვათ, საწარმოო კადრი. მაშ თქვენ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ინსტიტუტში შესვლა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აუცილებლად.

ს ა ნ დ რ ო. შეგიძლიათ მიმსახურეთ. მე ვიცნობ ხალხს, რომელიც...

ი რ ა კ ლ ი (წარბს შეიკრაუს). მე მგონი, მაკაზე შეწეხება არ დაგჭირდებათ.

ს ა ნ დ რ ო. ბოდიში. მართლაც რად უნდა ჩემი დახმარება, როდესაც თქვენი ერთი სიტყვა, პატივცემულო პროფესორო...

ი რ ა კ ლ ი (აენთება). მე ვფიქრობ, მარინეს არაეითარი „სიტყვა" და და-ხმა-რე-ბა არ უნდა სჭირდებოდეს.

ს ა ნ დ რ ო (შეცბუნებული). თუმცა... მე რომ მკითხოთ, ამის მდგომარეობაში სწავლა მართლაც არც ისე აუცილებელია.

ი რ ა კ ლ ი (ელენეს). წამო, ელენე, სუფთა ჰაერზე გავიდეთ. (აივანზე გადიან. აივნიდან.) ახალგაზრდებო, ლენინგრადის ესტრადის მსახიობებს მოუსმინეთ?

მ ე ო რ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი. ამბობენ კარგიაო.

შ ო თ ა. დღეს მგონი უკანასკნელი საღამოა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ნაწყენი). ოჰ, მართლა?

ი რ ა კ ლ ი. გირჩევ, წახვიდე.

ს ა ნ დ რ ო. თუ გნებავთ, წავიდეთ. (თინა სანდროს პიჯაკის კალთის ჩამოსწევს.) ჰოო... თუმცა... არა, მე ამ საღამოს ერთი საქმიანი შეხვედრა მაქვს.

შ ო თ ა (ცრიჭინას). წავიდეთ. (დანარჩენებს.) თქვენც წამობრძანდით.

თ ი ნ ა (მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს სტუმრებს). მე ვერა.

ხ მ ე ბ ი. „არც მე", „არც მე", „არც მე".

ე ლ ე ნ ე (ცრიჭინას და შოთას). თქვენ წადით.

ი რ ა კ ლ ი. მხოლოდ ბილეთებზე ახლავე უნდა იზრუნოთ.

ს ა ნ დ რ ო (ტელეფონთან მიდის, ნომერს კრეფს). სალიუტ, ჩიტუნია! სანდრო გელაპარაკებით. ორი საუკეთესო ბილეთი მინდა. დიახ, ამ საღამოსთვის. ახლავე? კარგი. „ორეეუარ" (ყურმილს ჰკიდებს.) საქმე გაჩარხულია. მხოლოდ საჭიროა...

შ ო თ ა. ახლავე წავალ. (წამოდგება).

ე ლ ე ნ ე (ღიმილით). მაშ ჩვენს მარინეს თქვენ გაბარებთ.

შ ო თ ა (ღიმილით). ვეცდები მოვუარო. (ვადის).

ს ა ნ დ რ ო. ჰმ! ასეთ ვარსკვლავივით ქალს ვინ არ მოუელის?

ე ლ ე ნ ე (თითს უქნევს). ო-ო-ო! შოთაც მშვენიერი ყმაწვილია.

ს ა ნ დ რ ო. და ისე ვატყობ საქმეს, რომ... (თინა სანდროს ანიშნებს, გაჩუმდიო.) ისე ვატყობ საქმეს, რომ მარინე მოგვიყვება ძალიან საინტერესო ამბებს... თავისი სოფლისა და თავისი ბუშაობის შესახებ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (უხერხულად). მე...

თ ი ნ ა. არა, ახლა მაგის დრო არა აქვს. ჯერ ჩაიცვას, გაემზადოს.

ე ლ ე ნ ე. მშვენიერი კაბა აცვია.

თ ი ნ ა. მე კი მინდა, რომ დღეს იქ მარინე ყველას ჯობდეს.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. რადგან აგრე გინდათ... (სიცილით წამოხტება, მეორე ოთახში გარბის).

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. (თვალს გააყოლებს). ნეტავი მას! გმირი, საამაყო ქალი!

მ ე ო რ ე ს ტ უ დ. მაინც რა ჰარმონიულადაა მასში შერწყმული ყველა კარგი თვისება.

მ ე ს ა მ ე ს ტ უ დ. ასეთი სახელი რომ მომაპოვებინა!

ე ლ ე ნ ე. თქვენი სახელი თქვენს ხელთაა, ახალგაზრდებო.

ი რ ა კ ლ ი. აგერ, გაეშგზავრებით თქვენ-თქვენ ადგილებზე და...

მ ე ო თ ხ ე ს ტ უ დ. რომ იცოდეთ, როგორ მეჩქარება.

ს ა ნ დ რ ო (ირონიით). — ძალიან, ძალიან? მაშ გიწინასწარმეტყველებთ, რომ თქვენი სურვილი მალე ასრულდება.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. ირონიები შენთვის შეინახე.

ს ა ნ დ რ ო. ირონია რა საკადრისია!

თ ი ნ ა. ისე მაინტერესებს, როგორი საავადმყოფოა ბეოლეთში, როგორ მიმილებს ხალხი.

ს ა ნ დ რ ო. მე რომ მკითხო, თინიკო, შენი ადგილი აქ არის, თბილისში. თუ გნებავთ, პატივცემულო ელენე, დავტრიალდები და...

ი რ ა კ ლ ი (აივნიდან). — რაო, რას გვპირდებით, ყმაწვილო?

ს ა ნ დ რ ო. არა მგონია, პატივცემულო პროფესორო, გული არ გეტკინებათ, რომ თქვენი ერთადერთი ქალიშვილი სადღაც რაიონში, კულტურისა და ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ კუთხეში იქნება გადატყორცნილი. თუ თქვენ გეუხერხულებათ, ნუ მომერიდებით. თქვენი გულისთვის ცეცხლში ჩავდგები.

თ ი ნ ა (სიცილით). ძალიან კეთილი ბიჭი ხარ, სანდრო, მაგრამ მე თვითონ ვთხოულობ იმ „მიყრუებულ კუთხეში“ გაწესებას.

ს ა ნ დ რ ო. ეს ყოვლად წარმოუდგენელია.

ი რ ა კ ლ ი (ოთახში შემოდის). მაშ, თქვენი ფიქრით, საქართველოში რუსთაველის გამზირს იქით აღარც კულტურაა,

ალარც ცივილიზაცია. ნუთუ მარინეს მაგალითი მაინც არაფერს გეუბნებათ?

ს ა ნ დ რ ო (სიცილით). — რაც შეეხება „კალიას“...

თ ი ნ ა. „კალია“ კი არა, „ჭრიჭინა“.

(ამ რეპლიკის დროს ოთახიდან გამოდის ახალ კაბაში გამოწყობილი ჭრიჭინა. რეპლიკა კართან შეაჩერებს. მომდევნო დიალოგების დროს გაოცებას შეშფოთება და სასოწარკვეთილება სცელის).

ს ა ნ დ რ ო. ეგ სულ ერთია.

თ ი ნ ა. სრულებითაც არა! კალია მავნებელია, ყანების გამანადგურებელი. ჭრიჭინა კი უდარდელად ხტის და მღერის „ჭრი-ჭრი“.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. მაგრამ სარგებლობა კი არაფერია მისგან. პირიქით, თვითონ უსაქმურია და სხვებსაც აცდენს.

ს ა ნ დ რ ო (ხარხარებს). ოჰ, ოჰ! მოვკვდი სიცილით!

თ ი ნ ა (სიცილით). თქვენ უნდა დაგენახათ, ძველი ჩვევით „ჭრიჭინა“ რომ წამომცდა! ისე შევწუხდი, რომ...

ს ა ნ დ რ ო. ჰა, ჰა, ჰა!..

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. რა თქმა უნდა, შეწუხდებოდი. სერიოზული, საქმიანი ქალი და...

ს ა ნ დ რ ო (აწყვეტინებს). როგორც ვხედავ, არც ისე ძნელი ყოფილა ახლა სოფელში სახელის განთქმა.

ი რ ა კ ლ ი. სახელის განთქმა ქალაქშიც ადვილად შეიძლება: თამადობით, ოხუნჯობით, სხვადასხვა საქმეების მოპახრაკებით და...

თ ი ნ ა (ირაკლის, ხმადაბლა). მამა, უხერხულია სტუმრის ასე...

ი რ ა კ ლ ი. ეგ სტუმარი თუ კიდევ დავინახე ჩემს სახლში, ან მე ვიქნები, ან შენ. ასეა: ვაშლი გულიდან ლპება.

ს ა ნ დ რ ო. არა, რაც მართალია-მართალია, პატივცემულო პროფესორო, და თქვენს ჭრიჭინას კი ბედი ჰქონია.

ყ ვ ე ლ ა ნ ი. ბედი რას ჰქვია?

ი რ ა კ ლ ი. „ბედი“ რას ჰქვია, ყმაწვილო! ბედი რა შეაშია? იმისთვის, რომ დაიმსახურო სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება, შრომაა საჭირო, მონდომება, ნიჭი.

მე კი მარინეში ყოველთვის ვხედავდი რაღაც ისეთს, რაც მის ნიჭიერებას და უნარიანობას ამტკიცებდა და, რაც მთავარია (დამარცვლით.) კეთილსინდისიერებას! (პაპიროსს მოუკიდებს, ივანზე გადის).

ს ა ნ დ რ ო (სიცილით). თქვენ ამბობთ, რომ ჭრიჭინას ცეკვა-სიმღერა უყვარდა. ცეკვა-სიმღერა მეც მიყვარს და... მოეცა მაინც იმ დალოცვილს რეცეპტი, ესწავლებია, როგორ მიაღწია გმირობას.

ე ლ ე ნ ე. რომ არ მიეღწია...

ს ა ნ დ რ ო (აწყვეტინებს). არა, პატივცემულო ელენე, მე ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ უეჭველად კი უნდა გამოვკითხო, მოვაყოლო...

თ ი ნ ა. დაანებე თავი. ქალი, ალბათ, ისე დაიღალა ამდენი ხმაურით, კითხვა-პასუხით, ყურადღებით, ზეიმით, მისვლა-მოსვლით, რომ...

ს ა ნ დ რ ო. შოთაც კი დიდი მოხერხებული ბიჭი ყოფილა.

მ ე ს ა მ ე ს ტ უ დ. ამით რა გინდა თქვა?

ს ა ნ დ რ ო. მე კარგად ვიცნობ ქალიშვილს, რომელსაც დიდი ხანია უყვარს შოთა. ისინი ხშირად მინახავს ერთად და ეს საკითხიც გადაწყვეტილად მიმაჩნდა.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. ოჰ, ოჰ! საიდან იცი ამდენი ჭორი?

თ ი ნ ა. იქნებ მეგობრები არიან!

ს ა ნ დ რ ო. აბა, მტრები სად გინახავთ შეყვარებულები?

მ ე ო რ ე ს ტ უ დ. კარგი გოგოა?

ს ა ნ დ რ ო. მშვენიერი.

მ ე ს ა მ ე ს ტ უ დ. ამ ჩვენი მარინესთანაა?

ს ა ნ დ რ ო. უკეთესი. მაგრამ, აგერ, გამოჩნდა გმირი და...

მ ე ო თ ხ ე ს ტ უ დ. მებრალება ის გოგონა.

თ ი ნ ა. წესიერ ყმაწვილად მიმაჩნდა შოთა და არ შეჰფერის სიყვარულის ასე ანგარიშის საბწორზე დადება.

ე ლ ე ნ ე. კარგი, კარგი! სჯობს იმღეროთ რამე. (სანდრო გიტარაზე უკრავს და ყველანი დაბალი ხმით მღერიან. ტალანში ისმის ტელეფონის ზარი. ელენე ყურმილს იღებს) მარინეს? ახლავე. (იძახის:) მარინე, მარინე!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (გამორბის. ტელეფონში). — ჰო... მე ვარ... არა, დღეს არა... რომ იცოდე რა უბედურება დამატყდა თავს. შენი ბარგი? აქ არის, არა, არა, არ მოხვიდე, გესმის? მე მოგიტან. (ყურშილს მექანიკურად ხელში ატრიალებს.) ვაიმე, მარინემ რომ გაიგოს ეს ამბავი, განა დაიჯერებს, რომ მე არაფერ შუაში ვარ? ეს რა მომსვლია! მარინეს ხვედრი პატივისცემა მრგებია წილად. რა გმირი, რის გმირი! ამიტომ მეელებოდნენ თავს? შოთაც კარგი ყოფილა! თუმცა რაღა დროს სიყვარულია, ცა მენგრევა თავზე. არა, ასე გამოდის, რომ... მე მოვატყუე, ყველა მოვატყუე... (უეცრად.) ახლავე რომ ვთქვა? ვაი სირცხვილო, როგორ ამიღებს ყბად მთელი ქალაქი! არა, არა, ესენი მაინც წავიდნენ... ვაიმე, მიტირე ეფროსინე ბებია, და ესაა!

თ ი ნ ა (მიუახლოვდება. ბოლო სიტყვებს ყურს მოჰკრავს). რა იყო, რა მოგივიდა, რად ახსენებ ეფროსინე ბებიას?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (დაბნეულად). რა... და... რა.. და... ახლავე უნდა წავიდე, შინ უნდა წავიდე.

თ ი ნ ა. არ იტყვი, რა მოხდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რა... და... რა... და... (უეცრად.) ეფროსინე ბებიას ბიძაშვილი, ბებია ელპიტე...

თ ი ნ ა. გარდაიცვალა? (ჭრიჭინა უხმოდ აღასტურებს. თავისივე ტყუილით შეშფოთებული, თავზე ხელს წაიღებს, ტირილით სკამზე ეშვება).

ე ლ ე ნ ე (მიუახლოვდება). რა ამბავია? (ყველანი შემოეხვევიან).

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. რა მოხდა?

თ ი ნ ა. მარინეს ტელეფონით აცნობეს მისი ბებიის ბიძაშვილის ელპიტეს გარდაცვალება.

ე ლ ე ნ ე. ოჰ, ოჰ! საბრალო გოგონა! (ხელს მოხვევს.) რას იზამ, შვილო, ასეთია ბუნების კანონი — ბებიები იხოცებიან, შვილიშვილები რჩებიან...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ვაიმე, ვაიმე!

ს ა ნ დ რ ო (ღვინოს ასხამს). ნება მიბოძეთ, ამ სასმისით მივიღოთ ჩვენი ძვირფასი მარინეს მოამაგის, პატივცემულ ეფროსინე ბებიას ბიძაშვილის, მარად მოსაგონარ ელპიტე ბებიას შესანდობარი.

(ზარი. თინა კარს აღებს, შემოპყავს მარინე).

თ ი ნ ა. მობრძანდით, აქეთ მობრძანდით! მარინე, შენთან არიან. (ჭრიპინა ზეზე წამოიკრება, მარინეს მივარდება, მოეხვევა და ქვითინს ამოუშვებს).

მ ა რ ი ნ ე. რა იყო, რა მოგვიდა, არ მეტყვი?

თ ი ნ ა. ელპიტე ბებია გარდაიცვალა.

მ ა რ ი ნ ე. ყოვლად წარმოუდგენელია. გუშინ კარგად იყო.

ე ლ ე ნ ე. მოხუცი ერთ წუთს ასეა, მეორე წუთს კი...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მარინეს). ახლავე, ახლავე... უნდა წავიდე.

მ ა რ ი ნ ე. იქნებ შეცდომაა! მაინც ვინ გითხრა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ხმადაბლა, ვედრებით). ახლა ნუ მკითხავ. შემდეგ გეტყვი.

ე ლ ე ნ ე. ბავშვს ისეთი თავზარი დაეცა, რომ (მარინეს.) უკაცრავად, თქვენი სახელი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (შეკიელებს). ვაი, ვაი, თავი, თავი!..

ე ლ ე ნ ე. საბრალო! რა მოგვიდა? (ტახტისკენ მიპყავს).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ცვნესით). შაკიკი... შაკიკი შემომაფრინდა.

ე ლ ე ნ ე. ოჰ, ოჰ! მე კი გამომიცდია ეგ ტკივილი (იძახის.) ირაკლი, არ იცი სად არის პირამიდონი? (ოთახში შერბის, გამორბის.) ასეთი მწუხარება და ისიც მაშინ, როდესაც ქალი ჩამოვიდა ასეთი სასიხარულო...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ვაი, ვაი... (შემოდის ირაკლი).

ი რ ა კ ლ ი (ჭრიჭინასთან მიდის). რა გტკივა? თავი? ცალ მხარეს?

ე ლ ე ნ ე. გასაოცარია! ექიმის ოჯახში პირიმიდონი რაა — პირამიდონს ვერ იშოვი.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. ახლავე მოვიტან.

ი რ ა კ ლ ი. არა, მე თვითონ. (გადის).

ე ლ ე ნ ე (ყველას ანიშნებს, ოთახიდან გავიდნენ. ყველანი ფეხაკრეფით გადიან აივანზე). მოიცა, მე ვფიქრობ ნიშადურიც მოგიხდება. (გადის).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ზეზე წამოიკრება). ეჰ, ძლივს არ გადავრჩი? მაგრამ ამასაც თუ გადარჩენა ჰქვია! მგონი მართლა შაკიკი... შაკიკი კი არა, გაჭირვება შემოგაფრინდა, შე სულელო ჩემო

თავო! ვაი სირცხვილო, რამდენს იცინებენ! მაშ შოთასაც გმირი ვეგონე და იმიტომ მევლებოდა თავს? შორს, შორს აქედან. (ჩემოდანს დააელებს ხელს) არა, ასე არ ივარგებს! (ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაცას წერს და მაგიდაზე დებს.) დაიპირე ახლა ხელში ჩონგური და გიტარა, ზურგზე პატეფონი მოიკიდე, თავზე დაირა დაიხურე და გააჩაღე ცეკვა-სიმღერა. კარგი ეშველა შენს თავს, კარგი საქმე შენ მოგივიდა. (ჩემოდანს დააელებს ხელს და ოთახიდან გაიპარება).

ელენე (ვამოდის). ეს არის ახლა საქმე? სახლში ნიშადურიც კი ვერ ვიპოვე — მეზობელს გამოვართვი. (გაოცდება.) მარინე! რა იქნა? (აივანზე გარბის, მალე ყველანი ოთახში ბრუნდებიან.) არა, სად უნდა წასულიყო?

სანდრო (სარკმელთან მიდის). — ეგერ, მანქანაში ჩაჯდა.

ყველანი (ფანჯარას მიცვივდებიან). მარინე, მარინე!

ელენე. წავიდა, რა თქმა უნდა, შინ წავიდა. ეთქვა იმ დალოცვილს, ძალით ვინ დაიჭერდა? (შემოდის შოთა).

შოთა. მგონი ცოტა შემაგვიანდა.

სანდრო. მართალია.

შოთა. მარინე? (მიიხედ-მოიხედავს).

თინა. წავიდა, შინ წავიდა.

შოთა. რატომ, როდის?

ელენე. მეტად გულთბილი გოგოა. ბებიის ბიძაშვილი გარდაცვლია.

შოთა. ვინ?

ელენე. ელპიტე ბებია და ამ ამბის გაგებისას ისე ცუდათ გახდა, რომ... აქ ათასი საქმე ჰქონდა:... ჯილდო უნდა მიეღო...

შოთა. რა ჯილდო?

სანდრო. ვითომ არ იცი, რომ შენი საცოლე სოციალისტური შრომის გმირია. (მარინეს გაეღიმება, პირს მიიბრუნებს).

შოთა (გაოცებული). რას ამბობთ! ეს ისე მოულოდნელია... (უეცრად.) ხომ არ იცით, როდისაა ბეოლეთისკენ მატარებელი?

მ ა რ ი ნ ე (საათს დახედავს). ორმოცი წუთში, ქუთაისის მატარებელი.

შ ო თ ა. მაშ მე... მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გარბის).

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. (დაფიქრებული). არაფერი არ მესმის.

მ ა რ ი ნ ე. მე კი მგონი... რაღაცას ვხვდები. ნუ სწუხხართ, ყველაფერი რიგზე იქნება. ბოდიში, მაგრამ მეჩქარება და თუ შეიძლება, ჩემი ბარგი... (მიიხედ-მოიხედავს, ტალანის კართან შენიშნავს ჩემოდანს. ხელში აიღებს).

თ ი ნ ა (საწერ მაგიდაზე ბარათს იპოვნის). დედა, დედა! მარინეს წერილი. (კითხულობს.) „მე ის არა ვარ, ვინც გგონივართ. გმირი ჩემი მეგობარი და სეხნიაა და არა მე. მაგრამ ვფიცავ, ამ გაუგებრობაში არ მიმიძღვის ბრალი. გთხოვთ მაპატიოთ უნებლიე დანაშაული. მარინე". (გაოცებით.) რაიო? ეს რა მომსვლია! სადღა გამოვყო თავი? ნახევარ თბილისს გავაგებინე მარინეს გმირობის ამბავი...

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ. მე კი როგორღაც ეჭვი მეპარებოდა.

ს ა ნ დ რ ო. მეც ხომ ვამბობდი? აფსუს რა პლიონკები წავახდინე! (შემოდის ირაკლი).

ი რ ა კ ლ ი. შოთა შემხვდა კიბეზე და მითხრა მარინეს წასვლის ამბავი. მართალია?

ე ლ ე ნ ე. უმჯობესია ისა თქვა, შენ სად იყავი ამდენ ხანს?

ი რ ა კ ლ ი. ერთი წუთით შევირბინე ტელეგრაფში, სამძიმრის დეპეშის გასაგზავნად.

მ ა რ ი ნ ე. ბოდიში, მე ცოტა მეჩქარება და...

ე ლ ე ნ ე. ისე დავიბენი, სახელიც ვერ გკითხეთ.

მ ა რ ი ნ ე. მარინე ნიკიფორეს ასული ფერაძე. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გადის).

ყ ვ ე ლ ა ნ ი. აააა?

ფ ა რ დ ა

მოქმედება მესამე

სურათი მეექვსე

პირველი სურათის დეკორაცია. ნიკიფორე ფერაძის კარ-მიდამო. კოხტა კიბეზე ჩამოჯდება, ნელი ხმით ღიღინებს.

კ ო ხ ტ ა. ღამე ძილი არა მაქვს
და დღისით მოსვენება,
შენი სახე; ძვირფასო,
სულ მუდამ მეჩვენება.

ბ ი ჭ ი კ ო (ქიშკრიდან). — ვისი სახე, კოხტა?

კ ო ხ ტ ა. შენი.

ბ ი ჭ ი კ ო. გმადლობ. ჰო, ჰო, ჰო, რა დროსტარებაში იქნება ახლა თბილისში ჭრიჭინა! არ ექნება ჩონგურ-სიმღერა გაჩაღებული?

კ ო ხ ტ ა. მერე შენ რა?

ბ ი ჭ ი კ ო. მე არაფერი, მაგრამ შენ კი არ გარგია, ბიჭო, მაგ გოგოს აყოლა, არა! ისე ვის არ უყვარს ამ სოფელში ჭრიჭინა, მაგრამ საქმე უნდა აწონ-დაწონო.

კ ო ხ ტ ა. როგორ გეტყობა, საწყობში რომ ხარ ნამუშევარი?

ბ ი ჭ ი კ ო. სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. მე შენ ადგილას, ძმაო, მაყვალას შევირთავდი.

კ ო ხ ტ ა. მაყვალას? ფრონტი გავხსნა ოჯახში?

ბ ი ჭ ი კ ო. სად გაქვს ჭკუა, თორემ ქალი რაც ფიცხია, ის სჯობს: ცივ ქვაზე დაასახლებს ოჯახს. ჩემი ცქრიალა...

ც ქ რ ი ა ლ ა ს ხ მ ა (შორიდან). ბიჭიკო! სად ხარ, ბიჭიკო!

ბ ი ჭ ი კ ო. ე! არა აქვს იადონის ხმა, თუ? მოვდივარ, მოვდივარ! კოხტა, ბიჭო...

 კ ო ხ ტ ა. მოკლედ მოკერი, რა გინდა ჩემგან?

ბ ი ბ ი კ ო. რაიონში წამიყვანე, ტრანსფორმატორი მჭირდება, ელექტრონათურები.

კ ო ხ ტ ა. ელექტრონათურები რად გინდა! დადექი შუა სოფელში, მოიხადე ქუდი და...

ბ ი ბ ი კ ო. დამცინი, შენსავით რომ არა მაქვს ქოჩორი გადავარცხნილი? თავში ჩაიხედე, თავში.

კ ო ხ ტ ა. არა, შიგ კია მართლაც სიბნელე. (იცინის.)

ბ ი ბ ი კ ო. ჰე, მიგყევარ, თუ არა?

კ ო ხ ტ ა. თავმჯდომარეს ჰკითხე და ის თუ მეტყვის, კი ბატონო. (ბიბიკო გადის. შემოდის ელპიტე.)

ე ლ პ ი ტ ე (ჩიშკრიდან). ეფროსინე!

კ ო ხ ტ ა. შინ არაა, ელპიტე ბებია!

ე ლ პ ი ტ ე (ეზოში შემოდის). წმინდა საცერი მინდოდა. ეფროსინეს შენახული რომ ვიპოვო, ხუთი თვალი გჭირდება. მე კი აღარც თვალი მიჭრის და აღარც მეყურება.

კ ო ხ ტ ა. ჯავრი ნუ გაქვთ, ელპიტე ბებია. აგერ, მოგვითავებს გიორგი საავადმყოფოს, მოვიწვევთ ექიმებს და ისე გაგარემონტებენ, რომ... (ოთახში შეირბენს და საცრით ხელში ბრუნდება.) ეს გნებავთ?

ე ლ პ ი ტ ე (ჩამოართმევს). ო-ო-ო! შენ გაუძლიერდი დედაშენს, გამოიარე, შვილო, ხაჭაპურზე დამეწვიე. (გადის. ისმის ტელეფონის ზარის ხმა).

კ ო ხ ტ ა (ტელეფონში). თბილისი? მარინე ხარ? ჰო, კოხტა ვარ. თავმჯდომარე საბჭოშია. პირადად გინდა ელაპარაკო? ჩვენ კარგად ვართ. (ყურმილს დაკიდებს. ჭიშკარში შემოდის სადღესასწაულოდ მორთული ეფროსინე, დეპეშით ხელში, ღიღინებს).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აქა ხარ, კოხტა?

კ ო ხ ტ ა. თავმჯდომარემ აქ დამელოდეო.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. მალე მოვა?

კ ო ხ ტ ა. დიახ. ახლა მარინე ურეკავდა თბილისიდან.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ალბათ მოსალოცად. აჰა! ამას ხედავ? (დეპეშას გადასცემს).

კ ო ხ ტ ა (კითხულობს). „გულით გილოცავთ ძვირფასი მა-

რინეს წარმატებას. ირაკლი, ელენე, თინა ნამორაძეები". ვითომ რაო, რას გილოცავენ?

ეფროსინე. შე კაცო, ეს რაღა საკითხავია? ალბათ მიიღეს. მისი ჭირიმე, უგამოცდოდ მიიღეს ინსტიტუტში.

კოხტა. ინსტიტუტი რომ არაა ნახსენები?

ეფროსინე. მერე რა ვუყოთ? ირაკლი ისეთი კაცი არაა, რომ არ იცოდეს, რას გვილოცავს.

კოხტა. პროფესორია, არა?

ეფროსინე. ისიც როგორი! თავის ქალას ისე ახდის ავადმყოფებს, გინდა ჭურის სარქველი აგეხადოს.

კოხტა. ეგ არც ისე ადვილია.

ეფროსინე. ეგერ ჰკითხე ცქრიალას, მაგ საცოდავს ირაკლიმ საკუთარი ხელით გაუხსნა კეფა, ტვინი ამოულაგა, გარეცხა, გააჩახჩახა და ისევ თავის ალაგას დააბინავა.

კოხტა. ეტყობა, კარგად ვერ გაურეცხავს.

ეფროსინე. რატომ გგონია?

კოხტა. ნამეტანი მოჩხუბარია ის დალოცვილი. ოღონდ აყაყანე და არც საჭმელი უნდა, არც სასმელი.

ეფროსინე (იცინის. სახლში შედის. მალე ბრუნდება საშინაო ტანსაცმელში ჩამოწყობილი, გობით ხელში). კოხტა, დედაშვილობას, მაყვალა თუ მოვიდეს, არ გაუშვა, მე, აგერ, ფრინველს დავაპურებ. (გადის).

კოხტა (გიტარას უკრავს. ხმადაბლა ამღერებს).

ღამე ძილი არა მაქვს
და დღისით მოსვენება,
შენი სახე, ძვირფასო,
სულ მუდამ მეჩვენება.

(შემოდის მაყვალა).

მაყვალა (ტაშს უკრავს). ცოდვა არაა, ასეთი ნიჭის პატრონი სცენაზე გამოსვლის მაგივრად, მანქანით ქათმებს ავლებდეს მუსრს?

კოხტა. ეგ სულ შენი ბრალია. აღარ იცი, რით გამიტეხო ხახელი. არა, მანქანის მოვლისა და საწვავის ეკონომიის მხრივ

რაიონში პირველი ადგილი მიჭირავს. ავარია არასოდეს მქონია, კაცი არ გამიტანია.

მ ა ყ ვ ა ლ ა. მხოლოდ ქათმებს ემტერები!

კ ო ხ ტ ა. შენ გახუმროს კაცმა და...

მ ა ყ ვ ა ლ ა (წასვლას აპირებს). ეფროსინე ბებია...

კ ო ხ ტ ა. გთხოვა მომიცადეო. ფრინველს აპურებს.

მ ა ყ ვ ა ლ ა (გიტარას აიღებს, ამღერებს).

ჩვენ გვყავს ერთი ჭრიჭინა,
თავი გამოიჩინა.
რით?
დღე და ღამე ხტის,
არ აჩერებს პირს,
ჭრიჭი, ჭრიჭი, ჭრიჭინა...

რაც ჭრიჭინა წავიდა, ველარ ხარ ხასიათზე.

კ ო ხ ტ ა. ჰო, რა თქმა უნდა, მხიარულება მოგვაკლდა.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ყოჩაღ, გოგო! სწორად მოიქცა. აგერ. მოვა შემოდგომა და მეც წავალ კურსებზე.

კ ო ხ ტ ა (შეშფოთებული). მართლა, თუ?

მ ა ყ ვ ა ლ ა. რატომაც არა?

კ ო ხ ტ ა. ესეც მოდაა? ერთი წავიდა, მეორეც უკან უნდა გაეკიდოს.

მ ა ყ ვ ა ლ ა. შენ რა გაწუხებს? რომ ველარაფის გაამწარებ?

კ ო ხ ტ ა. შენ გაქვს სამართალი? თავდასხმაზე ყოველთვის შენ გადმოდიხარ, მე კი მხოლოდ შენს იერიშებს ვიგერიებ. (შემოდის ეფროსინე).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კოხტა, მიგეხედა ერთი იმ მანქანისათვის — ბუზებივით შემოხვეულიან ბავშვები.

კ ო ხ ტ ა. სანამ ყურებს არ დავაძრობ, არ მომეშვებიან! (ყვირილით გარბის).

მ ა ყ ვ ა ლ ა. რაზე მეძახდით, ეფროსინე ბებია, რამე საქმე გაქვთ ჩემთან?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ვიცი, ეს ამბავი გაგეხარდება. აჰა! (დეპეშას გადასცემს. მაყვალამ წაკითხვა დააპირა. ღიღინით შემოდის ფოსტალიონი).

ფოსტალიონი. მე ვარ დამტარებელი, გულის გამხარებელი... (მხიარულად.) აჰა, კიდევ ერთი დეპეშა ჩაიბარეთ, ეფროსინე ბიცოლა, ესეც თბილისიდანაა.

ეფროსინე. სულ ასეთი სასიხარულო ამბები მოგეტანოს, ჩემო ილარიონ. (დეპეშას გამოართმევს).

ფოსტალიონი. აბა, სამახარობლო თქვენზეა.

ეფროსინე. კი დედა, კი შვილო! (მაყვალას.)—წაიკითხე ერთი, დედაშვილობას.

მაყვალა (გახსნის). აქ... რაღაც შეცდომა უნდა იყოს.

ფოსტალიონი. რა შეცდომა? მე პატრონს ჩავაბარე და...

ეფროსინე. ე, გოგო, წაიკითხე, გული ნუ დამილიე.

მაყვალა. არა, აქ, რა თქმა უნდა, შეცდომაა. (კითხულობს.) „ცხარე ცრემლით დავტირით ძვირფასი ელპიტეს ცხედარს. ვწუხვართ, დაკრძალვას ვერ ვესწრებით. ირაკლი, ელენე, თინა ნამორაძეები“.

ეფროსინე. რაიო? (სახეს ჩამოიხოკავს.) ელპიტე მომკვდარაო? (თავპირში და მუხლებში ხელს იშენს.) ვაი, ჩემს დღეს, უბედურს, ელპიტე, ელპიტე.

(ფოსტალიონი მიიპარება).

მაყვალა. არა, ეს ყოვლად შეუძლებელია. გუშინ ცოცხალი იყო...

ეფროსინე. იყო... იყო... ვაიმე დაო, დაო, დაო, ელპიტე, ელპიტე...

მაყვალა. მე თვითონ ვნახე.

ეფროსინე. ვაი ჩემს დღეს, უბედურს! მომკალით, მომკალით!

ელპიტე (ფიშკრიდან). ეფროსინე, სადა ხარ ქალო, სად დასეირნობ ამ შუადღისას? (შემოდის საცრით ხელში).

მაყვალა (ეფროსინეს). ხომ გეუბნებოდით! აგერ არ მოდის ელპიტე ბებია?

ეფროსინე (დაბნეულად). ელპიტე, ელპიტე ხარ, გოგო?

ელპიტე (შეშფოთებული). ელპიტე ვარ, ელპიტე! რა მოგივიდა, უბედურება ხომ არაფერია ჩვენს თავს? (შეპკივლებს.) ჭრიჭინას ხომ არაფერი მოუვიდა? ჭრიჭინა, შვილო! მომკალით! მომკალით!

მ ა ყ ვ ა ლ ა. არა, ბებია! ცოცხალია ჭრიჭინა, ცოცხალი.

ე ლ პ ი ტ ე (ეფროსინეს). აბა რად იხოკები, შე ქალო?

ე ფ რ ო ს ი ნ ე (სიცილ-ტირილით). ეს რა მომიყიდა! აგერ, წავთვლიმე და დამესიზმრა, ვითომ შენ მომკვდარიყავი.

ე ლ პ ი ტ ე. კარგი სიზმარია — დიდხანს ვიცოცხლებ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. შენი სიცოცხლე ნუ მომიშალოს ქვეყნიერების გამჩენმა.

ე ლ პ ი ტ ე. მე აგერ საცერი მოგიტანე, უშენოდ წავიღე და ეიფიქრე....

ე ფ რ ო ს ი ნ ე (აწყვეტინებს). ყოფილიყო შენთან, შე ქალო, საცერი კი არა, შენთვის სული არ დამენანება.

ე ლ პ ი ტ ე (წამოდგება). ეჰ, შენთან ჯდომა კი არ მომწყინდება, მაგრამ ხაჭაპური დავტოვე კეცსა და კეცს შუა, დამეწვება. დამეწვიეთ ხაჭაპურზე. (გადის).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. უჰ, არ გადამიტრიალდა გული? (უეცრად.) უიმე, ჭრიჭინა რომ გაიგებდა ამ ამბავს, არ გამწარდებოდა?

მ ა ყ ვ ა ლ ა. დეპეშა გავუგზავნოთ?

(გამოდის კოხტა).

კოხტა, ფოსტამდე ვერ მიმიყვან?

კ ო ხ ტ ა. რატომ არა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე (მაყვალას).-აჰა მისამართი (ქაღალდს გადასცემს.) მხოლოდ, დედაშვილობას, არაფერი შეგეშალოს.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ჯავრი ნუ გაქვთ! (ხაზგასმით.) მეც ყველაფერში გარკვეულობა მიყვარს... (კოხტა და მაყვალა გადიან. ეფროსინე ეზოს ჰგვის. ჭიშკარში შემოდის ჭრიჭინა ჩემოდნით ხელში).

ე ფ რ ო ს ი ნ ე (თვალს მოიჩრდილავს). ჭრიჭინა ხარ, ბებია? (ჭრიჭინა ჩემოდანს ხელს გაუშვებს და ეფროსინეს ქვითინით მიეკრდება.) ცოცხალია, შვილო, ელპიტე, ცოცხალი. ვინ მოჭორა ასეთი სისულელე, ვინ გაგიხეთქა გული, ჩემო გულჩვილო გოგო! (უალერსებს.) უიმე, უიმე, ელპიტეზე რომ ასე გამწარდი, ჩემს სიკვდილზე რალას იზამ? მყოლია დამტირებელი, დედაა! დამშვიდდი, შენ შემოგევლე, დამშვიდდი, ბებია გენაცვალოს! (დააკვირდება.) რად არ მოვკვდები, რა ფერი გადევს, გოგო? წამო ლოგინს გაგიშლი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არ მინდა ლოგინი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რას ჰქვია არ გინდა? აგერ, ხელად საუზმეს გაგიკეთებ, ისაუზმე და ლოგინში ჩაწექი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არ მინდა, არაფერი არ მინდა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. არ გამაგონო! მე ვიცი რაც გინდა. (ჩემოდანი აივანზე ააქეს.) უსაქმურები! მატყუარები! ბავშვებს გულს უხეთქავენ. (შინ შედის).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ისევ მე ვეცოდები! რა ვქნა ახლა მე? ან ხალხს რა ვუთხრა, ან მამას როგორ გავუსწორო თვალი?

(სკამზე ჩამოჯდება, იქვე მიყუდებულ თოხის ტარს ჩამოეყრდნობა, ჩაფიქრდება. ჭიშკარს კოლმეურნე ახალგაზრდები მიუახლოვდებიან).

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჟ ი (ეზოს გადმოხედავს). ოჰ, ჭრიჭინა! (ჭრიჭინა წამოხტება, მიმალვა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს).

მ ე ო რ ე ვ ა ჟ ი. აკი თბილისში წავიდაო?

მ ე ს ა მ ე ვ ა ჟ ი. არ წასულხარ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (უხერხულად). როგორ არა! (ვაჟები ეზოში შემოდიან).

მ ე ო თ ხ ე ვ ა ჟ ი. რა არის, ამ კვირა დღეს თოხი რომ დაგიჭერია ხელში? ფრთხილად, ფეხი არ მოითალო...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რას დამცინით, თოხი არ მჭერია ხელში, თუ?

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჟ ი. არა და ინსტიტუტში მოსაწყობად წავიდაო? მოეწყვე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არა.

მ ე ო თ ხ ე ვ ა ჟ ი. წიგნებს ჩამოიტანდი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არა.

მ ე ს ა მ ე ვ ა ჟ ი. მოგვიყევი თბილისის ამბები.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (წამოდგება). არა, ახლა ნუ მკითხავთ.

მ ე ო თ ხ ე ვ ა ჟ ი (ციშკრისკენ მიდის). დაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, ჩვენთვის არ სცალია. ალბათ რაიონმა გამოიწვია სასწრაფო საქმეების გამო და... წამოდით, წამოდით... (სიცილით გადიან).

(ისმის მოახლოვებული მანქანის ხმა. ჭრიჭინა ეზოს სიღრმისკენ გარბის. შემოდის კოსტა, ოთახში შეიხედავს, აივნის კიბეზე ჩამოჯდება. ჭიშკართან გამოჩნდება შოთა თაიგულით ხელში).

შ ო თ ა. ბოდიში, მარინე ფერაძის სახლს ვერ მიმასწავლით?

კ ო ხ ტ ა. ჩვენს გმირს ეძებთ?

შ ო თ ა. დიახ.

კ ო ხ ტ ა (უთითებს). აგერ, იმის სახლი, მაგრამ თვითონ მარინე კი თბილისშია.

შ ო თ ა. თბილისიდან გუშინ საღამოს წამოვიდა.

კ ო ხ ტ ა. არა, ამხანაგო. მე თვითონ მელაპარაკა ტელეფონით თბილისიდან ამ ერთი საათის წინ.

(გაოცებული შოთა სკამზე ჩამოჯდება. თაიგულს ვვერდით დასდებს).

შ ო თ ა. მაშ ბებიის დაკრძალვას არ დაესწრება?

კ ო ხ ტ ა. ვის დაკრძალვას?

შ ო თ ა. ელპიტე ბებიას დაკრძალვას.

კ ო ხ ტ ა. ჰა, ჰა, ჰა, ელპიტე ბებიას რა ჭირს დასაკრძალავი? ერთ ას წელს მაინც არ აპირებს სიკვდილს. ახლაც ისეთ ხაჭაპურებს აპიწკინებდა, რომ ტყუილია უკეთესი!

შ ო თ ა (დაფიქრებული). არაფერი არ მესმის! ბოდიში, თქვენ ხომ არ ხუმრობთ?

კ ო ხ ტ ა. როგორ გეკადრებათ!

შ ო თ ა. კიდევ ბოდიში. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გადის. თაიგული სკამზე რჩება).

კ ო ხ ტ ა. მოდი ახლა და ქალის იწამე რამე! მარინეც თუ ასეთი ეშმაკი იყო, ვინ მოიფიქრებდა? არა, ელპიტეს სიკვდილი მაინც რამ მოაგონებია? საწყალ გიორგის თვალი გზისკენ მიექცა, მარინე კი, თურმე... (იცინის. თაიგულს შენიშნავს.) უჰ, ეს აქ დავიწყებია! (თაიგულით ხელში ქუჩაში გარბის.) ამხანაგო, ამხანაგო! რა გარბის! გაჭენებული ცხენი ვერ მიეწევა. (ეზოში შემობრუნდება. ეზოს სიღრმიდან — აივნისკენ მოდის ჭრიჭინა.) ჭრიჭინა? (თვალს მოიფშვნეტს.) შენ აქ რა გინდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ძალიან გთხოვ, ნურაფერს მკითხავ.

კ ო ხ ტ ა. მაშ, ნება მომეცით, ამ პატარა თაიგულით შინ მშვიდობით დაბრუნება მოგილოცოთ. მოგწონს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მექანიკურად). სად იშოვე?

კ ო ხ ტ ა. სპეციალურად შენთვის ჩამოვატანიე.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შენ... ძალიან კეთილი ხარ. (თაიგულს

ათვალიერებს. პარათს შენიშნავს, ამოიღებს. კოხტა გარბის. ჭრიპინა კოხტულობს.) „ძვირფას ბებია ელპიტეს ღრმა პატივისცემის ნიშნად. შოთასაგან". შოთა? (ციშკრისკენ გარბის.) შოთა! შოთა! წავიდა! (შეშობრუნდება, მძიმედ ჩაფიქრდება. ეზოში ნიკიფორე და გიორგი შემოდიან).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. აჰა, ხომ ვთქვი! შენ იპოვი, ახლა, კოხტას? (ჭრიპინას შენიშნავს.) ოჰო! ამას ვის ვხედავ! მაგრამ ეტყობა, ჩვენთვის ვიღაცას უკვე დაუსწრია და გმირისათვის თაიგული მოურთმევია. გაგეგებინებია, სადგურზე დაგხვდებოდით. მუსიკით, ზეიმით, ყვავილებით დაგხვდებოდით. შენ რას იტყვი, გიორგი, არ დაიმსახურა ქალმა, თუ? ერთ დღეში, ძმაო, ინსტიტუტი დაამთავრა და მშობლიურ კოლმეურნეობას აგრონომად მოევლინა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მამა, შენ ხომ არ იცი...

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ვიცი, ყველაფერი ვიცი. მარინემ უკვე მაცნობა თბილისიდან შენი ამბავი. გილოცავ, გილოცავ! ასე უჯაფოდ და უწვალებლად შენი კოლმეურნეობაც ასახელე, გვარიც და ოჯახიც, ნაცნობ-უცნობი გააკვირვე, ირაკლის ოჯახიც გაახარე...

გ ი ო რ გ ი (ხმადაბლა). კარგი, თავი დაანებე.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. არა, მაინც რად მოიჩქაროდი ასე შინ? მადლი გექნა, რადიოში გამოსულიყავი, მთელი რესპუბლიკისათვის გაგეზიარებია შენი შესანიშნავი გამოცდილება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მამა, მირჩევნია მცემო, ვიდრე... (გამოდის ეფროსინე).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. გცემო? (გაცეცხლებული.) იქნებ მართლა...

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რა იყო, ბიჭო, რამ გადაგრია? არ ხედავ, ისეც ალარაა ბავშვი?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ისევ „ბავშვი"!

ე ფ რ ო ს ი ნ ე. უნდა გიხაროდეს, რომ ასეთი კეთილი შვილი გყავს. ვიღაც სულელს ელპიტეს სიკვდილი მოუგონია და...

ნ ი კ ი ფ ო რ ე (აწყვეტინებს). ვიცი. სანამ იმ სულელს ჭკუას არ ვასწავლი, არ იქნება ჩემი საშველი.

გ ი ო რ გ ი (ხმადაბლა). კარგი, დაწყნარდი. აგერ, ჩამოვა მა-

რინე და მაშინ გამოვარკვიოთ, მოვილაპარაკოთ. ახლა წამოდი საავადმყოფოს მშენებლობას დავხედოთ. მიმართვაზეც ბევედია დასაბმელი. (ხელს მოკიდებს, გაჰყავს).

ეფროსინე. ვის ჰგავს მაინც ასეთი ფიცხი! (ჭრიჭინას:) წამო, ბებია გენაცვალოს, ლუკმა შეჭამე. (ჭრიჭინას შეანჯღრევს.) შენ გეუბნები!

ხურათი მეშვიდე

იმერეთის სოფლის მხიარული პეიზაჟი. წინა პლანზე ორი-სამი ტირიფი. ტირიფის ქვეშ, პატარა გორაკზე, რომელიც წყაროს ეფარება, წაწვენილია ფოთლებით თაღდაცული ჩაფები და სერები. მარცხნივ საბოფლო შარაა. მარჯვნივ, სიღრმეში, ვენახის ნაწილი. ვენახიდან ისმის ქალების ნელი სიმღერა. გამოდიან გიორგი, ნიკიფორე და მარინე.

გიორგი. არა, ჭრიჭინას რომ სწავლა სდომებოდა, ასე უბრალოდ არ გამოიქცეოდა თბილისიდან.

მარინე. ამ შემთხვევაში ჭრიჭინა არაა დამნაშავე.

ნიკიფორე. ასეა თუ ისე, გოგოს მიხედვა უნდა. ერთი პარტორგი ხართ, მეორე — კომკავშორის ორგანიზაციის მდივანი. და ბოლოს და ბოლოს ვისი საქმეა, აბა, ახალგაზრდების აღზრდა?

გიორგი. მე მგონია, მამაც არ უნდა იყოს ამ საქმეში მთლად გარეშე ადამიანი.

ნიკიფორე. მამამ რა ქნას? არ ხედავთ, მთელი კოლმეურნეობა ჩემს კისერზეა? ხანდახან პურის საქმელადაც ვერ შევდივარ შინ.

გიორგი. ეგ არ გამართლებს.

მარინე. რაც მართალია, მართალია, გიორგი, ამ საქმეში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი.

ნიკიფორე (დაფიქრებით). ისე... თითქო ჩაფიქრებულივით კი მეჩვენება. მინდოდა გამოველაპარაკებოდი, მაგრამ...

გიორგი. რომ არ იცი, როგორ უნდა შვილთან ლაპარაკი?

მარინე. ეს საქმე მე ვომანდეთ. მე მოვუვლი მარინეს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. შენ იცი! გეხვეწები, მიშველე! გიორგი, მე კალისტროს ნაკვეთში ვიქნები.

გ ი ო რ გ ი (აღელვებული). მე... ვერ წარმომიდგენია, რომ შენს ახლოს, შენს გვერდით მყოფი ადამიანი... მე მინდოდა მეთქვა...

მ ა რ ი ნ ე. რა?

გ ი ო რ გ ი (დაბნეულად). მე მინდოდა მეთქვა... (უეცრად.) მაინც საბოლოოდ რა პასუხს მეუბნები?

მ ა რ ი ნ ე. შემოდგომამდე უნდა მოიცადო.

გ ი ო რ გ ი. ეჰ... ესე იგი კიდევ მთელი სამი თვე! არა.. შენ რომ გიყვარდე... (ისმის მოახლოებული მანქანის ხმა და ქათმის კრიახი).

მ ა რ ი ნ ე. კოხტა მოდის.

(შემოდის კოხტა, ქათმით ხელში. გიორგის და მარინეს დანახვისას ქათამს მალავს.) ხედავ, გიორგი, რა კარგად ასხია ამ ვაზებს?

გ ი ო რ გ ი. არა, მევენახეობაში ჩვენ ყოველთვის კარგად გვქონდა საქმე, მაგრამ მეაბრეშუმეობა... (ვენახისკენ მიდის).

კ ო ხ ტ ა. თავმჯდომარე არ არის აქ?

გ ი ო რ გ ი. ახლავე მოვა. (მარინეს მიადგება).

კ ო ხ ტ ა. უჰ! შუბლზე ოფლს იწმენდს. ქათამს ბუჩქში შემალავს. წყაროსთან ჩამოჯდება. სახეზე წყალს ისხამს. ვენახიდან გამოდის მაყვალა).

მ ა ყ ვ ა ლ ა. გილოცავ კიდევ ერთ გამარჯვებას.

კ ო ხ ტ ა. ვინ გითხრა?

მ ა ყ ვ ა ლ ა. თვითონ ყვიროდა, მიშველეთო.

კ ო ხ ტ ა. არა, ასეთი ჩერჩეტი ფრინველის მნახველი არა ვარ. პირდაპირ ქვეშ უვარდებიან მანქანას და ისიც ჩემს მანქანას.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ეტყობა, შენი ინტერესი ჰქონიათ, თორემ თვითმკვლელობისათვის რაღა შენს მანქანას აირჩევდნენ?

კ ო ხ ტ ა. შენ გახუმროს კაცმა და... ერთი მეც მკითხე!

(ამ დიალოგის დროს გორაკიდან ჩამოირბენს ჭრიჭინა, კოხტას და მაყვალას ვერ ამჩნევს, ვენახში შედის, განცალკევებით დგება და მეშაობას იწყებს).

მ ა ყ ვ ა ლ ა. მერე ვისი ბრალია? მანქანას ფრთხილად

უნდა ტარება. არც გრცხვენია! — ბავშვებიც კი „ქათმის ჭირს“ გეძახიან. (ცრემლი მოერევა).

 კ ო ხ ტ ა. რაო, რაო? ეგ რაღას ნიშნავს?

(ჭრიჭინას ცქრიალა უახლოვდება).

ც ქ რ ი ა ლ ა (რიხიანად). — თავმჯდომარე სად არის, ვერ მეტყვი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არ ვიცი.

ც ქ რ ი ა ლ ა. არც ფერმაში, არც სკოლაში, არც მშენებლობაზე. დილიდან ჩემ მუხლებს არ მოუსვენია, მაგრამ რომ ვერსად მივაკვლიე? ამდენი სირბილის თავი მაქვს ახლა მე? შენ გეკითხები!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (უსიცოცხლოდ). — რა გინდა?

ც ქ რ ი ა ლ ა. რა მინდა და მამაშენს უნდა ვუთხრა გადამიყვანოს სხვა სამუშაოზე. დღედაღამე ვიმუშავებ, ახლებს ძირიანა ამოვაბრუნებ, ხეებს საკუთარი ხელით დავთხრი, ოღონდ იმ წყეულ აბრეშუმის ჭიას მომაშოროს. გესმის? თუმცა შენ რას გელაპარაკები, გიტარის მეტი არაფერი გახსოვს.

კ ო ხ ტ ა. დინჯად, ცქრიალა, დინჯად, თორემ დაგეხარჯება მთელი ტყვია-წამალი და რიღაცი მიიტან ნიკიფორეზე იერიშს?

ც ქ რ ი ა ლ ა (უახლოვდება). შენ, შენს მანქანას მოუარე.

კ ო ხ ტ ა. ცქრიალა, მგონია, შენს ბიჭიკოს საცივი უყვარს, არა?

ც ქ რ ი ა ლ ა. ეგ საიდან გაგახსენდა?

კ ო ხ ტ ა (ბუჩქიდან დამალულ ქათამს გამოათრევს). სულ იმაზე ვფიქრობ, რა გასიამოვნო. აჰა, გააკეთე საცივი, მოუჯექით შენ და შენი მეუღლე სუფრას და ისროლეთ ქუდი ბერში.

ც ქ რ ი ა ლ ა (სიცილით). კიდევ გაქეიფეს, შე შეჩვენებულო?

კ ო ხ ტ ა. ვიცოდე მაინც ვისია! (ცქრიალას გადასცემს).

ც ქ რ ი ა ლ ა. მოიცა, მოიცა! (ქათამს აკვირდება.) უი, ეს ხომ ჩემი ქათამია? ჩემი კრუხი, ჩემი საუკეთესო კრუხი! რა გიქნია ეს, შე ყაჩაღო! ეს არის საქმე? ვინ გამომიჩეკავს ახლა, ბიჭო, წიწილებს? იქნებ შენ დაჯდები საბუდარზე, ა?

 კ ო ხ ტ ა (დაბნეულად). კარგი, შე ქალო! ოღონდ გაჩუმდი და ქათმის მეტი რა მყავს! საბადლოდ ათი წაიყვანე.

ც ქ რ ი ა ლ ა. ვის უნდა შენი მოწყალება, შე ქათმის ჭირო? უი, უი, უი, ჩემი კრუხი, ჩემი საყვარელი კრუხი! (გადის).

მ ა ყ ვ ა ლ ა (სიცილით). ესეც მადლობა, ძვირფასი საჩუქრისათვის.

კ ო ხ ტ ა. მაგისი თუ იყო, არ მეგონა! (გადის. ვენახის სიღრმიდან ეფროსინე და ქალები გამოდიან).

ე ფ რ ო ს ი ნ ე (ცრიჟინასკენ მიდის). შენც სამუშაოდ ჩამოხვედი, შვილო? (ვაზებს აკვირდება.) უი, ღმერთო მომკალი და ესაა! რა გიქნია, გოგო! ასეთი ყლორტები რომ ჩამოგიტეხია ვაზისთვის, რალა დაუტოვე? ამას რას ვხედავ, როგორ მიგიღრჩვია სარზე ვენახი? (ცრიჟინა შეშფოთებული დგას. ქალებმა ეფროსინეს მიაშურეს. მაყვალაც მათ უერთდება).

მ ა ყ ვ ა ლ ა. ა, კაი მუშას, აგერ, ვენახში ფეხსაცმლის ქუსლი ჩარჩენია. (ფეხსაცმლის ქუსლს ხელში იღებს).

ე ფ რ ო ს ი ნ ე. სათამაშოდ ჩამოდი, გოგო, ვენახში? უი, უი. ერთი... ორი... კიდევ კარგი ბევრის წახდენა ვერ მოგესწრია. (ქალები კისკისებენ. შემოდის მარინე).

მ ა რ ი ნ ე. რა იყო, რა ამბავია, რას იცინით?

მ ა ყ ვ ა ლ ა (ვაზებზე უთითებს). ა!

მ ა რ ი ნ ე (ვაზებს ათვალიერებს). მერე და რა არის აქ ასეთი სასაცილო! ერთი შეცდომა ვის არ მოსვლია?

მ ა ყ ვ ა ლ ა (სიცილით). არა, მაინცდამაინც კი არაფერი წაუხდენია, მაგრამ...

მ ა რ ი ნ ე. ჰოდა, მით უმეტეს! (ცრიჟინას.) შენ მუშაობა მოინდომე და (ასწავლის.) ასე, .ი, ასე...

მ ა ყ ვ ა ლ ა. აჰა! (სიცილით ესერის ჭრიჟინას ფეხსაცმელის ქუსლს).

ჭ რ ი ჟ ი ნ ა. დამცინი?

მ ა ყ ვ ა ლ ა (მოეხვევა). კი ნუ გეწყინება, ჭრიჟინა! დაცინვა რას ჰქვია, რა გაქვს დასაცინი. თუ მოინდომე, რითა ხარ ჩვენზე ნაკლები, მაგრამ ვენახში ასე ჩამოსვლა...

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი. ჩვენც ის არ გვინდა, რომ შენ შრო-

მაში ჩვენთან იყო? აგერ, ხვალ ზედა ვენახში მივდივართ სამუშაოდ და...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მეც წამოვალ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რაიო?

მ ა ყ ვ ა ლ ა. მეც თქვენთან წამოვალ სამუშაოდო.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ჩონგური და გიტარა არ დამანახო ვენახში და ისე, თუ რამეს გააკეთებ... აბა, წავიდეთ წავიდეთ, ქალებო, მივხედოთ ჩვენს საქმეს.

(ვენახის სიღრმეში შედიან. ჭრიჭინა და მარინე ვაზებს მიუბრუნდებიან. მუშაობენ. მარინე ჭრიჭინას შეავლებს თვალს, ეღიმება, პირს მიიბრუნებს).

მ ა რ ი ნ ე. რაო, ეფროსინე ბებიამ? ვენახში ჩონგური და გიტარა არ დამანახოო? (ვენახიდან ისმის ქალების ნელი ღიღინი. მარინე ჭრიჭინას ნამუშევარს დახედავს.) ოო, მოწაფეც ასეთი უნდა! როგორ გეტყობა, მონდომებულად რომ მუშაობ!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მარტო მონდომება რომ კმაროდეს, ე! ე! (ვაზებზე უთითებს).

მ ა რ ი ნ ე. რატომ, უნარი გაკლია თუ? გახსოვს, პატარობისას ყოველგვარ საქმეში რომ შენ გვჯობნიდი? მთავარი მონდომებაა! (მცდელი თვალით უცქერის). შენ თუ მოინდომე, ვინ გაჯობებს? ისე... შეცდომა ვის არ მოსვლია. (ჭრიჭინა პირმიბრუნებული მუშაობს). მოწყენილი ხარ, ჩაფიქრებული... აღარც შენი გიტარისა და სიმღერის ხმა ისმის. მოიხედე აქეთ! ისე მარიდებ პირს, ნამდვილად ნაწყენი ხარ ჩემზე. ვფიქრობ და ვერ მომიფიქრია, რა დაგიშავე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (სწრაფად შემობრუნდება). რას ამბობ, მარინე, შენ, შენ რა უნდა დაგეშავებია ჩემთვის? პირიქით, მე ვარ შენს წინაშე დამნაშავე... ახლა ნუ მკითხავ და შემდეგ... მე თვითონ გეტყვი.

მ ა რ ი ნ ე. არც გკითხავ, არც გკიცხავ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მაშ შენ გჯერა, რომ მე განგებ არ...

მ ა რ ი ნ ე. მჯერა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მარინეს კისერზე შემოეკვეა). გენაცვალე, მარინე! რომ იცოდე, რომ იცოდე რა კარგი ხარ, როგორ მიყვარ ხარ! მაშ გჯერა? გჯერა?

მ ა რ ი ნ ე. უჰ. დამალჩვე და ესაა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. (მხიარულად.) მაშ გკერა? (მუშაობს.) — უი, ეს საქმეც რა სახალისო ყოფილა! (იწყებს ღიღინს).

კვლავ მოგნახა გაზაფხულმა,
სად იყო და სად არა...

მარინე, ამყევი, შენ გენაცვალე, ამყევი!

მ ა რ ი ნ ე. რას ამბობ, მე რომ არ ვმღერი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. პატარაობისას ერთად არ ვმღეროდით? აბა, აბა, გენაცვალე, შემოგვევლე, ჭირიმე, ამყევი. (იმეორებს.)

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა...

მ ა რ ი ნ ე. შენ რომ კაცს შეუჩნდები... მერე და სიმღერა და მუშაობა ერთად შეიძლება?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აბა, სინჯე, სინჯე! (მარინე გაუბედავად აყვება ღიღინს. მუშაობენ და ხმადაბლა მღერიან).

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა,
სად იყო და სად არა,
ყვავილების ჭრელა-ჭრელა
თავზე გადმოგვაყარა...

აგრე, გენაცვალე, აგრე! რომ იცოდე, როგორ გიხდება სიმღერა. ახლა რომ გიორგიმ დაგინახოს...

მ ა რ ი ნ ე (წარბს იკრავს). გიორგიმ კი არა!..

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. წარმომიდგენია, როგორ მოეწონები! ისეთი კარგი ხარ, ისეთი მშვენიერი... მხოლოდ გიორგი კი მეცოდება.

მ ა რ ი ნ ე (უხერხულად). რად გეცოდება?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ამოიოხრებს). რა და „საბრალოა სიყვარული“...

მ ა რ ი ნ ე (პირს მიიბრუნებს). რა დროს სიყვარულია!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (გაოცებით). როგორ, უსიყვარულოდ განა სიცოცხლე შეიძლება? (ამოიოხრებს.) ეჰ, მე რომ შენსავით მქონდეს საქმე...

მ ა რ ი ნ ე. რაო, შოთა...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ნუ მკითხავ... შემდეგ... გეტყვი და... უნდა მირჩიო, დამარიგო... (განაგრძობს სიმღერას).

შენ კი სად ხარ? მსურდა მეთქვა,
რასაც ამბობს გულის ფეთქვა
დაფარულად.
რაც შენს სახელს შორით ვუვლი,
აგერ, ჭრელი გაზაფხული
გაპარულა!

(წყაროს მიხეილი და ციცინო უახლოვდებიან.) ნეტავი ვინ არიან?

მ ა რ ი ნ ე. მოიცა, მოიცა, იმ ერთს შორიდან ვიცნობ. თხილნარელი მეაბრეშუმეა, ციცინოს ეძახიან. მაგ საქმეში კი გვაჯობეს თხილნარელებმა. მერე და ჩვენს სოფელს ბეოლეთი მაინც არ ერქვას. ნეტავი რაზე მოსულან?

მ ი ხ ე ი ლ ი. ქალიშვილო (ჭრიჭინა სტუმრებთან მიირბენს.) გამარჯობათ!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. გამარჯობათ, მობრძანდით!

მ ი ხ ე ი ლ ი. ჩვენ თავმჯდომარის, ნიკიფორე ფერაძის ნახვა გვინდა და აქეთ მოგვასწავლეს კანტორიდან.

მ ა რ ი ნ ე. ახლავე მოვიყვან. (ვადის).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ვაახსენდა, რომ ცალ ფეხსაცმელს ქუსლი არა აქვს. ცდილობს არ შეიმჩნიოს). აქეთ მობრძანდით!

მ ი ხ ე ი ლ ი. გარდა ამისა, ნიკიფორეს ქალიშვილი გვინდოდა გვენახა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აქ ორი ნიკიფორეა.

ც ი ც ი ნ ო. ჩვენ მარინე გვინდა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მხიარულად). მარინეც ორია.

მ ი ხ ე ი ლ ი. კი, მაგრამ (სიცილით.) თქვენს სოფელში გვითხრეს, ერთს „ჭრიჭინა" ჰქვიაო. აჰ, აჰ! ჭრიჭინა საქმის ქალს არ ერქმევა. ჭრიჭინა ჩვენ არ გამოგვადგება. (ციცინო იცინის.) ჩვენ, გმირი რომაა, იმისი ნახვა გვინდა, მისი გამოცდილების გაზიარება. (უთითებს.) ეს მისი ნაკვეთია?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (უხერხულად). ჰო... დიალ... არა... თვითონ გაჩვენებთ... ეგერ ის გმირი! (ვენახისკენ უთითებს).

(ვენახში მარინე გამოჩნდება. სტუმრები მისკენ მიდიან, ესალმებიან და ხმამაღლა ლაპარაკით შედიან ვენახის სიღრმეში).

მ ა რ ი ნ ე ს ხ მ ა. მაყვალა! თავმჯდომარეს კითხულობენ, სტუმრებია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მოდი ახლა და ნუ გასკდები, გულო! პირი ხომ არ შეკრა ნეტავ სოფელმა და ქალაქმა? ესენი ვინღა არიან, მე რომ დამცინეს, რით იწონებენ თავს? ჰმ! აბრეშუმი! დიდი საქმე! (დაფიქრებული.) აბრეშუმი? აბრეშუმი.... აბრეშუმი.... აბრეშუმს რა უნდა, თუთის ფოთლის მეტი? (შემოდიან ნიკიფორე და გიორგი).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. სად იქნებიან?

გ ი ო რ გ ი (იძახის). მარინე!

მ ა რ ი ნ ე ს ხ მ ა. მოვდივართ, მოვდივართ! (შემოდიან მარინე, ციცინო და მიხეილი).

მ ა რ ი ნ ე. გაიცანით!

მ ი ხ ე ი ლ ი (ნიკიფორეს). ჩვენ ჩხარის რაიონიდან ვართ, კოლმეურნეობა „განთიადიდან". მე მევენახეობის ბრიგადირი მიხეილ უზნაძე, ეს კი ჩვენი რაიონის თვალი, ჩვენი საუკეთესო მეაბრეშუმე, ციცინო შარიქაძეა.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ოოო, სასიამოვნოა, სასიამოვნო. გაიცანით — ეს ჩვენი პარტორგი გიორგი ჭელიძეა.

მ ი ხ ე ი ლ ი. ჩვენ ბევრი გვსმენია თქვენი კოლმეურნეობის მიღწევებზე და გადავწყვიტეთ გამოგიწვიოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მე და ამხანაგ შარიქაძეს გვხვდა წილად საპატიო მოვალეობა, დავდოთ თქვენთან ხელშეკრულება. (ქალალდს გაუწოდებს.) დიდად ვისიამოვნეთ თქვენ ვენახზე თვალის გადავლებით. (ღიმილით გადახედავს მარინეს.) ამხანაგმა მარინემ ისე გაითქვა სახელი, რომ (უეცრად.) მარინე ნიკიფორეს ასული ფერაძე, არა? რატომ ვერ მოვისაზრე, რომ ეს თქვენი ქალიშვილია? გილოცავთ და...

ნ ი კ ი ფ ო რ ე (დაბნეულად). ა–არა... ჩემი ქალიშვილი გმირი არაა... ისე კი... რაც შეეხება (ნაძალადევი ღიმილით.) ეს მარინეც, რა თქმა უნდა, ჩემი ქალიშვილია, ესე იგი ჩემი კოლმეურნეობის ქალიშვილი.

ც ი ც ი ნ ო. მე მინდოდა თქვენს მეაბრეშუმეობას გავცნობოდი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. მაგ საქმეში კი ჯერჯერობით ვერაფრით მოვიწონებთ თავს.

ც ი ც ი ნ ო. არ გაქვთ, თუ?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. როგორ არა, მაგრამ...

გ ი ო რ გ ი. მხოლოდ ახლა ვაშენებთ საჭიე სახლს და იმედია...

მ ი ხ ე ი ლ ი. მთავარია კარგი მეაბრეშუმეები. (შემოდის ცქრიალა).

ც ქ რ ი ა ლ ა. ძლივს არ გიპოვე, ნიკიფორე?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ხომ ხედავ, ახლა არ მცალია.

ც ქ რ ი ა ლ ა. არ გამაგონო! მე შენს ძებნაში მუხლები დამაწყდა. ოფიციალურად გიცხადებ, შემჭამეს ცოცხლად შენმა აბრეშუმის ჭიებმა.

ნ ი კ ი ფ ო რ ე (ნაძალადევი ღიმილით). რა ვიცი, გარედან კი არ გეტყობა და...

ც ქ რ ი ა ლ ა. იცინე, იცინე! ჩემს დღეში იყო, ენახავ როგორც გაიცინებდი. ჭამა-სმა შემძულდა, სიცოცხლე შემძულდა, სიზმრადაც კი ის შეჩვენებული ჭიები მელანდებიან.

ც ი ც ი ნ ო. ვერ გამიგია, რად შეიძულე ასე ის საცოდავი ჭიები?

ც ქ რ ი ა ლ ა. რად უნდა შემყვარებოდნენ? ღორებივით ითქვლიფებიან და ბუზებივით წყდებიან. პასუხი კი შენ აგე, ცქრიალა! ის გასაწყვეტები თითო ტომარა ფოთოლს თვალის დახამხამებაში აქრობენ და ადვილია ხეებზე პოტიალი, ისიც ჩემი ტანის ქალისათვის?

გ ი ო რ გ ი. კარგი, ახლა, ხომ ხედავ სტუმრებია!

ც ქ რ ი ა ლ ა. შენც კარგი ხარ. შენთვის რომ ეკითხა კაცს, წყნარი სამუშაოაო, მშვიდობიანიო...

ნ ი კ ი ფ ო რ ე (ღიმილით, სტუმრებს). ბოდიში, მაგრამ ჩვენი ცქრიალა ცოტა ფიცხია და... გაჩუმდი, გაჩუმდი!

ც ქ რ ი ა ლ ა. „გაჩუმდი, გაჩუმდი!“ შენი ქალიშვილი ხომ ვერ გაიმეტე ამ საქმისათვის? შეგეცოდა, არა? მე თუ მკითხავ, აბა, სწორედ საიმისო საქმეა ჭიის მოვლა. ისეც ხეებზეა ნახევარჯერ გასული. ტყუილად კი არ შეარქვეს „ჭრიჭინა“...

(ისმის ტოტის ლაწანის ხმა და თაუშეკავებული შეკივლება).

მ ა ყ ვ ა ლ ა (ვენახიდან გამორბის). უიმე, მგონი ვილაც ჩამოვარდა თუთის ხიდან! (მაყვალას მისდევენ ეფროსინე, ქალები, მარინე, გიორგი, ნიკიფორე და სტუმრები. მცირე ხნის შემდეგ ყველანი ბრუნდებიან ჭრიჭინასთან ერთად. ჭრიჭინა ნაძალადევად იღიმება. ყველანი ირგვლივ ეხვევიან).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ვაიმე, შვილო, ექიმი, ექიმი!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არაა საჭირო...

ე ფ რ ო ს ი ნ ე. უიმე, რად არ მოვკვდები! გოგო, ხელფეხი მოისინჯე, იქნებ მოიტეხე რამე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ნაძალადევი ღიმილით), მოვისინჯო რა, სხვისია, თუ?

გ ი ო რ გ ი. არაფერი გტკივა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ხელი... ცოტათი...

ც ქ რ ი ა ლ ა. რა ეშველება, აბა, შენს ჩონგურს და გიტარას?

მ ა ყ ვ ა ლ ა (ხმადაბლა). რა დროს ჩონგური და გიტარაა!

მ ი ხ ე ი ლ ი. დაგეწვინათ, იქნებ ცუდათაა?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. არა, ხეზე რა გინდოდა?

მ ა რ ი ნ ე. ჰო, რა გინდოდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ხმადაბლა მარინეს). ფოთოლი ცქრიალას აბრეშუმის ჭიისათვის!

ც ქ რ ი ა ლ ა (ყურს მოჰკრავს). აბა! სულ აბრეშუმის ჭიის დარდი გაქვს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე (ჭრიჭინას). არა, არ იქნება შენგან სიკეთე! (სტუმრებს.) ბოდიში... წამობრძანდით, გავაფორმოთ ხელშეკრულება. ისე... (ნაძალადევი ღიმილით.) რომ დავიტრაბახოთ, ყველაფერი რიგზეა-თქო, როგორც ხედავთ...

მ ი ხ ე ი ლ ი (ღიმილით). არაფერია, არაფერი! (ნიკიფორეს და გიორგის მიჰყვებიან).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ხმადაბლა). მამა!

ნ ი კ ი ფ ო რ ე (მობრუნდება). რა გინდა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (განზე გაყავს, ხმადაბლა). მე... ყველაფერი მესმოდა... ნება მომეცი, მე მოვუარო ცქრიალას აბრეშუმის ჭიებს.

ცქრიალა (ყურს მოკრავს). ძალიან კი მოუვლი!

ჭრიჭინა (გაცეცხლებული). მოვუვლი, რატომაც არ მოვუვლი! თავმჯდომარე, გთხოვ მე ჩამაბარო საქმე სახლი.

ნიკიფორე (ახედ-დახედავს). მეყო, მეყო, რაც თავი მომჭერი! გიტარით და დოლ-გარმონით ჭიას ვერ გამოკვებავ. (აჩქარებით ვადის. ყველანი გადიან, ჭრიჭინასა და ეფროსინეს გარდა).

ეფროსინე (ჭრიჭინას). ხომ იცი, შვილო, მაგისი ხასიათი...

ჭრიჭინა (უეცრად). ბებია, მითხარი, თავი მაქვს?

ეფროსინე. უიმე! რას ამბობ, გოგო!

ჭრიჭინა. ხელები? ხელები მაქვს? (გარბის).

ეფროსინე. ღმერთო მიხსენ ბოროტისაგან! (მისდევს).

სურათი მერვე

ნიკიფორეს ეზოს ერთი კუთხე. წნელით მოწნული სასიმინდე. მაგიდებზე ლასტები.

ჭრიჭინა (ლასტებზე ფოთოლს ჰყრის, ხმადაბლა ღიღინებს).

ტანშრიალა აბრეშუმი
ათასფერად მოხატული,
თქვენი საჩუქარია!..
თავს გევლებით სიყვარულით,
თავს გევლებით სიხარულით,
გივლით და მიხარია!

—

გაიხარეთ, გამახარეთ
დამილოცონ ხელები!
დასრულდით და დაიზარდეთ
აგრემც შემოგევლებით,
ჩემო ჭიებო,
პაწაწინებო!

(რამდენიმეჯერ შემოიხედა კოხტამ. ინტერესით ადევნებს ჭრიჭინას თვალს).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (კოხტას შეამჩნევს. ხმადაბლა შეპკიელებს). აჰ!!

კ ო ხ ტ ა (ღიმილით უახლოდება). რამ შეგაშინა, ასეთი საფრთხობელა ვარ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (უხერხულად იცინის). სულ არ გელოდი.

კ ო ხ ტ ა. ამ საგზალთან ზედ ერთი დოქი ღვინოც რომ მიგეყოლებინა, ო, რა დროს გაატარებდნენ ჭიები.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მიიხედ-მოიხედავს). სუ, არავინ გაიგონოს!

კ ო ხ ტ ა (გაოცებული). როგორ, არავინ იცის თუ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ბებიას მეტმა არავინ!

კ ო ხ ტ ა. არც მარინემ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არა, ჯერ არა! (ღიმილით.) ასე არ ჯობს? თუ წინდაწინ ვიყვირე და ქვეყანა შევყარე... პარკით ავსებულ გოდრებს ავტომანქანებით რომ გავატარებ სოფელზე, მაშინ ვერ გაიგებენ? (კოხტას შეხედავს.) არა, შენ არ გეგონოს, რომ დაფარულად.... რაიონში ყველაფერი გაფორმებულია, მხოლოდ მამამ არ იცის.

კ ო ხ ტ ა. ბებია გეხმარება?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არა! მე ვერ მოვერევი?

კ ო ხ ტ ა. კი მაგრამ... მარტო შენ, ისიც გამოუცდელი...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აბა, მთელი სოფელი უნდა დამხმარებოდა? იცი, რა ჭიებია! — ნახავ, თუ სარეკორდო მოსავალი არ მივიღო!

კ ო ხ ტ ა. „სარეკორდო" საინტერესოა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. გინდა ნახო? მოდი! (ლასტებთან მიპყავს. თავმომწონედ.) როგორ მოგწონს?

კ ო ხ ტ ა. კარგია! თუმცა ჩემთვის რომ გეკითხა... თუ მუშაობა გინდოდა, ჩემთან მოსულიყავი, ავტომანქანის მართვას გასწავლიდი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ხელს ხალათზე ჰკიდებს). იცი, ეს ამათი გაკეთებულია! არ მოგწონს?

კ ო ხ ტ ა. როგორ არა, მაგრამ...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჰოდა, რითაა აბრეშუმის წარმოება სხვაზე ნაკლები? (სიყვარულით დასცქერის ლასტებს. ათვალიერებს, ფოთოლს

ასწორებს, თან იღიმება.) ჩემო ჭიებო პაწაწინებო... (შეჰკივლებს.) ვაიმე!

კ ო ხ ტ ა. რა იყო? რა მოგივიდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ქვიას აკვირდება, ხელში აიყვანს, შეშფოთდება). ავადაა, უთუოდ ავადაა! როგორ უსიცოცხლოდ გამოიყურება, ვარდისფერი გადაჰკრავს. (ლასტებს აკვირდება.) აგერ, აგერ კიდევ! დავიღუპე! დავიღუპე! ვაიმე, ჩემო სიყვარულით ნაზარდო ჭიებო! (ქვიას ლასტზე სვამს. ცრემლი ერევა. ჯიბიდან ხელსახოცს იღებს. ცხვირსახოცს პატარა ფოტოსურათი ამოპყვება და ძირს ვარდება. კოხტა ასაღებად დაიხრება, მაგრამ ჭრიჭინა შეამჩნევს, დასწვდება, იღებს და ჯიბეში იდებს. პირს იბრუნებს და ცრემლს იწმენდს).

კ ო ხ ტ ა (მზერას გააყოლებს სურათს. თავისთვის). მენახა მაინც ვინაა? უთუოდ ჭრიჭინას შეყვარებული...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შენ როგორ ფიქრობ, კოხტა, არაფერი ეშველებათ?

კ ო ხ ტ ა. ვის, რას?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (გაოცებული შეხედავს). ჭიებს, შე კაცო, ჭიებს!

კ ო ხ ტ ა. ჰოო... ჭიებს? რა იქნება ასე უსაშველო? მხოლოდ უნდა იკითხო, გაიგო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ვის ვკითხო?

კ ო ხ ტ ა. მოდი, მაყვალას დავუძახებ. (გასაქცევად გაემზადება).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჩემზე მეტი არც მაყვალამ იცის. მარინეს?

კ ო ხ ტ ა. მარინე ხომ მეაბრეშუმე არაა? ცქრიალას რომ...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. აჰ, არა, არა! ისევ მარინეს.

კ ო ხ ტ ა. ამ წუთში აქ მოვიყვან! აქეთ რომ მოვდიოდი, ეკერ, ფერმაში დავინახე... (გარბის).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ლასტებს ათვალიერებს). — ა, აგერ, აგერ, კიდევ!.. ბებია მაინც იყოს შინ! (შემოდიან მარინე და კოხტა).

მ ა რ ი ნ ე (მიიხედ-მოიხედავს). ოჰო!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მარინეს შემოეხვევა). მარინე, გენაცვალე, ისევ შენ უნდა მიშველო!

მ ა რ ი ნ ე (გაოცებული). რაშია საქმე, რა მოხდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ხედავ?

მ ა რ ი ნ ე (ქიას ხელში აიყვანს. აკვირდება). ბევრია ასეთი? (სამივენი ათვალიერებენ.) — აგერ, აგერ კიდევ! დღეს პირველად შეამჩნიე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. პირველად.

მ ა რ ი ნ ე (ქიას აკვირდება). ამ დაავადებას მუსკარდინა ანუ კირით დაავადება უნდა ერქვას. არა, მაინც გასაოცარია, რად გჭირდებოდა ასე დამალულად...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (აღელვებული). ხომ გახსოვს, მამამ რა მიპასუხა... მე ისე მინდოდა...

მ ა რ ი ნ ე (აწყვეტინებს). გასაგებია! მაგრამ ყველაფერს რომ ცოდნა ჭირდება? ძალიან კარგი საქმისთვის მოგიკიდია ხელი, მაგრამ არ გაგიგონია: მარტოხელა კაცი პურის ჭამაშიაც ცოდვაა? რგოლი უნდა ჩამოგეყალიბებინა, გამოცდილი მეაბრეშუმეებისათვის გეკითხა.. .შენ ოღონდ მოინდომე და ახმეტის რაიონში გაგგზავნით ქისტაურული მეთოდის ასათვისებლად. საჭირო ლიტერატურასაც შევიძენთ! ბოლოს და ბოლოს ციცინო დაგვეხმარება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (შეწუხებული სახით). ესენი კი დაიღუპებიან, სულ დაიღუპებიან?

მ ა რ ი ნ ე. არა, მაგრამ სარეკორდო მოსავალს...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ოღონდ ნუ დაიღუპებიან...

მ ა რ ი ნ ე. დღესვე რაიონში ინსტრუქტორს უნდა ვკითხოთ. ჭიების გარჩევა კი აუცილებელია. დამატებითი ლასტებიც დაგვჭირდება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ლასტები... ლასტები რომ აღარა მაქვს?

კ ო ხ ტ ა. ოღონდ შენ დამშვიდდი და ლასტებს დავწნავ კი არა, რაც თუთის ხეებია ამ სოფელში, თუ გინდა იმათაც მოვთხრი და შენს ეზოში დავრგავ. (გარბის).

მ ა რ ი ნ ე. აბა დროს ნუღარ დავკარგავთ. სასწრაფოდ გადავარჩიოთ. (არჩევენ).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

სურათი მეცხრე

შემდეგი წლის ზაფხული. თუთების ხეივანი. მარჯვნივ საქიე სახლი. იქვე ბოძი ელექტროგაყვანილობისათვის. მარცხნივ, თუთის დიდი ხის ქვეშ, მაგიდა და ხის მოგრძო სკამია. საღამოვდება. საქიე სახლიდან გამოდის ეფროსინე. სკამზე ჯდება. მოშორებით, ბუჩქიდან ვაისმის ბულბულის საამო სტვენა.

ეფროსინე (ყურს უგდებს). — იფ, შენ გაიხარე. გაოცებით უცქერის ბუჩქს.) კი, მაგრამ ეს ბუჩქი საიდან გაჩნდა აქ? (ბუჩქი შეირხევა. პირჯვარს იწერს.) ღმერთო, შენ მიშველე! (ბუჩქის ტოტებს. გადაყრ-გადმოყრის, კისკისით წამოიჭრება ზეზე ჭროპინა, მიირბენს ეფროსინესთან და კისერზე შემოეკვრება.) რაღა გეთამაშება, გოგო, წელი ჩაგწყდა მუშაობაში. ფოთოლი რა უყავი?

ჭრიჭინა. იმდენი დავკრიფე, მთელ ღამეს ეყოფა ჭიებს. (სახლში შეირბენს. ეფროსინეც უკან მიჰყვება. მცირე ხნის შემდეგ იქიდან ისმის ქალების სიმღერა.)

ტანშრიალა აბრეშუმი,
ათასფერად მოქარგული.
თქვენი საჩუქარია!
თავს გევლებით სიყვარულით,
თავს გევლებით სიხარულით,
გივლით და მიხარია!

(გამოდის კოხტა).

კოხტა (გამოცვლილი ხმით). ეი, მასპინძელო!

მაყვალა (ფანჯრიდან გამოიხედავს). ოჰ, შენ რა გითხარი, კოხტა, ვილაცა არ მეგონე?

კ ო ხ ტ ა. რას ჰქვია „გეგონე“, ვილაც არა ვარ, თუ?

მ ა ყ ვ ა ლ ა (სიცილით). არა, უცხო.

კ ო ხ ტ ა. უცხო? უკაცრავად, რაიონის ახალ აგრონომს ხომ არ ელოდი?

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი (გამოიხედავს). როგორ, ახალი აგრონომი ჩამოვიდა რაიონში? გოგოებო, გოგოებო, ახალი აგრონომი ჩამოსულა. (სახლიდან გაშორბიან ქალიშვილები და გარს ეხვევიან კოხტას.) უცოლოა?

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ახალგაზრდაა?

მ ა ყ ვ ა ლ ა. ჩვენთან არ აპირებს ჩამოსვლას?

კ ო ხ ტ ა. შენ რად გაინტერესებს?

ყ ვ ე ლ ა ნ ი. ჰო, ჰო, არ აპირებს?

კ ო ხ ტ ა. აპირებს კი არა, აქაა. შორიდან მოვკარი თვალი, კოლმეურნეობის კანტორაში ადიოდა. (გამოდის ჭრიჭინა).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რაო, რა ამბავია?

ყ ვ ე ლ ა ნ ი. აგრონომი ჩამოსულა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჰოო? კეთილი მოხუცია.

კ ო ხ ტ ა. მოხუცი კი არა, ვეფხვივით ბიჭია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. სწორედ ჩვენი ელპიტე ბებიას შესაფერი „ბიჭი“.

კ ო ხ ტ ა. რადგან არ გჯერათ, აგრე იყოს! აბა, ისიც ტყუილია, რომ ჩხარელები ჩამოვიდნენ? (შემოდის მარინე).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჩხარელები?

მ ა რ ი ნ ე. ჰო, სოცშეჯიბრის შესამოწმებლად. თავმჯდომარემ შემოგითვალათ: ჯერ ფერმას და საავადმყოფოს დაათვალიერებენ, შემდეგ შენთან მოვალთო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ციცინოც ჩამოვიდა?

კ ო ხ ტ ა. ციცინოც, მიხეილიც.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არიქა, გოგოებო!

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. რამ შეგაშინა? აქ ყველაფერი რიგზეა.

კ ო ხ ტ ა. ჰოდა ამ სალამოს ისეთი კონცერტიც გავმართოთ, კლუბის კედლებს ზანზარი გაჰქონდეთ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. კლუბში რა გვინდა, კონცერტი აქ უნდა გაიმართოს.

 კ ო ხ ტ ა. რას ჰქვია „აქ“, საჭიე სახლში?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არა, ეზოში.

კ ო ხ ტ ა. რაო?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ასეა. ჩვენ ჭიებს თავს არ დავანებებთ.

კ ო ხ ტ ა. კონცერტი იქნება კლუბში.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჩვენ კი აქ ვიქნებით.

კ ო ხ ტ ა. მაშ ბიჭიკოს ჩავაცვა ქართული კაბა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. როგორც გინდა. (გოგოებს.) წავიდეთ, ფოთოლი მოვიტანოთ.

(გადიან).

კ ო ხ ტ ა (ხელს ჩაიქნევს). ეეჰ! (გადის. სცენა ერთხანს ცარიელია. გამოდიან კოხტა და შოთა).

კ ო ხ ტ ა. ესეც ჩვენი საჭიე სახლი.

შ ო თ ა (შეიხედავს). შიგ კი არავინაა.

კ ო ხ ტ ა. ერთი წლის წინათ იყავით სწორედ აქ, არა?

შ ო თ ა (უხერხულად). — დიახ.

კ ო ხ ტ ა. ჰო, შეხედვისთანავე გიცანით. იმის შემდეგ მარინე აღარ შეგხვედრიათ?

შ ო თ ა. არა. ეს ერთი წელი თურქმენეთში ვმუშაობდი. (პაუზა.) გავიგე გათხოვილა.

კ ო ხ ტ ა. დიახ. ჩვენს პარტორგს გაჰყვა ცოლად. ეჰ, სულ მე ვარ თქვენი მახარობელი.

შ ო თ ა (ნაძალადევი ღიმილით). თუ ბედნიერია, მე მოხარული ვარ.

კ ო ხ ტ ა. არა, მოხარული რომ ხართ, მეც ვხედავ. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ამ სიყვარულის საქმეებში ყოველთვის ვერც გაერკვევა კაცი. მე, მაგალითად, ამ ორი წლის წინ მეგონა, რომ მიყვარს ერთი ქალიშვილი. შემდეგ კი მივხვდი, რომ სულ სხვა მყვარებია. (შემოდის გიორგი.) აი, ჩვენი პარტორგიც. (ხმადაბლა.) იმისი ქმარი.

გ ი ო რ გ ი. რა ხანია გეძებ, კოხტა! (ფანჯარაში შეიხედავს.) კონცერტის საქმე როგორაა?

კ ო ხ ტ ა. ჭრიჭინა რომ არ გვირევდეს საქმეს, რა უშავდა.

გ ი ო რ გ ი. როგორ?

კ ო ხ ტ ა. ერთი წუთითაც არ უნდა აქაურობის მიტოვება. „კონცერტი აქ გავმართოთო“.

გ ი ო რ გ ი. არა, ეგ არც ურიგო იქნება! ამ სიცხე-პაპანაქებაში კლუბში ჯდომას სუფთა ჰაერზე, ხეივანში ყოფნა არ ჯობს? ან სტუმრები რაზე დავხრაკოთ იმ სიცხეში, ან მასპინძლები.

კ ო ხ ტ ა. ეგეც კი მართალია... ჰო, მართლა, გაიცანი კიდევ ერთი სტუმარი, რაიონის ახალი აგრონომი, მეაბრეშუმეობის სპეციალისტი, შოთა კევლიშვილი.

გ ი ო რ გ ი. სასიამოვნოა. (ხელს ართმევს.) ჭელიძე. დღეს ჩვენთან „განთიადის“ კოლმეურნეები ჩამოვიდნენ სოცშეჯიბრის შესამოწმებლად.

შ ო თ ა. ციცინო შარიქაძეც აქ არის?

გ ი ო რ გ ი. როგორ არა. სწორედ იმან გამოგვიზარდა ჩვენი მეაბრეშუმეობის პირველი მერგოლური და ახლაც არ აკლებს ყურადღებას.

შ ო თ ა. აქ იყვნენ უკვე?

გ ი ო რ გ ი. ჯერ ფერმას ათვალიერებენ.

შ ო თ ა. მაშ, თუ შეიძლება, მეც იმათ შეეუერთდები.

გ ი ო რ გ ი. როგორც გენებოთ. კოხტა, გააცილე. ჰო, ამალამ ჩემს ოჯახში მოისვენებთ. მე და ჩემი მეუღლე დიდად მოხარული ვიქნებით.

შ ო თ ა. არა, მე... აგერ, ამხანაგმა კოხტამ დამპატიჟა.

კ ო ხ ტ ა. მეეე? ჰო, დიაღ, დიაღ! (გიორგის.) ნუ გიყვარს შენ, გიორგი, სტუმრების წართმევა. წავიდეთ, ამხანაგო აგრონომო.

შ ო თ ა. არა, ნუ შესწუხდებით, მე ვიცი სადაა ფერმა. (გადის).

გ ი ო რ გ ი (თვალს გაადევნებს). ეს ჩვენი აგრონომი მთლად დალაგებული კაცი არ უნდა იყოს. კოხტა, თუ კაცი ხარ, მარინე თუ შეგვხდეს, უთხარი, რომ ვეძებ. (გადის).

კ ო ხ ტ ა (შუბლზე იტაცებს ხელს. ჩამოჯდება, სახეს ხელებში ჩამალავს. შემოდის ჭრიჭინა ფოთლით სავსე კალათით).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (კოხტას აკვირდება). კოხტა!

ქ ო ხ ტ ა (შეკრთება). აა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რა მოგივიდა?

ქ ო ხ ტ ა. რაღა რა მომივიდა, მოვკალი კაცი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მანქანით გაიტანე?

ქ ო ხ ტ ა. სიყტვა ზოგჯერ ყუმბარაზედ უარესია. არა, მაინც რა უბედური ბედის ვარ, რაღა ორიეეჯერ მე გადამაწყდა ის დალოცვილი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ვინ?

ქ ო ხ ტ ა. მარინეს ვილაც ყმაწვილი მოუტყუებია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მარინე და ტყუილი?

ქ ო ხ ტ ა. ჰო, ჰო, და ახლა მისი მახარობლობა მე მერგო, მაგრამ ტყვია რომ დამეხალა გულზე, ის ერჩია. ისე გაოგნებული გავარდა კაცი, რომ....

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ვინ კაცი, რას ამბობ?

ქ ო ხ ტ ა. ჩვენი რაიონის ახალი აგრონომი. (აჩქარებით გადის).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (გაოცებული). რაიო? არაფერი არ მესმის! (ჩაფიქრდება. საჭიე სახლიდან გამოდის გიორგი.) აჰ!

გ ი ო რ გ ი. რამ შეგაშინა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. არა, კი არ მეშინია, მაგრამ... მაინც ველავ.

გ ი ო რ გ ი. რა გაქვს სამღელვარო? ყველაფერს აჩვენებთ ისე, როგორც არის, არაფერი გააზვიადოთ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ჩვენი ხალათების გამოცვლის ვადა ხვალაა. დღეს რომ გამოვიცვალოთ გაზვიადება იქნება?

გ ი ო რ გ ი. მაგას არა უშავს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შუქი რომ მაინცადამაინც დღეს გაგვყავს საჭიე სახლში?

გ ი ო რ გ ი. ეს კი ვერაა სწორი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. კი, მაგრამ სტუმრებისთვის ხომ არ გაგვყავს? უკვე ყველაფერი მზადაა, მხოლოდ ლამფების გაკეთება და შუქის ჩართვაა საჭირო. ბიჭიკომ აუცილებლად ჩავრთავო.

გ ი ო რ გ ი. კარგი, არც ეგ იქნება დიდი ცოდვა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მხოლოდ, თუ ძმა ხარ, სტუმრებს დაბინდებამდე ნუ მოიყვანთ.

გ ი ო რ გ ი (ცეცელზე ანიშნებს). ეს რა არის?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. სოციალისტური ვალდებულებაა. აქ წერია რისთვის ვმუშაობთ და როგორ ვმუშაობთ.

გ ი ო რ გ ი. კარგი, კარგი. აბა, თქვენ იცით. (გადის. ჭრიჭინა საქმე სახლში შერბის, შემოდის ბიჭიკო. ბოძზე აცოცდება. მავთულს ჭიმავს. შემოდიან ქალები ფოთლით სავსე კალათებით. ფოთოლი საქმე სახლში შეაქვთ. შემოდის კოხტა, ისიც ფოთლით სავსე გოდრით ხელში).

ბ ი ჭ ი კ ო. სწორედ შენზეა ნათქვამი, კოხტა, ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდნენო.

კ ო ხ ტ ა. რა ყურძენი, რის ღობე! სიცხე ხომ არა გაქვს?

ბ ი ჭ ი კ ო. ქალიშვილი გიყვარს და ჭიას ეარშიყები.

კ ო ხ ტ ა. რუსთაველმა, სიყვარული აგვამაღლებსო.

ბ ი ჭ ი კ ო. შენ კი ილევი დღე და დღე და...

(გამოდიან ჭრიჭინა, მაყვალა და ქალიშვილები. შემოაქვთ ელნათურები და სუფთა ხალათები).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ბიჭიკო, შუქი მალე გვექნება?

ბ ი ჭ ი კ ო. მე ჩავრთავ და იქნება თუ არა, ვნახოთ.

მ ა ყ ვ ა ლ ა. მამალმა თქვა, მე მიყიელია და გათენება ღმერთმა იცოდესო. შემდეგ კი იმ მამლისაგან ჩიხირთმა გააკეთეს, მაგრამ...

ბ ი ჭ ი კ ო. აგრე, არა? მოძებნეთ, აბა, სხვა მამალი და შუქიც იმან გაიყვანოს.

კ ო ხ ტ ა. არ გრცხვენია? ხუმრობა როგორ იწყინე.

ბ ი ჭ ი კ ო. ხუმრობა, — ხუმრობას გააჩნია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შენ დინჯად იყავი! რა მამალი — რის მამალი! მამალი კი არა, არწივი ხარ, არწივი. არა, გოგოებო?

კ ო ხ ტ ა. პირწავარდნილი არწივია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ნუ შემოგვწყრები, ჩემო ბიჭიკო. ჩვენ ახლა კაცი გვიღალატებს? გთხოვთ, გთხოვთ!

ბ ი ჭ ი კ ო. ეგ სხვა საქმეა. აბა, გაუკეთეთ ნათურები!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მაყვალა, შენ ფანჯრის მინების დაწმენდაში მოგვეხმარე, აბა, გოგოებო, მივხედოთ ჭიებს. (ქალიშვილები საქმე სახლში შედიან).

კ ო ხ ტ ა (ჭრიჭინას შეაჩერებს). რადგან შენ ასე გინდა, კონცერტი აქ იქნება. მხოლოდ ქართული ჩემთან უნდა იცეკვო.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. მაყვალასთან გეცეკვა.

კ ო ხ ტ ა. არ მაქვს მისი ჩხუბის თავი.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. ოღონდ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს და თუ გინდა ყველას მაგივრად მე ვიცეკვებ. ჰო, შენ მოცეკვავე ვაქებს დაავალე, ცოტა ფოთოლი მოგვიტანონ. წარმოგიდგენია, როგორ დამშვენდებათ ვაქკაცებს თუთის შტოებით შემოსვლა? (საჰიე სახლში შედის).

კ ო ხ ტ ა (სიტყვას მიაყოლებს). ოჰ, ჰო, ჰო, რა ეშმაკი ხარ! (წასვლას დააპირებს.) ამხანაგო არწივო, შენ კი არ აპირებ ტანსაცმლის გამოცვლას? ჩვენ ყველა ჩოხებში ვიქნებით, შენ კი მაგ შენს ტანსაცმელში არწივს კი არა, კრუხს დაემგვანები (გადის).

ბ ი ჰ ი კ ო (მიადევნებს). და შენ, რა თქმა უნდა, გამჭეჭყავ, არა? (საწინააღმდეგო მხრიდან გამოდიან ელპიტე, ეფროსინე და მარინე. მოხუცები საჰიე სახლში შედიან).

მ ა რ ი ნ ე. ბიჰიკო, მალე დაამთავრებ?

ბ ი ჰ ი კ ო. ა, ცოტა კიდევ და... (ციბე გააქვს. ვამოდის ჰროჰინა).

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. როგორაა საქმე?

მ ა რ ი ნ ე. ყველაფერი კარგადაა. გიორგიმ ისინი ფერმაში წაიყვანა. შენი საქმე?

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. შუქს ველოდები.

მ ა რ ი ნ ე. მამაშენი ძალიან ღელავს.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. მე კი არ ვღელავ? ასე თუ ისე, ეს ჩემი პირველი გამოცდაა.

მ ა რ ი ნ ე (ღიმილით). არა! შენი პირველი გამოცდა თბილისში იყო, ძია ირაკლის სახლში. (იცინის.) გახსოვს? რამდენიმე დღე სიმღერაც კი მიატოვე.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. ისე გამწარებული ვიყავი, ისე გულმოსული ჩემს თავზე, რომ....

მ ა რ ი ნ ე (ღიმილით). ამ საღამოს რატომღაც შოთა გამახსენდა და იცი, რა გავიფიქრე? რომ იქნებ...

ჰ რ ი ჰ ი ნ ა. არავითარი „იქნებ“! ნუთუ ცხადი არაა? (ირონიით.) ჰმ! ვუყვარდი მანამ, სანამ გმირი ვეგონე. შემდეგ ჩამოვიდა. გაიგო და...

მ ა რ ი ნ ე. რა იცი, იქნებ ის ფიქრობს, რომ შენ გაათამაშე და მიატოვე? იქნებ ახლა გათხოვილიც ჰგონიხარ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. რას ამბობ!

მ ა რ ი ნ ე. წერილი არ მოუწერია?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მომწერა, მაგრამ გაუხსნელად დავუბრუნე უკან. ისე... გუშინ გავიგე, რომ მას თბილისში არავითარი საცოლე არ ჰყოლია. (პაუზა.) იცი? მე გადავწყვიტე ისეთივე სპეციალისტი გავხდე, როგორიც შოთაა. მხოლოდ ამ საქმე სახლის მიტოვება კი მენანება.

მ ა რ ი ნ ე. დაუსწრებელზე რომ შეხვიდე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მართლაც! მარინე, მოდი, ერთად შევიდეთ დაუსწრებელზე? ჰა!

მ ა რ ი ნ ე. კარგი, კარგი!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ღიღინებს):

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა,
სად იყო და სად არა...
(მარინე აპყვება).

ყვავილების ჭრელა-ჭრელა
თავზე გადმოგვაყარა.
(შემოდის სანდრო).

ს ა ნ დ რ ო. ბოდიში, პატივცემულნო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. „პატივცემულნო“?

ს ა ნ დ რ ო. ოჰ, ეს თქვენა ხართ? გამარჯობათ, ჭრიჭინა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. გამარჯობათ.

ს ა ნ დ რ ო. ჰა, ჰა, ჰა! ბოდიში, მაგრამ... ჰა, ჰა, ჰა! არა, ის რა მოგვივიდა! მაინც, რამ მაფიქრებია... (მარინეს დააკვირდება.) ოჰ, ბოდიში! მე სპეციალურად თქვენთან მოვედი, მაგრამ ჭრიჭინას დანახვამ ისეთი ისტორია მომაგონა, რომ... (იცინის) ახლა მოვედი, რომ გამოვასწორო ჩემი მაშინდელი შეცდომა, ორმაგი გამარჯვება მოგილოცოთ და ახლა მაინც მოვათავსო თქვენი სურათი რომელიმე ჟურნალში. იმედია უარს არ მეტყვით და ამ საკმე სახლთან, რომლითაც ასე გაითქვით სახელი... (ფოტოაპარატს მოიმარჯვებს).

მ ა რ ი ნ ე (ცივად). დიასახლისს მიმართეთ. (ჭრიჟინაზე უთითებს და საჟიე სახლში შეირბენს).

ს ა ნ დ რ ო (დაბნეულად). ჭრიჟი... მარინე, მაშ ეს თქვენ... ბოდიში, ისევ ბოდიში! გთხოვთ მაპატიოთ, უარს ნუ მეტყვით და მაჩუქეთ რამდენიმე წუთი. აგერ, ჯერ საჟიე სახლის შესასვლელთან დადექით. ხელში თუთის შტო დაიჭირეთ.

ჭ რ ი ჟ ი ნ ა (ცივად). არ მცალია. (საჟიე სახლში შედის. შემოდის ბიჟიკო კიბით ხელში).

ს ა ნ დ რ ო. ჰმ, საქმის ქალი! ნეტავი რომ იპრანჭება, რას იპრანჭება! ვილაც კოლმეურნე გომბიო, ვილაც ჭრიჟინა...

ბ ი ჟ ი კ ო. რაო, რა თქვი? გაიმეორე!! (კიბეს ხელს უშვებს).

ს ა ნ დ რ ო. მ... მე... არაფერი... ისეთი არაფერი... (უკან იხევს).

ბ ი ჟ ი კ ო. ერთი ამ უცხო ფრინველს დამიხედეთ! აქედან დაიკარგე, ვილაცა ხარ, თორემ იცოცხლოს ბიჟიკომ, მე შენ გასწავლო ლაპარაკი.

(სანდრო გარბის. ბიჟიკო ბოძზე ადის. საჟიე სახლიდან გამოდიან ეფროსინე, ელპიტე და ქალიშვილები. სხდებიან, ფოთოლს არჩევენ. მაყვალა სარკმლის მინებს წმენდს).

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ეფროსინე ბებია, ლამაზი იყო ბაბუა კაპიტონი?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აგერ ჰკითხეთ ელპიტეს.

ე ლ პ ი ტ ე. ლამაზი კი არა, კალმით ნახატი. კუპრიანით შავი ულვაში რომ ჰქონდა ზედ ყურებზე გადახვეული...

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი შ ვ. ნახვისთანავე შეგიყვარდათ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. აბა!

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ. იმასაც?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. იმასაც.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ. რა იცით?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. შე ქალო, 26 წელი ერთად გავატარეთ და ვეღარ მოასწრებდა თქმას?

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ. ეფროსინე ბებია, შენ გენაცვალე, პირველად რომ დაგელაპარაკა რა გითხრა? არ გახსოვს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე. რა დამავიწყებს' (ღიმილით.) სუფრასთან რომ ვიჯექით, ჩუმად გადმომილაპარაკა: თქვენი პირით გვა-

ჩუქეთ თქვენი სახელიო. — „ეფროსინე“ მეთქი ვუპასუხე. — რა ლამაზი სახელია, ბუსკანტივით გაიღუღუნა გულშიო და წამოიწყო სიმღერა.

ქ ა ლ ე ბ ი. რაო, რა სიმღერა? არ გახსოვს? იმღერე, ბებია, იმღერე!

ე ფ რ ო ს ი ნ ე (მღერის).

მეტად მშვენიერი ხარ
და მით ბედნიერი ვარ...

(ელპიტეს.) ამყევი, გოგო! (ქალებს.) თქვენც ამყევით (ელპიტე და ქალები აყვებიან).

... სალამოობით ბულვარში
ვარალალო
სასეირნოდ დავდივარ...

(ქალებს მიეპარება ჩოხაში გამოწყობილი კოხტა გიტარით ხელში. გიტარის სიმებს ხელს ჩამოკრავს. ბიჭიკო ბოძიდან აძლევს ქალებს ბანს).

კ ო ხ ტ ა. ეფროსინე ბებია, თქვენ და ელპიტე ბებიამ რომ არ მიიღოთ მონაწილეობა ამაღამინდელ კონცერტში, არაფრით არ შეიძლება.

ე ფ რ ო ს ი ნ ე და ე ლ პ ი ტ ე. რას ამბობ, ბიჭო!

კ ო ხ ტ ა. აჰ, აჰ, აჰ, უარი არ გამაგონოთ. თქვენმა ნომერმა თუ ყველას არ აჯობოს, თავს მოვიჭრი. ახლა კი ეს ადგილი დამიცალეთ, აქ სცენა უნდა მოვაწყოთ.

მ ა ყ ვ ა ლ ა. რა დიდებული რეჟისორი მოგვეევლინა.

კ ო ხ ტ ა. როდესაც უკეთესი არაა...

მ ა ყ ვ ა ლ ა. ჰო, რას ვიზამთ! უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო. (შემოდის ცქრიალა).

ბ ი ჭ ი კ ო (ბოძიდან სიცილით). აი, გოგო! ჩვენი მაყვალა გოგო კი არა, ცეცხლია, ცეცხლი!

კ ო ხ ტ ა. ფრთხილად იყავი, იმ ცეცხლზე ულვაში არ შეგერუჯოს.

ბიჭიკო. ულვაშს კი არა, ასეთ ცეცხლზე დასაწვავად კაცი გულს არ დაიშურებს.

ცქრიალა. მე შენ დაგწვავ, თუ ქალი ვყოფილვარ.

ბიჭიკო. ნუ გეშინია, ჩემო მეუღლევ! ჩემი გული შენს იმედიან ხელშია. რაც შეეხება მაყვალას, ვერ დავფიცავ: საითაც ფეხი გადავდგი, ბიჭები მეხვეწებიან, გამირიგეო.

კოხტა. ჭკუით იყავით შენც და ის შენი ბიჭებიც!

ბიჭიკო. შენ რამ გაგაფიცხა?

კოხტა. ჰმ! გამოჩნდნენ საქმროები და მაჭანკლები!

ბიჭიკო. შენს თავსაც მაყვალას საქმროდ ხომ არ სთვლი?

პირველი ქალიშვ. რატომაც არა! დასაწუნია, თუ? (მაყვალას.) გაჰყევი, გოგო! მე შენ გეტყვი, ქათმის ხორცი მოგენატრება.

მაყვალა. ძალიან კი მინდა ქათმების პუტვა.

კოხტა. ჯავრი ნუ გაქვს. ისეთ ხელსაწყოს გამოვიგონებ, რომ ქათმები მანქანის ბორბლებქვეშიდან გაპუტულები გამოდიოდნენ.

ბიჭიკო. რადიატორში თუ გაატარე, ხომ მოხარშვაც აღარ დასჭირდებათ და ესაა! (სიცილი).

ელპიტე. სიცილი და მხიარულება ნუ მოგაკლოთ დედაშვილობის გამჩენმა. (საპეე სახლიდან გამოდიან ჭრიჭინა და მარინე).

ჭრიჭინა (მესამე ქალიშვილს). გამიგონე, თამარა, შენ კიდევ სამი ჭია გაგიჭყლეტია.

მესამე ქალიშვ. გეფიცები, უნებურად მომივიდა.

ცქრიალა. დაქცეულა ქვეყანა! არ გააჭირეთ საქმე ამ თქვენი ჭიებით? შუქიც კი გამოგყავთ მათთვის. თქვენს ჭიებს კი ისე სჭირდებათ შუქი, როგორ ჩემს ბიჭიკოს სავარცხელი. ისიც არ ვიცით, ჭამს თუ არა ჭია შუქზე. (შემოდის ნიკიფორე).

ნიკიფორე. აბა, შვილო, ხომ არ შემარცხვენ?

ჭრიჭინა (შეშფოთებული). უკვე მოდიან?

ნიკიფორე. სკოლიდან პირდაპირ აქ მოვლენ.

ელპიტე. დედა, დედა, რა პატივისცემაში არიან ეს

ჭიები. ჩემ ქმარს არ დაუხვედრებია ჩემთვის ასეთი სახლი. თან ეს სითბოო, ეს ზომიერი ჰავაო... ახლა, აგერ შუქიც კი გამოგყავთ. ასეთი ოქროსავით გოგოები დღე და ღამე თავზე ეკლებიან... უიმე, ასეთი მოვლა რომ მქონოდა, რა დამაბერებდა!

ეფროსინე (სიცილით). მაშ, მაშ! ეს ფრანკლულის ღუმელიო.

ნიკიფორე. ფრანკლინის.

ეფროსინე. ჰო, ფრანკლულის, ეს დეზინფექციაო. მაინც, რაც ამ გოგოს, ციცინომ ის ქისტაურული მეთოდე გააცნო...

ნიკიფორე. მეთოდი.

ეფროსინე. ჰო, მეთოდე, მეთოდე. (საერთო, შეკავებული სიცილი).

ნიკიფორე (ცქრიალას). შენ აქ რომ დამდგარხარ, ვახშამს არ უნდა მიხედვა?

ცქრიალა. ჯავრი ნუ გაქვს, ყველაფერი მზადაა.

ნიკიფორე. აბა, დედაჩემო, დეიდაჩემო, ისეთი სუფრა უნდა გააწყოთ, რომ...

ბიჭიკო. ყურადღება! აბა, ერთი, ორი და სამი! (შუქი აანთო. საერთო მხიარულება. ტაში).

ნიკიფორე. ეს ყველაფერი — კარგი, მაგრამ ვინ აუნაზღაურებს ბიჭიკოს ნამუშევარს?

ჭრიჭინა. ჯავრი ნუ გაქვს. აბა, ცქრიალა, იქით მიბრუნდი! (ბიჭიკოს კოცნის.) დიდი მადლობა, ჩემო ბიჭიკო. შემოდგომაზე ელოდე ჩვენგან საჩუქარს.

ბიჭიკო. ამაზე უკეთესი საჩუქარი რაღა იქნება?

კოხტა. ხედავ, თავმჯდომარე?

ნიკიფორე. მისაბაძი მაგალითია. მოდი, მეც ვცადო მტკ-ის დირექტორთან ასე ანგარიშის გაწერება, ა?!

ელპიტე. აბა, წავიდეთ, წავიდეთ მზარეულებო. (ეფროსინე, ცქრიალა და ელპიტე გადიან. ბიჭიკო ეზოს სიღრმისკენ მიდის).

ნიკიფორე. დავხედოთ, ერთი, როგორ შეიფერეს აბრეშუმის ჭიებმა ეს პატივისცემა. (ყველანი საჭიე სახლში შედიან. მცირე ხნის შემდეგ იქიდან გამოდის კოხტა, თან მაყვალას მოათრევს).

მ ა ყ ვ ა ლ ა. რა გინდა, შე გადარეულო, რას მომათრევ გარეთ?

კ ო ხ ტ ა. ან ახლა, ან არასოდეს! მე მეტი აღარ შემიძლია.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ავად ხომ არა ხარ, ბიჭო!

კ ო ხ ტ ა. ავად ვარ, ავად! ციებით, ტიფით, ხოლერით, წითელათი, ყელ-ჭირვებით.

მ ა ყ ვ ა ლ ა. გათავებულხარ და ეგაა!

კ ო ხ ტ ა. მოკლედ გეტყვი: გამომყევი, ცოლად, მაყვალა! (გამოდის ბიჭიკო).

მ ა ყ ვ ა ლ ა. ეს რა ხუმრობაა!

კ ო ხ ტ ა. ჩემზე უბედური კაცი არ დაბადებულა! რომ ვკვდებოდე, არავინ დამიჯერებს „ხუმრობს კოხტა"-ო. ვხუმრობ კი არა, ცეცხლი მიკიდია. საჭესთან ვზივარ, — გზის მაგივრად შენ სახეს ვხედავ. ქათმებს კი არა, ნეტავი ადამიანებს არ გავიტანდე.

მ ა ყ ვ ა ლ ა. რომ არ ვიცი, რა გიპასუხო?

კ ო ხ ტ ა. დასტური მომეცი და მთელი რაიონი ჩვენ შემოგვნატრებს.

მ ა ყ ვ ა ლ ა. სულელო! ვინ დაიჯერებს, რომ ჩვენ შევძლებთ ტკბილად ცხოვრებას?

კ ო ხ ტ ა. შენ ხომ გჯერა?

მ ა ყ ვ ა ლ ა. მე კი მჯერა, მაგრამ...

კ ო ხ ტ ა (ხელს მოხვევს). მეტი აღარაფერი მითხრა, თორემ იცოდე გასკდება გული! (ჰკოცნის.)

მ ა ყ ვ ა ლ ა (ბიჭიკოს შენიშნავს). ხელი მიშვი, შე გადარეულო, ხალხი გვიყურებს. (საჭე სახლში შეირბენს).

კ ო ხ ტ ა (ბიჭიკოს). ჰმ! ასე დაბარებულივით შენს მეტი — სხვა ვინ მოვიდოდა!

ბ ი ჭ ი კ ო. ეს რა დავინახე! ბიჭო, მე მეგონა ჭრიჭინასთან დადიოდი და... ყოჩაღ, ძალიან არ შენიღბულხარ?! გილოცავ ძმაო! ჰო-ჰო-ჰო, რა მიყვარს საქორწილო პურ-მარილი?! ჩავუჯდეთ და ვისროლოთ ქუდი ჭერში. ახალ სიძეობას ხომ რა სჯობს! რომ დაიწყება გადაპატიჟ-გადმოპატიჟება: ცო-

ლის დების, ძმების, დეიდაშვილ-ბიძაშვილ-მამიდაშვილების თხოვა-გათხოვება.

კ ო ხ ტ ა. კარგია!

ბ ი ჭ ი კ ო. ახლა ტირილს არ იკითხავ? ცოლის ბებიების, ბაბუების, ბიძების, ბიცოლების ტირილი.

კ ო ხ ტ ა. რას ერჩი, შე კაცო, არ ამომიჟუჟე ცოლის ნათესაობა?

(ცქრიალას ხმა „ბიჭიკო, სად ხარ, სად?")

ბ ი ჭ ი კ ო. მოვდივარ, მოვდივარ! (კოხტას.) გესმის? ეჰ, ცოლის შერთვა არც მარტო დროს ტარებაა, კოხტა-ჩემო. (გადის. საჭიე სახლიდან გამოდიან მარინე და მესამე ქალიშვილი).

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ. ძალიან კი მოვიწონეთ თავი ახალი მეთოდით.

კ ო ხ ტ ა. რა მოხდა?

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ. კომისია მოვა, — ჩვენი ჭიები კი უძრავად წვანან.

მ ა რ ი ნ ე. ისე ლაპარაკობ, თითქო გიხაროდეს.

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ. რატომ უნდა მიხაროდეს? მაგრამ ცქრიალას კი მართალი უთქვამს. (საჭიე სახლიდან გამოდიან ნიკიფორე, ჭრიჭინა, მაყვალა და სხვა ქალიშვილები.)

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ხომ ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც ციცინომ გასწავლა? (ჭრიჭინა დუმს.) შენ გეუბნები!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ნათურები ცოტა ზედმეტ სანთლიანია, მაგრამ არა მგონია იმისი ბრალი იყოს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. რა იცი, იქნებ მართლაც შუქის ბრალია. ჩააქრე და ის იქნება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ქვეყანამ რომ მასხრად ამიგდოს?

მ ა რ ი ნ ე. ნუ ღელავ, მარინე! მოდი, დინჯად მოვიფიქროთ, რაშია საქმე.

ნ ი კ ი ფ ო რ ე. სანამ თქვენ მოიფიქრებდეთ, მე წავალ და ვეტყვი სტუმრებს, რომ აქ დასათვალიერებელი არაფერია. ეჰ, ახლაც მომჭერი, შვილო თავი და ესაა! (გადის).

მ ა რ ი ნ ე (ჭრიჭინას ხმადაბლა). ციცინოს რომ დავუძახო?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ასევე). მხოლოდ არავინ გაიგოს. (ჩაფიქრდება.)

(მარინე გადის. გამოდის სამი ვაჟი საცეკვაო კოსტუმებში. თუთის ხის შტოებით ხელში).

პირველი ვაჟი. სხვა, როგორ ბრძანდებიან თქვენი აბრეშუმის ჭიები?

მეორე ვაჟი. ხომ არ აწუხებენ თაგვები, ხოჭოები, ჭიანჭველები...

მესამე ვაჟი. ან რამე სახადი ხომ არ შეჰყრიათ: წითელა, ხველა, ხუნაგი, ყბაყურა.

მეორე ქალიშვ. კარგი, გეყოფათ ლაზღანდარობა.

პირველი ვაჟი. სიცხეს თუ უზომავთ ხოლმე?

კოხტა. არ ხედავთ, დანა კბილს არ გვიხსნის? რა გახუმრებთ, რომ არ ვიცი?

ჭრიჭინა. მოიცა, მოიცა! სიცხე, რა თქმა უნდა სიცხე! (სახლში შერბის და მყისვე ბრუნდება თერმომეტრით ხელში.) ოცდათექვსმეტი და ხუთი მეათედი! არიქა, გოგოებო, ოთახის გაცარიელება! ორპირი ქარი! (კარს აღებენ.) ფანჯრები ვინ დახურა?

მაყვალა. მე. რა ვიცოდი, რომ დახურვა არ შეიძლება. (მცირე ხნის შემდეგ შემოდიან ციცინო და მარინე. საჭიე სახლში შედიან).

ჭრიჭინა. ფარდებიც მოხსენით. (სახლში შედის).

მეორე ვაჟი. რას არ მოიგონებენ ქალები. ჭიების სიცხის ზომვა რაალა? (იცინის). (სახლიდან გამოდიან ციცინო, ჭრიჭინა და მარინე).

ციცინო (ღიმილით). ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება. ტემპერატურა კი ასე მალე ვერ დაიწევს, მაგრამ...

ჭრიჭინა. სილა რომ გვესინჯა?

ციცინო. ახლო არის სადმე?

მარინე. აქვე, მდინარის პირას.

ჭრიჭინა. კოხტა, ბიჭებო, გვიშველეთ თქვენ გენაცვალეთ! სილა გვჭირდება — ერთი ათი კასრი მაინც გვინდა.

კოხტა. ჩვეულებრივი სილა?

ციცინო. მდინარის, სველი.

ჭრიჭინა. და რაც შეიძლება ჩქარა.

პირველი ვაჟი. რა ძნელი საქმე ეგაა?

მეორე ვაჟი. კი მაგრამ, რით მოვიტანოთ?

კ ო ხ ტ ა. აქ არაა სახანძრო კასრები? (კასრები ჩამოხსნა, ვაჟებს ჩამოურიგა. ჭრიჭინას). შენ ჯავრი ნუ გაქვს! რაც მდინარის პირას სილაა, თუ გინდა სულ აქ ამოვზიდავთ. (ვაჟებთან ერთად გარბის. ჭრიჭინა საჭიე სახლში შედის).

ც ი ც ი ნ ო. ასე კარგია, კარგი მეგობრები.

მ ა რ ი ნ ე. ჭრიჭინას ბევრი მეგობარი ჰყავს. იმისი გულისთვის ცეცხლში ჩადგებიან.

ც ი ც ი ნ ო (ფანჯრიდან შეიხედავს). როგორაა საქმე? ოოო, უკვე გამოცოცხლებულან. მე ვფიქრობ, უკვე შეიძლება ჩვენების მოყვანა. (გადის. შემორბიან კოხტა და ვაჟები, სილიანი კასრებით).

კ ო ხ ტ ა. მასპინძელო! სად წავიღოთ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (სახლიდან). აქ შემოიტანეთ.

(ყველანი საჭიე სახლში შედიან. მალე ბრუნდებიან ცარიელი კასრებით და ისევ სილაზე გარბიან. ყველაზე გვიან სახლიდან გამოდის კოხტა მარინესთან ერთად. ამ დროს ხეივნიდან გამოდიან შოთა და გიორგი.)

გ ი ო რ გ ი (შოთას). გთხოვთ იცნობდეთ! ჩემი მეუღლე.

შ ო თ ა (გაოცებული). თქვენი მეუღლე?

მ ა რ ი ნ ე. რად გაგიკვირდათ? (ხელს გაუწოდებს.) მარინე.

შ ო თ ა (დაბნეულად). მარინე?

კ ო ხ ტ ა (თავისთვის). ოჰ, გათავდა კაცი და ესაა!

მ ა რ ი ნ ე. დიალ, მარინე. რა მოგვიდათ, ამხანაგო შოთა?

კ ო ხ ტ ა (თავისთვის). მარინეა ეს? მოდი, ახლა და ქალის იწამე რამე. აი, მსახიობი.

შ ო თ ა. მაშ, მარინე...

გ ი ო რ გ ი (წარბს შეიკრავს). დიალ, მარინე ფერაძე.

შ ო თ ა (მარინეს ენერგიულად ართმევს ხელს). მიხარია, მიხარია, ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა.

მ ა რ ი ნ ე. ძალიან სასიამოვნოა (საჭიე სახლისკენ მიდიან).

შ ო თ ა (მარინეს). მე თქვენ თითქოს სადღაც მინახიხართ.

მ ა რ ი ნ ე (ღიმილით). მეც ასე ვფიქრობ. მობრძანდით! (საჭიე სახლში შედიან.)

კ ო ხ ტ ა. ეჰ, საწყალი ქმრების ბრალი! (საჭიე სახლიდან მაყვალა გამოდის).

მ ა ყ ვ ა ლ ა. კოხტა, აქ რას აკეთებ?

კ ო ხ ტ ა. თავი დამანებე.

მ ა ყ ვ ა ლ ა. რა მოგიყვიდა, რა ბუზმა გიკბინა!

კ ო ხ ტ ა. შენისთანამ.

მ ა ყ ვ ა ლ ა. რაიო?

კ ო ხ ტ ა. სულელები ვართ კაცები.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ეგ მართალია. მაგრამ მე რა შუაში ვარ?

კ ო ხ ტ ა (თავზე ხელს წაავლებს, თვალებში ჩახედავს). გიყვარ-ვარ? მარტო მე გიყვარვარ? სხვა არავინ გყვარებია? არც თა-იგულით ჩამოგაკითხავს ვინმე?

ე ლ პ ი ტ ე (გამოდის. ამ სცენის დანახვისას სახტად რჩება. თავის-თვის). ვაი, ვაი, კაცი სიყვარულს გაუგიჟებია! (მიიმალება.)

მ ა ყ ვ ა ლ ა (აენთება). ვინ გგონივარ მე შენ? ვინ უნდა ჩამომაკითხოს? რად უნდა ჩამომაკითხოს? ხელი მიშვი თორე ეს ისეთ სილას გტკიცავ, თაიგული კი არა გვირგვინები დაგეკერ-დეს. უყურე ამას შენ! (გაგელისებული გადის).

კ ო ხ ტ ა. მაყვალა! (გამოედევნება. შეჩერდება.) მაგრად იყავი. კოხტა! ქალს თუ ჭკუა არ ასწავლე, თავს წაგართმევს და... (უეცრად.) არა, ეს რა მომივიდა! არ ჩავყარე წყალში ჩემი ორი წლის ნაწვავ-ნადაგი? რომ აღარ შემირიგდეს? (გარბის.)

(გამოდიან ჭრიჭინა და შოთა).

შ ო თ ა. არა, როგორ მომივიდა, რომ აქამდე არ ჩამო-ვედი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. მე კი ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ახლა შეეხვდით ერთმანეთს. რა ვიყავი შარშან? ერთი უზრუნველი გოგონა, რომელიც მხოლოდ შეცდომით შეიძლებოდა მიეღოთ ნამდვილ ადამიანად.

შ ო თ ა. სწავლის გაგრძელება გადაიფიქრე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. პირიქით, მხოლოდ ახლა მაქვს სწავლის ნამ-დვილი სურვილი. (პაუზა.) არა, მაინც როგორ დაიჯერე ჩემი გათხოვების ამბავი?

შ ო თ ა. ძალიან მიჭირდა დაჯერება. როდესაც შენს სუ-რათს დავაცქერდი, ვფიქრობდი, რომ ასეთი თვალები არ შე-იძლება სცრუობდნენ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. შენ გაქვს ჩემი სურათი?

შ ო თ ა (გაუწოდებს). ერთ-ერთ ჟურნალიდან ამოვეკერი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ეს ხომ სანდროს გადაღებულია. იმ უბედურ საღამოს, ძია ირაკლის სახლში. (ციოხულობს.) „სოფელ ბჟოლეთის მეგიტარე მარინე ფერაძე". რა სისულელეა!

შ ო თ ა. ჩემი სურათი დახიე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (ჯიბიდან ამოიღებს). აი!

შ ო თ ა. მარინე! (ხელს მოხვევს).

(გამოდის კოხტა. მაყვალასთვის ხელი ჩაუვლია და მოათრევს. ჭრიჭინას და შოთას დანახვისას, სახტად დარჩნენ. ხეიენის სიღრმეში მიიმალნენ. გამოდის მარინე).

მ ა რ ი ნ ე. ამხანაგო აგრონომო, ძალიან ხომ არ უჯავრდებით ჩვენს მარინეს?

შ ო თ ა (უხერხულად). არა... ისე... მხოლოდ მცირე შენიშვნები მაქვს. (სახლში შეირბენს).

ჭ რ ი ჭ ი ნ ა (მარინეს მოეხვევა). ეს ხომ შოთაა, მარინე, ჩემი შოთა!

მ ა რ ი ნ ე. შენ ისე ბრწყინავ, ჩემო კარგო, რომ ამას შენი აბრეშუმის ჭიებიც მიხვდებოდნენ. (სიცილით შედიან საჭიე სახლში).

კ ო ხ ტ ა (მაყვალას წინ მუხლზე დაეცემა). შენი ხმალი და ჩემი კისერი! გინდა მომკლავ, გინდა მაცოცხლებ. (შუბლზე იტკაცებს ხელს.) აი, სულელი!

მ ა ყ ვ ა ლ ა. კარგია, თვითკრიტიკა გაიხსენე.

კ ო ხ ტ ა. თვითკრიტიკა მართლაც არ მეხერხება და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე შენი შერთვა. სხვა რომ არაფერი, კრიტიკით მაინც ვიქნები უზრუნველყოფილი. (ჰკოცნის. ბიჭიკო. მოკლე ჩოხა აცვია. მაყვალა შეჰკივლებს, საჭიე სახლში შეეარდება).

ბ ი ჭ ი კ ო. ხმ! ხმ! ეს რა მომივიდა. კოხტა! ცქრიალამ მზა ჩოხა მიყიდა და ცოტა არ იყოს მოიმოკლებს.

კ ო ხ ტ ა. „ცოტა არ იყოს"-ო? ასე სად გამოგაჩინო, შე კაცო? ჩაცუცქდი, ჩაცუცქდი მეთქი!! (ბიჭიკო ჩაცუცქდება.) ასე იარე. ბიჭებში გაერიე და ისე შემოიპარე. იცოდე სტუმრებთან გამართული არ დაგინახო.

ბ ი ჭ ი კ ო. რომ დამავიწყდეს?

კ ო ხ ტ ა. გაჩვენებ თვალის სეირს. ასე იარე იცოდე! (ბიჭიკო გადის. კოხტა მდინარისაკენ მირბის. მცირე ხნის შემდეგ ბრუნ-

დება ვაჟებთან ერთად. სილა საქიე სახლში შეაქვთ. გამოდიან ნიკიფორე, გიორგი და სტუმრები).

მ ი ხ ე ი ლ ი (სოციალისტურ ვალდებულებას აკეირდება). ესეც მარინე ფერაძე?

ნ ი კ ი ფ ო რ ე (იღიმება). დიაღ. ეს კი, უკვე, ჩემი ქალიშვილია. (სტუმრები საქიე სახლში შედიან. ნიკიფორე სოციალისტურ ვალდებულებებს კითხულობს. კართან კოხტას და ვაჟებს შეეფეთება.) კოხტა, არტისტები მზად არიან?

კ ო ხ ტ ა (აჩვენებს). აგერ!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. ეგ კასრები რაღად გინდათ?

კ ო ხ ტ ა. ხორუმის რეპეტიციას ვატარებდით. (კასრს აბრახუნებს, ჩამოუვლის. ნიკიფორე ღიმილით გადააქნევს თავს, საქიე სახლში შედის).

კ ო ხ ტ ა. აბა, ბიჭებო, კასრები თავ-თავის ალაგას! (კასრებს აწყობენ. გამოდიან ეფროსინე და ელპიტე. ელპიტე ეფროსინეს კოხტაზე ანიშნებს. ეჩურჩულება. საქიე სახლიდან გამოდიან მაყვალა, მარინე, ჭრიჭინა, შოთა, ნიკიფორე და სტუმრები. შოთა და ჭრიჭინა განზე დგებიან, ხმადაბლა ლაპარაკობენ).

მ ი ხ ე ი ლ ი (ჭრიჭინას). ის, რაც თქვენ ამ ერთ წელიწადში გაგიკეთებიათ, პირდაპირ განსაცვიფრებელია.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. მაშ, მაშ! ჩემ ჭრიჭინას ენაცვალოს ბებია!

ნ ი კ ი ფ ო რ ე. „ჭრიჭინას“ ისე, მეტსახელად, სასიყვარულოდ ეძახიან.

მ ი ხ ე ი ლ ი (ჭრიჭინას). თქვენ ალბათ მემდურით, არა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. პირიქით, მე თქვენი მადლობელი ვარ.

მ ი ხ ე ი ლ ი. კიდევ გილოცავთ და ერთი ნატვრა წამყვება თან: ნეტავი თქვენისთანა ჭრიჭინებით აავსო ჩვენი თხილნარიც. (გამოდის ფოსტალიონი).

ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. ეფროსინე ბიცოლა! კარგია აქ დაგინახეთ. ახლა თქვენთან მოვდიოდი. დეპეშაა თბილისიდან.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. ოოო, უიმე, გამაცივა!

ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. ნუ გეშინია! ახლა ჭკუა ვისწავლე და გავხსენი. კაი ამბავია.

ნ ი კ ი ფ ო რ ე (დეპეშას გამოართმევს, ფახსნის. კითხულობს). „ყველა უზომოდ გაგვახარა ძვირფასი მარინეს მიღწევებმა. ეუ-ერთდებით თქვენს სიხარულს, ვსვამთ თქვენს სადღეგრძელოს. თინა თქვენთან გააწესეს. მალე გეწვევით. კიდევ გილოცავთ და გკოცნით. ელენე, ირაკლი, თინა ნამორაძეები“.

ე ფ რ ო ს ი ნ ე. კიდევ ველირსები იმათ ნახვას? (ცრემლს იწმენდს).

ნ ი კ ი ფ ო რ ე. სწორედ იმ ჩვენი ირაკლის სახლში რომ არ მომხდარიყო, მიხეილ, ერთი შემთხვევა, დღეს ჩვენ მარინეს არ ექნებოდა მისალოცად საქმე.

გ ი ო რ გ ი. მაგაში ვერ დაგეთანხმები, ნიკიფორე. საქმე შემთხვევაში კი არაა. არ მოხდებოდა ერთი — მოხდებოდა მეორე. დღეს ჩვენი ცხოვრებაა ისეთი, რომ არ შეიძლება კარგმა ადამიანმა ცუდი გზით იაროს.

მ ი ხ ე ი ლ ი. „კოკასა შიგან რაცა დგას — იგივე გადმო-დინდების“-ო ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი ანდაზა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ამდენს ნუ მაქებთ, თორემ თავბრუ დამეხვევა და კონცერტს ველარ წავიყვან. (ნიკიფორეს.) დავიწყოთ?

ნ ი კ ი ფ ო რ ე. დაიწყეთ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა. ყურადღება! აი, მამაჩემს ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ კაცი მხიარულებით კი არა — შრომით ფასდება. ეს რა თქმა უნდა მართალია, მაგრამ ერთი შესწორებით. ის შრომა არაფრად ვარგა, რომელიც არ ჰბადებს მხიარულებას, სიმღერას, ცეკვას. ამიტომ ჩვენთან, ჩვენი ადამიანები მარტო შრომით კი არ ითქვამენ სახელს, არამედ მხიარულებითაც. ამის დასამტკიცებლად ჩვენ გადავწყვიტეთ... აბა, კოტა!!!

ე ფ რ ო ს ი ნ ე (ნიკიფორეს შოთასკენ ანიშნებს ხმადაბლა). ხედავ, როგორ უყურებს ჩვენ ჭრიჭინას? სიძეობას ხომ არ გვი-პირებს, ბიჭო, ეს ყმაწვილი?

ნ ი კ ი ფ ო რ ე (ულვაშს იგრეხს). ისემც კარგი დაგემართოს! ცუდი ბიჭია, თუ?

(კოტა ნიშანს იძლევა. მუსიკა, ტაში, საერთო ცეკვა).

ფ ა რ დ ა

ვიესე ვ ამოჭეულებ

о,
ვროსოგბოთ და ეკლოსოგბოთ

მოქმედი პირნი:

დავით მშვენიერაძე. 28 წლის.
ნინო (მიმოზა). დავითის ცოლი, 25 წლის.
მაკრინე. დავითის დედა, 60 წლის.
უარამანი. დავითის ბიძა, 70 წლის.
მანანა. დავითის ძმისშვილი, 18 წლის.
ამირანი. 27 წლის.
გია. 18 წლის.
ეთერი ღიდებულიძე. 26 წლის.
ნიმფა, მიმოზას მამიდა, 60 წლის.

ეპიზოდურ როლებში

მატრონა.
მატრონას რძალი.
ანეტა.
სევასტი.

მასაში სტუმრები.

მოქმედების ადგილი — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სოფელი.
დრო —. ჩვენი დღეები.



პროლოგი

სოფელი ყვავილეთი, მშვენიერაძეების ეზოს ერთ-ერთი კუთხე. კაკლის ხე, ხის ქვეშ ბრტყელი ქვა, იქვე ხის მრგვალი მაგიდა და სკამძელი. მოშორებით ყვავილ-ღობე. ღობის იქით სასოფლო გზა.

ქვაზე მანანა ზის და ფოთლებისაგან პატარა გვირგვინს წნავს. გვიანი გაზაფხულია. ნაშუადღევი.

ღობეს მოფარებული გია მალულად უთვალთვალებს მანანას.

მ ა ნ ა ნ ა. მე მანანა ვარ, მშვენიერაძე, ყვავილეთის ბინადარი, აგერ, ამ ხიდან მოჩანს ჩემი სოფელი, სოფლის ყოველი კუთხიდან კი — ეს კაკლის ხე. იქით მაღალი მთებია, ერთს „სიყვარულის მწვერვალი“ ჰქვია. ამბობენ, უცნაური ყვავილები ჰყვავის იქ... (პაუზა.) ნეტავი ჩემი თვალით დაგანახათ ჩემი ყვავილეთი!

ო, როგორ მიყვარს ეს ჩემი მხარე
და უსასრულო ქვეყანა — ვრცელი...
მზე როს წამწამებს შეახამხამებს
და გადმომხედავს ღიმილით, მწველით,
მსურს მისკენ ავყვე სხივთა ნაწნავებს...
იქ ცისარტყელას ჩავაკლო ხელი...

მე არ ვიცი როდის მოსულა ჩემი მამა-პაპა ამ მიწაზე. ეს ბებერ კაკლის ხეს ეცოდინება, და ამ ყვავილებს, — კაკლის ხის ფესვებს რომ გადახლართვიან. მე კი მხოლოდ რამდენიმე

წელია რაც ვხედავ, როგორ გადადიან წლები ყვავილეთზე და თან მოაქვთ და მიაქვთ ოცნებები, სიხარული, მწუხარება.

დღეს აქ ქორწილია. აი, ამ გზით მოიყვანს ბიძაჩემი თავის პატარძალს. შემდეგ კიდევ გაივლის დღეები, თვეები და ალბათ მოვა ყვავილეთში ჩემი გმირიც... როგორი იქნება ის? მაღალი? ლამაზი? იქნებ არც ისე ლამაზი, მაგრამ... (ოცნებით.)

„მიყვარხარ მანანა“ — მეტყვის ის. როგორ მეტყვის? — ალბათ ასე: (ქვასთან იჩოქებს, გულთან ხელი მიაქვს, თავს დახრის. ხმის შეცვლით) — „მიყვარხარ მანანა!“

გ ი ა (ოდნავ ვასაგონად, ხმის შეცვლით). მიყვარხარ, მანანა. (მიიმალება).

მ ა ნ ა ნ ა (შემკრთალი ათვალიერებს მიდამოს). მომეჩვენა! ადექით! ვეტყვი მე... (წამოდგება.) „ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია? ჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი, საგმირონია“, (ხმის შეცვლით.) — „მიბრძანე, სიცოცხლეს არ დავიშურებ!“

გ ი ა (ისევ მიმალული). მიბრძანე, სიცოცხლეს არ დავიშურებ....

მ ა ნ ა ნ ა (ისევ ათვალიერებს. გაოცებული სივრცისაკენ). მე მინდა იყოთ ნამდვილი გმირი, რაინდი, და გიყვარდეთ, ჩემსავით გიყვარდეთ ჩემი ყვავილეთი. მაშინ მე თავზე დაგადგამთ ამ გვირგვინს...: (ხმის შეცვლით.) „მანანა“.

მ ა კ რ ი ნ ე ს ხ მ ა. მანანა! მანანა!

მ ა ნ ა ნ ა. ეს ჩემი ბებია მეძახის. წამოდით, წამოდით, იცით, რა ამბავია იქ? (გვირგვინს ხის ტოტზე გადაკიდებს, ეზოს სიღრმისაკენ გარბის.)

(სცენა ოდნავ შემობრუნდება).

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

მივუკვეთ მანანას... კაკლის ხის მხოლოდ ერთი ტოტი წვდება ეზოს კუთხეს და სკამძელს ეფარება, მოშორებით, ალბათ, ხის აიენიანი სახლია. ოდნავ მოშორებით — სამზადი სახლი. ეზოში ყვავილები. ღობის იქით საპოფლო გზა. ეზოში ხალხი დაფუსფუსებს, სახლისკენ ჭურჭელს, სკამებს ეზიდებიან. ყველაზე მეტად მაკრინე ფუსფუსებს. შემორბის მანანა.

მ ა ნ ა ნ ა. ა, ეს ჩემი ბებიაა! მაკრინე ბებია, მე ახლა ყვავილები უნდა დავკრიფო.

მ ა კ რ ი ნ ე. კი დედა, კი შვილო! ყვავილებად არაა ქცეული აქაურობა? (მანანა ყვავილებს დაუვლის. რამდენიმესკენ წაიღებს ხელს, მაგრამ არ მოწყვეტს).

მ ა ნ ა ნ ა. ყვავილები ეყვარება... მოსაწყვეტად რომ მენანება?

მ ა კ რ ი ნ ე. თუ ეყვარება, იმას ვენაცვალე, დაგოგმანდეს ამ ეზოში და რომელიც მოეწონება, იმას მიესიყვარულოს.

მ ა ნ ა ნ ა (ოცნებით). მხატვარიაო.

მ ა კ რ ი ნ ე. ვაი, მისი გამოკვანწული ხელების ჭირიმე! ნეტავი კარგ რამეს დახატავდეს და... გზისაკენ ყურებაში გული გადამელია. კუთხე-მეზობლობაში ხომ არავინ დაგვრჩა დაუპატიჟებელი?

მ ა ნ ა ნ ა. ა! ყველა აგერ არაა?

მ ა კ რ ი ნ ე (ყბას იბერტყავს). უი, აქ უცხო სტუმრებიცაა. მე კი რას ვგავარ, ღმერთო მომკალი!

მ ა ნ ა ნ ა. შენ ყველაზე ლამაზი ხარ! (მოეხვევა).

მ ა კ რ ი ნ ე. სუ, გოგო! (დარბაზისაკენ.) აბა, მკვიდრებო, მეზობლებო და ნათესავებო, თქვენ იცით, თუ არ მაქმევთ სირცხვილს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი ს ხ მ ა. სირცხვილი რა საქმელია, ჩემო რძალო!

მ ა ტ რ ო ნ ა (სამზადიდან გამოიხედავს). — ერთი აქეთ მოგვხედე, მაკრინე!

მ ა კ რ ი ნ ე. ახლავე, მატრონა (დარბაზისკენ.) ჩემი მეზობელია... ნეტავი ამას! ამას რომ შვილიშვილები ჰყავს დაითვლით, თუ? (სამზადში შედის, ჭამოდის.) — უჰ, გოქს ყურები და კუდი თუ დაუნახშირდა რაღად ვარგა? (ეზოს სიღრმიდან ყარამანი ახლოვდება. ხელში ორშიმო და დოქი უჭირავს. უკან სევასტი მოჰყვება, პარითა და ჩაფით ხელში).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. კარგი, ერთი, ჩემო რძალო, გული დაიდინჯე! დიდი საქმე, ახლა, თითის სიგრძე გოქს თუ კუდი დაეწვა.

მ ა ნ ა ნ ა (ეკისკისებს. დარბაზისაკენ:) ეს კი ჩემი ყარამან ბაბუაა! (მოეხვევა.) ა, სულ ასე მხიარულია!

მ ა კ რ ი ნ ე. მეტად გულდინჯად რომ იყავი, ჩემო მაზლო, იმიტომაც გაგიფრინდა თვალსა და ხელს შუა ახალგაზრდობა და ბერდები აგერ...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რა იცი, ქალი რომ შემერთო, იქნებ აქამდეც ვერ მომელწია, წამოდი, წამოდი, ჩემო სევასტი, ქალების ლაპარაკს რომ უყურო... (ღიღინით მიდის ეზოს სიღრმისკენ).

მ ა კ რ ი ნ ე. ყარამანო, ღვინო ამოიღე?

ს ე ვ ა ს ტ ი. სამივე ქვევრი მოვხადეთ, გავსინჯეთ თეთრის ჭაშნიკი, მერე წითლის, ჭუკისფრის, ისევ თეთრის, ისევ წითლის...

მ ა კ რ ი ნ ე. იმე! ამდენ სინჯვაში, შინაურისა და გარეშეს ცნობა არ დაგეკარგოთ... ადექით, შე კაცო და სამივენაირი მოიტანეთ სუფრაზე.

ს ე ვ ა ს ტ ი (დარბაზისკენ). მეც ამათი მეზობელი ვარ, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ! სევასტი ვარ, მშვენიერაძე.

ა ნ ე ტ ა (ულამაზოა, შუახნისა. სამზადიდან გამოიხედავს). — ხაჭაპურების დაცხობა ადრეა ვითომ?

მ ა კ რ ი ნ ე (დარბაზისკენ). ესეც ჩემი მეზობელია, ანეტა. ცოტა გათხოვება მოუგვიანდა, მაგრამ... (ანეტას.) დროა. რამდენი იქნება?

ა ნ ე ტ ა. სამოცამდე (გამოვიდა, სია გაშალა. დარბაზისაკენ.) ორასი პური, სამოცი ხაჭაპური, ასი მჭადი, ძროხა, ორი ცხვარი, ოთხი გოჭი, ხუთი ინდაური, ათი დედალი, ოცდაათი ვარია... დაწყვიტეთ ოთხფეხი და ორფეხი, მაგრამ თუა, ნეტავი ის ქალი ღირსი?.. (შემოდის გია).

მ ა ნ ა ნ ა (დარბაზისაკენ). ეს გიაა... ჩვენ, მე და გია... თუმცა ახლა რა დროსია... ჰო, მეგობრები ვართ.

გ ი ა. მაკრინე ბებია, შემაგვიანდა, მაგრამ საჩემო საქმე კიდევ გექნება.

მ ა კ რ ი ნ ე. მოდი, გია, მოდი! ისე უცაბედად მოხდა ეს ამბავი, რომ დარეტიანებული დავდივარ.

(ყარამანსა და მეორე მეზობელს სავსე დოქები გამოაქვთ).

მ ა ნ ა ნ ა. გია, სამახარობლო შენზეა!.. იცი, ვინაა დავითის ცოლი? მხატვარი!

გ ი ა. რას ამბობ! (ყარამანს მიეშველება.) მაშ დაგატრიალათ ძმისწულმა, ყარამან ბაბუა?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. მაშ, მაშ! რძალი მოგვყავს, ოჯახის თვალი! შენ ჩემი დატრიალება მაშინ ნახე, პატარა გოგო-ბიჭები რომ დაბაჩუნდებიან ამ კოინდარზე. რა ვიცი, შემოგვითვალა. „თქვენ რომ მოგეწონებათ, ისეთი ხასიათისაა“. ისემც კარგი დაგემართოს! თუმცა... ქალს რომ პირველად ხასიათით დაუწყებენ ქებას, არა მაქვს, როგორღაც კარგად დაცდილი. (გადიან. ისმის გიტარის ხმა და სიმღერა).

მე სხვის სახეს ფიქრში როგორ გავივლებდი!..
თურმე გული მხოლოდ შენთვის ყვავილს ზრდიდა...
მხოლოდ შენთვის — ეს სათუთი ყვავილები
ჩამოვზიდე სიყვარულის მწვერვალიდან.
შენზე ფიქრით, აბა, როგორ დავიღლები!
შენთან მოველ, შენთან მოველ შორი გზიდან...
ეს ფაქიზი, ეს სათუთი ყვავილები,
მხოლოდ შენთვის ჩამოვზიდე მწვერვალიდან!..

(მანანა ოცნებაში წასული ირინდება. ფრთხილი ნაბიჯით შემოდის ეთერი, წესანიშნავი ყვავილების თაიგულით ხელში. თაიგულის სკამძელზე დადებას აპირებს).

მ ა ნ ა ნ ა. ეთერი! იმ მწვერვალიდან ჩამოიტანე? (ეთერი უხმოდ უდასტურებს.) მოდი!

ე თ ე რ ი. უნდა წავიდე, რაიონში გამომიძახეს... სასწრაფოდ გამომიძახეს. ეს ყვავილები იმათ გადაეცი. (მიდის).

მ ა კ რ ი ნ ე (გამოდის. გულდაწყვეტით გააყოლებს ეთერს თვალს, თავისთვის). გუმანში ეს გოგო მყავდა რძლად, მაგრამ ჩემმა ვაჟმა სხვა ირჩია და... (გადის, სიმღერა გრძელდება. ჭიშკარს ამირანი უახლოვდება, მანანა ისევ გარინდებული დგას).

ა მ ი რ ა ნ ი (რიხით). მასპინძელო! (ყველანი ეზოში ეამოყლენ).

ყ ა რ ა მ ა ნ ი (თვალს მოიჩრდილავს). — ვინ უნდა იყოს? მობრძანდით, ბატონო! (ყაკლის ხეს ამოფარებული მანანა თვალს იფშვნეტს).

ა მ ი რ ა ნ ი (ლაპარაკით შემოდის). ვეღარ მიცანით, ყარამან ბიძია? მართალია, ნათესავები არა ვართ, მაგრამ მეც ხომ აქაური ვარ!

გ ი ა. გამარჯობა, ამირან! (სხვებს.) ყაისარის შვილია.

ყ ვ ე ლ ა ნ ი. ჩვენი ყაისარის? უი, უი, უი!.. (ამირანს შემოეხვევიან).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. მამა როგორაა?

ა მ ი რ ა ნ ი. გვარიანად. ოღონდ დღემდე ვერ შერიგებია ყვავილეთიდან წასვლას.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ასეც ვიცოდი.

ა მ ი რ ა ნ ი. ჰოდა, ახლა მე მინდა გამოვასწორო მისი დანაშაული.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. შენ იხარე, შვილო!

ა მ ი რ ა ნ ი (გიას). ბიჭო, შენ რამოდენა გაზრდილხარ!

გ ი ა (თავმომწონედ). წელს დავამთავრე.

ა მ ი რ ა ნ ი. ოჰო! მერე რას ფიქრობ, რომელ ინსტიტუტში?

გ ი ა. ყარამან ბაბუასთან.

ყ ა რ ა მ ა ნ ი (ღიმილით), ხელობას ვასწავლი. ქაშხალიც ერთად უნდა ავაშენოთ. აბა, რის კომკავშირელია!

ა ნ ე ტ ა (სამზადიდან გამორბის). ყაისარის ვაჟი ჩამოვიდა? ჩემი ამირანი? იფ! დედა, შენ გენაცვალე, რამოდენა გაზრდილა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. გინახავს თუ?

ა ნ ე ტ ა. არა! (საერთო სიცილი.) რა იყო! ბებიაჩემის გაზრდილის შვილია. დედა, ვის ნახვას მოვესწარი! დასარჩენად ჩამოხვედი, ხომ?

ა მ ი რ ა ნ ი (პათოსით). მშობლიური სოფლის აყვავებაში მონაწილეობის მისაღებად, ნათესავ-მეზობლების მოსანახულებლად, და როგორც ვხედავ, მშვენიერაძეების ახალი ოჯახის დასალოცად.

მ ა კ რ ი ნ ე. დალოცვილი გატაროს დედაშვილობის გამჩენმა. სწორედ ავი თვალით არ ინახვები.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. არა, მაინც რამ დაგხატა ასე! სად მუშაობ. ბიძიკო?

ა მ ი რ ა ნ ი (თავმომწონედ). ყველგან, ყოველ ფრონტზე, სადაც ჩემს ქვეყანას გამოვადგები. ახლა კი, გავიგე, ყვავილეთში კაშხალი შენდებაო და გულმა აქეთ გამომწია.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. გენაცვალე მაგ სიტყვებისათვის! ა, ბიძიკო, სახლში წვიმა არ ჩამოგვდის და რომელი ოთახიც გინდა, აირჩიე.

გ ი ა. მამაჩემი არ დაგანებებთ.

ა ნ ე ტ ა. ჩემი კი შორებელია? აჰ, აჰ, აჰ!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ვთქვი და გათავდა! ამირანი ჩვენთან დარჩება, კაშხალიც აქვეა და...

მ ა კ რ ი ნ ე. იმე, უკაცრავად, სახლშიც ვერ შეგიპატიჟეთ.

ა მ ი რ ა ნ ი. სახლში რა გვინდა, ბატონო, ყვავილების სამეფოში ვარ. (ჩაიღიღინებს.)

„ყვავილეთი, ჩემი ტკბილი, ტურფა ყვავილეთი"...

მაპატიეთ, მაგრამ ჩემი სოფლის სილამაზე უღვინოდ მათრობს.

ა ნ ე ტ ა (ცრემლს იწმენდს). რად არ უნდა იყოს, ახლა, ცოცხალი ბებიაჩემი?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. აჰ, ამ ბედნიერ დღეს ცრემლი არ დამანახო! ბებიაშენი კი არა, შე დალოცვილო, ჩვენ ძლივს ვართ ფეხზე (მანანა ხეს მოშორდება და თაიგულით ხელში სახლისაკენ მიდის).

ა მ ი რ ა ნ ი. ოჰ!

მ ა კ რ ი ნ ე. ჩემი შვილიშვილია, ეს ერთი გოგო დაკინკილობს კიდევ იმ დაკარგული შვილების ბარობაზე.

ა მ ი რ ა ნ ი. დაკარგულის?

მ ა კ რ ი ნ ე. სამი ომში და ორი... მეც არ. ვიცი, სად... მაგრამ ახლა, აგერ, ჩემი დავითის გაბედნიერებამ შავებიც გამახდევინა და... (სამზადისაკენ გაბრუნდება).

ა მ ი რ ა ნ ი. ეს კი მშვენიერი გყოლიათ! უკაცრავად, ყვავილო თქვენი სახელი?

მ ა ნ ა ნ ა. მანანა.

ა მ ი რ ა ნ ი. „ცრემლად დაეცა გულზე მანანა,
ააელფერა და გაახარა..."

ჰა, ჰა, ჰა! მშვენიერად კი აქვს ნათქვამი ილიას!

გ ი ა. (წარბშეკვრით). აკაკის.

ა მ ი რ ა ნ ი. ჰო, დიაღ, თუმცა ეგ სულერთია! ეს ორი სახელი ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ სად თავდება ილია და იწყება აკაკი, ვერც კი გაარჩევ. (მანანას.) დიდებული თაიგულია, თქვენ რომ არ ჩრდილავდეთ.

(მანანა მორცხვად ჩაჰკიდებს თავს. გია მოიღუშება და მანანა განზე გაჰყავს).

ა ნ ე ტ ა (ამირანს). გული მწყდებოდა: „ასე რამ დაავიწყათ ჩვენი თავი მეთქი". საწყალი ბებიაჩემი რომ მოსწრებოდა შენს ნახვას რაღა მოკლავდა? (ცრემლს იწმენდს.) ჯერ რა დროს შენი ცოლშვილია, გუშინდელი ბავშვის, მაგრამ შეყვარებული მაინც გეყოლება.

ა მ ი რ ა ნ ი. შეყვარებული? (ჩაცინებით.) — მუდმივი სიყვარული არ არსებობს, დროებითი კი... ტანჯვად არ ღირს... შენ შესაფერი ქმარი გყავს?

ა ნ ე ტ ა. არ გავთხოვილვარ.

ა მ ი რ ა ნ ი. აჰ, ასეთი ლამაზი ქალი?

ა ნ ე ტ ა. მერე რა გამიკეთა ჩემმა სილამაზემ? ისეთი მათხოჯი გოგოები ისეთმა ვარსკვლავივით ბიჭებმა შეირთეს, გადაირევი.

ა მ ი რ ა ნ ი. ბრმები ყოფილან ის ვარსკვლავები. (ისმის მოახლოებული მანქანის გუგუნი).

მ ა ნ ა ნ ა. ბებია, ბებია, მოდიან!

მ ა კ რ ი ნ ე. მანანა, შვილო, კარის ზღურბლზე თეფშის დადება არ დაგავიწყდეს.

მ ა ნ ა ნ ა. ახლავე, ბებია! (სახლში შერბის, გამორბის.) ბებია, ბებია, თეფში?

მ ა კ რ ი ნ ე. შვილო, მაგ გაზიმზიმებულ სუფრაზე თეფში ველარ იპოვე? (მანანა სახლისაკენ ვარბის. ჭიშკართან დავითი და ნინო გამოჩნდებიან. ყარამანი თოფს გაისვრის. ყველა მეფე-პატარძალს შემოეხვევა).

დ ა ვ ი თ ი. აჰა, დედაჩემო, — „რძალი, რძალი" და ესეც შენი რძალი, ზიბარე! (ხვევნა-კოცნა-მილოცვები).

მ ა კ რ ი ნ ე (ნინოს). ბედნიერი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში, შვილო! იხარეთ და იბედნიერეთ, შემოგევლეთ. გმად-

ლობ, შვილო, გაგვახარე, მაგრამ ცოტა ადრე შეგეტყობინებია, შე კაცო!

დ ა ვ ი თ ი (ხელს ხვევს, სიცილით). ადრე მეც რომ არ ვიცოდი, დედაჩემო? სულ სამი დღის ამბავია — გავიცანით და გადავწყვიტეთ, ხედავ, რა გმირი გყევარ? (ნინოს.) ეს ბიძაჩემია; ჩემი ძმისწული, ჩვენი ნათესავები და მეზობლები...

მ ა ტ რ ო ნ ა. რძლის სახელი?

მ ა კ რ ი ნ ე. ნინო! საქართველოს განმანათლებლის სახელი!

მ ა ტ რ ო ნ ა იფ! სწორედ ანგელოზია, უფრთო ანგელოზი!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. აბა, მაყრული, ბიჭებო! (სახლისაკენ მიდიან, წინ მაკრინე მიუძღვით. მღერიან:)

დედი, გახსენ ჭიშკარი
რძალი მოგვყავს მზის დარი...

მ ა კ რ ი ნ ე (ხელს გაშლის, შემობრუნდება). მობრძანდით, ბატონო! (სიმღერა გრძელდება.)

... ეჯიბრება მთელი ქვეყნის ლამაზებს...
ქალია, თუ სიზმარი?
ამის დარი ვინ არის!
სიყვარულით, სიხარულით აგვავსებს...

სცენა ბნელდება. სადღაც თეფში იმსხვრევა.

ხ მ ე ბ ი. გაჯობა, გაჯობა!.. (ისმის სიმღერა. სცენა ნათდება).

კაკლის ხის ქვეშ, სცენის სიღრმეში გაშლილი სუფრაა, მაგრამ მექორწილეებს ჩვენგან ხის ტოტი ფარავს. ისმის სიმღერა. თენდება. წინა პლანზე გამოდის მანანა.

მ ა ნ ა ნ ა. ხედავთ? ცა იფერება... განთიადია ჩემს ყვავილეთში... არა, არსად არ თენდება ისე ლამაზად, როგორც აქ. მზე გამოსტყორცნის თუ არა სხივებს, ყვავილები მისკენ იბრუნებენ პირს და ფეხის წვერებზე ისე აიწევიან, იფიქრებ გაფრენას აპირებენო. ახლაც შემოანათებს მზე და ალბათ გაუკვირდება, რომ მესამე დღეა, რაც ხალხი სუფრიდან არ ამ-

დგარა! იქნებ, შეშურდეს კიდეც მეფე-პატარძლის ბედნიერება, რადგან არსად არ იციან ისეთი ქორწილი, როგორც ჩვენთან, ჩემს ყვავილეთში.

ამირ. ხმა. მაკრინე ბიცოლა, ყველაზე დიდი ყანწი მომიტანეთ, განსაკუთრებული ყანწი.

მაკ. ხმა. ა, გენაცვალე!

ამირ. ხმა. ამ პატარა სასმისით, მეგობრებო, ნება მიბოძეთ შევსვა ერთი დიდებული სადღეგრძელო, ჩემი ტურფა ყვავილეთის და მშვენიერაძეების გვარის სადღეგრძელო.

მანანა. გესმით? (გაირინდება. შემოდის გია და ისევ გარკვევით ისმის ამირანის ხმა).

ამირ. ხმა. მშვენიერაძე! სად იპოვით უკეთეს გვარს? მშვენიერი, მშვენიერება!

მანანა (გიას შეამჩნევს). გია, გესმის? ხომ კარგია, ძალიან კარგი...

გია (მოიღუშება). ჰო... კაცი საქმემ უნდა დააშვენოს.

მანანა. მართალია, ნამდვილი რაინდია... რა კარგათ ლაპარაკობს!

გია. კი... ლაპარაკობს... ვნახოთ რას გააკეთებს, თორემ...

მანანა (ოცნებით). დიდ საქმეებს... განა ვერ ხედავ?

გია. ვხედავ... ყველაფერს ვხედავ... მაგრამ მოიცა, მანანა! დავითი და ნინო აქეთ მოდიან.

მანანა. მოდიან? (გარბის.)

(შემოდიან დავითი და ნინო. სხდებიან).

დავითი. მოგწონს ჩემი ყვავილეთი?

ნინო. ძალიან!

დავითი. ჯერ რაა! აქაურობას შენი ხელიც რომ დაეტყობა, მაშინ ნახე, რა იქნება! (ოცნებით.) აქეე, ყვავილეთის ბოლოს, მდინარეზე ელსადგური აშენდება... (პაუზა.) როგორ მინდა, რომ შენც ნამდვილად, ჩემსავით შეიყვარო ეს ყველაფერი.....

ნინო. მე უკვე მიყვარს... და იცი, რაზე ვოცნებობ? ვხატო და ვხატო, — ქვეყანას დავანახო ყვავილეთის სილამაზე.

დავითი. ჩვენები მოგეწონა?

ნინო. ძალიან!

დ ა ვ ი თ ი. შენ ამათ გული უჩვენე და თან გადაგყვებიან! (ოცნებით.) რამდენი რამაა გასაკეთებელი: შენც აქ იქნები, ჩემი ცოლი, ჩემი მეუღლე, ჩემი პატარა მეგობარი, ჩემი ფრთის შემსხმელი. მუშაობით დაღლილი შენს კალთაში ჩაეთვლემ. შენი ნაზი ხელები მომიალერსებენ...

ნ ი ნ ო. დათული! (პაუზა.) იცი? სულ ჩემებურად უნდა დავამშვენო აქაურობა.

დ ა ვ ი თ ი. კი, გენაცვალე, ხატე, წერე, რაც გინდა აკეთე. (ხელს მოხვევს და გაირინდება).

ნ ი ნ ო. ამდენი ყვავილი მხოლოდ სიზმარში შეიძლება ნახო... ნამდვილი ყვავილეთია. ყვავილებია ყველგან, ცაში, მიწაზე... ზღვაა ყვავილების, მაგრამ ველური ყვავილების. აქაურობას მოწესრიგება სჭირდება, ხომ მართალს ვამბობ?

დ ა ვ ი თ ი. ჰო!

ნ ი ნ ო. ბედნიერი ხარ?

დ ა ვ ი თ ი. ჰო... ჩვენი შვილებიც აქ დაიზრდებიან, ამ ყვავილეთში... (ტოტს გასწვევს, და მანანას შეამჩნევს.) მანანა! (მანანა შემორბის.) მოდი! დარწმუნებული ვარ დამეგობრდებით.

ნ ი ნ ო. მეც ასე მგონია (მანანას ხელს გადახვევს).

მ ა ნ ა ნ ა. მე ჯერ ცოცხალი მხატვარი არ მინახავს.

დ ა ვ ი თ ი. შენ იცი, თუ არ მოაწყენ!..

მ ა ნ ა ნ ა. იცით, აქ ისეთი ლამაზი ადგილებია... აქ კლუბიც გვაქვს, კინოც, ბიბლიოთეკაც, მოსაწყენად ვინ მოგაცლით? შეგიძლიათ კლუბთან წრე ჩამოაყალიბოთ. აი, გია ისე კარგად ხატავს... გინდათ, გიჩვენოთ მისი ნახატები?

ნ ი ნ ო. საინტერესოა!

ხ მ ე ბ ი. სადაა მეფე-პატარძალი?

ა მ ი რ ა ნ ი ს ხ მ ა. ახლავე აღმოვაჩენ! მომყევით!

(ნინო, დავითი და მანანა სიცილით ცდილობენ დამალვას. მაგრამ ამაოდ. ისმის ამირანის სიმღერა.)

ბროლის მკლავები,
გიშრის თვალები,
მე მათ ეშხს ვერსად დავემალები!

(შემოდის ამირანი, მასპინძლებთან და სტუმრებთან ერთად, დიდი ყანწით ხელში. განაგრძობს სიმღერას.)

რა თვალებია,
რა მკლავებია,
დამწველებია, დამკლავებია...
დე, ამ თვალებმა,
დე, ამ მკლავებმა,
დამწვან, დამფერფლონ, არ მენანება!

მ ა კ რ ი ნ ე. დიდებული სიმღერა გცოდნია, შვილო!

უ ა რ ა მ ა ნ ი. გვიმრავლოს ასეთი ვაჟკაცი და მამულიშვილი. გენაცვალე, ბიძიკო, სულში!

ა ნ ე ტ ა. ბებიაჩემი...

უ ა რ ა მ ა ნ ი. დიდად პატივისმცემელი ვიყავი იმ სულგანათლებული ბებიაშენის, მაგრამ ისე გამოგვატირებიე ეს ქორწილი, რომ... მე კი ახლა სიმღერისა და სიცილის მეტს ნურაფერს გამაგონებთ! ჩემი მამა-პაპის ხელით დარგულმა კაკლის ხემაც კი უნდა მოილხინოს. (ხეს) გესმის, შენ? ჩემი ძმის შვილიშვილის ქორწილსაც უნდა დავესწროთ, აბა, რა გგონია!? ჰა, ჰა!

მ ა კ რ ი ნ ე. უიმე, ნეტავ სიხარულით არ გადირეოდეს ეს ბერიკაცი!

ა მ ი რ ა ნ ი. უურადღება! მე, როგორც ჩემი ქვეყნის სიყვარულში ნაცრად დამწვარი, ასე ვიტყოდი: გაუმარჯოს თქვენს ტკბილ ოჯახს! გამრავლდით, როგორც ზღვაში ქვიშა და ცაზე ვარსკვლავები. გაუმარჯოს ყვავილეთს! (ჩაიღიღინებს).

„ჰეი, მუმლი და...“ (შეწყვეტს.)

ეჰ! როგორ ფიქრობთ, ყარამან ბიძია, წააქცევს მუმლი მუხას?

უ ა რ ა მ ა ნ ი. მუმლი რას დააკლებს, ბიძიკო, მუხას, ფუღურო თუ არ გაუჩნდა.

ა მ ი რ ა ნ ი (ყანწს დაცლის). ალაევერდს შენთან გადმოვდივარ, ყმაწვილო! (ყანწს გადაუგდებს. გიას ყანწს უვსებენ. მატრონას რძალი ნინოსთან მივა. ჭიქას ასწევს. რაღაცას ეჩურჩულება).

ნ ი ნ ო (სიცილით). რაო, ტატიანა, რამდენი შვილი გყავთ?

მ ა ტ რ ო ნ ა ს რ ძ ა ლ ი. ექვსი, გენაცვალე!

ნ ი ნ ო. ოჰ!

მ ა კ რ ი ნ ე. ჩემ დედამთილს, აბა, თექვსმეტი ყავდა.

ნ ი ნ ო. თექვსმეტი?

მ ა კ რ ი ნ ე. აბა, შემოგევლე! ახლა შენ სანთელივით შემოგყურებს ჩვენი ოჯახი.

ა მ ი რ ა ნ ი (მატრონას რძალს). რა გვარი ბრძანდებით?

მ ა ტ რ ო ნ ა ს რ ძ ა ლ ი. მრავლაძე!

მ ა ტ რ ო ნ ა. ჩემი რძალია, შვილო!

ა მ ი რ ა ნ ი. მრავლაძე? ეს როგორ მოხდა, ყარამან ბიძია, რომ წინათ ეს სოფელი მარტო მშვენიერაძეების იყო და ახლა მრავლაძეები მომრავლებულან?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ჭკუა აქვთ და მრავლდებიან!

ა მ ი რ ა ნ ი (ტოტზე გადაკიდებულ ფოთლების გვირგვინს შენიშნავს). ოჰო! რომანტიკა! ყვავილეთის ფერია უწნავს დაფნის გვირგვინს ჩვენთვის უცნობ გმირს. ფერიას ვინაობა ადვილად დასადგენია (მანანას შეხედავს.) მაგრამ გმირი? როგორია? ლამაზი? წარმოსადეგი? (მანანა დაბორკილებს).

დ ა ვ ი თ ი. მოდით, დავაწესოთ ყვავილეთის გმირისათვის ჯილდო „მანანას გვირგვინი“ (იცინიან. გია ყანწით ხელში დგას).

ა მ ი რ ა ნ ი. ნეტავი იმ გმირს (გიას.) გისმენთ, ყმაწვილო!

გ ი ა (პაუზის შემდეგ). მე ამოდენა ყანწს ვერ დავცლი!

ა მ ი რ ა ნ ი. და კიდევ იტყვი: „სამშობლო მიყვარსო?“

გ ი ა. მე რომ ეს ყანწი დავცალო, ამით სამშობლოს რას ვარგებ?

ა მ ი რ ა ნ ი. ასეთი მცირე რამითაც ვერ სცემ პატივს, უფრო დიდი მსხვერპლი რომ მოგთხოვოს, რას იზამ?

გ ი ა. ეს მე ვიცი! ამ ყანწს კი ვერ დავცლი.

ა მ ი რ ა ნ ი. რადგან აგრეა, დაე, მე მოვკვდე მის სიყვარულში. (ხელს გაუწოდებს).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. აჰ! მე გადმომეცი, ბიძიკო, ეგ სასმისი.

მ ა კ რ ი ნ ე. ხომ მოკვდი, ბეჩა!

დ ა ვ ი თ ი. მე გადმომეცი.

ა მ ი რ ა ნ ი. ვაჟკაცობაში გენაცვალე!

მ ა კ რ ი ნ ე. არ გიხამოს, შვილო!

გ ი ა. რადგან აგრეა, ვსინჯავ! (მსუბუქი ირონიით.) თუ სამშობლო მოითხოვს... გაუმარჯოს ჩემს ყვავილეთს, მშვენიერაძეების გვარს და მათ გაძლიერებას.

ა მ ი რ ა ნ ი. გმირი ხარ, ბიჭო, გმირი! ყოჩაღ, ლამაზო!

გ ი ა. გმირისათვის სილამაზე არაა აუცილებელი.

ა მ ი რ ა ნ ი. ჰო, მაგრამ აუცილებელია ვაჟკაცური, რაინდული სული.

ყ ვ ე ლ ა. სამადლობელო?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. პატარძალმა დალიოს. (ნინოს პატარა ყანწს მიაწოდებს),

ნ ი ნ ო (ყანწს ჩამოართმევს. რაღაცის თქმას აპირებს). გმადლობთ!

(ოდნავ მოსვამს და ყანწის დაბრუნებას დააპირებს).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. აჰ! ეს ყანწი კი უნდა შესვა, შვილო!

ნ ი ნ ო. კი, მაგრამ...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. არა, ყური დამიგდე, ამ ოჯახის ადათს ნუ ულალატებ! ეს ყანწი დალიე და მერე რაც გინდა მთხოვე! სამ სურვილს შეგისრულებ, ჩემი სიკვდილიც რომ მომთხოვო და ეს იქნება ჩემი საქორწილო საჩუქარი. (ნინო ყანწს დაცლის.) ოო! შენ გენაცვალე! აბა, საცეკვაო.

(საცეკვაო მუსიკა, ტაში).

ხ მ ე ბ ი. პატარძალმა იცეკვოს.

ნ ი ნ ო. ქართული ცეკვა რომ არ მეხერხება?

მ ა კ რ ი ნ ე. ღმერთო მომკალი! ხომ საქართველოში ხარ, შვილო, გაზრდილი?

ნ ი ნ ო. დიახ, მაგრამ...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. არა, სხვისიც კი უნდა იცოდე! რაც მეტი იცი, ის ჯობს, აბა, თხუნელასავით ხომ არ ჩავიკეტებით სოროში, მაგრამ...

(დავითი საცეკვაოდ გადავა, ნინოს ფაიწეევს. ნინო უხერხულად ცეკვავს).

მ ა ნ ა ნ ა (ვიას). რა მშვენიერია, არა? მხატვარი! წარმოგიდგენია, მხატვარი ჩვენს ოჯახში!

გ ი ა. ალბათ პირველად შენ დაგხატავს.

მ ა ნ ა ნ ა. რატომ მე?

გ ი ა. ის ხომ მხატვარია! (ცეკვა მთავრდება, ტაში).

ნ ი ნ ო (სიცილით). ოჰ! თავბრუ დამეხვა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. აბა, გისმენთ, პატარძალო, ითხოვე!

(ყველანი გარინდებულნი ელიან პასუხს).

ნ ი ნ ო (ღვინო მოერევა, სიცილს ვერ იკავებს). მე... მე... ყველაფერი მინდა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ჩემგან რა გინდა?

ნ ი ნ ო. ბაღი.

მ ა კ რ ი ნ ე. რა ბაღი, შვილო!

ნ ი ნ ო. ბაღი ამ ეზოში.

დ ა ვ ი თ ი (ალერსით). ცოლი დამეთრო...

გ ი ა (ღვინომოკიდებული). ალბათ ყვავილეთს რომ ჯობდეს... (ნინოს.) ხომ მართალი ვარ?

ნ ი ნ ო. ოოო! მიმიხედი! დიახ, ბაღი აქ, შუა ეზოში, მიმოზის ბაღი.

ხ მ ე ბ ი. რა არის მიმოზა? „ყვითელი ყვავილი რომაა"?

გ ი ა. მაპატიეთ, მაგრამ ის აქ არ იხარებს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რატომ არ იხარებს?

გ ი ა. მე ვიცი, რომ არ იხარებს.... ვერ იხარებს...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რატომ?

გ ი ა. კაკლის ხე დაუშლის, ბიძია ყარამან, ეს კაკლის ხე.

მ ა კ რ ი ნ ე. მართალია, ყარამან! აქ, ეზოში, კაკლის ხე დაუშლის.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. აგერ დავრგავ, ღობესთან.

ნ ი ნ ო. ოოო, არა, ბაღი აქ, შუა ეზოში! ესაა ჩემი სამივე თხოვნა.

ხ მ ე ბ ი. ახლა რაღა გეთქმის, ყარამან!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. მოგიკვდეთ ყარამანი! ძირში მოვჭრი! (მანანა ხეს აეფარება).

მ ა კ რ ი ნ ე (შეშფოთებული). ამ კაკლის ხეს?

დ ა ვ ი თ ი (გაოცებული). ნინო!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. გაჩუმდი! პატარძალს რომ თხოვნას ეუსრულებ, კარგად მაქვს დაცდილი. როგორც მოეწონება, ისე მორთოს აქაურობა. მხატვარმა უკეთ არ იცის რა ჯობს?

მ ა კ რ ი ნ ე (ნინოს). კაკლის ხეს, შვილო, სილამაზეც აქვს, ჩრდილიც და ნაყოფი ხომ დიდებული.

ნ ი ნ ო (მაკრინეს ხელს მოხვევს). არა დედა, მე მხოლოდ ისე ვთქვი... ჩემ ეზოს... მე...

მ ა კ რ ი ნ ე . აბა ვისია, შვილო, ეს ეზო?

ყ ა რ ა მ ა ნ ი (მაკრინეს). გაჩუმდი, ქალო, სიტყვა-სიტყვაა!

დ ა ვ ი თ ი. ნინომ იხუმრა, ბიძაჩემო!

გ ი ა. სხვათაშორის მიმოზასათვის აქ ცოტა არ იყოს მკაცრი ჰავაა. მე წამიკითხავს, რომ...

ა მ ი რ ა ნ ი. ბატონებო, გთხოვთ მაგიდასთან! (ყველანი, დავითისა და ყარამანის გარდა, სუფრას უბრუნდებიან).

დ ა ვ ი თ ი. მართლა აპირებ, ამ ხის მოჭრას, ბიძაჩემო?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. მაინც გადასაბელია, აღარ ისხამს. ქალმა ერთი რაღაცა მთხოვა და... სიტყვა-სიტყვაა! ხე რაა, ბიძიკო! გმადლობ, გაგვახარე... ამბობდნენ, საპროფესორო კაციაო და ცოტა არ იყოს ვშიშობდი: ვაი თუ სოფელი აღარ იკადრო'ს მეთქი.

დ ა ვ ი თ ი. რას ამბობ, მე სულ ამ დღეზე ვოცნებობდი, ისე მომენატრა ჩემი ყვავილეთი! გადავწყვიტე, აქ დავრჩე, სამეცნიერო თემასაც აქ დავამუშავებ...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ქალი? დაგთანხმდება?

დ ა ვ ი თ ი. მხატვარი — ყვავილეთში ცხოვრებაზე? რა თქმა უნდა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. მაგას რაღა აჯობებს.

დ ა ვ ი თ ი. სახლის შელამაზება როდისღა მოასწარი?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. მეზობლები დამეხმარნენ. აბა როგორ, ბიძიკო! ის კი არა, თქვენთვის ორიოდე გროშიც მაქვს შემონახული. ოჯახი მოიწყვეთ, მანქანა იყიდეთ. აბა ვისთვის მინდა ამ მარჯვენით ნაშოვნი?

დ ა ვ ი თ ი. გმადლობ, ბიძაჩემო! რაც მართალია, მართალია, ნამდვილი მეგობარი ვიშოვე: სათნო, კეთილი, ჩემი ნინო ისეთია...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რადგან შეირთე, ბიძიკო...

დ ა ვ ი თ ი (ფიცხად). გავიცანი და გადავწყვიტე. ჩვენი წინაპრები ხომ სულაც გარიგებით ქორწინდებოდნენ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. არა... შორიდან კი შეისწავლიდნენ, გაიკითხ-გამოიკითხავდნენ.

დ ა ვ ი თ ი. ... და რა ოჯახები ჰქონდათ! (ისმის სიმღერა: „ბროლის მკლავები გიშრის თვალები“... და სხვ.)

ნ ი ნ ო ს ხ მ ა. დავით, დათული!

დ ა ვ ი თ ი. ნინო გვეძახის! წამო, ბიძაჩემო! (გადის).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო (გადის).

მ ა ნ ა ნ ა (გამოდის). გათენდა! (სიმღერა გრძელდება. სცენა ბნელდება. მერე ნათდება).

ეზოს იგივე კუთხე. სიღრმეში პატარა მაგიდა, სკამები, საქანაო საკარძელი, ფერადი აბრეშუმის დაუმთავრებელი ბალიშით და მოლბერტი. მაგიდაზე ხილით სავსე სინია. მოლბერტთან ნინოა — ხატავს. წინა პლანზე მანანა ზის, ხელში წიგნი უჭირავს.

მ ა ნ ა ნ ა. უცნაური ამბები ხდება ჩვენთან. ხე მოჭრეს, ჩვენი კაკლის ხე. წუხელ რაღაც ჭრიალმა გამაღვიძა. ცა ისეთი მშვიდი იყო, ვარსკვლავიანი... ნიავსაც კი ეძინა... მხოლოდ ხე ირხეოდა, შეშინებული ყვავილები ერთმანეთს ეკვროდნენ და თავდახრილები კაკლის ხის ფესვებს დასტიროდნენ. ბაბუა ყარამანის სარკმლიდან შუქი გამოდიოდა. ამ ბოლო დროს უძილობა დაჩემდა — ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მიზეზს არავინ ეკითხება. ყველა, თითქოს ერთს ფიქრობს და მეორეს ლაპარაკობს. რატომ! (პაუზა.) ჩემშიც მოხდა რაღაც, მაგრამ რა, არ ვიცი... რამდენიმე დღეა, რაც გია თვალით აღარ მეჩვენება. ის ჭკვიანია, ის მეტყოდა. სად არის, ნეტავ? (წამოიძახებს:) გია!

გ ი ა (შემოდის, სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი). აქა ვარ, მანანა!

მ ა ნ ა ნ ა (შეკრთება.) აა?

გ ი ა. რად მეძახდი?

მ ა ნ ა ნ ა. მე გეძახდი? საიდან გაჩნდი?

გ ი ა. სამუშაოდან ვბრუნდებოდი. წამოდი ჩემთან, წამოდი.

მ ა ნ ა ნ ა. ვერა, გია...

გ ი ა. წამოდი, წამოდი!

მ ა ნ ა ნ ა. არა, არა...

გ ი ა. რატომ მანანა?

მ ა ნ ა ნ ა. არ ვიცი...

გ ი ა. სხვას რომ ეთქვა? არ გაუვებოდი? (გაჩერდა).

მ ა ნ ა ნ ა. გია! — რა ვქნა, წავიდეს!.. რა ჩემი ბრალია, რომ ამირანი... სუ! სად მე, სად — ის! ის ისეთი მალალია, აი, იმ „სიყვარულის მწვერვალივით“ დიდი და მიუწვდომელი... ის არასოდეს გაიგებს ამას და არც არასოდეს მეტყვის ისე. როგორც უთხრა, ალბათ, ნინოს ბიძაჩემმა. ნეტავი რა უთხრა? როგორ უთხრა? ვკითხო? (ნინოს უცქერის.) ხატავს. გუშინ წყაროზე მყავდა, ალბათ მოეწონა და ხატავს. ნეტავი ამას!

(ნინოსკენ მიდის. სცენა ოდნავ შემობრუნდება, მაკრინე ეზოში მიდიმოდის, პატარა მაგიდაზე დილის საუზმეს აწყობს. ხანდახან მოკრილი ხისაკენ გაიხედავს და მაშინვე იბრუნებს პირს, ნინო მშვიდად ხატავს).

მ ა ნ ა ნ ა (გაუბედავად). ნინო ბიცოლა!

ნ ი ნ ო (სიცილით). — „ბიცოლა“? მანანა, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

მ ა ნ ა ნ ა. დიახ... (მოლბერტთან მივა.) „წყარო“ დაამთავრეთ!

ნ ი ნ ო. არა. შემდეგ დავამთავრებ. ეს ნატურმორტია. მოგწონს?

მ ა ნ ა ნ ა. იცით, მე ასე მაქვს წარმოდგენილი თქვენი შეხვედრა: მეოცნებე, ჩაფიქრებული... ასეთი დაგინახათ ბიძაჩემმა... შემდეგ შეხვედრები... და როდესაც დარწმუნდა, რომ უთქვენოდ სიცოცხლე აღარ შეუძლია, მოვიდა, მუხლზე დაეცა თქვენს წინ... ისე, როგორც რუსთაველი გვიამბობს და...

ნ ი ნ ო (სიცილით). ეგ ხომ ლოცვას გავს, მანანა! ეკლესიაში ყოფილხარ?

მ ა ნ ა ნ ა. არა, მაგრამ თუ ასეთია, ალბათ ვინც გიყვარს, ლოცულობ მასზე.

(ახლოვდება მატრონა სარძევით და თავდახურული თეფშით ხელში).

მ ა ტ რ ო ნ ა. მაკრინე, აქეთ მომხედე! (მაკრინე მატრონასთან მივა.) ეგებ, ეს თბილი ხაჭაპური და რძე ესიამოვნოს. თქვენც ბევრი გაქვთ. მაგრამ ხომ გაგიგონია: „ირემმა-ირემს ბალახი მოუკითხაო“...

(ხმადაბლა საუბრობენ).

ნ ი ნ ო. შუა საუკუნეების რაინდები ლამით გიტარით მი-

დიოდნენ სატრფოს სარკმელთან და სიყვარულს ასე უმხელ-
დნენ. მოგწონს?

მ ა ნ ა ნ ა. ერთმა ბიჭმა კი, ჩემს ამხანაგს უთხრა „მოდი, ვიაროთო“

ნ ი ნ ო. იმან რა უპასუხა?

მ ა ნ ა ნ ა. არ ვიცი, მე კი ვეტყოდი: „უშენოდაც კარგად დავდივარ“ მეთქი.

ნ ი ნ ო (იცინის). ჰო, ახლა ასე ამბობენ. ჩვენ კი სამ დღეს დავდიოდით და არც მუხლი მოუყრია დავითს ჩემს წინ.

(კისკისებს. შეცბუნებული მანანა ნელი ნაბიჯით მიდის ეზოს სიღრმისაკენ).

მ ა ტ რ ო ნ ა. მგონი ხელი შეგიშალეთ. დილა მშვიდობისა!

ნ ი ნ ო. მობრძანდით, მობრძანდით!

მ ა კ რ ი ნ ე. ეს სულ საქმიანობს, ამას ვენაცვალე და აბა ვეღარ დავლაპარაკებივართ. (ბალიშზე უთითებს.) ამას ხედავ?

მ ა ტ რ ო ნ ა. იფ, ასე უნდა, აბა! რძლის შემოსვლა ოჯახ-მაც უნდა გაიგოს და ოთახმაც.

მ ა კ რ ი ნ ე. „სულ ჩემებურად უნდა დავამშვენო აქაურო-ბაო“. კი, გენაცვალე, მე წარმავალი ვარ და ეს მომავალი... რაც კარგს გააკეთებს...

მ ა ტ რ ო ნ ა. ხე მოვერით, ა?

მ ა კ რ ი ნ ე (ყურს მოიყრუებს). ა, ეს მატრონამ მოგართვა, შვილო.

(სარძეველს და თეფშს მაგიდაზე დვამს.)

ნ ი ნ ო. გმადლობთ.

მ ა კ რ ი ნ ე. ხედავ, რა გახარებულია? ამის შვილიშვილი, თურმე, ქალს ირთავს. ოქრო გულის ბიჭია. შემოუთვალა „ბებიაჩემო, შენი სურათი გამომიგზავნე, საცოლეს უნდა ვუ-ჩვენოო“... და შენი ხელების ჭირიმე...

მ ა ტ რ ო ნ ა (აწყვეტინებს). ღვერთო მომკალი!

მ ა კ რ ი ნ ე. რა იყო, შე ქალო, ქვეყანა შემომნატრის: „მხატვარი რძალი გყავსო“.

ნ ი ნ ო. მე რომ მხოლოდ პეიზაჟებს ვხატავ?

მ ა ტ რ ო ნ ა. ე, ხომ გითხარი...

მ ა კ რ ი ნ ე. აგრეც რომ იყოს, ჩვენი მატრონა ნაკლები პეიზაჟაა? აფსუს, გაფრენილო ახალგაზრდობავ, თორემ მეორე ასეთი ქალი ქუთაისის გუბერნიაში არ გამოდიოდა.

მ ა ტ რ ო ნ ა. შენისთანა მაინც არ ვიყავი.

ნ ი ნ ო (ღიმილით). დაბრძანდით, ერთად დაგხატავთ. მაგიდასთან დაბრძანდით.

მ ა კ რ ი ნ ე (მატრონას). ა, ხომ გითხარი! (სკამზე უთითებს.) აგერ, ამ ხეზე ჩამოჯექი.

მ ა ტ რ ო ნ ა. ხეზე?

მ ა კ რ ი ნ ე. სკამზე მეთქი. (სხდებიან.) რადგან საუზმეზე უარს ამბობ, პირი მაინც გაისველე (სინიდან ატამს იღებს.) ეს კაკალი... (შეცბუნებული) ოჰ, ატამი მიირთვი.

ნ ი ნ ო. ღმერთო ჩემო, ყველაფერი დაინგრა! მე ეგ ნატურმორტისთვის მინდოდა! (მატრონა ცივად გაუშვებს ხელს ატამს).

მ ა კ რ ი ნ ე (უხერხულად იცინის). ხილის მეტი რაა, შვილო, ჩვენს ბაღში! ამაზე უკეთესს მოგიტან. მიირთვი, მიირთვი, ჩემო მატრონა.

მ ა ტ რ ო ნ ა. დიდი მადლობა, მაგრამ კბილმა ისე გამამწარა, რომ....

ნ ი ნ ო (მატრონას ხელს მოხვევს). მიირთვით, მიირთვით!

მ ა კ რ ი ნ ე. ასე ვიჯდეთ, „შვილო?

ნ ი ნ ო. თქვენ აქეთ იყურეთ, თქვენ კი იქით შებრუნდით. (ახლოვდება ყარამანი სანადირო თოფით მხარზე, ბარით და ატმით სავსე კალათით ხელში. ღიღინებს).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. „ია ვარდი მირჩევნია, ოუ ნანინა,
ფაიტონსა კარეტაო, ოუ ნანინა...
ყველა ქალებს მირჩევნია, ოუ ნანინა,
შავთვალწარბა ანეტაო, ოუ ნანინა..." (შემოდის.)

მ ა კ რ ი ნ ე. კაცს ქეიფიდან დაბრუნებული ეგონები.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ქეიფიდან დაბრუნებულმა — რა მიუმღეროს ქვეყანას? „ბევრი ესვი და ბევრი ვჭამე, ჩემი კუჭი გავახარეო"? სამუშაოდან დაბრუნებულის გული კი მოიმღერის: „ჩემს თავსაც ვარგე და ქვეყანასაც". მატრონას გაუმარჯოს! რამ გაგაშეშათ, ქალებო! (სინზე ატამს ყრის).

მ ა კ რ ი ნ ე (შეჰკივლებს). უი!

უ ა რ ა მ ა ნ ი. რა იყო, ჩემო რძალო!

ნ ი ნ ო. არაფერი, არაფერი!

მ ა კ რ ი ნ ე. ჩვენ გეხატავს, მაგისი ხელების ჭირიმე!

უ ა რ ა მ ა ნ ი. თქვენ რა დასახატები ხართ! ჩემთვის რომ ეთქვა, კიდევ ჰო! მართალია, ახლა წვერ-ულვაში მოდაში აღარაა, მაგრამ ერთ დროს, ერთი ღერი ულვაშით კაცს დაა-ბამდი.

ნ ი ნ ო. დაბრძანდით, დაბრძანდით.

მ ა ტ რ ო ნ ა. ა, რძალიც ასეთი უნდა.

უ ა რ ა მ ა ნ ი (იძახის). მანანა! (შემოდის მანანა.) მოდი ბაბუა, მოდი! მართალია, მე კი დაგჩრდილავ, მაგრამ რას იზამ! მოდი, გვერდით მომიჯექი. (ნინოს.) თოფიანა დამხატავ?

ნ ი ნ ო. როგორც გინდათ. (ნინო ყველას სათანადო პოზას მიუ-ჩენს).

უ ა რ ა მ ა ნ ი. ლაპარაკი ხომ შეიძლება?

ნ ი ნ ო. არა.

უ ა რ ა მ ა ნ ი. არც განძრევა?

ნ ი ნ ო. არა.

მ ა კ რ ი ნ ე. ჩემო მაზლო, სურათი არ გადაგიღია?

უ ა რ ა მ ა ნ ი. დიდხანს უნდა ვიყოთ ასე?

ნ ი ნ ო. რამდენიმე დღეს.

მ ა კ რ ი ნ ე. არ აგვშენებია ოჯახი?

ნ ი ნ ო (სიცილით). პატარა-პატარა ხნით.

მ ა ტ რ ო ნ ა. კარგი ახლა, ქალო, მოისვენე!

მ ა კ რ ი ნ ე. შენ რა გიჭირს, ჩემო მატრონა! ჩემი შვილი-შვილებიც, რომ გაირბენ-გამოირბენენ ამ ეზო-გარემოში, მა-შინ, თუ გინდა მთელ საათს არ გავინძრევი. (ნინოს.) ხომ ასეა, შვილო, შენი გოგო-ბიჭი რომ დაამშვენებს აქაურობას...

ნ ი ნ ო. დედა!..

უ ა რ ა მ ა ნ ი. გოგო-ბიჭები, ჩემო რძალო, გოგო-ბიჭები.

მ ა კ რ ი ნ ე. ჰო, შვილო, გოგო-ბიჭები.

ნ ი ნ ო (უკმაყოფილების დასაფარავად გაღიზიანებული განზე გაი-

ხედავს). არაფერი არ გამოვა, ასე არაფერი არ გამოვა... (ყველანი ჩუმდებიან. უძრავად სხედან. ნინო ხატავს).

ეთერის ხმა. მანანა, მანანა!

მანანა (წამოიწევს). ეთერ!

ნინო. დაჯექი!

მაკრინე. უი, ყარამანო, ეთერი დაბრუნებულა... ხის მოჭრის ნებართვა აიღე? ხომ არ დაგვიწყებია?

ყარამანი. გუშინ დილით ვერავინ ვნახე და...

ნინო. რა ნებართვა უნდა აგეღოთ ბიძია ყარამან?

მანანა. ეთერი ჩვენი აგრონომია.

ყარამანი. ხის მოჭრაზე ნებართვაა, შვილო, საჭირო.

მაკრინე. მოგვეჭრა თავი და ესაა!

ნინო. დამშვიდდით! აი, ასე! (ხატავს.) არ გაინძრეთ (ყველანი უძრავად სხედან. ჩქარი ნაბიჯით შემოდის ეთერი საწვიმრითა და პატარა ჩემოდნით ხელში. გაოცებით შეხედავს სუფრასთან მსხდომთ. მოლბერტს და ნინოს შეამჩნევს, მიხვდება, გაეღიმება. ეთერი და ნინო ერთმანეთს აწონ-დაწონიან.)

ეთერი. გამარჯობათ! ბიძია ყარამან, ახლა კოლმეურნეობის გამგეობაში გამოვიარე. თავმჯდომარემ შემოგითვალა, მნახოსო. რაღაც საქმე აქვს.

ყარამანი (პირმოუბრუნებლად). გვაპატიე, ეთერ, ამ ხის მოჭრაზე ნებართვის აღება ვერ მოვასწარი, მაგრამ ავიღებ.

მაკრინე (ასევე). ჰო, შვილო, ავიღებთ. ამ კაშხალის გადამკიდეს, აღარაფერი ახსოვს...

ეთერი. ეგ არაფერი, დეიდა მაკრინე, მაგრამ რად მოჭერით ეს ხე?

ყარამანი (წამოიწევს). რატომ, ბიძია და...

ნინო. მოითმინეთ! (ეთერს.) უკაცრავად, რა გნებავთ?

ეთერი. მე მაინტერესებდა...

ნინო. აა, გასაგებია! (ხაზგასმით.) მგონი თქვენ ამ რაიონის აგრონომი უნდა იყოთ, არა?

მაკრინე. ჰო, შვილო...

ეთერი. დიახ. (ხაზგასმით.) თქვენ კი, მგონი ამ ოჯახის რძალი.

ნ ი ნ ო. დიახ. მგონი კი არა, ნამდვილად (ხელს ართმევს.) ნინო მშვენიერაძე. არ ვიცოდი, ჩემს ეზოში ხის დარგვის, ან მოჭრისათვის ნებართვა თუ იყო საჭირო.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. კი, შვილო, წესით ასეა, ეთერი მართალია. ამ დილით თავმჯდომარე ვერ ვნახე და...

ნ ი ნ ო (ალერსიანი საყვედურით). ოოო! ბიძია ყარამან, თქვენ ხომ პირობა მომეცით, რომ დამაცდიდით?

ე თ ე რ ი. ეს ხომ უბრალო ხე არაა!

ნ ი ნ ო. იცით? იქნებ ოდესღაც ამ ხეს ჰქონდა ვინმესთვის რაიმე ფასი, ახლა კი...

ე თ ე რ ი. მე არ ვიცი, რა გაქვთ მხედველობაში, მაგრამ ჭეშმარიტი მშვენიერება არასოდეს არ ძველდება. ეს ხე კი ამ სოფლის შნო იყო.

ნ ი ნ ო (მსუბუქი ირონიით). გარწმუნებთ, მხოლოდ ზოგიერთი სოფლელის გემოვნებით. (წამით ყველანი გაქვავდებიან).

მ ა კ რ ი ნ ე (ზეზე წამოიჯრება, თვალს მოიჩრდილავს, ყვირის). აქშა, შე მელიის კერძო! მატრონა, ვისია, თუ იცი, ის ჭროღა მამალი ბოსტნის ღობეზე რომ შემომჯდარა? მაგან გამიობრა ალბათ ბოსტანი.

მ ა ტ რ ო ნ ა. რა იცის, შე ქალო, ქათამმა! მაგდენი შეგნება რომ მისცა, რა უჭირს?

მ ა კ რ ი ნ ე. მოვკლავ ვილაცასია (გარბის).

ნ ი ნ ო. საით, დედა, რა მოხდა?.. არა, ასე ვერ დაგხატავთ და... (დამარცვლით.) რამდენადაც მახსოვს ამ ხის მოჭრა არავისთვის დამიძალებია.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ეგ რამ გაფიქრებინა, ბიძიკო!

ნ ი ნ ო. რა ვიცი, ისე გამოდის, თითქოს...

ე თ ე რ ი. ნახვამდის... (წასვლას დააპირებს, შემოდის დავითი).

დ ა ვ ი თ ი. ოო, ჩვენი რაიონის აგრონომს ჩემი სალამი! გამარჯობათ, მატრონა დეიდა!

მ ა ტ რ ო ნ ა (ზეზე წამოიჯრება). უი, ხაჭაპური დამეწვებოდა, შვილო, ხაჭაპური! (გარბის).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ის ხე... ბებერი იყო, აღარ ისხამდა. (მძიმე ნაბიჯით გადის).

მ ა ნ ა ნ ა. ბაბუ! (ვამოუდგება).

დ ა ვ ი თ ი (მიხვდება, რომ აქ ყველაფერი რიგზე არაა). ნინო, გითხრეს ალბათ, რომ ეთერი ჩვენი მეზობელია და ჩემი ბავშვობის მეგობარი. (ეთერს საწვიმარსა და ჩემოდანს ართმევს.) ტყუილია. არ ვაგიშვებ, ჯერ ერთი, დანაშაულიც უნდა გამოისყიდო. არა, მითხარი, სადა ხარ, სად დაიკარგე?

ნ ი ნ ო. ჰო, მართლა, ჩვენს ქორწილში რად არ მოხვედით?

ე თ ე რ ი (თავს დაეუფლება). ჯერ მივლინებაში ვიყავი, შემდეგ კი...

დ ა ვ ი თ ი. ვიცი, ვიცი, შეჯიბრებიდან ბრუნდები, რა ჰქენი, გმირო. გადაცურე ზღვები და ოკეანეები? გილოცავ!

ე თ ე რ ი. მეც გილოცავ — საგმირო მოღვაწეობა ყვავილეთში კაკლის ხის მოჭრით დაგიწყია!

დ ა ვ ი თ ი. შენ არ შეცვლილხარ.

ე თ ე რ ი. არც შენ.

დ ა ვ ი თ ი. უჰ! კინალამ დამავიწყდა! სამახარობლო შენზეა, ნინო! (დეპეშას გადასცემს).

ნ ი ნ ო. მამიდა ჩამოდის, მამიდაჩემი!

დ ა ვ ი თ ი. სამახარობლო?

ნ ი ნ ო. დავით! დათული! (ჰკოცნის).

დ ა ვ ი თ ი. აბა, სასწრაფოდ გაემზადე, დავხვდეთ...

ნ ი ნ ო. ახლავე (გარბის).

დ ა ვ ი თ ი. შენ ალბათ გაიგებდი, რომ ჩვენი შფოთიანა რკინის არტახებში უნდა მოვამწყვდიოთ, გეწყინა?

ე თ ე რ ი. რახან ასეა საჭირო...

დ ა ვ ი თ ი. გახსოვს, ანკესით თევზებს რომ ვიჭერდით?

ე თ ე რ ი. შენ იჭერდი.

დ ა ვ ი თ ი. შენ კი, ჩემს დაჭერილებს წყალში უშვებდი. (პაუზა.) იცი, აქ ყოველი ქვა, ყოველი ხე, ჩვენს ბავშვობას მაგონებს...

ე თ ე რ ი. ახლა ჩვენ სკოლასთან გამოვიარე... გახსოვს?..

ნ ი ნ ო ს ხ მ ა. დათული, რომელი კაბა ჩავიცვა?

დ ა ვ ი თ ი. რომელიც გინდა (ეთერის.) მერე, მერე?

ე თ ე რ ი. გახსოვს, ეზოს ჭიშკრის გვერდით ღობეში ორი ფიცარი რომ იყო აყრილი?

ნ ი ნ ო ს ხ მ ა. მაინც რომელი, ვარდისფერი, თუ ცისფერი?

დ ა ვ ი თ ი. ცისფერი, (ეთერის.) მერე?

ე თ ე რ ი. ახლაც ისეა. გახსოვს...

ნ ი ნ ო ს ხ მ ა. შენს ნაყიდს ჩავიცვამ.

დ ა ვ ი თ ი. კარგი. (ეთერს ხუმრობით.) როგორც ხედავ, ჩემი ნება-სურვილი ჩემი ცოლისათვის კანონია, მერე, მერე?

ე თ ე რ ი. ჰო, გახსოვს, მაინცდამაინც იმ გარღვეულ ღობიდან რომ უნდა შევმძვრალიყავით ხოლმე სკოლის ეზოში? (ნაძალადევად იცინის.)

დ ა ვ ი თ ი. როგორ არ მახსოვს! ისიც მახსოვს, ამ კაკლის ხის ქვეშ ნაძებარას რომ ვეძებდით. ჩავუთქვამდით და ვეძებდით. შენ და ყვავილეთი, ჩემს წარმოდგენაში ისე ხართ გადაჯაჭვული, რომ ვერ წარმომიდგენია, აქ ვიყო და არა გხედავდე. შენ კი ჩემს ქორწილსაც არ დაესწარი. არა, მესმის... მაგრამ ის დრო ხომ წავიდა, როცა გვეგონა, რომ...

ე თ ე რ ი. ჰო წავიდა. (ვამოდის ნინო, ორივეს შეხედავს. დავითს ხელს ჩაავლებს და სიცილით გაიტაცებს).

ნ ი ნ ო. დათული, გვიგვიანდება (ეთერის.) გვაპატიეთ! დედა, სტუმარს მიხედეთ!

დ ა ვ ი თ ი. მატარებლის მოსვლამდე ოცდასამი წუთი დარჩა, ხომ არ გეწყინება, რომ გტოვებთ?

ე თ ე რ ი. რა სისულელეა!

დ ა ვ ი თ ი. გამოიარე ხოლმე. (დავითი და ნინო გადიან).

ე თ ე რ ი (მოპრიალ კაკალთან მივა. ტოტზე ამოიკითხავს. „ეთერი“ მოგონებებში წასული თვალს ხუჭავს. სცენა ბნელდება და გარკვეეთ ისმის დავითისა და ეთერის ხმა. ოდნავ მოჩანს მათი სილუეტებიც.)

დ ა ვ ი თ ი ს ხ მ ა. ვიპოვე, ეთერ, ვიპოვე, ნაძებარა!

ე თ ე რ ი ს ხ მ ა. რა ჩაუთქვი? უჰ, მეც ვიპოვე, დათო! აბა, ეიქნები აგრონომი და წალკოტად ვაქცევ აქაურობას!

დ ა ვ ი თ ი ს ხ მ ა. მე კი ინჟინერი. შფოთიანაზე ელექტროსადგურს ავაშენებ და ოქროსფერ სხივებში გავხვევ მთელ ყვავილეთს. აგერ, კიდევ ვიპოვე!

ე თ ე რ ი. მეც ვიპოვე!

დ ა ვ ი თ ი. და იცი რა ჩავუთქვი? ვიცხოვრებთ თუ არა მე და შენ აქ.

ე თ ე რ ი. და უეჭველად იმ ოთახში, რომლის ფანჯარაში ამ კაკლის ხის ტოტი იცქირება.

დ ა ვ ი თ ი. ხედავ? ზედ შენი სახელი ამოვჭერი.

ე თ ე რ ი. და ეს ტოტი მოგვიკაკუნებს ხოლმე ფანჯარაზე, რომ მოგვაგონოს დღევანდელი დღე! ეს დღე, როდესაც შენ მითხარი...

დ ა ვ ი თ ი. მიყვარხარ, ეთერი! მიყვარხარ! მიყვარხარ!

(სცენა ნათდება. ეთერი თვალს ახელს. წასვლას დააპირებს. გამოდის მაკრინე).

მ ა კ რ ი ნ ე (ხისკენ ანიშნებს). შენც დაგენანა, არა? გახსოვს, ხატულა ხბო რომ გამიხდა ავად და შენ და ჩემი დავითი ამ კაკლის ხის ქვეშ უთევდით ღამეს?

ე თ ე რ ი (ყრუდ). მახსოვს...

მ ა კ რ ი ნ ე. ისინი რა იქნენ?

ე თ ე რ ი. მამიდის დასახვედრად წავიდნენ.

მ ა კ რ ი ნ ე. ახლა ჩამოდის?

ე თ ე რ ი. დიახ!

მ ა კ რ ი ნ ე. უი, უი, ეთქვათ მაინც! (იძახის.) ყარამან! ნინოს მამიდა ჩამოდის. (გადის. ეთერი წასვლას აპირებს. შემოდის მანანა).

მ ა ნ ა ნ ა (დაფიქრებული). ნაძებარას ძებნაც მიყვარდა იმ ხის ქვეშ... ჩავუთქვამდი და ვეძებდი.

ე თ ე რ ი. რას ჩაუთქვამდი? უყვარხარ, თუ არ უყვარხარ?

მ ა ნ ა ნ ა. შენც ჩაგითქვამს?

ე თ ე რ ი. მეც.

მ ა ნ ა ნ ა. ხშირად?

ე თ ე რ ი. ნამდვილად ჩათქმა მხოლოდ ერთხელ შეიძლება.

მ ა ნ ა ნ ა. მხოლოდ ერთხელ?

ე თ ე რ ი. მხოლოდ ერთხელ (პაუზა).

მ ა ნ ა ნ ა. ეთერ, შეიძლება გაიცნო ადამიანი და მაშინვე გადაწყვიტო ცოლად გაყოლა?

ეთერი. არის შემთხვევები.

მანანა. შემთხვევები... (პაუზა.) ძალიან რომ არ უყვარდეს დავითს ნინო, იმ ხეს არ მოჭრიდა, არა?

ეთერი (თავშეკავებით). ალბათ...

მანანა. ესე იგი, ვინც გიყვარს იმისათვის ყველაფერს, ყველაფერს გააკეთებ, ხომ?

ეთერი. გააჩნია, რა უნდა გააკეთო (პაუზა.). ყარამან ბებუამ დაიწყო კაშხალზე მუშაობა?

მანანა. რა ხანია!

ეთერი. გიამაც?

მანანა. გიამაც. მეც ვიწყებ.

ეთერი. კარგად გიფიქრია. ცურვა მომენატრა. გინდა. გასწავლო? მეც ხომ ამ შფოთიანზე ვისწავლე ცურვა. ჩემ ტოლ გოგო-ბიჭებს ვეჯიბრებოდი... ერთხელ კინალამ დავიღრჩე.

მანანა. და მაინც არ დაშინდი?

ეთერი. პირიქით. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, შფოთიანას მოვრეოდი.

მანანა (ჯიბიდან სურათს ამოიღებს და გაუწოდებს). ეს გაზეთიდან ამოვჭერი. წამიწერე! (ეთერი აწერს. ახლოვდება ამირანი).

ამირანი. ოჰ! როგორც ვხედავ, ჩვენს ყვავილეთს ახალი უცნობი ყვავილი შემომატებია!

მანანა. ეს ჩვენი ეთერია, ბოტანიკოსი.

ამირანი. ესე იგი, მებაღე ყვავილეთში, სპორტის ოსტატს ჩემი სალამი! გიცანით, როგორ არა, ყვავილეთის მეუფე და ზღვის ფერია! (ესალმება.) ამირანი.

მანანა. იცით, კაშხალს იქითაა ამისი ბაღი. ცდებს ატარებს.

ამირანი. საინტერესოა, შეიძლება თქვენი ბაღის დათვალიერება?

ეთერი. მობრძანდით. ჰო, მეჩქარება, მანანა! ამ სალამოს გამოიარე, ნახვამდის. (გადის).

მანანა. იცით, იმ ხეზე ეთერის სახელი იყო ამოჭრილი.

ამირანი. ჰოო?

მ ა ნ ა ნ ა. ნეტავი ვის რას უშავებდა, ეს ერთი ჩუმი ხე? მის ქვეშ ნაძებარას ძებნაც მიყვარდა... იცით, რა არის ნაძებარა?

ა მ ი რ ა ნ ი. მეც მიძებნია.

მ ა ნ ა ნ ა. ჩაუთქვამდით და ეძებდით?

ა მ ი რ ა ნ ი. ჰო, ჩავუთქვამდი და ვეძებდი.

მ ა ნ ა ნ ა. რას? უყვარხართ, თუ არ უყვარხართ?

ა მ ი რ ა ნ ი. ჰო.

მ ა ნ ა ნ ა. ხშირად ჩაუთქვამდით ხოლმე?

ა მ ი რ ა ნ ი. ხშირად.

მ ა ნ ა ნ ა. ნამდვილად ჩათქმა რომ მხოლოდ ერთხელ შეიძლება?

ა მ ი რ ა ნ ი (უხერხულად). ოჰ, წუხელ ნიშნობაში დალეულმა ღვინომ თავი მატკინა.

მ ა ნ ა ნ ა. რომ არ დალიოთ ხოლმე?

ა მ ი რ ა ნ ი. გგონია, ღვინის სიყვარულით ვსვამ? დავდივარ ამ ყვავილუთში და...

მ ა ნ ა ნ ა. ოცნებობთ იმ დღეზე, როდესაც მისთვის გაიკეთებთ რაღაც დიდ, საგმირო საქმეს, არა?

ა მ ი რ ა ნ ი. რა თქმა უნდა! „რად სვამო“ ეჰ, ყოველი ნასახლარის დანახვა გულს მიწამლავს... ნეტავი როგორ შეძლეს ადამიანებმა აქაურობის მიტოვება? (ბაუზა.) ჰო, ჩვენი ექსკურსიის საქმე?

მ ა ნ ა ნ ა. წავიდეთ, როცა გინდათ წავიდეთ.

ა მ ი რ ა ნ ი. ბებია გამოგიშვებს?

მ ა ნ ა ნ ა. პატარა ხომ არა ვარ!

ა მ ი რ ა ნ ი. მართლაც, მართლაც! იქნებ შეყვარებულიც კი გყავს.

მ ა ნ ა ნ ა (შეშფოთებული). რას ამბობთ!

ა მ ი რ ა ნ ი. შენი ხნისას, მაგალითად, მეც მეგონა, რომ არსებობს სიყვარული და მეჩვენებოდა, რომ მიყვარს ერთი შოლტივით გოგონა, ნაწნავებიანი. წარმოიდგინე იმასაც „მანანა“ ერქვა და ძალიან ვგავდა.

მ ა ნ ა ნ ა. იმასაც?

ა მ ი რ ა ნ ი. რად გაიკვირვე? მეფიცებოდა „მიყვარხარო“, თუმცა მართალი გითხრა, არა მჯეროდა. ნინო სადაა?

მ ა ნ ა ნ ა. სადგურზე, მამიდის დასახვედრად.

ა მ ი რ ა ნ ი. მაშ წავიდეთ? ყველაფერი მინდა ვნახო, ვიცოდე...

მ ა ნ ა ნ ა. თქვენ იცით რად ჰყვავიან ყაყაჩოები „სიყვარულის მწვერვალზე?“

ა მ ი რ ა ნ ი. არა.

მ ა ნ ა ნ ა (ოცნებით). თურმე იმ ვაკაცის სამარეზე ყვავიან, რომელსაც გასაოცარი გმირობა ჩაუდენია თავისი სატრფოს და ყვავილეთის გადასარჩენად.

ა მ ი რ ა ნ ი. ნეტავი იმას (საათს დახედავს.) ოჰ, შესვენების დრო დამთავრდა. ასე, რომ ნანგრევებზე ხვალ წავიდეთ. ახლა კი კაშხალამდე გამაცილე, კარგი?

(აჩქარებით გადიან. გამოდის გია).

გ ი ა. მანანა! მანანა!.. წავიდა, გაიქცა... ისიც კი დაავიწყდა, რომ... არა, ახლა იმას ალარფერი ალარ ახსოვს... (ისმის მანქანის გუგუნი.) აქეთ მოდიან. (გადის. შემოდიან დავითი, ნინო, ნიმფა, მაკრინე და ყარამანი).

ნ ი მ ფ ა. თავბრუ დამეხვა... ჰაერის გამოცვლის დროს ასე ვიცი.

მ ა კ რ ი ნ ე. ქებით არ ვიტყვი და აქ ჰაერიც კარგი გვაქვს და წყალიც. ბუნებას ხომ, თქვენც ხედავთ.

ნ ი მ ფ ა. დიახ, დიახ.

მ ა კ რ ი ნ ე. ხალხი, კიდევ უკეთესი (იძახის.) მანანა!

დ ა ვ ი თ ი. თვალი მოვკარი, ისა და ამირანი ეზოდან გარბოდნენ.

ნ ი მ ფ ა. აჰ, ის გოგონა?

მ ა კ რ ი ნ ე. ჩემი შვილიშვილია.

ნ ი მ ფ ა. მშვენიერი ფეხები აქვს.

მ ა კ რ ი ნ ე. დიახ... ჭკვიანი გოგოა.

ნ ი მ ფ ა (ნინოს). მიმოზა, ერთი ეს ჩანთა ჩამომართვი!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რაო, ბატონო?

ნ ი ნ ო (ჩანთას ჩამოართმევს). მამიდა „მიმოზას“ მეძახის.

ნიმფა. არ გავს მიმოზას თუ? წყნარი, მორცხვი... და სხვათაშორის, ნინოს პირველი ნახატი „მიმოზას თაიგულია".

ყარამანი. ოო, აი, რატომ ჰყვარებია! მაშ იცოდე, შვილო, რომ დღეს ამ ეზოში მიმოზა დაირგვება.

ნინო. მართლა? (ყარამანს ეკოცნის).

ნიმფა (საჩუქრებს არიგებს. დავითს თითს უქნევს). თქვენ კი... ძალიან გაჯავრებული ვიყავი თქვენზე! (დანარჩენებს.) წარმოგიდგენიათ? ისე მოგვტაცა ჩემი ძმისწული, რომ მე კურორტზე გავიგე და კინალამ დამბლა მომივიდა. იმიტომ გადაეყევი თან, მივეცი ჰარმონიული განათლება... რომ...

ნინო. მამიდა!

ყარამანი. ქალაქშია, ბატონო, მაგისთანა ინსტიტუტი?

ნიმფა. სამხატვრო აკადემიაშიც სწავლობდა, უნივერსიტეტშიც, თეატრალურზედაც, უცხო ენასაც, ცეკვასაც, მუსიკასაც...

ყარამანი. ჰო, ჰო, ჰო!

ნინო. კარგი ახლა, მამიდა, ხომ გითხარი, ისე უეცრად მოხდა ყველაფერი, რომ...

ყარამანი. ნიჭსა და ცოდნას რა ჯობს, ბატონო! აგერ, ჩვენც კი გვხატავდა დღეს, ჩვენი რძალი. (მოლბერტთან მივა.) მაკრინე, აქ კვახებია გამოხატული, მაგრამ რომელი ხარ შენ, ვერ გამოგიცანი.

ნინო (სიცილით). ეს ნატურმორტია. თქვენს სურათს კი ჯერ არ გიჩვენებთ.

ნიმფა. ესე იგი შენ ხატავ და ხატავ...

ნინო (ნიმფას მოეხვევა). გვაპატიე?

ნიმფა (ალერსით). სულელები! (უეცრად.) მიმოზა, დიანას გახედე! სულ ვერ იტანს მანქანას, ცუდად გახდა. (ნინო გარბის).

ყარამანი. ვინ, ბატონო, თქვენი შვილი? მანქანაში დაეტოვეთ? (წასასვლელად გაიწევს).

დავითი (სიცილით). ძაღლია.

ნიმფა. შვილივით მყავს გაზრდილი.

მაკრინე. აჰ! ძაღლი და ბავშვი რამ შეადარა! (შემოდის ნინო ძაღლით ხელში).

ნ ი ნ ო. ქალაქში ახლა იშვიათად ნახავთ ოჯახს, ძაღლი რომ არ ჰყავდეს.

ნ ი მ ფ ა. ჩემი დიანა კი, იცით რა ჯიშისაა? აგერ მაქვს მისი ატესტატი.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. სკოლაც დაამთავრა, ბატონო, თუ? აქეთ, სუფრასთან მობრძანდით (სხდებიან).

ნ ი ნ ო. ატესტატი — შთამომავლობის მოწმობაა.

ნ ი მ ფ ა. ინგლისიდან მოდის მაგისი შტო.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რას ბრძანებთ! რა ჰქვიანო?

ნ ი მ ფ ა. დიანა, ნადირობის ქალღმერთის სახელი.

დ ა ვ ი თ ი. ა, ბიძაჩემო! ნადირობაც შენ გიყვარს და...

ნ ი მ ფ ა. სანადიროდ როგორ გავუშვებ, აზიზად მყავს აღზრდილი. სტაფილო გითესიათ?

მ ა კ რ ი ნ ე. სტაფილო?

ნ ი მ ფ ა. ჩემს დიანას გამოუწერა ექიმმა, დღეში ნახევარი კილო, ვიტამინები.

მ ა კ რ ი ნ ე. ვიშოვით, ჩვენც რომ არ გვქონდეს, მეზობლებში ვიშოვით.

დ ა ვ ი თ ი (ცოლს ასწევს). დიანას ინგლისელ ნათესავებს გაუმარჯოს, ბიძაჩემო!

ნ ი მ ფ ა. დიანა, დიდუსიკ! მოეწყინა... და-ძმა ქალაქში დატოვა.

ყ ა რ ა მ ა ნ ი (მსუბუქი ირონიით). საბრალო! ისინიც თქვენთან არიან?

ნ ი მ ფ ა. არა, მაგრამ იმათ პატრონებთან თითქმის ნათესაური კავშირი გვაქვს, ერთმანეთთან მივდი-მოვდივართ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი (მსუბუქი ირონიით). აქ ხომ არ აპირებენ, ბატონო, ჩამობრძანებას?

ნ ი მ ფ ა. არა, ისინი კურორტზე დავტოვე.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. უჰ! საწყენია, საწყენი... ინგლისშიაც ხომ არა გაქვთ ბატონო ნათესაური მიწერ-მოწერა?

ნ ი მ ფ ა. არა.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. საწყენია, საწყენი.

ნ ი მ ფ ა. დავით, ხომ არ გგონია, დაგივიწყეთ. დიანა თქვენ ჩამოგიყვანეთ საჩუქრად.

დ ა ვ ი თ ი. ოოოჰ, გმადლობთ!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ო, დიდად სასიამოვნოა!

ნ ი მ ფ ა. ჰო და ახლა მიმოზა, შენ იცი, როგორ მოუვლი.

ნ ი ნ ო. „კეს კე სე“.

მ ა კ რ ი ნ ე. კისკისი და მხიარულება ნუ მოგიშალოს, დედაშვილობის გამჩენმა! მოუვლი აბა რა იქნება!

დ ა ვ ი თ ი (სიცილით). მოუვლის, მოუვლის...

მ ა კ რ ი ნ ე (ღიმილით). ჯერ, სანამ შვილი არ გყავს, გულსაც გადააყოლებ.

(ნინო უკმაყოფილების დასაფარავად განზე გაიხედავს).

ნ ი მ ფ ა (ნინოს შეხედავს). რა დროს ბავშვის-ბავშვია? ჯერ თვალი გაახილოს, და გარდა ამისა, დარაგაია მაკრინე, ნუთუ არ იცით, რომ შვილები ახლა მოდაში აღარაა.

მ ა კ რ ი ნ ე. იმე! შვილების მოდა რაღას ჰქვია!

ნ ი მ ფ ა. ჰო, ასეა.

მ ა კ რ ი ნ ე. ჩემს დედამთილს, აბა...

ნ ი ნ ო. თექვსმეტი ჰყოლია.

ნ ი მ ფ ა (იცინის). ჩტო ეი, პობოიტეს ბოგა! თექვსმეტი შვილი ჩემს მტერს! ახლა ქალაქში მეეზოვეს თუ ეყოლება! ინტელიგენციას კი — იშვიათად ორი, უმეტესად კი ერთი, ან არცერთი.

მ ა კ რ ი ნ ე. იმე! არ გადავშენებულვართ?

ნ ი ნ ო. შვილის აღზრდას პირობები უნდა! მე და დავითს კი... აქ სოფელში, ამისი პირობები არა გვაქვს.

მ ა კ რ ი ნ ე. ამ სახლში, შვილო, ერთი ცოდა ბავშვი კი არა, ცხენი გაჭენდება. ან გგონია ბავშვზე ხელს მოგაკიდებინებ? მეორე ქალიშვილობას გამოგატარებ!

დ ა ვ ი თ ი. აბა, ბიძაჩემო, გისმენთ, გვითხარი რამე! (ვიქას შეავსებს).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. არა, როგორი ანგარიშია, მაინც ვერ გამიგია! ვინც ორი ანბანი ისწავლა, სოფლად აღარ ჩერდება, ქალაქში კი „პროფესორი ვარო“ და შვილს არავინ იჩენს.

ნ ი მ ფ ა. და, და! არც მე ვამართლებ, მაგრამ, რა ჰქნან? ვიწროდ ცხოვრობენ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ერთ ქალაქში, ბატონო მთელი ქვეყანა რო-

გორ დაეტევა!.. ეჰ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ეს ბებრები დავბორძიკობთ კიდევ, თორემ ხელოსანი ალარ ეყოლებოდა სოფელს... არა, „ვაშენებთ, — ვაშენებთო“ რომ იძახით, ვისთვის აშენებთ?

ნ ი მ ფ ა. პრავილნო, პრავილნო! რაც შეეხება ნინოს და დავითს, ჯერ ამათი ცხოვრება წინაა და გარდა ამისა, ხომ გინდათ თქვენი რძალი სახელოვანი იყოს?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რაღა თქმა უნდა!

მ ა კ რ ი ნ ე. მაგის ხელებს დავენაცვლე!

ნ ი მ ფ ა. ამ კაკლის ხის მოჭრა, კარგად გიფიქრიათ, შესანიშნავი ავეჯი გამოვა — მოცარტი, საწოლები... პრელესტ!

ყ ა რ ა მ ა ნ ი (მსუბუქი ირონიით). სწორედ მაგიტომ დარგო, ალბათ, ბატონო, ბაბუაჩემის ბაბუამაც.

ნ ი მ ფ ა. მოლოდეც!

მ ა კ რ ი ნ ე. მართლაც, ყარამან, მართლაც! ბაბუების დარგულ ხისგან გაკეთებულ აკვანში, რომ შვილიშვილის შვილები დაიზარდონ, მკვდრებსაც გაეხარდებათ (ღიმილით.) აგერ, ჩვენც ხომ...

ნ ი ნ ო (ისტერიულად). სულ „შვილი, შვილი, შვილი“! (გადის).

დ ა ვ ი თ ი (გაოცებული). ნინო! (გამოუდგება).

ნ ი მ ფ ა. ოჰ, ნინოლოჩკა! მართლაც ბავშვია! (გამოუდგება).

ყ ა რ ა მ ა ნ ი (მაკრინეს). მე მეტი დრო ალარა მაქვს, ჩემო რძალო, ყანაში მეჩქარება.

მ ა კ რ ი ნ ე. უსადილოდ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი (კისერზე მიიდებს ხელს). აქამდე ვარ... კმაყოფილი... სტუმრების პატივისცემა კი თქვენთვის მომინდეია იცოდეთ. დიანას საგანგებოდ გაუმასპინძლდით, თორემ ინგლისელი ნათესაობა დაგვემდურება. (გადის).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

ხანი გავიდა... ერთ-ერთი კუთხე კაშხალის მშენებლობის მიდამოებში. მაგიდაზე ტელეფონი დგას. ხის ქვეშ სკამძელი, მოშორებით ისმის მანქანების გუგუნი. მშენებლობისათვის დამახასიათებელი ხმაური. სკამძელზე დაღლილი მანანა ჩამომჯდარა.

მ ა ნ ა ნ ა. რა ძალა ჰქონიათ ადამიანებს! გესმით? მთაში წვიმა მოვიდა. ჩვენი მდინარე—შფოთიანა გადაირია და მთელი სოფელი ფეხზე დააყენა. ღამით, ჭრაქების შუქზე, ძირფესვიანად მოგლეჯილი ხეები ზღაპრულ დევებს ჰგვანან... ადამიანები კი... ბრძოლაა, ნამდვილი ბრძოლა!.. ამირანი კი სწორედ ახლა არაა აქ. რომ ყოფილიყო, წარმომიდგენია — ამირანის ბრძოლა დევებთან!.. ხომ არაფერი მოუვიდა? რომ აღარ ჩამოვიდეს? სულ აღარ ჩამოვიდეს? (ჩაფიქრდება. შემოდის ასევე დაღლილი გია, ხელში შეხვეული რაღაც უჭირავს).

გ ი ა. მანანა!

მ ა ნ ა ნ ა (შეკრთება). ააა? დავით ბიძიამ „ტელეფონს არ მოშორდეო“.

გ ი ა. ვიცი, თბილისს უნდა ელაპარაკოს. მხატვარი რომ ვიყო დავხატავდი ბრძოლას შფოთიანასთან.

მ ა ნ ა ნ ა. დახატავ, რატომაც არ დახატავ... შემდეგ იქნებ ნინომაც დახატოს.

გ ი ა. მისი დახატული ჯერ არაფერი მინახავს.

მ ა ნ ა ნ ა. დაამთავრებს, უსათუოდ დაამთავრებს.

გ ი ა. მხატვარი... ბებია მაკრინეც კი აქ არის. ეთერმა ბაღი მიატოვა და ჩვენთან ერთად წყალში იდგა. ნინო კი... ისე მაინც მოსულიყო.

მ ა ნ ა ნ ა. ალბათ ავადაა, ან...

გ ი ა (დაფიქრებული). შეფოთიანას მაინც ვერ ენდობა კაცი. იცი რა არის ეს? (შეხვეულს უჩვენებს.) ნაღმია. დავით ბიძიამ: „მზად ვიქონიოთო, თუ დაგვჭირდა, მთის ფერდები უნდა ჩამოვაშვავოთო“.

მ ა ნ ა ნ ა. ის... „სიყვარულის მწვერვალი“?

გ ი ა. არა, მწვერვალს არაფერი დაუშავდება.

მ ა ნ ა ნ ა (ოცნებით). გია, იქ რომ ყაყაჩოები ყვავიან, იმათთან რომ ახვიდე და ხელი შეახო, გმირობაც რუსთაველისებური უნდა იცოდე, რაინდობაც და სიყვარულიც, ხომ?

გ ი ა. მე ავალ!

მ ა ნ ა ნ ა. შენ?

გ ი ა. რად იცინი! ბოლოსდაბოლოს ორი თვით მაინც ვარ შენზე უფროსი. (ხეს დაეტოლება.) ხედავ, შარშანდლიდან რამდენი მოვიმატე.

მ ა ნ ა ნ ა. მართლაც, წუხელის ჭრაქების შუქზე, შენც ისეთი მაღალი ჩანდი... მაგრამ...

გ ი ა. ყარამან ბაბუამ მითხრა: შენ შეგიძლია შრომის გმირი გახდეო. (პაუზა.) მითხარი, ძალიან ღელავ?

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ. მე ვღელავ?

გ ი ა. იცი, მანანა, დარდი რომ გულთან არ მიუშვა, უნდა ითვალო: „ერთი ორი, სამი, ოთხი“... ასე ათამდე და ისევ თავიდან. ბებიამ მასწავლა, იმის კი... ნუ გეშინია, ის, ალბათ, ახლა სადმე ყანწით მიირთმევს ყვავილეთის სადღეგრძელოს.

მ ა ნ ა ნ ა. ვინა?

გ ი ა. კარგად იცი.

მ ა ნ ა ნ ა. გაჩუმდი, გია, შენ გშურს მისი!

გ ი ა. ვითომ? არა, არა!.. არა, მანანა! (წასვლას აპირებს. შემოდის დავითი).

დ ა ვ ი თ ი. რაო, არ შეგვაერთეს? კარგი, ტელეფონს მე მოვუვლი, შენ კი შინ რომ მიირბენდე, ურიგო არ იქნება. ალბათ, ქალები შიშით გიყდებიან. უთხარი, რომ სადაცაა მოვრჩები საქმეს და მალე დავბრუნდებით.

მ ა ნ ა ნ ა. ახლავე, დავით ბიძია. (წასვლას დააპირებს. ტელეფონის ზარი შეაჩერებს).

დ ა ვ ი თ ი (ყურმილში). თბილისია? დიახ, დიახ, მშვენიერაძე. მე კაცი გამოგიგზავნეთ. გთხოვდით საარმატურე რკინას, ცემენტს... დიახ... დიახ... (შემორბის მაკრინე).

მ ა კ რ ი ნ ე. დავით, შვილო, ეთერმა ხელი იტკინა, ხე დაეჯახა...

(სცენა ბნელდება. მერე ნათდება).

ისევ მშვენიერაძეების ეზო. გადაჭრილი კაკლის ხის მახლობლად აყვავებული მიმოზა. მოშორებით შეშის საპობი კუნძია, კუნძზე ნაჯახი და წალდია დარჭობილი, ოდნავ მოშორებით პატარა მაგიდა, რამდენიმე სკამი და საქანაო საკარძელი. ერთ სკამზე ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ფერადი ბალიში, მეორეზე — ჭრელი სახალათეა გადაკიდებული. საკარძელზე ნინო გადაწოლილა. თვალი მიულულავს: იქვე ნიმფა, პასიანსს შლის.

ნ ი მ ფ ა. არა, მეტი აღარ შემიძლია! გაგიჟდება ადამიანი! რობინზონები ვართ, ნამდვილი რობინზონები. სამუდამო ცხოვრება რომ მქონდეს მისჯილი ამ გამოყრუებულ სოფელში, თავს მოვიკლავდი! ად, სუშჩი ად!

ნ ი ნ ო. ჯოჯოხეთი? არ ხედავ, რამდენი ყვავილია?

ნ ი მ ფ ა. ყვავილი? მერე და რად არ ხატავ?

ნ ი ნ ო. არ ვიცი.

ნ ი მ ფ ა. ყვავილები სასაფლაოზეც ყვავიან. არა, მაკრინე მაინც რას აკეთებს იმ კაშხალზე? მაგრამ ჩვენზე ვინ ფიქრობს!

ნ ი ნ ო. მამიდა...

ნ ი მ ფ ა. ეჰ, ჩემო მიმოზა, შენი ადგილი დიდებულ სალონში იყო, მაგრამ...

ნ ი ნ ო. მე მექნება სალონი!

ნ ი მ ფ ა. ყვავილეთში?

ნ ი ნ ო. სადაც საჭიროა! არა, მითხარი რა არ მოგწონს? დავითი ლამაზია, ჭკვიანი, გამგონე, მომავალი მეცნიერი, აფასებენ... ვცხოვრობდით მე და შენ ხუთ მეტრიან კუბოში... ახლა კი, ეს ყველაფერი, რასაც ხედავ, ჩემია, მამიდაჩემო! ცოტა კიდევ და მე მექნება სალონი, ხალხი ს

მანქანა და იქიდან გადმოდის ბრწყინვალე წყვილი „ვინ არის? ვინ არის?“ — მე და დავითი!

ნ ი მ ფ ა. მეჩტი, მეჩტი, გდე ვაშა სლადოსტ!

ნ ი ნ ო. ო, რა მკაცრი ხარ!

ნ ი მ ფ ა. მკაცრი კი არა, ფხიზელი და შორსმჭვრეტელი. ვეუყვარვარო! მოყვარული ქმარი ასეთ ანგელოზ ცოლს, ისიც მხატვარს, მშენებლობიდან-მშენებლობაზე არ ათრევდა, ასე უპატრონოდ არ მიატოვებდა! ერთხელაც არ მოგაკითხა.

ნ ი ნ ო. წყალი ადიდდაო...

ნ ი მ ფ ა. დიდი საქმე! ადიდდა — ისევ დაიკლებს! ეჰ, მე უკვე შენი ქმრის სამეცნიერო კარიერასაც ჯვარი დავუსვი. (პაერში ხელით ჯვარს ხაზავს).

ნ ი ნ ო. მამიდა...

ნ ი მ ფ ა. დიახ, დიახ! სოფელი, კაშხალი, ბებრები...

ნ ი ნ ო. მე?

ნ ი მ ფ ა. ჰო... შენგან შვილები უნდა. ესე იგი სანაშენოდ ჩამოგიყვანა, მშვენიერაძეების მოდგმის მოსამრაველებლად.

ნ ი ნ ო. მამიდა...

ნ ი მ ფ ა. და დიდხანს არც დასჭირდებათ ცდა! იმდენს გეჩიჩინებიან, სანამ... და მაშინ მშვიდობით, ოცნებავ! იჯექი ამ ყრუ სოფელში, აჩინე შვილები....

ნ ი ნ ო. კი, მაგრამ რა ვქნა, რა!

ნ ი მ ფ ა. შენ ტყუილად გგონია, რომ კაკლის ხის მოჭრის მსგავსი ისტორია, ასე ადვილად განმეორდება. ენერგიული ზომების მიღებაა საჭირო, მაია დოროგაია! ზოგ ქმარს ალერსით დაიყოლიებენ, ზოგს სიმკაცრით და მომთხოვნელობით, შვილი, შვილიო, რომ ჩაგციებიან, შენ ღიმილით უპასუხე, დაპირდი... ეჰ, ჭკვიანი ქალი ქმარს ხელთათმანივით მოიხმარს.

ნ ი ნ ო. ხელთათმანივით?

ნ ი მ ფ ა. ჰო, თუ არ გამოადგა (ცვლტით უჩვენებს ხელთათმანის წაძრობას და გადაგდებას.) ერთი ხატი რომ კმაროდეს სალოცავად, ეკლესიას ხატებით არ აავსებდნენ!

ნ ი ნ ო. მამიდა!

ნ ი მ ფ ა. ესე იგი შენ გიყვარს ქმარი.

ნ ი ნ ო. დიახ!

ნ ი მ ფ ა. და მისთვის სიკეთე გინდა.

ნ ი ნ ო. რა თქმა უნდა.

ნ ი მ ფ ა. თანაც შენს მოწოდებას არ გინდა ულალატო.

ნ ი ნ ო. დიახ.

ნ ი მ ფ ა. მაშ მე მომენდე და... გახსოვდეს, რომ შენი სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის მამიდაშენი თავს გასწირავს.

(შემოდის მანანა).

ო, მადლობა ღმერთს, ერთი ცოცხალი ადამიანი მაინც დავინახე!

ნ ი ნ ო. მორჩით?

მ ა ნ ა ნ ა. მოვრჩით. ჩვენი შფოთიანა ისე გადაირია და ეიმდენი ქვა-ღორღი და მოგლეჯილი ხეები მოაყარა კაშხალს, რომ... ეთერმა ხელი იტკინა, — ხე დაეჯახა.

ნ ი მ ფ ა (ხაზგასმით). ისიც იქ იყო?

მ ა ნ ა ნ ა. დიახ... (უხერხულად.) ამირანი არ დაბრუნებულა?

ნ ი მ ფ ა. მოგენატრა?

მ ა ნ ა ნ ა (უხერხულად). დავით ბიძია ღელავს... ყველანი ღელავენ...

ნ ი მ ფ ა. ესე იგი, კაშხალის მშენებლობას რომ არ ამარაგებდეს, ისე არავინ მოისაკლისებდა?

მ ა ნ ა ნ ა. რას ბრძანებთ! ის ისე კეთილია... იცით? იმ დღეს, ნანგრევებზე ცრემლი მოერია...

ნ ი მ ფ ა. მოგწონს?

მ ა ნ ა ნ ა. ნანგრევები?

ნ ი მ ფ ა. ამირანი. (მანანა პირს მიიბრუნებს.) სულელო! მოწონება განა სირცხვილია? ადამიანს მოწონს ადამიანი, ხე, ყვავილი... მითუმეტს, ამირანი ლამაზია, განათლებული, თუმცა ზედმეტად სენტიმენტალური. რა ატირებდა იმ ნანგრევებისათვის?

მ ა ნ ა ნ ა (ფიცხად). რაინდული გული აქვს. ისეთი კეთილშობილია, ისეთი... (ნიმფას შეხედავს. გაჩუმდება.)

ნ ი მ ფ ა. კიდევ, კიდევ?

მ ა ნ ა ნ ა (დაბნეულად). არაფერი. (აჩქარებით გადის).

ნ ი ნ ო. მაგრადაა ჩამწვარი.

ნ ი მ ფ ა. წიგნებმაც გადარია. აბა, რას უზამდა ღამეების წიგნებზე თენება? თორემ სად ამირანი და სად უბრალო სოფლის გოგო! ეჰ, შენ რომ ბედი გქონოდა...

ნ ი ნ ო. მე მიყვარს დავითი, მამიდაჩემო, გესმის, მიყვარს!

ნ ი მ ფ ა. ეს გოგო გადამრევს! შენ, ან ბრმა ხარ, ან ყრუ! ვერ გაიგონე? ისიც იქ ბრძანებულა, ის ქალბატონი. (ღიღინით შემოდის შექეიფებული ამირანი).

ა მ ი რ ა ნ ი. „სამშობლოს ვერვინ წამართმევს,
ნურც ნურვინ შემეცილება...“

— სალიუტ! ორ მშვენიერ არსებას, ჩემი სალამი!

ნ ი ნ ო დ ა ნ ი მ ფ ა. ოოო! ამირან! (ამირანი ხელზე ჰკოცნის).

ნ ი მ ფ ა (ცივლუცად). „ორს“? ესე იგი, ეს ქათინაური მეც მეკუთვნის?

ა მ ი რ ა ნ ი. ვისაც ჭკუა აქვს და გემოვნება, შემოდგომის ყვავილი ჯობს გაზაფხულისას!

ნ ი ნ ო (სიცილით). ესე იგი, მამიდა ჯობს ძმისწულს.

ა მ ი რ ა ნ ი. მე მინდოდა მეთქვა...

ნ ი ნ ო (სიცილით). არა, მამიდასათვის არა მშურს ეგ ქათინაური, მაგრამ თუ მაინც დამნაშავედ გრძნობთ თავს, ეცადეთ გამოისყიდოთ დანაშაული.

ნ ი მ ფ ა. ცელუიტე რუკუ! (ამირანი ნინოს ხელზე ეამბორება).

ა მ ი რ ა ნ ი. მეც არ ვიცი, როგორ გაფრინდნენ ეს დღეები... ერთი მეგობრის ქორწილი, მეორის ბებიის პანაშვიდი... არ დაესწრო — არ შეიძლება, — მეგობრებია... და რაც მთავარია, ქალბატონო ნიმფა, თქვენი დავალება შევასრულე და ერთ მშენებლობას მივაკელიე. ამხანაგობის ერთი წევრი სიამოვნებით გითმობთ თავის წილს.

ნ ი ნ ო. როგორ, ახლავე? ასე უცებ? მაგრამ ამისათვის საჭიროა ფული...

ა მ ი რ ა ნ ი. ფული... ფული... ეგ მართალია. ეჰ, თქვენ რომ პეტრე მრავლაძის ფული მოგცათ.

ნ ი მ ფ ა. პეტრე მრავლაძე ვინაა?

ა მ ი რ ა ნ ი. ნაცნობი ინჟინერი, რომელმაც ქალაქში ყველაფერი გაპყიდა და ყვავილეთში უნდა დასახლება.

ნ ი მ ფ ა. ამირან, თქვენ პირდაპირ გენიოსი ხართ. როგორ ფიქრობთ, აქაურობას შეელევიან?

ა მ ი რ ა ნ ი. „შეელევიანო“? მე ეგ არ მითქვამს. არა, რა თქმა უნდა, გაუჭირდებათ. მაგრამ, ალბათ, გამოინახება სხვა რამე სახსარი...

ნ ი მ ფ ა. (თავისთვის). არაფერია. (ხმამაღლა.) თქვენ რომ არა, ამირან, პირდაპირ არ ვიცი რა გვეშველებოდა.

ნ ი ნ ო. ეს დღეები ისე გაგრძელდნენ, ისე უფერულად მიიზლაზნებოდნენ...

ნ ი მ ფ ა (ეშმაკური ღიმილით). და არა მარტო ჩვენთვის... არის კიდევ ერთი ახალგაზრდა არსება, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინაც გაკითხულობდათ, ღელავდა...

ა მ ი რ ა ნ ი. მანანა? რას ბრძანებთ, ის ხომ ბავშვია! მანანას ყველა უყვარს.

ნ ი მ ფ ა. ჰა, ჰა, ჰა...

ნ ი ნ ო. სხვათაშორის, ამირან, მანანა ოცნებობს რაინდზე, რომელიც მოვა ყვავილეთში და მის წინ მუხლზე დაეცემა.

ა მ ი რ ა ნ ი. ჰა, ჰა, აი მეოცნებე! (სახალათეს შენიშნავს.) კიდევ სახალათე?

ნ ი ნ ო (სიცილით). ეს მგონი მეათეა.

ა მ ი რ ა ნ ი. რაც ნიშნავს: „ჩემო ძვირფასო, ჩაიცვი ეს ბალათები და შინ იჯექიო“, ძუნწი მესაკუთრე!

ნ ი ნ ო. თქვენ კი არ იქნებით მესაკუთრე? (ნიმფა მაგნიტოფონს ჩართავს. ისმის მუსიკის ხმა).

ა მ ი რ ა ნ ი. როგორ გითხრათ! ჯერ არ შემხვედრია ქალი, რომელიც აღძრავდა ჩემში მესაკუთრეობის სურვილს. აი, მაგალითად... მაგრამ... ეს პირში ქება გამოვა.

ნ ი მ ფ ა. თქვით, თქვით, გეთაყვა, იქნებ გაიგოს თავისი ფასი, გაიგოს, რომ სხვა, უფრო დიდი ხვედრისთვისაა დაბადებული.

ნ ი ნ ო. მამიდა... კმარა ახლა...

ა მ ი რ ა ნ ი. მე არ შინახავს თქვენი ნახატები, მაგრამ მჯერა თქვენი ტალანტისა, გარდა ამისა, ისეც ხომ მხატვრობა ხართ და ფეხადგმული პოეზია! დავითს ჰქონია ბედი, ნამდვი-

ლად ჰქონია! მართალი გითხრათ, როდესაც ლამაზ ქალს მივ-
ყვები გვერდით, თითქოს სიმაღლეც შემატება. შეიძლება ეს
ჩემი სისუსტე იყოს, მაგრამ სიამოვნებას მგვრის, როდესაც
შურიანად თვალს გამომაყოლებენ და გაიფიქრებენ, „რა შესა-
ნიშნავი წყვილია!“ მარტო ამისათვისაც ღირს ცხოვრება, სინ-
დისს გეფიცებით!

ნ ი მ ფ ა. მერე აფასებს ჩემი სიძე? აგერ ხუთი დღეა, თვა-
ლითაც არ გვინახავს. არ ვიცი, რა მაგნიტი ალმოაჩინა იმ კაშ-
ხალზე.

ნ ი ნ ო. სამუშაო აქვს.

ნ ი მ ფ ა. „ნეტარ არიან მორწმუნენი!“ ყოველ ცოლს თა-
ვისი ქმარი ანგელოზი ჰგონია.

ნ ი ნ ო. „კეს კე სე?“ (იცინის).

ნ ი მ ფ ა. სიცილით არ დააფრთხო, თორემ შენი ანგელო-
ზი ცაში აგიფრინდება.

ა მ ი რ ა ნ ი. უკეთესთან ვისთან წავა?

ნ ი მ ფ ა. ვითომ არ იცით, რომ ქალი, ოღონდ სხვა იყოს
და უკეთესია, თუ უარესი, მამაკაცისათვის სულერთია. (შემო-
დის მანანა. ამირანის დანახვისას დაიბნევა).

მ ა ნ ა ნ ა. ჩამოხვედით?.. (ახლოვდება გია, სამუშაო იარაღებით
ხელში).

ა მ ი რ ა ნ ი. ოჰ, (ხუმრობით დაიჩოქებს, ხელებს აღაპყრობს.)
მანანა!.. (ქალები იცინიან).

მ ა ნ ა ნ ა (ერთ ადგილას გაქვავდება. შემდეგ შეშფოთებული უკან
დაიხევს). მე... მე...

გ ი ა (ამირანზე გაიწევს). როგორ ბედავ! (მანანა გიას აჩერებს.)

ა მ ი რ ა ნ ი. მანანა, მე...

მ ა ნ ა ნ ა (ცივად). მთელი სოფელი იქაა, გელოდებიან,
თქვენ კი, აქ...

ა მ ი რ ა ნ ი. მე... გავიხუმრე... (მანანასკენ მიდის.) მანანა.

გ ი ა. იქით!

ა მ ი რ ა ნ ი. ლაწირაკი!

გ ი ა. ყვავილეთის ამშენებელი!

ა მ ი რ ა ნ ი. რასაც ვაკეთებ ეს მე ვიცი! ჩემი საქმეა!

გ ი ა. კაშხალი კი სოფლისაა, ხალხის.

ა მ ი რ ა ნ ი. ამას არ უყურებ? დღე და ღამე გზებზე ვარ გაკრული.

გ ი ა. მხოლოდ ხანდახან გადაუხვევ ხოლმე.

ა მ ი რ ა ნ ი. ხმა, თორემ...

ნ ი მ ფ ა. ოჰ, რაც მე ჩხუბი მეჯავრება!

ა მ ი რ ა ნ ი. ამათი ხათრი, თორემ მე გასწავლიდი, როგორ უნდა უფროსებთან ლაპარაკი და ისიც ქალების თანდასწრებით.

გ ი ა. სხვაგან მოვილაპარაკებთ! პა-ტრი-ო-ტი! (გია და მანანა გადიან).

ა მ ი რ ა ნ ი. გაგიჟდა?.. (ქალებს.) მე გავეხუმრე, მხოლოდ გავეხუმრე.

ნ ი მ ფ ა. აღზრდა არა აქვთ, ახალგაზრდებს, აღზრდა! აგერ, მანანამ საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და ხან მაკრინეს დასდევს ვენახში სამუშაოდ, ხან ყარამანს მიჰყვება კაშხალზე და ცემენტის ხსნარით ითითხნება... ახლაც ხუთი დღეა თვალით არ გვინახავს.

ნ ი ნ ო. წყალი ადიდდაო.

ა მ ი რ ა ნ ი. ადიდდა?

ნ ი მ ფ ა. ჰო და გადაირია ხალხი. რა მოხდა? ადიდდა. ისევ დაიკლებს.

ა მ ი რ ა ნ ი. აჰ, უნდა წავიდე, ახლავე უნდა წავიდე.

ნ ი ნ ო. გვტოვებთ?

ნ ი მ ფ ა. რაღა დროს წასვლაა? ალბათ, საცაა ისინიც მოვლენ. მანანამ ყველაფერს მოვრჩითო.

ა მ ი რ ა ნ ი. კაშხალი გინახავთ?

ნ ი ნ ო და ნ ი მ ფ ა. არა!

ა მ ი რ ა ნ ი. იქნებ წამობრძანდეთ?

ნ ი ნ ო. წავიდეთ, მამიდა!

ნ ი მ ფ ა. კაშხალზე?.. კარგი, წავიდეთ. (გადიან. მაგნიტოფონიდან ისმის ჯაზის გამაყრუებელი ხმაური).

შემოდიან კაშხალიდან დაბრუნებული, უზომოდ დაღლილი მაკრინე და ყარამანი. ყარამანი სკამძელზე დაეშვება. მაკრინე მაგნიტოფონის გამო-

თიშვას ცდილობს. მუსიკის ხმამ იმატა. მაკრინე ეზოს სიღრმისკენ მიდის.

მ ა კ რ ი ნ ე ს ხ მ ა. ღმერთო მომკალი და ესაა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რა იყო, მაკრინე!

მ ა კ რ ი ნ ე ს ხ მ ა. იმ მოსასპობ დიანას სულ არ გადაუ-თხრია ბოსტანი? მიეცა ჩემი ცოდვა, ვინც ამას სტაფილო გა-მოუწერა! ა-ტა-ტა-ტა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. მაია დარაგაიამ? მაკრინე სხვის ეზოში ხომ არ მოვხვდით, თუ იცი?

მ ა კ რ ი ნ ე ს ხ მ ა. აი, შე სამგლეკ, შენა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი (იძახის). კიდევ მოხდა რამე?

მ ა კ რ ი ნ ე (შემოდის ცარიელი საბუდარით ხელში.) ასე დაცა-რიელდა ჩემი მტრის სახლკარი შვილისა და მომავლისაგან! დღე-დღეზე კრუხს წიწილები უნდა გამოეჩეკა...

ყ ა რ ა მ ა ნ ი (ნინოს გამოჯავრებით). — „კეს კე სე?"

მ ა კ რ ი ნ ე. რა მეკისკისება, შე დალოცვილო, გავსკდი გულზე და ესაა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ესე იგი ნადირობის ღმერთი ჩვენს ეზოში დატრიალდა? კარგი, ახლა, რძალო! ნეტავი დიანას არ აწყენ-დეს და... ნეტავი შაქრით მიირთვა კვერცხი, თუ თოხლოდ?

მ ა კ რ ი ნ ე. იხუმრე, იხუმრე! ყველას ვეხვეწები ძაღლი დაბმული გყავდეთ მეთქი, მაგრამ არაა საშველი! ახლა ამ ცა-რიელ საბუდარს აგერ დავკიდებ, მიმოზას ხეზე (საბუდარს ჰკი-დებს.) იქნებ ამან მაინც მოაგონოთ რომ... ფუჰ! დასწყევლა ღმერთმა! ამ მიმოზას პირდაპირ მიცვალებულის სუნი აქვს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. კარგი, ახლა, ჩემო რძალო, ვეღარ გამოი-გლოვე ის ჩვიდმეტი წიწილა?

მ ა კ რ ი ნ ე. მე სხვა რამე მატირებს, ყარამანო!.. ვაი თუ ეს წყევლა მტრისთვის რომ მემეტებოდა, ჩვენ დაგვიბრუნ-დეს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ეგ რამ გაფიქრებინა? (მაგნიტოფონს გააჩუმებს).

მ ა კ რ ი ნ ე. შენ არ გიფიქრია, თუ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი (ნაძალადევი მხიარულებით). შე ქალო! ქვეყანა შემოგვნატრის, „მხატვარი რძალი გყავთო".

მ ა კ რ ი ნ ე. ჰო, ამბობენ... (პაუზა.) გახსოვს, რა დამიბარა

ცხონებულმა ილიამ? რამდენი შვილიშვილიც შემეძინოს, საფ-ლავში ჩამომძახე, ძვლებსაც გაეხარდებაო... რა ჩავძახო? ან, ვთქვათ, არის საიქიო და შევხვდი, რა ვუთხრა? „ამოვწყდით თქვა? ძალლი დაკუნტრუშობს ჩვენს ეზო-გარეშემოში“ თქვა? (ცრემლს იმშრალებს. გამოდის დავითი).

დ ა ვ ი თ ი. რა მოხდა, დედაჩემო, რა ამბავია? (მაკრინე დაიბნევა, ცრემლს იმშრალებს).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. არაფერი... ბიძიკო... აგერ, დიანამ...

დ ა ვ ი თ ი. დიანა კი არა, ათასი საფიქრალი მაქვს. კაშ-ხალის მშენებლობაში შეცდომაა დაშვებული. ვეძებ, ტვინი გადამიბრუნდა, თქვენ კი ტრაღედიებს ქმნით. პატარა დამაცა-დეთ, ეს კაშხალი დავამთავრო და მერე აღარც დიანას ფეხი იქნება ამ ეზოში და არც ჩემი! (მაკრინე და ყარამანი გაოცდებიან).

ყ ა რ ა მ ა ნ ი (ამოილუღლუღებს). რატომ, ბიძიკო!

დ ა ვ ი თ ი (აწყვეტინებს). არა, მითხარით, რად ამოიჩემეთ, რა დაგიშავათ იმ ქალმა?

მ ა კ რ ი ნ ე. შემოგჩიელე, რამე... თუ?

დ ა ვ ი თ ი. ვხედავ, ყველაფერს ვხედავ! ფეხის შემოდგმა ვერ მოასწრო და გადარიეთ: „შვილი, შვილი, შვილიო...“ ქალმა ჩემი გულისთვის ქალაქი მიატოვა, მეგობრები მიატოვა, ნათესავები... რა ქნას, ახლა, არ არის სოფლის საქმეს მიჩვე-ული და მოვკლათ? არა ჰყავს ჯერ შვილი და დავაღრჩოთ? იქნებ, სულაც არ ეყოლოს, გადავაგდოთ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ეგ როგორ გეკადრება, ბიძიკო?

მ ა კ რ ი ნ ე. რა ვუყოთ, მერე, შვილო! უშვილობისათვის ქალი ვის გაუშვია, მხეცობა ხომ არაა! მე, შე კაცო, ერთი ორჯერ გავეხუმრე, მეტი ხომ არაფერი მიკადრებია... ნეტავი მაშინაც ენა მომტეხოდა...

დ ა ვ ი თ ი (გულის ტკივილით). ნეტავი მე მომტეხოდა ფეხი, მე! (გადის).

მ ა კ რ ი ნ ე. ვაიმე, შვილო!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ჰია მუხას აფუღურებს და კაცის გულს რას უზამს, ჩემო რძალო!

მ ა კ რ ი ნ ე. მერე რით ვუშველოთ? წავა, წავა აქედან, ყარამანო! (პაუზა.) ეგებ აქაურობის გაყიდვაც კი მოინდომოს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. უნდა დავყვეთ.

მ ა კ რ ი ნ ე. ააა?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ჰო... რა ვუყოთ, ახლა... ჩვენს მეტი აღარავინ გადასახლებულა იმ ქალაქში? მიიხედ-მოიხედე! (უთითებს.) ის ანდრიასეულია, იქით — ანგიასეული, აქით კიღასნამოსახლარი...

მ ა კ რ ი ნ ე (ყრუდ). აქაურობასაც ნამოსახლარი დაერქმევა...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. თქვენ წადით... მე ჩვენი ეზოს ერთი პატარა ყურე და ბელელიც მეყოფა.

მ ა კ რ ი ნ ე. სახლი გავყიდოთ? შენი ხელით აშენებული?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. სადაც ჩემი ძმისწული და მომავალი იქნება, იქ მოახმაროთ ღმერთმა! რა ვუყოთ, კეთილად მაინც მომიგონებენ!

მ ა კ რ ი ნ ე. ვერც მე წავალ!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. შვილს ჭირდები!

მ ა კ რ ი ნ ე. აქაურობაზე გულის ძარღვებით ვარ გადაქსოვილი...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ამ ბიჭს ვიღას ხელში აგდებ? არ ხედავ, როგორ აქვს ჭკუა-გონება აბნეული?

მ ა კ რ ი ნ ე. ქალაქში რა გამაჩერებს!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. იქაც ჩვენისთანა მშრომელი ხალხი არაა? ერთი ორი კრაზანა სკაშიაც გამოერევა.

მ ა კ რ ი ნ ე. იმათთან... ცხოვრებას... რა შემაძლებინებს?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. შვილის სიყვარული. ავია თუ კარგია, ოჯახს უნდა მოვუფრთხილდეთ. ვერ ხედავ, თითზე ჩამოსათვლელი დავრჩით მშვენიერაძეები?

მ ა კ რ ი ნ ე. შენ ვიღამ დაგინთოს ცეცხლი? ძმასავით მედექი მხარში. თან გადაყოლილი ხარ ჩემს შვილებზე...

ყ ა რ ა მ ა ნ ი (მოჩვენებითი რიხით და მხიარულებით). ცეცხლს დავანთებ კი არა, ნახე თუ ახალი ოდა არ წამოვჭიმო! იქნება, ქალიც შევირთო.

მ ა კ რ ი ნ ე (თავის ფიქრს პასუხობს). მანანამ რომ გაიგოს, გადაირევა.

ყარამანი. ტკბილად უთხარი, ნელა შეაჩვიე: იქ უნდა ისწავლო თქვა.

მაკრინე. „აქაურობას ვერ მოეშორდებიო“ — ასე ამბობს, ენაცვალოს ბებია, „დაუსწრებელზე ვისწავლიო“...

ყარამანი. ჭკვიანი გოგოა და როგორც ოჯახს მოუხდება, ისე მოიქცევა.

მაკრინე. ასე მოუხდება, ვითომ, ოჯახს? მეტი არაა შენი მტერი! (პაუზა.) ეგებ არც კი მოინდომონ აქაურობის გაყიდვა, ჰა, შეატყვე რამე, იმ ქალს, თუ?

ყარამანი (გამოცოცხლებული). აჰ! მაგ ცოდვას ვერ ვიტყვი. ეფიქრობ, ქმარიც უნდა უყვარდეს.

მაკრინე. ოღონდ შვილს ნუ გამიმწარებს, ნურც აქაურობას მოფშვნის და დიანასაც მოსამსახურედ დავუდგები.

ყარამანი (მხიარულად). არა, გასაოცარი კია ჩვენი საქმე! კაცისშვილი არაფერს ამბობს სახლის გაყიდვაზე და ჩვენ გული გავისივეთ, (პაუზა.) იქნება კაშხალს რომ მოათავსებს, დავითიც დაწყნარდეს და ის ქალიც მოდგეს ოჯახში, ჰა?

მაკრინე. შენ პირს შაქარი!

ყარამანი. ასეა, ასე! მაგრამ ჭკვიანი კაცი წინ უნდა იყურებოდეს, ახლა მეც წინ ვიყურები, ჩემო რძალო, მაგრამ ვახშამს ვერსად ვხედავ... წამოდი, მოგეხმარები, ბუხარს მოვაკიზინებ, ქათამს დავკლავ და მერე შენ იცი! (გადაჭრილ კაკალთან გაივლიან. აკვირდებიან.) მაკრინე, ხედავ ამას? ნახე ახალი ულორტები თუ არ ამოხეთქოს!

მაკრინე. მართლა, ყარამანო!

ყარამანი. და იქნება ისევ ნიშნობა, ქორწილი და ძეობა ამ კაკლის ხის ქვეშ. ამ კოინდარზე (ჩაიღიღინებს.) „იას ვარდი მირჩევნია, ოვ, ნანინა“... (გადიან. მცირე ხნის შემდეგ შემოდიან ამირანი, ნინო და ნიმფა).

ნიმფა. ოჰ! დავიღალე! „კაშხალი, კაშხალი“ — და მეც რაღაცა არ მეგონა? უბრალოდ დაგუბებული წყალია, რა დიდი ფილოსოფია იმას უნდა? ნეტავი, ის ჩემი სიძე რას უთევს ღამეებს?

ნინო (ეზოს სიღრმისაკენ იყურება). ბუხრიდან ბოლი ამოდის.

ნიმფა. ესე იგი, მაკრინე მოსულა და ვახშამს ამზადებს, მანამდე რა ვაკეთოთ?

ნ ი ნ ო. ვითამაშოთ, ამირანს თუ სცალია...

ა მ ი რ ა ნ ი. თქვენთვის — ყოველთვის!

ნ ი მ ფ ა. გაამზადეთ. (მაგნიტოფონს ჩართავს. მოისმის მუსიკა).

ა მ ი რ ა ნ ი. რაზე ვითამაშოთ?

ნ ი ნ ო. დარჩენილი ხუთჯერ გაძვრეს ამ მაგიდის ქვეშ. (თამაშობენ).

ნ ი მ ფ ა (ოცნებით). ფრანგული ჯაზი! პარიზი! ახლა იქ, ჭაღების შუქზე, თვალის მომჭრელად ელავს სამკაულები... ქალები შიშველი მხრებით... ფრაკებში გამოკვართული მამაკაცები. ბროლის ბოკალებში შუშხუნებს შამპანური... ჩვენ კი აქ, ყვავილეთში...

ნ ი ნ ო. ოჰ! დავრჩი (წამოდგება).

ა მ ი რ ა ნ ი. მოგიკვდათ ამირანი! (ორად იკაკვება და ხუთჯერ ძვრება, მაგიდის ქვეშ. ქალები იცინიან, მაგიდას ხელს ურტყამენ).

დ ა ვ ი თ ი ს ხ მ ა. ნინო, გენაცვალე, ოდნავ დაუწიე. მუშაობას მიშლის.

ნ ი ნ ო. შინა ყოფილა!

ნ ი მ ფ ა (გაგულისებული გამორთავს მაგნიტოფონს). და ამას, ჩემი ძმისწულის ფიქრით, ჰქვია ცხოვრება! არა, მე მეტი აღარ შემიძლია! შენ თოკები გაქვს ნერვების მაგივრად, თოკები!

ნ ი ნ ო. დავით, დათული! (გამოდის დავითი.) მოდი, შემოგვიერთდი.

დ ა ვ ი თ ი (შეწუხებული). არ მცალია, გენაცვალე, არ შემიძლია!

ნ ი ნ ო. სამუშაოს რა გაათავებს?

დ ა ვ ი თ ი. მე უნდა გავათავო.

ნ ი ნ ო. სულ აღარ მონაწილეობ ჩვენს გართობებში.

დ ა ვ ი თ ი. რა ვქნა, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ. ჩემს მაგივრად, აგერ, ამირანი გემსახურებათ... მივლინებიდანაც პირდაპირ თქვენთან გამოცხადებულა და ალბათ ანგარიშიც თქვენვე ჩაგაბარათ.

ა მ ი რ ა ნ ი. ვაპირებდი მოსვლას, მაგრამ...

ნ ი მ ფ ა. რა ქნას? ერთადერთი ადამიანია, რომელიც ხანდახან მაინც იცლის ჩვენთვის. (ეზოს სიღრმისკენ მიდის).

დ ა ვ ი თ ი. შენ იცი, როგორ გელოდებოდით. იცი, რას ნიშნავს ჩემთვის ყოველი წუთი. ხუთი დღით წახვედი და ათი დღე დაიკარგე. ახლაც დაბრუნებულხარ და... ყოჩაღ, ძმაო, მადლობის მეტი რა მეთქმის!

ნ ი ნ ო. დავით! ეს ჩემი შეურაცხყოფაა, ჩემი შეურაცხყოფა! (დავითი ხელს ჩაიქნევს, სახლში შებრუნდება).

ა მ ი რ ა ნ ი. მე... თქვენდამი ყურადღება მაგისი პატივისცემაც მგონია!

(ნინო სახეს ხელებში მალავს. მხრები უთრთის).

დამშვიდდით, ძალიან გთხოვთ! ნინო, აბა ხელი ჩამოიღეთ! ნინო!

ნ ი ნ ო. რა დამამშვიდებს! დავითს ერთი წუთითაც აღარა სცალია ჩემთვის... აღარ ეუყვარვარ... არა!

ა მ ი რ ა ნ ი. რას ამბობთ, ნინო, რა ქნას დავითმა, სამუშაომ გადაიყოლა.

ნ ი ნ ო. არა, არა, არა, ამირან, მამიდა მართალია... ტყუილად ვოცნებობდი, რომ...

ა მ ი რ ა ნ ი. დამშვიდდით, გთხოვთ! მე ხომ თქვენი მეგობარი ვარ...

ნ ი მ ფ ა ს ხ მ ა. დიანა, დიდუსიკ! ჩემი დიანა! ღმერთო ჩემო... (შემორბის.) დიანა დაიკარგა! (სკამძელზე ეშვება).

ნ ი ნ ო და ა მ ი რ ა ნ ი. დაიკარგა?

ნ ი მ ფ ა. დაიკარგა, დაიკარგა! ვაიმე, ვაიმე! (შემორბიან ყარამანი, მაკრინე და დავითი).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რა მოხდა, ქალბატონო ნიმფა?

ა მ ი რ ა ნ ი. დიანა დაკარგულა!

მ ა კ რ ი ნ ე. სად დაიკარგებოდა, გენაცვალე!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. დარდი ნუ გაქვთ, მთელ სოფელს გადავაბრუნებ და ვიპოვით! (ეძებს.)

ნ ი მ ფ ა. არა, აქ არ არის... მომყევით! (გარბის. ამირანი, მაკრინე და ყარამანი მისდევენ).

ნ ი ნ ო (ტირილით). ალბათ ცემეს, გააგდეს...

დ ა ვ ი თ ი. ვინ სცემდა, ვინ გააგდებდა?

ნ ი ნ ო. ძალიან კარგად ვიცი, ვინც, მე ყველაფერს ვხედავ.

დ ა ვ ი თ ი. მაინც?

ნ ი ნ ო. რაც საჭიროა. რამდენი დღეა, ჩემი ამბავიც არ გიკითხავს!

დ ა ვ ი თ ი. წყალს აქეთ მედავები? შენ არაფის შეუწუხებიხარ...

ნ ი ნ ო. შენ კაშხალის მეტი არაფერი გაინტერესებს... ან იქა ხარ, ან ოთახში, ჩაიკეტები და პროექტს ჩაჰკირკიტებ...

დ ა ვ ი თ ი. შეცდომა თუ დავუშვი? მიზეზს ვეძებ.

ნ ი ნ ო. მაგასაც მე ხომ არ მაბრალებ?

დ ა ვ ი თ ი. ჩემ თავს, მხოლოდ ჩემ თავს... ახლა... მთელი სოფელი ჩემს გვერდით იდგა...

ნ ი ნ ო. ისიც იქ გყავდა, ვინც გინდოდა!

დ ა ვ ი თ ი. ნინო!

ნ ი ნ ო. დიახ, ის, ვისი სახელიც კაკლის ხეზე გქონდა ამოჭრილი. მაგრამ მითხარი, მე რას მერჩოდი, რა დაგიშავე, რად ჩამომიყვანე?

დ ა ვ ი თ ი. როგორ, თუ რად? ნინო, გენაცვალე!

ნ ი ნ ო. გიყვარდი?! ჰმ! შენ შენი კაშხალი გიყვარს, შენიანები და ის, ვინც იქ გყავდა ახლა, კაშხალზე.

დ ა ვ ი თ ი. გაჩუმდი!

ნ ი ნ ო. დიახ, დიახ! და მხოლოდ ერთი რამე გაინტერესებთ: მშვენიერაძეების მოდგმის გამრავლება!

დ ა ვ ი თ ი. როგორ არ გრცხვენია! ნინო, პირდაპირ ველარ გცნობ!

ნ ი ნ ო. შენ რატომ არ გრცხვენია! ჩამომიყვანე აქ...

დ ა ვ ი თ ი. შენ ხომ მოგწონდა ყვავილეთი, შენი საქმეც გაქვს.

ნ ი ნ ო. საქმე!!! დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია, დავიღალე!

დ ა ვ ი თ ი. რამ დაგღალა?

ნ ი ნ ო. იქნებ შენი მოხუცების მომსახურებასაც მავალებ?

დ ა ვ ი თ ი (ხმას აიმაღლებს). ჯერჯერობით მხოლოდ ისინი გემსახურებიან. არა, გიმეორებ, რამ დაგღალა? „ვხატავ, ვხატავო“ და შენი დახატული ვერაფერი ვნახე!

ნ ი ნ ო. ახია, ჩემზე, ახი! მიყვირე, მცემე!

დ ა ვ ი თ ი (რბილად). რა გემართება?

ნ ი ნ ო. თავი დამანებე!

დ ა ვ ი თ ი. „შვილი გინდათო“, გვისაყვედურებ... მითხარი, რატომ არ უნდა გვინდოდეს, ან შენ რატომ არ უნდა გინდოდეს შვილი? უნდა ვიცოდე მაინც, რა გინდა, რას ფიქრობ, რა უნდა გააკეთო, რა დანიშნულება აქვს შენს ყოფნას ამ ქვეყანაზე?

ნ ი ნ ო (ისტერიულად). ეგ დავიმსახურე! ჩემი... სულელური სიყვარულით დავიმსახურე. შენი გულისთვის მივატოვე ყველაფერი, რაც ძვირფასი იყო ჩემთვის... შენმა სიყვარულმა წამომიყვანა აქ... შენ კი... მართლაც, რა დანიშნულება აქვს ამის შემდეგ ჩემს ცხოვრებას, ჩემ ყოფნას ამ ქვეყნად? — არაფერი! (შემოდიან ნიმფა, მაკრინე და ყარამანი.)

დ ა ვ ი თ ი (რბილად). ნინო!

ნ ი ნ ო. არ მომეკარო! (ტირილით გარბის).

დ ა ვ ი თ ი. ნინო! (გამოუდგება).

ნ ი მ ფ ა. შეჩერდი, ყმაწვილო! თუ ქალი ვყოფილვარ, მიმოზას ცრემლებს არ გაპატიებ! რა ვქნა, რომ გასულელდა, უყვარხარ, თორემ ამ ჭერქვეშ ერთ დღესაც არ გავაჩერებდი. ქალმა ბრწყინვალე მომავალს და ბრწყინვალე საქმროებს უთხრა უარი, ამ ჯურღმულში ჩაჯდა, შენი მოხუცები საკუთარი მშობლებივით შეიყვარა... შვილის გაჩენასაც კი აპირებდა... მეც ქალაქი მივატოვე, კლიენტები მივატოვე... მთელი ქალაქის არისტოკრატია უკან მომტირის, ყველა დიდკაცის ოჯახში ვარ მიღებული და დაფასებული — იმათ ცოლებს მე ვალამაზებ... და ეს ჯილდო დავიმსახურეთ? იცოდე, ჩემ ძმისწულს რომ რამე... (ისმის თოფის ხმა. ყველანი გაქვავდებიან და იქით მიბრუნდებიან საითაც ნინო გავიდა. შემოდის გია ძაღლით ხელში).

გ ი ა. გესმით, რა სროლაა? მრავლაძეებს მეათე ვაჟი შეეძინათ!

მ ა კ რ ი ნ ე. ამრავლოთ დედა-შვილობის გამჩენმა!

გ ი ა (ძაღლს დავითს შიაწოდებს). რკინიგზის სადგურზე ვიპოვე!

მოქმედება მესამე

მშვენიერაძეების ეზო, საღამო ხანია. მაგიდასთან დავითი ზის, პროექტს ჩასცქერის. ნიმფა ეზოსა და სახლს შორის მიდი-მოდის, გამგზავრების სამზადისშია. მოშორებით სკამელზე ზის მანანა, წიგნით ხელში.

მ ა ნ ა ნ ა. ხანდახან გესიზმრება, მაჯლაჯუნა მოგდევს... გინდა იყვირო, გაიქცე, მაგრამ ვერც ხმას იღებ, არც გაქცევა შეგიძლია... დამცინა!.. ესე იგი, შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, იმან კი დაგცინოს... როგორ აირია ყველაფერი! რატომ არ არის ცოცხალი ჩემი კაკლის ხე! ზედ ავიდოდი, გადავხედავდი ჩემ ყვავილეთს... ხელის გულზე გადაშლილივით გამოჩნდებოდა მწვანე, ხავერდოვანი მდელოები, მათ დარაჯად მდგარი მედიდური მთები თეთრი ქუდებით რომ გამჭირვალე ცას ეხებიან... და ისევ ამიტაცებდა ოცნება ზევით, სულ ზევით!.. **(მაკრინეს შეხვეული შემოაქვს, ნიმფას აწვდის. დავითი დაძაბულად ფიქრობს).**

ნ ი მ ფ ა. დეპეშა გაგზავნე?

დ ა ვ ი თ ი **(შეკრთება).** აა?

ნ ი მ ფ ა. დეპეშა გაგზავნე?

დ ა ვ ი თ ი. მანანას დავავალე.

ნ ი მ ფ ა. რომ არ მიიღოს, დაიღუპებით! **(სახლისაკენ მიღის. მალე ბრუნდება.)** ჩასვლის დღე ჩაწერე?

დ ა ვ ი თ ი. ჩავწერე, ჩავწერე, რა თქმა უნდა, ჩავწერე. **(შემოდის მაკრინე თეფშით ხელში).**

მ ა კ რ ი ნ ე. როგორაა?

ნ ი მ ფ ა. ისევ ისე.

მ ა კ რ ი ნ ე. ნუ ღელავთ. მეც ხომ დედა ვარ და მენდეთ— საშიში არაფერია. **(თეფშს მიაწოდებს.)** ა, იქნებ ეს ესიამოვნოს. **(ახლოვდება მატრონა ქილით ხელში).**

მ ა ტ რ ო ნ ა. მაკრინე. აქეთ მომხედე. **(ხმადაბლა.)** იქნებ

ლოლნოშოს მურაბა ესიამოვნოს. ჰოდა, თუ კიდევ სხვა რამე მოინატროს, არ მომერიდო.

მ ა კ რ ი ნ ე. გმადლობ დაიკო. (გაბრუნდება).

მ ა ტ რ ო ნ ა. არ დაეცე, შე ქალო! (ღიმილით.) თუმცა საფრენად კი გაქვს საქმე.

მ ა კ რ ი ნ ე. შენს პირს შაქარი! ნეტავი კარგად იქნებოდეს და... (შემოდის ანეტა თეფშით ხელში).

ა ნ ე ტ ა (ხმადაბლა). მაპატიე, ვეღარ მოგხედე, მაკრინე, დეიდა. ნინოს ეს მოვართვი, იქნებ ესიამოვნოს.

მ ა კ რ ი ნ ე. გმადლობ შვილო! (მატრონა და ანეტა გადიან). ეს ჩემს ნინოს მოართვეს მეზობლებმა. (ნიმფას აწოდებს.) ეგება...

ნ ი მ ფ ა. საჭმელი კი არა... (ხელს ჩაიქნევს. მაკრინე ამოიოხრებს. გადის).

დ ა ვ ი თ ი. აქ რომ გამოვუძახოთ ექიმს?

ნ ი მ ფ ა. სოფლის ექიმს?

დ ა ვ ი თ ი. ქალაქიდან გამოვიწვიოთ.

ნ ი მ ფ ა. მიმოზა, შვილო, საუკეთესო სპეციალისტებს უნდა ეჩვენოს! გულს ნუ ეხუმრებით! (გადის).

დ ა ვ ი თ ი (დაფიქრდება. პაუზის შემდეგ, ხმამაღლა). მანანა, ცნობარი გადაეცი?

მ ა ნ ა ნ ა. ეთერი შინ არ იყო. სხვა ხომ არაფერი გინდა?

დ ა ვ ი თ ი. არა. აუცილებლად მიუტანე. (გამოდის ნიმფა.) ქალაქში ორ დღეს მაინც შემაგვიანდება, იქნებ დასჭირდეს.

ნ ი მ ფ ა. მარტო ორი დღით მოდიხარ?

დ ა ვ ი თ ი. რა ვქნა, მეტი დრო არა მაქვს, კაშხალს ვერ დავტოვებ. (გამოდის მაკრინე).

მ ა კ რ ი ნ ე. შვილო, დავით...

ნ ი მ ფ ა. ცუდადაა? მოგიკვდეს მამიდა, შვილო!

დ ა ვ ი თ ი. წვეთები...

ნ ი მ ფ ა. წვეთებმა როგორ უნდა უშველოს ადამიანს, რომელსაც... ეჰ! (ხელს ჩაიქნევს. სახლისაკენ ჯარბის).

მ ა კ რ ი ნ ე (დაბნეულად). ბიჭო, სევასტიმ მნახოსო — ა? მართლა ცუდათაა? (შინ შერბის. დავითიც მისდევს) ეზოში ღიღინით შემოდის შექეიფებული ამირანი).

ა მ ი რ ა ნ ი. „სამშობლოს ვერვინ წამართმევს.
ნურც ნურვინ შემეცილება“...

მ ა ნ ა ნ ა (გამოიხედავს.) სსუუ!

ა მ ი რ ა ნ ი. ცუდათაა?

მ ა ნ ა ნ ა. ისევ ისე.

ა მ ი რ ა ნ ი. მანანა, ის რაც მაშინ ჩემგან გეწყინა, ხუმრობა იყო, უბრალო ხუმრობა. კიდევ მემდური?

მ ა ნ ა ნ ა. ხუმრობა! თქვენ ისევ ნასვამი ხართ.

ა მ ი რ ა ნ ი. ეჰ, მანანა, ხანდახან კაცს გულში ცეცხლი აქვს, პირზე ღიმილი და ღვინოსაც იმიტომ სვამს, რომ ის ცეცხლი ჩააქროს, ნუ, ნუ გამიწყრები!

მ ა ნ ა ნ ა. იცით, ამირან, რაც ეს კაკლის ხე მოიჭრა, აქაურობას ველარ ვცნობ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩვენს სახლში რაღაც უცხო შემოიჭრა... დავითს საქმეები აერია, ნინო...

ა მ ი რ ა ნ ი. ეჰ, ცხოვრება — ცხოვრებაა, მანანა! დავითმა ჩამოიყვანა ქალაქის კეთილ ცხოვრებას დაჩვეული ქალი, აქ ვერც თეატრი აუშენა, ვერც საკონცერტო დარბაზი, თვითონაც საქმეში გაერთო და...

მ ა ნ ა ნ ა. გახსოვთ, რა ბედნიერი იყო, რაზე ოცნებობდა...

ა მ ი რ ა ნ ი. ოცნებას სარჩული აკლდა, სარჩული. აბა ჰკონოდა ბლომად ფული, გუკულებივით იცხოვრებდნენ.

მ ა ნ ა ნ ა. ესე იგი, ბედნიერება მხოლოდ ფულია.

ა მ ი რ ა ნ ი. ჩემთვის არა, მაგრამ ზოგისთვის, სამწუხაროდ ასეა!

მ ა ნ ა ნ ა. იცით, ამირან, ჩვენს ოჯახს ბევრი უბედურება უნახავს, მაგრამ ბევრი ბედნიერი დღეც ახსოვს.. ბიძაჩემი ქალაქში სწავლობდა, ბებია და ბაბუა უკანასკნელ კაპიკებს უგზავნიდნენ, მაგრამ ჩვენ ოცნებობდით იმ დღეზე, როდესაც ბიძაჩემი სწავლას დაამთავრებდა, ყვავილეთში დაბრუნდებოდა, ცოლს მოიყვანდა... ეს ოცნება ყველას სიხარულით გვავსებდა და ბედნიერები ვიყავით, ნამდვილად ბედნიერები.

ა მ ი რ ა ნ ი. ალბათ ასეც ხდება... გააჩნია, რას მოითხოვ ცხოვრებისაგან. ზოგის ბედნიერებისათვის აუცილებელია მან-

ქანა, აგარაკი, ჩინებული ბინა თბილისში... მეორე კმაყოფილ-
დება ერთი ოთახით, პატარა ჯამაგირით და დიდი ოცნებით.

მ ა ნ ა ნ ა. არა, კარგი ბინა, აგარაკი, მანქანა ყველას უნდა, მაგრამ განსხვავება იმაშია, ვისთვის რა არის მთავარი ცხოვრებაში: ვინ იყო და როგორი, თუ რა გქონდეს და რამდენი. გახსოვთ ის დღე, ერთად რომ ვიყავით კოშკის ნანგრევებზე... მე მაშინ სხვა არაფერი არ მინდოდა, მინდოდა მხოლოდ ვყოფილიყავი კარგი, ძალიან კარგი ჩემთვისაც, თქვენთვისაც, ყველასთვის... და მე ბედნიერი ვიყავი...

ა მ ი რ ა ნ ი. ბედნიერი! ეჰ, ჩემო მანანა! შენ ჯერ არ იცნობ ცხოვრებას, ბედნიერი! სად არის ბედნიერება? ყველაფერი სულელური ხუმრობაა. სიცოცხლეც, სიყვარულიც...

მ ა ნ ა ნ ა. ხუმრობა?

ა მ ი რ ა ნ ი. არის იშვიათი გამონაკლისი... მაგალითად, ნინოს სიყვარული დავითისადმი... მე კი ხუმრობა გამომივიდა და ისე დავიწვი იმ ხუმრობაზე, რომ სწავლა მივატოვე, გზა ამერია... გვიან მოვედი გონს, დავიწყე ჩემი ადგილის ძებნა და აი ჩემმა ვარსკვლავმა ყვავილეთში მომიყვანა. ახლა სხვები მინდა დავიცვა იმ სიდამწვრისაგან, მაგრამ... მგონი მე თვითონ, ისევ... (მანანა დაძაბულად უსმენს.) მაგრამ ვებრძვი ჩემს თავს, იმიტომ, რომ... ერთი სიტყვით ის ქალი ჩემი ვერ იქნება, არ შეიძლება! აქეთ მოდიან... (ხმაპაღლა.) რას არ ამოიკითხავს კაცი იმ ნანგრევებში, არა?

მ ა ნ ა ნ ა (თავს იკავებს). დიახ, რას არ ამოიკითხავს, კაცი ნანგრევებში... ნანგრევებში... ნანგრევებში. (გადის).

ა მ ი რ ა ნ ი (გაოცებული). მანანა! (შემოდიან დავითი, ნიმფა და ნინო).

ნ ი მ ფ ა. იქნებ აქ, ეზოში, უკეთ იგრძნო თავი? მოგიკვდეს შამიდა, რა ფერი გადევს!

დ ა ვ ი თ ი. კარგი ფერი აქვს! ცუდად ხარ?

ნ ი ნ ო. არაფერია, ძვირფასო, ნუ ღელავ!

ნ ი მ ფ ა. ოჰ, ამირან, გეთაყვა, მხოლოდ ახლა დაგინახეთ... ამ გოგოს ავადმყოფობამ ისე დამიფანტა ჭკუა-გონება, რომ...

(ამირანს ხმადაბლა ესაუბრება).

დ ა ვ ი თ ი (ხმადაბლა). ნუ გეშინია, ნინო, დედა ამბობს, რომ...

ნ ი ნ ო (ასევე). რომ მოვკვდე?

დ ა ვ ი თ ი. სუ, ნინო.

ნ ი ნ ო. შენ მაინც გისურვებ ბედნიერებას.

დ ა ვ ი თ ი. რას ამბობ! ბედნიერება უშენოდ?

ნ ი ნ ო. მიწა გრილია...

დ ა ვ ი თ ი. ნინო, ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, რომ იმ დღეს...

ნ ი ნ ო. მეც არ ვიყავი მართალი, მაგრამ... მაგრამ მიყვარხარ დავით და...

დ ა ვ ი თ ი. ნუ, ნუ, გენაცვალე. ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, ნინო, ნამდვილად ბედნიერები. აგერ, წაგიყვანთ ქალაქში, ეჩვენები ექიმებს და მჯერა, რომ დაბრუნდები ისევ მხიარული, ახალი ოცნებით, გეგმებით... გეგმები, გეგმები!.. წარმოგიდგენია? რა ხანია თავს ვიტეხ, ვეძებ შეცდომას და მგონი ძლივს გამეხსნა გონება. როდესაც დედაჩემმა მითხრა შენი უგუნებობის მიზეზი, ისეთმა სევდამ შემიპყრო, რომ...

ა მ ი რ ა ნ ი (ხმაჭაღლა). იქნებ მაინც ექიმი მოგვეყვანა?

ნ ი მ ფ ა. სადაა მერე?

ა მ ი რ ა ნ ი. აქ, რაიონში.

ნ ი მ ფ ა. თქვენგან კი მიკვირს.

დ ა ვ ი თ ი (თავისთვის). ასეა, ნამდვილად ასე! (ნინოს.) მაპატიე, ერთი წუთით უნდა დაგტოვო! (მაგიდასთან მიდის. ერთერთ ნახაზს იღებს, ათვალიერებს, თავისთვის.) მგონი მივაგენი!

ნ ი მ ფ ა. საწყალი ბიჭი! სულ არა აქვს მუშაობის პირობები! ცალკე ცოლის დარდი, ცალკე კაშხალი... ასეა, შვილო, დაუფიქრებელ ნაბიჯს რომ გადასდგამთ.... ყოფილიყავით ქალაქში და...

დ ა ვ ი თ ი (თავისთვის). ჰო, ჰო, მივაგენი! (ნახაზი სახლისაკენ მიაქვს).

ნ ი მ ფ ა. მოგვეხმარეთ ამირან, მოგვეხმარეთ! ორი უმწეო ქალი გთხოვთ შველას!

ა მ ი რ ა ნ ი. ქალბატონო ნიმფა. დამშეიდდით! რა მოგიეიდათ!

ნ ი მ ფ ა. ჩემი თავი ჯანდაბას! მე მხოლოდ ორი ადამიანის ბედი მაწუხებს, იღუპებიან, ნამდვილად იღუპებიან! ყვავილეთი სამარეა მათთვის! (ნინოს.) არ შეგეშინდეს, მოგიკვდეს მამიდა! (ამირანს.) კარგადაც რომ იყოს, რა უნდა აკეთოს მიმოზამ ამ ჯოჯოხეთში? ხატოს მატრონები და მაკრინეები? ამიტომ შევხაროდი ამის ნიშს? (ნინოს.) გენაცვალოს მამიდა! (ამირანს.) დავითი? მაგისი ამხანაგები პროფესორები არიან, ამან კი, ყველაზე ნიჭიერმა, დიდი სამეცნიერო კარიერა მიატოვა და ერთ საცოდავ კაშხალსაც ვერ მოუარა.... დაიღუპება აქ, ნამდვილად დაიღუპება... (გამოდის დავითი. ხელში ჭოკი და შეხვეული უჭირავს).

დ ა ვ ი თ ი (სიხარულით). მივაგენი შეცდომას, ნამდვილად მივაგენი. წარმოგიდგენიათ? პირველი ტურბინის სიმძლავრის გაზრდისათვის, საჭიროა ქვედა ბიეფის დაწევა. გესმით, ნინო, ამირან, გესმით? სადინარი იმიტომ იქედება, რომ წყლის ადიდების დროს შფოთიანას უამრავი ლამი მოაქვს. ეს შენიშვნა მე უნდა შემეტანა პროექტის შედგენის დროს. მე ხომ ყველაზე კარგად ვიცოდი შფოთიანას ბუნება.

ა მ ი რ ა ნ ი. ეს დეპეშა შენს სახელზეა. (გადასცემს).

დ ა ვ ი თ ი. კაცს მიგზავნიან დასახმარებლად? საჭირო აღარაა! შეცდომას მივაგენი და ვიცი, როგორც უნდა გამოვასწორო.

(წასასვლელად გაემზადება).

ა მ ი რ ა ნ ი. საით, დავით?

დ ა ვ ი თ ი. კაშხალზე, ფსკერს ჭოკით დავზომავ და წყალქვეშა აფეთქებას ვცდი. საგუბარი უნდა გაიწმინდოს. ამირან, შენ რომ წამომყვებოდე, კარგს იზამ.

ნ ი ნ ო. ესე იგი, მიდიხარ?!! მამიდა!

დ ა ვ ი თ ი. ნინო, გენაცვალე, მაპატიე! მართლაც ვერ გაქცევ ყურადღებას ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ... ხომ ხედავ, რა დღეში ვარ!.. მალე დავბრუნდები.

ნ ი ნ ო. ვიცი შენი „ბალე“.

დ ა ვ ი თ ი. ნინო, გენაცვალე, თუ ძალიან ცუდად ხარ, არ წავალ.

ნ ი ნ ო. რატომ... წადი!.. რაში გაინტერესებს, როგორა ვარ.

დ ა ვ ი თ ი. ნინო, გამიგე, რომ...

ნ ი ნ ო. ყველაფერი მე უნდა გავიგო, დაგითმო, გაპატიო, შენ კი...

დ ა ვ ი თ ი. ნინო! ეს კაშხალი იმიტომ ჩაშაბარეს, რომ მენდობოდნენ, სჯეროდათ ჩემი. ყველაფერ ამას მარტო ჩემთვის ხომ არ ვაკეთებ! შენთვისაც უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა. ჩვენი მომავლისთვისაც. შენ ხომ გინდა, რომ შენი ქმარი...

ნ ი ნ ო. მე არაფერი აღარ მინდა, არაფერი!

დ ა ვ ი თ ი. ღმერთო... რა წყალში ჩავვარდე! (გადის).

ნ ი ნ ო. წავიდა... (ამირანი წასვლას დააპირებს).

ნ ი მ ფ ა (მუხლზე დაეცემა). მოგვეხმარეთ, ამირან, დაარაგოთ!

ა მ ი რ ა ნ ი. ქალბატონო ნიმფა! (წამოაყენებს).

ნ ი მ ფ ა. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ დავითი, სოფლისა და მოსუცების სიყვარულის გარდა, სხვა უფრო დიდი ჯაჭვითაც არის დაბმული... (ნინოს.) დამშვიდდი, მიმოზა! (ამირანს.) ნამდვილად! იმისი სახელი ხომ კაკლის ხეზეც ყოფილა ამოჭრილი.

ა მ ი რ ა ნ ი. ეგ მაინც არ ,ნიშნავს, რომ...

ნ ი მ ფ ა. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი! (ნინოს.) ნუ ღელავ, მაია დოროგაია, (ამირანს.) ხომ ხედავთ, ცოლის ავადმყოფობამაც ვერ დაბა შინ. იმ ქალბატონსაც იქვე ჰქონია ბალი და... ჩემ გოგოს მომიკლავენ; (ნინოს.) ნუ გეშინია, მოგიკვდეს მამიდა!

ა მ ი რ ა ნ ი. დამშვიდდით, ქალბატონო ნიმფა!

ნ ი მ ფ ა. რა დამამშვიდებს! ეგ ამბავი მომიკლავს... და არა ამრტო ამას, ამათ შვილსაც... დაგვეხმარეთ, დაგვეხმარეთ, ამ ორ უმწეო ქალს.

ა მ ი რ ა ნ ი. მე უკვე მაქვს მოსახარებელი: პეტრე მრაველაძე, რომელზედაც გელაპარაკეთ სახლის თაობაზე, დავითის დასახმარებლად ჩამოდის და იქნებ...

ნ ი მ ფ ა. ამირან! მომეცით სიტყვა, რომ დაგვეხმარებით.

ა მ ი რ ა ნ ი. ახლავე მოველაპარაკები დავითს და ვეცდები გავაკეთო ყველაფერი, რაც შემიძლია.

ნ ი მ ფ ა (თვალთან ხელსახოცი მიაქვს). ანგელოზი ხართ. მფარველი ანგელოზი!.. (ამირანი გადის).

ნ ი ნ ო. მამიდა, ისეც გამწვავდა ჩემი და დავითის დამოკიდებულება და ვაი, თუ...

ნ ი მ ფ ა. პირიქით! ჩვენი საქმე ასე კარგად ჯერ არ ყოფილა! დავითს რომ უყვარხარ ცხადია. აყალ-მაყალსაც მოერიდება. სახლის მუშტარიც ხომ ჩამოდის, — ღმერთმა უშველოს და... ერთი სიტყვით დედოფალივით გაცხოვრებ, ჩემო მხატვარო, დედოფალივით!

ნ ი ნ ო. „მხატვარო", მე კი, მგონი, ნიჭიც არა მაქვს.

ნ ი მ ფ ა. სისულელეა. მხოლოდ ეს იცოდე, რომ, თუ დავითი მარტო ორი დღით წამოვიდა აქედან, არაფერი არ გამოვა. ერთი თვით მაინც უნდა წამოიყვანო, რომ მარტო ჩვენს გავლენაში მოექცეს. აქეთ მოდიან.

(გამოდიან მანანა და გია).

მ ა ნ ა ნ ა. ისევ ცუდად ხართ?

ნ ი მ ფ ა. არაფერია, შვილო, აგერ, წავიყვანთ, იმკურნალებს და.... ხომ ასეა, მანანა?

მ ა ნ ა ნ ა. დიახ! კარგად იქნები, ნინო ბიცოლა, კარგად.

ნ ი მ ფ ა. ჰო, როგორც კი ჰაერს გამოიცვლი, ნახე თუ კარგად არ გახდე. ნამდვილად აქაური ჰაერიც გწყენს! (გადიან).

გ ი ა. მიდიან?

მ ა ნ ა ნ ა. ჰო, სამკურნალოდ მიჰყავს.

გ ი ა. ისეც წავიდოდნენ.

მ ა ნ ა ნ ა. რატომ? (შემოდის ყარამანი, ხელში წალდი და მიმოზას შტოები უჭირავს).

გ ი ა. იმიტომ, რომ მიმოზა ვერ იხარებს ყვავილეთში, მიმოზას არც ყვავილეთი უყვარს და არც...

მ ა ნ ა ნ ა. რას ამბობ, რას, არ მესმის, გია! და საერთოდ, არაფერი აღარ მესმის... ოდესღაც მეგონა რომ არსებობს გმირობაც.... მეგობრობაც, რაინდობაც, სიყვარულიც... ისეთი, როგორსაც რუსთაველი აგვიწერს...

გ ი ა. არსებობს, არსებობს, მაგრამ რით დაგიმტკიცო?

ნეტავი კლდეზე ვარდებოდე და გიშველო, წყალში ილრჩობოდე და გადაგარჩინო, ალმოდებულ სახლიდან გამოგიტაცო. მანანა, ყველას ჰყავს თავისი ოცნების გმირი... მეც, შენც... მაგრამ ჩემი გმირი ცოცხალია, ნამდვილი და ჩემს ოცნებად იქცა იმიტომ, რომ აი, ასეთი კარგია, როგორც შენ... ასეთი თვალები აქვს, ღიმილი... შენ ერთი ხარ ასეთი... (პაუზა.) ჰო, შენ და ბიძაშენს კი სხვაგვარად მოგვიდათ!.. ბიძაშენმა შეირთო ქალი...

მ ა ნ ა ნ ა. ნინოზე ცუდს ნურაფერს იტყვი. იცი, ბებიამ მითხრა, „ნინოს მალე შვილი ეყოლებაო“.

გ ი ა. რას ამბობ! (პაუზა.) ჰო, მე ისიც მახსოვს, როდის მოვიდა შენი გმირი შენთან. ეს იყო დავითის ქორწილის დღეს. შენ მოგხიბლა მისმა გარეგნობამ, დანარჩენი თვისებები კი თვითონ მიაწერე და...

მ ა ნ ა ნ ა. შენ მურიანი გიწოდე.

გ ი ა. ეგ არაფერია, არაფერი!..

მ ა ნ ა ნ ა. ო, რა ჭკვიანი ხარ, გია, რა ჭკვიანი!.. (ყარამანს შენიშნავს.) ბაბუა!.. (ეხვევა.) ხომ ასეა, ბაბუ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი (შტოებს უჩვენებს). ავსხიპე, თორემ ეს მიმოზა მთელ ეზოს მოივლიდა. ჩვენი ბრალია, ჩვენ გაეახარეთ, წყალს ვუსხამდით...

(გამოდის ნიმფა).

ნ ი მ ფ ა. დავითი დააბრუნეთ.. მიმოზა ცუდათაა. (გია გარბის).

(სცენა ბნელდება. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნათდება. გამოჩნდება კაშხალის მშენებლობის ნაცნობი კუთხე. ხე, სკამძელი... აქეთ მომაყალ დავითს ამირანი წამოეწევა).

ა მ ი რ ა ნ ი. დავით, დავით, მომიცადე!

დ ა ვ ი თ ი (შეჩერდება). მაინც კარგია, რომ შეცდომას თვითონ მიეაგენი.

ა მ ი რ ა ნ ი. სხვა შეცდომასაც, რომ აგრე მიაგნებდე და ეამოსწორებაზეც იფიქრებდე, ურიგო არ იქნება.

დ ა ვ ი თ ი (აკვირდება). ნასვამი ხარ?

ა მ ი რ ა ნ ი. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სმით არავის არა-

ფერს ვუშავებ. ჩემს ერთადერთ სატრფოდ ყვავილეთი მიმაჩნია და ზოგიერთივით...

დ ა ვ ი თ ი. ჰო, რა „ზოგიერთივით“, სთქვი, რისი თქმაც გინდა.

ა მ ი რ ა ნ ი. მე ვხედავ ერთ ქალთა სქესის ობობას, რომელიც მეტად მოხერებულად ქსოვს ბადეს და მეშინია...

დ ა ვ ი თ ი. რა ობობა, რას ლაპარაკობ?

ა მ ი რ ა ნ ი. რა დაგიმალო, ძმაო და ეთერზე გელაპარაკები.

დ ა ვ ი თ ი. როგორ ბედავ!

ა მ ი რ ა ნ ი. რა ვიცი, ამბობენ „ეთერის სახელი კაკლის ხეზე ჰქონდა ამოჭრილი“-ო და...

დ ა ვ ი თ ი. მერე?

ა მ ი რ ა ნ ი. მეშინია, ვაი თუ მარტო ხეზე კი არა... ყოველ შემთხვევაში ნინოსა და ნიმფას აზრით ასეა, ვერც გადაარწმუნებ და ნინოს ავადმყოფობის მიზეზსაც სხვაგან ნუ ეძებ! ნიმფა ისეა გამწარებული, რომ ძლივს დავაკავე. ეთერს მიუვარდება, სოფელს შეგიყრის...

დ ა ვ ი თ ი. გაგიჟდით? შენ მაინც როგორ წარმოიდგინე, რომ...

ა მ ი რ ა ნ ი. ისე გაღიზიანებით მელაპარაკები, თითქოს მტერი ვიყო შენი. არა, ეს ამბავი მართლაც ძნელი დასაჯერებელია. ის ქალი ნინოს ფრჩხილად მაინც ღირდეს! ან ეთერისთანებმა რა იციან სიყვარულის!

დ ა ვ ი თ ი. კარგი. შევწყვიტოთ ეს ლაპარაკი! რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე...

ა მ ი რ ა ნ ი. დიდი ფილოსოფია არაა საჭირო. ეთერსაც რომ თავი დავანებოთ, რად გიკვირს, რომ მხატვარს უნდოდეს ქალაქში ცხოვრება, — და ყველაფერი ის, რასაც აქ მოკლებულია.

დ ა ვ ი თ ი. მოიცა, მოიცა, ამირან, გონება მერევა!

ა მ ი რ ა ნ ი. არა, რატომ გიყვართ ამ ჭკვიან მამაკაცებს სიბრძნის ფესვების ჩხრეკა და გავიწყდებათ, რომ ამ ნათხოვარ წუთისოფელში მთავარია: შენც გაიხარო და სხვაც გაახარო. (ფიცხად.) ბედნიერი კაცი ხარ, მშვენიერი ცოლი გყავს. ლამაზი,

ნიჭიერი, მორჩილი, მოყვარული... აგერ, მალე მამაც გახდები. ოჯახს მიხედე, ძმაო, გაეცალე აქაურობას, ამ კაშხალს სხვაც პოუვლის.

დ ა ვ ი თ ი. მოიცა, მოიცა! თუ ჩემი დახმარება გინდა, ახლა სევასტის დაუძახე, დანარჩენს მე თვითონ მოვუვლი.

ა მ ი რ ა ნ ი (თავისთვის). დაიწვა შენი ბედი, ამირან.

(ამირანი ვადის. დავითი სკამძელზე დაეშვება, მძიმედ ჩაფიქრდება. გამოდის სამგზავროდ ჩაცმული ეთერი. ხელი შეხვეული აქვს).

ე თ ე რ ი (დავითს დააკვირდება). დავით!

დ ა ვ ი თ ი. ოჰ, ეთერ! ახლა ჩამოხვედი?

ე თ ე რ ი. არა, მივდივარ, რაიონში მივდივარ.

დ ა ვ ი თ ი. იცი? ჩემს შეცდომას მივაგენი: იცი, პირველი ტურბინის სიმძლავრის გაზრდისათვის საჭიროა ქვედა ბიეფის დაწევა. ფსკერს ჭოკით დავზომავ და წყალქვეშა აფეთქებას ვცდი.

ე თ ე რ ი. მარტო?

დ ა ვ ი თ ი. ამირანი სევასტისთან გავგზავნე. (პაუზა.) ამ რამოდენიმე წუთში, მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაიარა ჩემს თვალწინ. გამახსენდა პირველი გამოცდა მეოთხე კლასში. მაშინ შენცა და მეც...

ე თ ე რ ი. გემის კაპიტნობას ვნატრობდით და...

დ ა ვ ი თ ი. წვიმის შემდეგ ყვავილეთის გუბეებში ქაღალდის გემებს ვმართავდით. ამან გაიარა. შემდეგ... მფრინავობა გვინდოდა. ოცნება-ოცნებამ შესცვალა, მაგრამ არ მინანია.

ე თ ე რ ი. შემდეგ: თბილისი, სტუდქალაქი...

დ ა ვ ი თ ი. და სტუდენტობის წლები... მაგრამ ოცნება სხვა ყოფილა, სინამდვილე, სხვა!

ე თ ე რ ი. რაზე ამბობ?

დ ა ვ ი თ ი. საერთოდ. (პაუზა.) გახსოვს, ერთხელ ასანთის ყუთით ჭიამაია რომ მოგიყვანე? (სცენა ბნელდება. გარკვეით ისმის ეთერისა და დავითის ხმები და ოდნავ მოჩანს მათი სილუეტებიც).

ე თ ე რ ი ს ხ მ ა. რა ლამაზია! გმადლობ დათო!

დ ა ვ ი თ ი ს ხ მ ა. შენ კი გაუშვი...

ე თ ე რ ი. დაე, იფრინოს.

დ ა ვ ი თ ი. ოჰო, მგონი შენც გაფრენას აპირებ.

ე თ ე რ ი. ჰო, დათო.

დ ა ვ ი თ ი. და ისევ შეჯიბრებაზე? (ეთერი დუმს.) ესე იგი მიდიხარ! არა, არა, რომ გიყვარდე პატარა დათმობაზეც წახვიდოდი.

ე თ ე რ ი. დათო, გენაცვალე, დათმობა-დათმობას გააჩნია.

დ ა ვ ი თ ი. მე მხოლოდ ერთს გთხოვ, — თავი დაანებო ცურვას. ეს არაა ქალის საქმე! ან რაში გამოგადგება, მითხარი, რაში? ერთი სიტყვით ან მე ან...

ე თ ე რ ი. მიყვარხარ, დათო, მაგრამ...

დ ა ვ ი თ ი. რომ გიყვარდე... არა, შენ იცი, რომ საცურაო კონსტუმი გშვენის და გსიამოვნებს, როდესაც ათასი მამაკაცის თვალი მოგჩერებია... არა, ამას ვერ ავიტან!

ე თ ე რ ი. დავით!

დ ა ვ ი თ ი. ქალი მაინც ქალია და კაცს ცოლი იმისათვის უნდა, რომ შინ მიუხაროდეს. თბილი ლუკმა, კეთილი ღიმილი და ხელპირდაბანილი შვილები ეგულებოდეს და თუ ოდესმე შევირთავ ქალს... შენ სდუმხარ!

(ისმის კარის გაჯახუნება. სცენა ნათდება).

დ ა ვ ი თ ი. ...ასე წავლაპარაკდით და იმ ჭიამაიამ, თავისი პატარა, ჭრელი ფრთებით თან წაიღო ყველაფერი.

ე თ ე რ ი. ყველაფერი, გარდა მეგობრობისა.

დ ა ვ ი თ ი. არ ვიცი, რა მომივიდა. ვგრძნობ, როგორ ვკარგავ წონასწორობას და მეშინია...

ე თ ე რ ი. რისი?

დ ა ვ ი თ ი. არ ვიცი.

ე თ ე რ ი. არ იცი! (პაუზა.) რა ხანია ჩემს თავს ვეკითხები: მაქვს თუ არა უფლება გითხრა რასაც ვფიქრობ? დღეს ვამბობ — მაქვს! მაქვს იმიტომ, რომ ჭიამაიამ თავისი პატარა ფრთებით მართლაც წაიღო თან ყველაფერი. მე ვფიქრობ, დავით, შენ გეშინია, არ დაკარგო შენი დიდი ოცნება.

დ ა ვ ი თ ი. ჩვენს ასაკში ეს ღალატს ნიშნავს.

ე თ ე რ ი. მართალია, და მე მგონია, შენ გეშინია გამოუტყდე შენს თავსაც, რომ ახლოს ხარ ღალატთან. შენ წელან

სთქვი „ჩვენ წავლაპარაკდითო“. მე კი ვფიქრობ, ის არც უბრალო წალაპარაკება იყო, არც ბუტიაობა. იმ დღეს ჩვენ უნებლიეთ ვუთხარით ერთმანეთს, რას ვთმობთ და რას არა... იმ დღეს გაირკვა ჩვენთვის, რომ სხვადასხვა გზა გვქონია.

დ ა ვ ი თ ი. და ჭიამაიამ თავისი პატარა ფრთებით წაიღო თან ყველაფერი....

ე თ ე რ ი. ჰო, მაშინ დავრწმუნდი, რომ მარტო ამ მოვალეობით ვერ დავკმაყოფილდებოდი. შენ კი არაფერს თმობ-დი. ასეთი იყო შენი იდეალი, მაგრამ...

დ ა ვ ი თ ი. რა.

ე თ ე რ ი. გაქვს კი ეგ ბედნიერება? არა! ამიტომ შფოთავ, ამიტომ კარგავ წონასწორობას და გეშინია... მეც მეშინია, დავით. თუ ასე გაგრძელდა, ყვავილეთიდან წასვლაც მოგიხდება. ეს კი ღალატს ნიშნავს, შენი ოცნების ღალატს (პაუზა).

დ ა ვ ი თ ი. ეთერ, მაქვს თუ არა სხვა, პატარა ბედნიერების უფლება?

ე თ ე რ ი. არ ვიცი. გააჩნია, ვინ რაში ხედავს ბედნიერებას. მხოლოდ გამიგია, რომ ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში, ბევრს ნიშნავს, ვინ-ვის გავლენაში მოექცევა, ვინ-ვის გაიყოლიებს.

დ ა ვ ი თ ი. ნინო... ავადაა...

ე თ ე რ ი. რა მოუვიდა?

დ ა ვ ი თ ი. გული... მგონი აქაური ჰაერი წყენს...

ე თ ე რ ი. ექიმი გყავდათ?

დ ა ვ ი თ ი. არა... მამიდამისმა... ერთი სიტყვით მიგვყავს, სამკურნალოდ მიგვყავს.

ე თ ე რ ი. არ ვიცოდი. (წამოდგება.) ახლა რაიონში მივდივარ, გზად გავივლი და...

დ ა ვ ი თ ი (შეშფოთდება). არა, არა... (უხერხულად.) ალბათ ვეჩქარება და...

ე თ ე რ ი (დავითს დააკვირდება). ჰო... მართლაც ვიგვიანებ. მაპატიე, დათო, თუ ისე ვერ ვთქვი... და გული გატკინე... (გადის. რეპროდუქტორიდან ისმის სიმღერა).

„ნუ, ნუ შევხედავთ ერთმანეთს მკაცრად,
ნურც განვლილ გრძნობას გავკიცხავთ გულით...

ამ შეხვედრებში ხომ იყო რაღაც
წმინდა, ფაქიზი, ამაღლებული...
ხომ გვიხაროდა დღის გათენება
და ერთმანეთის ხმის გაგონება?
დე, ასე დარჩეს, უცხო მშვენებად,
ერთად განვლილი გზის მოგონება".

(ამ სიმღერის ფონზე, ასეთი სცენა მიმდინარეობს:)

დ ა ვ ი თ ი (დაფიქრებით). საგუბარი. უნდა გაიწმინდოს! (ქოკს და შეხვეულს აიღებს და კაშხალისაკენ მიდის. გამოდის ამირანი).

ა მ ი რ ა ნ ი. დავით! რა იქნა? (კაშხალს გახედავს.) დავით! მარტო შესულა! (იცაბის.) დავით, რა დროს ეგაა, გია გამოუგზავნიათ, „ნინო ცუდათააო"... ჩქარა, ჩქარა! (ყვირის.) დავით! ვაიმე, დაიღუპა! (კაშხალისაკენ გარბის. შემორბის ეთერი).

ე თ ე რ ი. დავით! (წყალში გადაეშვება. სცენა ბნელდება. მერე ნათდება.)

(სცენის სიღრმეში. სკამძელზე, კაშხალიდან ამოყვანილი დავითი წევს. მას ეთერი და ამირანი ასულიერებენ).

ე თ ე რ ი (ამირანი წინ გამოსულა. ხმადაბლა, სხაპასხუპით). გონს მოდის.... არა, საშიში არაფერია! ერთი რამ მინდა გთხოვოთ, ძალიან გთხოვთ... დავითი თქვენ გადაარჩინეთ, გესმით? მე კი არა, თქვენ!

ა მ ი რ ა ნ ი (გაოცებული). გადაარჩინეთ და მალავთ?

ე თ ე რ ი. გთხოვთ! სიტყვა მომეცით, რომ თხოვნას შემისრულებთ, თქვენ გადაარჩინეთ... მე აქ არც ვიყავი... გესმით!

ა მ ი რ ა ნ ი. დავმალო? რატომ? არაფერი არ მესმის!.. თითქოს პირიქით უნდა მოქცეულიყავით... ვფიქრობდი რომ თქვენ ცდილობდით... რომ თქვენ და დავითი...

ე თ ე რ ი. ჩქარა მითხარით, შემისრულებთ?

(ამირანი უხმოდ უდასტურებს).

ე თ ე რ ი. გმადლობთ! (გარბის. ამირანი გაოგნებული დგას. შემოდის გია. დავითს შენიშნავს, მასთან მიიჭრება).

გ ი ა. დავით ბიძია! (ამირანს.) შენ გადაარჩინე? იღრჩობოდა და გადაარჩინე? (ამირანი ხმას არ იღებს.) გმირი ყოფილხარ!

იმ გადარეულ მორევში, გმირის მეტი ვინ შებედავდა... მაპატიე... (სიმწრით.) ეჰ, სად ვიყავი! (დავითი კენესის.) დავით ბიძია! (დავითს მიეარდება).

(სცენა ბნელდება. რამოდენიმე წუთის შემდეგ კვლავ ნათდება. მოჩანს მშვენიერაძეების ეზო. ხის ქვეშ ჩამომჯდარი ყარამანი სათამაშო ურემს აკეთებს).

ყ ა რ ა მ ა ნ ი (ენის მოჩლექით). აქეთ, ბაბუ, აქეთ, აქეთ! ჩემთან, ბაბუ, ჩემთან, ჩემთან! (ისმის ჭუხილის ხმა.) გაავდრდება, ნამდვილად გაავდრდება!

ნ ი მ ფ ა (გამოდის). ბატონო ყარამან, თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. გისმენთ, ბატონო!

ნ ი მ ფ ა. როგორც მოგეხსენებათ დღეს ჩემი ძმისწული სანკურნალოდ მიგვყავს და იქ ერთი თვე მაინც შეგვიგვიანდება. ვფიქრობ დავითის ბედი თქვენც უნდა გაინტერესებდეთ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. მერე?

ნ ი მ ფ ა. არ გითხრეს?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. საყურადღებო არაფერი (ვამოდიან მაკრინე და მანანა).

ნ ი მ ფ ა. ესე იგი თქვენც არაფრად მიგაჩნიათ ჩემი პატიოსანი სიძის მოქმედება: უყვარდა ერთი, შეირთო მეორე, ახლა გულმა ისევე პირველისაკენ გაიწია... ის ქალიც ისეთია რომ... რატომაც არა! მშვენიერი ოჯახი, ძვირფასი ნათესავები, საუკეთესო ვაჟკაცი, რომელსაც მეცნიერებაში უდგას ფეხი... მეშინია, რომ სანამ დავბრუნდებით, იმ ქალს ყველაფერი მოთავებული ექნება.

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ვიზე ლაპარაკობთ?

ნ ი მ ფ ა. ვითომ არ იცით, რომ დავითი და ეთერი...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. აჰ! როგორ გეკადრებათ! ეთერს ქვეყანა იცნობს.

ნ ი მ ფ ა. ოტ იმენნო, არაფერი დაიმალება! ჩემი ბედოვლათი სიძეც ანკესს წამოეგო და...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ანკესს, ა? — ეგ კი მართალია.

მ ა ნ ა ნ ა. რას ამბობ, ბაბუ!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. კარგად ვიცი, რასაც ვამბობ!

მ ა კ რ ი ნ ე. ჩვენს ოჯახში, ქალბატონო ნიმფა, მაგისთანა საქმეებს არ არიან ჩვეული.

მ ა ნ ა ნ ა. ეთერი ისეთი კეთილია!

ნ ი მ ფ ა. კარგი ვექილი ყოფილხარ, ყოჩაღ, მანანა!

მ ა ნ ა ნ ა (შეშფოთებული). ბაბუ!

ნ ი მ ფ ა. თუ უყვარდა, შეერთო, ვინ უშლიდა?

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ეტყობა არ ჰყვარებია, თორემ ხელს ვინ შეუშლიდა!

ნ ი მ ფ ა. ესე იგი თქვენც ხელს აფარებთ? არ მეგონა, თუ თქვენც მონაწილეობას მიიღებდით ჩემი მიმოზას მკვლელობაში...

(თვალთან ხელსახოცი მიაქვს).

მ ა კ რ ი ნ ე. ჩვენი ოჯახის წევრს, ბატონო, ჯერ ჭიანჭველასათვის არ დაუდგამს ფეხი...

ნ ი მ ფ ა. ჩემი ძმისწული კი ჭიანჭველადაც არ ჩათვალეთ... შეიკალით ხელში და ესაა!

მ ა ნ ა ნ ა. როგორ ბედავთ! (შემორბის გია. ამ დროს ნინოც გაჩნდის).

გ ი ა. არ შეგეშინდეთ, მაგრამ... დავით ბიძია...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. რა იყო, ბიჭო!

მ ა კ რ ი ნ ე. ვაიმე, შვილო!

გ ი ა. არაფერია, არაფერია! კაშხალში შესულა გასაწმენდად, ნავი გადაბრუნებია და...

ყ ე ე ლ ა ნ ი. ა�ა?

გ ი ა. რომ ამირანს არა, დაიღუპებოდა.

ნ ი ნ ო. აჰ! (ჩაიკეცება).

გ ი ა. ნუ გეშინიათ, აგერ ისიც! (შემოდიან ამირანი და დავითი).

ნ ი ნ ო (დავითს მიეარდება). დავით, დათული!

მ ა კ რ ი ნ ე. ვაი, ჩემს მოსწრებას!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ბიძიკო, დავით, შვილო!

მ ა ნ ა ნ ა. დავით ბიძია!

დ ა ვ ი თ ი. არაფერია, არაფერი! ნუ გეშინიათ, ნინო, დაშშვიდდი, ახლა არაფერი მიჭირს! შენ როგორა ხარ?

მ ა კ რ ი ნ ე. რატომ, შვილო... რად მღუპავდი!

დ ა ვ ი თ ი. დედა! შეცდომა მინდოდა გამომეს̆წორებია...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ჰო, მოხდება... (მაკრინეს.) კაი, შე ქალო, ახლა რაღა გატირებს?

ნ ი ნ ო. დავით, ძვირფასო!

დ ა ვ ი თ ი. არ ვიცი, რა მომივიდა, როდესაც დამიძახეს „ნინო ცუდათაარ“.

ნ ი მ ფ ა (ამირანს). გმირი ხართ, ნამდვილი გმირი! გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო კარგო!

მ ა კ რ ი ნ ე. აცოცხლოს და ახაროს დედაშვილობის გამჩენმა! (მანანა ამირანთან მიეა, ხელზე დასწვდება, ჰკოცნის. ამირანი შეშფოთდება, ხელს გამოსტაცებს).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. დამსახურებული ჯილდოა, დამსახურებული!

გ ი ა (თავისთვის). ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი (ყელარ აიტანს, აჩქარებით გადის).

დ ა ვ ი თ ი. ისეთ მორევში, მართლაც გმირი თუ შებედავდა. ამირანმა დაიმსახურა, მანანა, შენი გვირგვინი... ნამდვილად დაიმსახურა, გამოიტანე, გამოიტანე.

ყ ა რ ა მ ა ნ ი (ამირანს). მართალი გითხრა, ბიძიკო, ცოტა გული მწყდებოდა შენზე... ეფიქრობდი: „ვაქკაცობა და მამულიშვილობა“ მარტო ენის წვერზე ჰქონია მეთქი, მაგრამ, მეყურება?..

მ ა კ რ ი ნ ე. არ ხედავ? გაოგნებულია კაცი! (ამირანი ადგილს მოწყდება, აჩქარებით გავა).

ნ ი ნ ო (დავითს ეხვევა). ასეც ვიცოდი, აქ დავიღუპებოდით, მაგრამ რად, რად უნდა დავიღუპოთ? წამოდი, წავიდეთ, წავიდეთ აქედან! დათული, გენაცვალე, შენ რომ მოგსვლოდა რამე, მოვკვდებოდი, გესმის? მოვკვდებოდი, მოვკვდებოდი... (ტირის).

ნ ი მ ფ ა. ოღონდ იცოცხლეთ და ნემსის წვერით გაცხოვრებთ. მართალია, ოთახი დავკარგე მაგრამ, მუხლზე დაჩოქილი სამოწყალოდ ჩამოვითხოვ თქვენთვის, ქალაქში, ერთ საცოდავ თავშესაფარს!

ყ ა რ ა მ ა ნ ი (ნიშნას სიტყვებით შეურაცხყოფილი). გავყიდოთ... ბატონო... აქაურობა... (გადის).

მ ა კ რ ი ნ ე. ყარამან! (გამოუდგება).

მ ა ნ ა ნ ა. ბაბუ! (გამოუდგება).

დ ა ვ ი თ ი. რას ამბობ, ბიძაჩემო! (გასასვლელად გადადგამს ნაბიჯს).

ნ ი მ ფ ა (ნინოს მიეარდება). არიქა! ისევ ცუდათ ხარ?!

დ ა ვ ი თ ი (შემობრუნდება). ნინო!

ნ ი ნ ო (მომაკვდავივით). არაფერია... მე... უკვე... შევეჩვიე ტკივილებს!.. რადგან დავითი გადარჩა... დავით, დათული, ძვირფასო, კინაღამ დაგკარგე... გეხვეწები წავიდეთ, სანამ სულ დაღუპულვართ.

ნ ი მ ფ ა. ვიცი, გიმძიმს შვილო, მაგრამ პირველი ხომ არა ხარ. თბილისში ცხოვრება მშობლების ღალატს კი არ ნიშნავს!

დ ა ვ ი თ ი. კი მაგრამ... აქაურობის გაყიდვა... მიტოვება... და გარდა ამისა... მე... ახლა...

ნ ი ნ ო. ან ახლა, ან არასოდეს! (სახლისაკენ მიდის).

დ ა ვ ი თ ი (გოცებით გააყოლებს თვალს. ნიმფას, ყრუდ). ჩაალაგეთ... ბარგი ჩაალაგეთ. (ნიმფა გადის. დავითი მოწყვეტით ეშვება სკამძელზე. მექანიკურად ხელში იღებს სათამაშო ურემს და უაზროდ აშტერდება. შემოდის ყარამანი).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. თანხას მოგაწვდი, ბიძიკო! შენ იქ სახლი შეიგულე და აქაურობას გავყიდით თუ არა, მოგაწვდით. ეს კაკლის მორიც წაიღეთ, ავეჯი გაიკეთეთ.

დ ა ვ ი თ ი (ფიქრებში წასული). მახსოვს, ბიძაჩემო, მეც ასეთ ურემს მიკეთებდი ხოლმე...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. წელან აგერ ჩამთვლემია, ბიძიკო და... ვითომ შენი ბიჭი, პატარა ბიჭი დაბაჩუნობდა ამ კოინდარზე... და აგერ... იმ ნასახლარებზეც. (ხელს გაიშვერს.) ბავშვები ჭიანჭველასავით ირეოდნენ. (ღიმილით.) რას იზამ, რომ დაბერდები კაცი, უცნაური სიზმრებიც შემოგეჩვევა... (პაუზა.) ცუდად ამიხდა სიზმარი.

დ ა ვ ი თ ი (ყრუდ). არ მეგონა, თუ...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. თქვენთვის ავაშენე და სადაც გაიხარებთ, იქ მოგახმაროთ ღმერთმა. მე... ერთი ბეღელიც მეყოფა. შენ

გული გამიხარე და... ისე... ხომ იცი, მანანა ქალიშვილია, დღეს თუ ხვალ გაფრინდება... და ხანდახან თუ ჩამოაკითხავთ შენ და შენი შვილები აქაურობას, ყველა დაგიმადლებთ. წელიწადში ერთხელაც რომ ავიდეს კვამლი ბუხრიდან, ქვეყანა დაინახავს და იტყვის: „ილიას და ყარამანის კერა არ ჩამქრალაო“.

დ ა ვ ი თ ი. მაპატიე, ბიძაჩემო!.. მაპატიე!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ეგ არაფერი! მთავარია, შენ და შენს ცოლს გიყვარდეთ ერთმანეთი და სხვას ყველაფერს მოევლება... წელან, ეგერ ნასახლარზე გავიარე, ჩამონგრეული ბუხარიღა შემორჩენია ჩაშავებულ კერიას, თითქოს ბრმა დედაბერივით აუწვდია ხელები და მოთქვამს: „სად ხართ შვილებო, ჩემო გაზრდილებო, მოდით, მომხედეთ“. ბუხართან ეს ეგდო (ჯიბიდან რაღაცას ამოიღებს.) იცი რა არის? აკვნის ნატეხია. გლახა გუნებაზე დაედექი. იმ ბუხრიდან წინათ კვამლი ამოდიოდა, ოდას წითელი კრამიტის ვაკკაცური ქუდი ეხურა და „კომლი“ ერქვა... მაგრამ ისე გადაშენდა ოჯახი შესანდობარის მთქმელი არ დარჩენია. აჰა, თუ გინდა. შეინახე... იქნება ხანდახან ნასახლარების ამბავი მოგაგონოს. ფუძეს მოუფრთხილდი, ფუძეს, ბიძიკო, თორემ ჩვენგან რა გესწავლება და.. .ჩვენისთანა პატარა ოჯახები კი არა, რამდენი სახელმწიფო მოისპო და წაიშალა... არ დაგაგვიანდეთ! წამო, გზა დაგილოცოთ! (გადიან. შემოდის მანანა. დაფიქრებული მიეყრდნობა ხეს. ვამოდიან სამგზაეროდ ჩაცმული ნინო და ნიმფა. მანანას ვერ ამჩნევენ. მეორე მხრიდან ახლოვდება ამირანი).

ნ ი მ ფ ა. კიდევ კარგი, ყველაფერი ასე გამოვიდა, ნოიკრა სტოიტ სვეჩეი. ნერვები კი დამაწყდა, მაგრამ უკეთესი დღე არც შენ დაგდგომია.

ნ ი ნ ო. მაგრამ ამირანს რომ არა...

ნ ი მ ფ ა. ყოჩაღ, ამირან, სახლის მუშტარიც იმან გვაშოვნია. დავითიც დაარწმუნა და გადაარჩინა. არა, დავითი რომ არ დაგვყოლოდა, რას აპირებდი? რაც მართალია, მართალია, შენც ძალიან იმარჯვე, ჩემო გოგონავ!

ნ ი ნ ო. ოჰ! (ხეს მიეყრდნობა).

ნ ი მ ფ ა. რა მოგივიდა?

ნ ი ნ ო. თავბრუ დამეხვა... ვაიმე, მამიდაჩემო, მგონი მართლაც...

ნ ი მ ფ ა. (თავზარდაცემული). გაგიჟდი? ესღა გვაკლდა? ბავშვი... ივის ჩვრები და ღამეების თევა...

ნ ი ნ ო. დავიღუპე!

ნ ი მ ფ ა (შეებრალება). ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება. მადლობა ღმერთს, აკრძალული არაა. მე მყავს ნაცნობი ექიმი, რომელიც...

ნ ი ნ ო. დავითმა რომ გაიგოს? (ჩაფიქრდება.) თუმცა მიყვარს კი დავითი?

ნ ი მ ფ ა. ააა? (ამირანი გაოგნებულია, აღშფოთებული, მანანა ნაჯახს დაუწვდება და მიმოზის ხეს შემოკრავს, ქალები შეკრთებიან).

ნ ი მ ფ ა. ოჰ! (მოფერებით). მანანოჩკა! (მანანასკენ გადადგამს ნაბიჯს).

მ ა ნ ა ნ ა. შორს, აქედან შორს, შორს! არ მომეკაროთ! (ჰიმოზას ხეს და მის ამონაყარს გამეტებით ჩეხავს).

ნ ი მ ფ ა. რა მოგივიდა?

ა მ ი რ ა ნ ი (რბილად). მანანა!

მ ა ნ ა ნ ა. თქვენც კარგი ხართ „გმირო"! თქვენი ხელით ინგრევა აქაურობა. ინგრევა... და ისიც ვისთვის, ვისთვის ინგრევა!

ა მ ი რ ა ნ ი. მანანა!.. მე მეგონა...

მ ა ნ ა ნ ა. გეგონათ! არწივი მეგონეთ; — ბეღურა ყოფილხართ!

ნ ი მ ფ ა. ამირან, გეთაყვა, გააჩუმეთ ეს სოფლელი გოგო! ეს სულ ეთერის ფანდებია.

ა მ ი რ ა ნ ი. ეთერის სახელს ნუ ახსენებთ! მანანა, მე მართლაც არა ვარ გმირი... სხვამ დამასწრო და ისიც ვინ — ქალმა! მე კინაღამ დავღუპე დავითი, ეთერმა კი გადაარჩინა... გრძნობადაკარგული გამოიყვანა მორევიდან და მთხოვა ჩემს თავზე ამეღო... სიტყვით შემბოჭა...

მ ა ნ ა ნ ა. ეთერი!

გ ი ა (შემოდის). ეთერი მანქანაში ჯდებოდა.

ა მ ი რ ა ნ ი. წავიდა? ვაითუ სულაც წავიდა, ამათ გამო წავიდა?.. ეს მე ვარ დამნაშავე, მე ვუთხარი ეთერს, რომ... ო, რა სულელი ვარ! (ნინოს.) მე თქვენი მჯეროდა, თაყვანს გცემდით, დიახ, ახლა კი, რომ იცოდეთ, როგორ მეზიზღებით! (სასოწარკვეთილი.) მაინც რა უბედური ვარ! — რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ყველაფერი უკულმა შემობრუნდება.

ნ ი მ ფ ა. შეთქმულებაა, ნამდვილი შეთქმულება! (გამოდის დავითი.) დავით, შვილო!

მ ა ნ ა ნ ა (ნიმფას გადაუდგება). არა გაქვთ უფლება! (დავითს.) სად მიდიხარ, რად მიდიხარ, ვისთან მიდიხარ! შენ ნინოს არ უყვარხარ, დავით ბიძია! (ისმის მანქანის ხმა. ერთდროულად შემოდიან მაკრინე და ყარამანი).

დ ა ვ ი თ ი (მანანას ხელს მოხვევს). დამშვიდდი, მანანა... მე..

ა მ ი რ ა ნ ი. მანანა მართალია... დავით, მაპატიე... ყველამ მაპატიეთ! ეთერს უნდა დავეწიო, უნდა ვუთხრა... (გარბის. თავჩაღუნული ნინო ჭიშკრისაკენ მიდის).

ნ ი მ ფ ა. დავით, პაშლი! (ნინოს მისდევს. დავითი ჩემოდანს აიღებს შემობრუნდება, შებარბაცდება).

ყ ა რ ა მ ა ნ ი (შეეშველება). წაიბორძიკე, ბიძიკო? წინ უნდა დაგეხედა!..

მ ა კ რ ი ნ ე. მშვიდობის გზა მოგცეთ დედაშვილობის გამჩენმა!..

დ ა ვ ი თ ი (ყარამანს). ამ სახლს ნუ გაყიდით, ნუ გაყიდით... (გადის).

მ ა ნ ა ნ ა. დავით ბიძია! (ცრემლი ერევა).

გ ი ა (ხმადაბლა). ნუ, ნუ, მანანა! დავითი დაბრუნდება, ნახავ თუ არ დაბრუნდეს. მე კი, იცი, რა გადავწყვიტე? უნდა ავიდე „სიყვარულის მწვერვალზე". დღესვე ავალ!

მ ა ნ ა ნ ა. მარტო? არ გეშინია?

გ ი ა. არა! მელოდე, მანანა! (გადის).

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ვითომ ჩამიქრა კერია?

მ ა ნ ა ნ ა. ბაბუ! — მე თქვენ... ჩვენ, მე და გია არ დაგტოვებთ... არასოდეს არ დაგტოვებთ! (ეხვევა).

ეპილოგი

თენდება მეორე დღე. მასთან ერთად იბადება და იზრდება სიმღერა ყვავილეთზე. ნათდება „სიყვარულის მწვერვალი". სხივი ეშვება დაბლა, ხელ დაბლა და ამუქებს გადაპრილ კაკლის ხეს, რომელზედაც ოდნავ შესამჩნევი ყლორტებია ამოყრილი.

მანანა ქვაზე ზის. იქვე ფოთლების გვირგვინი დევს.

მ ა ნ ა ნ ა. ასე დაბოლოვდა დავითის ქორწილი... მაგრამ ჩვენი ოჯახის ამბავი არ დამთავრებულა. აგერ კაკლის ზესაც კი ახალი შტოები ამოუყრია... და მე ოცნების თვალით ვხედავ, როგორ გაუშლია მას ლონიერი მკლავები და ეპატიჟება ბავშვებს, ამ ეზოს ბავშვებს... (პაუზა.) წუხელ თვალი არ მომიხუჭავს... ჩემი ფიქრი, ხან დავით ბიძიას დატრიალებდა, ხან გიას აედევნებოდა... ვითომ, დაბრუნდება დავით ბიძია? ხომ უყვარს ყვავილეთი, ჩვენც ვუყვარვართ, მაგრამ უყვარს ნინოც... ნინოს კი... თუმცა ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით! მაგრამ მეც ვიცი უკვე, რა არის სიყვარული, და ისიც, რომ ნამდვილად მხოლოდ გია მყვარებია... (ოცნებით.) „მელოდეო" მითხრა...

... მომეცით კაბა, საქორწილო კაბა — ქართული,
მოვირთო ისე, ვით შვენოდათ ქალებს, წინაპრებს.
თეთრი ქოშები, ოქრომკედით ამოქარგული,
თავსამკაული პატიოსან თვლებით ბრწყინავდეს.
გაჩაღდეს ლხინი, თარი, ზურნა და საზანდარი,
საქმრო მოსულა თეთრ ჩოხაში გამოკვართული,
დამლოცეთ დებო, არ მენახოს დღეთა ავდარი,
რომ სიხარულში ჩაღდებოდეს კერა ქართული.
სიცოცხლის დღეებს სიხარულის სხივით დავმოსავ,
ნუმც გამკრთომია მოკიაფე შუქი დილისა!
მზითვად ვიკმარებ უძვირფასეს ვეფხისტყაოსანს
და დიდედას ნასახსოვარ შუბლის ქინძისთავს...

სად არის, ახლა გია? (პაუზა. თვალს ხუჭავს და ოცნებით ხედავს, როგორ ებრძვის ზღაპრულ დევებს გია, იქ, „სიყვარულის მწვერვალზე". ძლიერდება სიმღერა),

„... ეს სათუთი, ეს ფაქიზი ყვავილები,
მხოლოდ შენთვის ჩამოვზიდე მწვერვალიდან“...

(შემოდის გია ყაყაჩოების თაიგულით ხელში. მანანას წინ მუხლზე ეშვება და თაიგულს აწვდის).

მ ა ნ ა ნ ა. გია! (ერთდროულად შემოდის დავითი და თითქოს ბოდიშს იხდისო, ვადაკრილ კაკალთან დგება).

მ ა ნ ა ნ ა. დავით ბიძია! შენი ჭირიმე, შენი!

(შემორბიან მაკრინე და ყარამანი).

მ ა კ რ ი ნ ე. შვილო!

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ბიძიკო!

დ ა ვ ი თ ი. სიტყვა-სიტყვაა, ბიძაჩემო! კაშხალს დავამთავრებ და საერთოდ აქ დავრჩები, ჩემს ყვავილეთში...

ყ ა რ ა მ ა ნ ი. ესეც ვიცოდი!

ფ ა რ დ ა

ეროვნული

ეროვნული 3 ამოჭრილებად, ვაროლოგიით

მოქმედი პირნი:

არჩილი. ინჟინერი.
მზია. ფილოლოგი — არჩილის ცოლი.
ლევანი. ინჟინერი.
ლილი. ინჟინერი — ლევანის ცოლი.
ზურაბი. ვეტექიმი.
ნანა. ინჟინერი — ზურაბის ცოლი.
ვარდიკო. „პოეზიის მსახური".
იულონი საზოგადო სამზარეულოს გამგე.

ეპიზოდურ როლებში:

1, ოთარი, 2. ოფიციანტი.

მოქმედების ადგილი: აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სოფელ. და რაიონული სამრეწველო ქალაქი.

დრო — ჩვენი დღეები.



პროლოგი

ტალანი ორი კარით. ერთ მათგანს ოთახში შეეყავართ, მეორეს — სადარბაზოში. ისმის ზარის ხმა. ოთახიდან გამოდის არჩილი და სადარბაზო კარს აღებს. შემოდის ლევანი.

ლ ე ვ ა ნ ი. ოჰ, არჩილ! იყავი? დაესწარი?

ა რ ჩ ი ლ ი. როგორ არა!

ლ ე ვ ა ნ ი. როგორ მოგეწონა?

ა რ ჩ ი ლ ი. ძალიან! (სილას გააწნავს).

ლ ე ვ ა ნ ი (დაბნეული, გაოგნებული). გაგიჟდი? კი, მაგრამ რატომ?

სცენა ბნელდება. ...გარკვევით ისმის რამდენიმე ქალისა და მამაკაცის ხმა: „რატომ"?, „რატომ"? „რატომ"? სცენა თანდათან ნათდება და ზევით მიიწევს ფარდა, წარწერით: რ ა ტ ო მ?

მოქმედება პირველი

სადად მორთული ოთახი, რომლის ერთ კარს აივანზე გაეყავართ. აივნის მილმა მოჩანს აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის პეიზაჟი.

ოთახში ტახტზე წამოწოლილი ნანა წიგნს კითხულობს, ლილი მამაკაცის პერანგს ღილებს აკერებს, მზია სარკესთან ტრიალებს, კაბას იზომავს.

მ ზ ი ა. გოგოებო, მომხედეთ, რა! ვერა და ვერ გამოვიყვანე წელში.

ნ ა ნ ა. რას ერჩი? საზაფხულო კაბა, რაც თავისუფალია...

მ ზ ი ა (აწყვეტინებს). მაგრამ ვინაიდან მე აღარ ვარ თავისუფალი, ანგარიშს ვუწევ ჩემი ქმრის სურვილს.

ნ ა ნ ა. „სურვილს“! კაბა უნდა ატარო შენ და არა შენმა ქმარმა.

ლ ი ლ ი. არა, ნანა, ბიჭო-გოგია მართალია! ქმრის სიყვარულისათვის ყოველგვარ დათმობაზე უნდა წახვიდე.

მ ზ ი ა. არა, ზოგიერთ დათმობაზე.

ნ ა ნ ა. დღეს ერთს დათმობ, ხვალ — მეორეს... (წიგნს მიუბრუნდება.)

მ ზ ი ა. გოგოებო, წარმოგიდგენიათ? — ქმარი! „ჩემ ქმარს მოწონს“, „ჩემ ქმარს უყვარს“, „ჩემ ქმარს ველი!“... გაგიჟდება ადამიანი! დიდი ხანი არაა, რაც თბილისის ერთ ოთახში ცხოვრობდა სამი მეგობარი: ნიბლია, ფილოსოფოსი და ბიჭო-გოგია...

ლ ი ლ ი. რომლებიც ოცნებობდნენ სამ რაინდზე.

ნ ა ნ ა. შემდეგ შეხვედრა, მოლოდინი, გეგმები...

მ ზ ი ა. და ახლა ერთ სოფლის სახლში, სამხედრო ბანაკის მახლობლად, ცხოვრობს სამი წყვილი.

ლ ი ლ ი. ქმრები სწავლობენ სამშობლოს დაცვის საქმეს.

მ ზ ი ა (სიცილით). და ისევ მოლოდინი, შეხვედრები...

ნ ა ნ ა. თურმე ასე ჯობს... ყოველ შემთხვევაში, რომანტიკა მაინც გრძელდება...

მ ზ ი ა. ქმრები სწავლობენ სამშობლოს დაცვის საქმეს, ცოლები კი, — ბიჭო-გოგია იკერავს კაბას, ისეთს როგორიც მის ქმარს მოეწონება, ნიბლია პირველად ჰკერავს მამაკაცის პერანგს, ხოლო ფილოსოფოსი წიგნებით სწავლობს ცხოვრებას...

ნ ა ნ ა. ეჰ, შენ ხუმრობ და... გოგოებო, მე რომ ეს წიგნი ადრე წამეკითხა, მგონი გათხოვებას ვეღარც გავბედავდი.

ლ ი ლ ი (შეშფოთებული.) რაო, ისეთი რა ამოიკითხე?

ნ ა ნ ა. უსმინეთ!.. „კაფეში სხედან ქალი და მამაკაცი. თუ მამაკაცი გაზეთს კითხულობს, ქალი კი მოწყენით ერთ წერტილს მიშტერებია, ეს — ცოლ-ქმარია“...

ლ ი ლ ი. სისულელეა!

მ ზ ი ა. ჰა, ჰა, ჰა! მერე?

ნ ა ნ ა. „სადარბაზოდან გამოდის წყვილი. თუ მამაკაცი წინ გარბის, ქალი კი უკან მიჩანჩალებს, ეს ცოლ-ქმარია“...

ლ ი ლ ი. კარგი, ერთი!

მ ზ ი ა. ჰა, ჰა, ჰა! მერე, მერე?

ნ ა ნ ა. რა გაცინებს? ესე იგი, ოცნებების, სიყვარულის და ფიცის ბოლო...

მ ზ ი ა (კაბაზე ჯიბეს ირგებს). სად დავაკერო?

ნ ა ნ ა (გაოგნებული). ااا?

მ ზ ი ა. სად მოუხდება?

ნ ა ნ ა. ვის, რა?

მ ზ ი ა. კაბას, ჯიბე — აქ, თუ ცოტა ზემოთ?

ნ ა ნ ა. ჯერ ერთი, რად უნდა კაბას ოთხი ჯიბე?

მ ზ ი ა. კაბას კი არა, აჩიკოს მოწონს.

ნ ა ნ ა. გასაოცარია! წყდება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, თავდაყირა დგება მთელი წარმოდგენები, იმედები...

მ ზ ი ა. დაანებე, დაიკო, მაგ წიგნს თავი, სანამ შენ თვითონ არ დაგიწყია თავდაყირა სიარული.

ლ ი ლ ი (დაფიქრებით). ნეტავი რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ქმარს უყვარდე, მთელი სიცოცხლის მანძილზე უყვარდე?

მ ზ ი ა. მე მგონი, ეგ არცერთ წიგნში არ ეწერება.

ნ ა ნ ა. უსმინეთ, უსმინეთ! „ქუჩაში ხელმკლავით მიდის ქალი და მამაკაცი“...

მ ზ ი ა (აწყვეტინებს). გავგიჟდები! ხვალიდან სულ ერთად ვივლით მე და აჩიკო...

ნ ა ნ ა (განაგრძობს). „...თუ მამაკაცი განზე მიიწევს, ქალი კი ებღაუჭება“... (ლილის ტირილი წასდება.)

მ ზ ი ა. ე, მაგ ფოლოსოფიის შედეგი! (ლილის მიაშურეს).

ნ ა ნ ა. ლილიკო მე...

ლ ი ლ ი. არაფერია, არაფერი (სიცილ-ტირილით.) მე... იმიტომ კი არა... თითში ნემსი ვიჩხვლიტე და...

მ ზ ი ა. ეგ ნაჯლაბნი კი სისულელეა!

ნ ა ნ ა. მე კი ბრძნულად მიმაჩნია, დამაფიქრებლად.

მ ზ ი ა. მაგისთანა სიბრძნეს ჯობს არ უსმინო.

ნ ა ნ ა. მაშ ვის ვუსმინო?

მ ზ ი ა. საკუთარ გონებას, გულს. მე არ მინდა...

ნ ა ნ ა (აწყვეტინებს). ჩემი ფიქრით კი ჯობს წინასწარ იცოდე, რა შეიძლება მოხდეს. ჰო! (წიგნს მიუბრუნდება.) „თუ მამაკაცი განზე მიიწევს“...

მ ზ ი ა. განზეო? უკაცრავად! მე და აჩიკო ასე დავდივართ, ა! (სკამს ჩაბღუჯავს).

ლ ი ლ ი. მე და ლევანიც...

ნ ა ნ ა. ჩვენც... მაგრამ ჯერ ხომ სულ ერთი თვეა... შემდეგ კი, თურმე...

მ ზ ი ა. „შემდეგ“! ჩემი აჩიკო ისეთი ჯაჭვით მყავს დაბმული, რომ...

ნ ა ნ ა. ეგ რა სათქმელია! ჯაჭვი ოქროსიც რომ იყოს... არა, არა, მე ყოველგვარი მონობისა და ძალადობის წინააღმდეგი ვარ.

მ ზ ი ა. რა მონობაო, რას ამბობ! ჩემი ჯაჭვი სულ უბრალო რგოლებისაგანაა: „ჩემო გმირო, რაინდო, სუნთქვა, სიცოცხლე“.. და ათასი რამ.

ნ ა ნ ა. ყველაფერს ეუბნები?

მ ზ ი ა. რატომაც არა.

ნ ა ნ ა. გულში, რა თქმა უნდა, მეც ვფიქრობ, მაგრამ...

ლ ი ლ ი. ჰო, მეც მირჩევნია, თვითონ მითხრას.

მ ზ ი ა. სულელები! (სარკესთან დატრიალდება). როგორია, ა? (სარკეში.) ქალბატონო ბიკო-გოგია, წარმომიდგენია, როგორ გაეხარდება თქვენს ქმარს, თქვენი ხილვა... ხილვა! (თითებზე ითვლის.) ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი... ექვსი დღეა, აჩიკო აღარ მინახავს!

ნ ა ნ ა. ეს ორმოცდა ოთხი საათი.

მ ზ ი ა. ფილოსოფოსმა დააზუსტა! ეს კი ნიშნავს, რომ... ისე, მართალი გითხრა, ვეტექიმს სწორედ ვერ გავუვებოდი.

ლ ი ლ ი. რატომ?

მ ზ ი ა. ისეთ პაციენტებთან აქვს საქმე, კაცი დამუნჯდება, (იცინიან.) რა უსინდისო ხარ! მე და ლილი ყველაფერს გეუბნებით, შენ კი, ისიც არ მოგვიყევი, როგორი იყო თქვენი პირველი შეხვედრა.

ნ ა ნ ა. სულ უბრალოდ. საწარმოო პრაქტიკიდან სოფელში, ბებიასთან ჩავედი. ხბო გაგვიხდა ავად და რაიონიდან ზურაბი ჩამოიყვანეა. იქ პრაქტიკაზე ყოფილიყო.

მ ზ ი ა. შემდეგ ზურაბმა, იარა, იარა და ბოლოს ფილოსოფოსს გამოუტყდა: „თქვენ და თქვენი ხბო შემიყვარდითო“ (იცინიან). ერთი სიტყვით, პირუტყვი განიკურნა, მაგრამ მეტყველნი დაავადდნენ — რის შედეგადაც ზეგ, ზურაბის ოჯახში, სუფრის თავში, პატარძლად დაჯდება ჩვენი ფილოსოფოსი.

ლ ი ლ ი. გოგოებო, არის სიტყვები, რომელიც არასოდეს დაგავიწყდება.

მ ზ ი ა. ლევანს გაფიცებ, რაო, როგორ გითხრა?

ლ ი ლ ი. „უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიაო“...

მ ზ ი ა. მე კი, იცით, რა მითხრა? „რადგან ლატარიაში მერგე, რა ვქნა, უნდა წაგიყვანოო“.

ნ ა ნ ა. ჯერ ერთი, რას ჰქვია ლატარია! — ნივთი ხარ? ან რა სიტყვაა „წაგიყვანო“? წავიდა ის დრო, როდესაც...

ლ ი ლ ი. ნანა, ნუ იცი ყველაფრის სერიოზულად მიღება!

ნ ა ნ ა. ხუმრობა, ხუმრობას გააჩნია! მე, შენ ალაგას, გავუღებდი კარს და...

მ ზ ი ა. მე კი, პირიქით, მოუთმენლად ველოდი, როდის დარეკავდა კარზე ზარს.

ნ ა ნ ა. არა, მაინც რა საშინელებაა, რომ ყველა რომანი იქ მთავრდება, საიდანაც უნდა იწყებოდეს. გაუგო ქალ-ვაჟმა ერთმანეთს და... დახურე წიგნი... ესე იგი, შემდეგ აღრაფერია საინტერესო?

მ ზ ი ა. პირიქით!

ნ ა ნ ა. მაშ რად აღარ გრძელდება რომანი?

მ ზ ი ა. მწერლებს შეეკითხე.

ლ ი ლ ი. ნუთუ მწერალი ჩვენს ამბავს ერთი თვის წინ შეწყვეტდა?

ნ ა ნ ა. არა, არა, ყოვლად შეუძლებელია ფიქრი იმაზე, რომ.... (ამოოხვრით.) ნამდვილად გეუბნებით: მე უფერული ბედით ვერ დავკმაყოფილდები!

ლ ი ლ ი. ვერც მე!

მ ზ ი ა. ვერც მე!

ნ ა ნ ა. ან ყველაფერი, ან არაფერი!

ლ ი ლ ი. გოგოებო, ჩემი ლევანი, ნამდვილად შორს წავა!

ნ ა ნ ა. სად აპირებს?

ლ ი ლ ი. თავის პროფესიაში-მეთქი.

ნ ა ნ ა. ჰოო... შენ კიდევ უფრო შორი გზა გაქვს.

მ ზ ი ა. მართლაც! გახსოვს, ის დღე... დიპლომის დაცვა... როგორ შეეჩვეციცინებდნენ პროფესორები?

ლ ი ლ ი. ლევანიც ისე იყო გახარებული... იმ დღეს გადაწყდა ჩვენი ამბავიც...

ნ ა ნ ა. როგორ სიზმარივით გაფრინდა ეს ერთი თვე!

ლ ი ლ ი. და ხვალიდან იწყება ნამდვილი ცხოვრება; ახალი ინტერესები, ერთად მუშაობა...

მ ზ ი ა. შენ რა გიშავს! უკვე მეცნიერებაში გიდგას ფეხი.

ნ ა ნ ა. ნეტავი ჩვენი ცხოვრება როგორ მოეწყობა, როგორი იქნება, ვთქვათ, 10 წლის შემდეგ?

მ ზ ი ა. გიწინასწარმეტყველებ: ათი წლის შემდეგ შენ იქნები ექვსი შვილის დედა.

ლ ი ლ ი. ექვსის? ათ წელიწადში?

მ ზ ი ა. კარგი, ოთხი იყოს.

ნ ა ნ ა. (გაბრწყინებული.) მათ ექნებათ ზურაბის თვალები და შუბლი.

ლ ი ლ ი. შენი ცხვირი და ღიმილი.

ნ ა ნ ა. ეჰ! ამ წიგნმა ისე მომიკლა გული, რომ...

მ ზ ი ა. ისევ წიგნი!

ლ ი ლ ი. მართლაც, მართლაც! ხვალიდან ცხოვრების ახალ საფეხურზე ვდგამთ ფეხს, შენ კი... ნეტავი, თუ ოდესმე დაგვაიწყდება აქ გატარებული დღეები? ყოველ შაბათ საღამოს დავადგებოდით ბილიკს და მინდვრის იქით, ხევის გადაღმა...

მ ზ ი ა. გველოდა ბანაკი ანთებული ჩირაღდნებით, საღამო კინოში, ან კლუბში.

ლ ი ლ ი. და შემდეგ ისევ ბილიკი.... ვიწრო ბილიკი ტრიალ მინდორზე, უკან დარჩა განათებული ბანაკი... თავზე დაგვცქერის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა... მიდიხარ შენი რჩეულის გვერდით...

მ ზ ი ა (სკამს ჩაებღუჯება). აი, ასე...

ლ ი ლ ი. და ნატრობ, არასოდეს დამთავრდეს ეს ღამე, ეს გზა, ეს მინდორი...

ნ ა ნ ა. დაბინდული მინდორი და ბილიკი... რა სიმბოლიურია, არა? სწორედ ისეა, როგორც ცხოვრება, — საიდუმლოებით მოცული მინდორი...

ლ ი ლ ი. იცით, გოგოებო, როდესაც ლევანს მოვყვები გვერდით, ჩემი თავი ისე პატარად მეჩვენება... მინდა მართლა ნიბლიასავით მის მხარ-ქვეშ შევიყუჟო...

მ ზ ი ა. მე კი, პირიქით, მგონია სიმაღლეც მემატება...

ლ ი ლ ი. ...და მჯერა: ლევანი დამიფარავს ყოველგვარი უბედურებისაგან, დამეხმარება გავიდე დიდ, სულ დიდ გზაზე...

ნ ა ნ ა. დღესაც შაბათია... ისევ აანთებს ბანაკი ჩირაღდნებს, მაგრამ არა ჩვენთვის...

მ ზ ი ა. ვითომ და რად არა?

ნ ა ნ ა. მორჩა, გადაიფურცლა ჩვენი რომანის კიდევ ერთი გვერდი...

ლ ი ლ ი. პირველი თვე, წვევამდელთა ბანაკის მახლობლად...

ნ ა ნ ა (სევდიანად). და ეს დღეები აღარასოდეს განმეორდება...

მ ზ ი ა. ოჰ, რაც მე წუწუნი მეზარება! მოდით, მოვიგონოთ ყველაზე ძვირფასი წუთი, ჩვენს ცხოვრებაში.

ნ ა ნ ა. ყველაზე ძვირფასი წუთი... — როდესაც ზურაბის დედამ მომხვია ხელი და „შვილო“ მითხრა. აქამდე ჩემთვის „შვილო“ არავის უთქვამს.

ლ ი ლ ი. ჩემს ცხოვრებაში...

მ ზ ი ა. ვიცი, დიპლომის დაცვის დღე. ჩემთვის კი, როდესაც ოპერაციიდან ორი კვირის შემდეგ, პირველად ჩავყლაპე მეოთხედი ჩაის კოვზი წყალი... ო, როგორ მიყვარს სიცოცხლე, გოგოებო, ყოველი დღე, საათი, წუთი... ოჰ! იმის მაგივრად რომ ერთხელ კიდევ ვნახოთ მხიარული ბანაკი და შემდეგ...

ლ ი ლ ი. დავადგეთ ბილიკს ეარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ...

ნ ა ნ ა. წინ დაბინდული მინდორი, იდუმალებით სავსე, როგორც ცხოვრება.. მოვდივართ...

ლ ი ლ ი (საკერავს სკამზე მიაგდებს, ფანქარს და ქაღალდს მოძებნის, ლექსს იგონებს. ხმადაბლა):

„... წინ ბილიკია, წინ მინდორია,
იდუმალება — დაუსაბამო"...

მ ზ ი ა (წამოხტება). მივდივართ!

ლ ი ლ ი. გაგიუდი?

ნ ა ნ ა. სიტყვა, სიტყვაა!

მ ზ ი ა. იმათ რა უშავთ!

ლ ი ლ ი. არც კი გრცხვენია! ჩვენ, აქ ოთახში ვზივართ, ისინი კი, ამ აუტანელ სიცხეში...

მ ზ ი ა. არიქა, ატირდა! შენი ლევანი ახლა მოსეირნობს აბიბინებულ მინდორზე. ჩვენ კი, აქ ვიხუთებით და ისიც უკანასკნელ დღეს.

ლ ი ლ ი. სწორედ იმიტომაც ნუ წამოხვალთო, ვინ იცის როდის გავთავისუფლდებითო.

მ ზ ი ა. ახლა ნამდვილად წამოსულები იქნებიან და ჩვენ რომ...

ნ ა ნ ა (აწყვეტინებს). არა, არა! მე ზურაბს დავპირდი.

მ ზ ი ა. დაპირდი კი არა, გიბრძანა. ე. ი. ჯერ ერთად ცხოვრებაც არ დაგვიწყია და უკვე ნაბიჯს ვერ ვდგამთ ქმრის უნებართვოდ.

ნ ა ნ ა. რას ჰქვია, „გიბრძანა", „უნებართვოდ"! მე არავის მონა არა ვარ!

მ ზ ი ა. გეტყობა!

ლ ი ლ ი. საოცარია, კაბაზე ოთხ ჯიბეს აკერებ, არჩილს გაეხარდებაო.

მ ზ ი ა. ჩემი დანახვა კი ეწყინება?

ლ ი ლ ი. კი, მაგრამ ჩვენ გვითხრეს, რომ...

ნ ა ნ ა. მთავარი ისაა, სიტყვა მივეცით.

მ ზ ი ა. მაშასადამე, პირველსავე ბრძანებას დავემორჩილეთ.

ნ ა ნ ა. ვიმეორებ, მე არავის ბრძანებას არ ვემორჩილები.

მ ზ ი ა. მაშ არ გყვარებიათ. კარგი, მარტო წავალ. (გაემზადება.)

ლ ი ლ ი. აგრე მილამბული ჯიბეებით?

მ ზ ი ა. რალა დროს მიკერებაა, დამიღამდება.

ნ ა ნ ა. სხვა ჩაგეცვა.

მ ზ ი ა. მე კი მინდა, ახალი კაბით შევხვდე ჩემს ქმარს.

ნ ა ნ ა. არა, მარტო ვერ გაგიშვებ! (წამოდგება.)

ლ ი ლ ი. მზია რომ დაიკინებს, მორჩა! (კარისკენ გაემართება. შემოდის ვარდიკო).

ვ ა რ დ ი კ ო. საით, გოგოებო?

მ ზ ი ა. ქმრების შესახვედრად.

ვ ა რ დ ი კ ო. თვითონ ვერ მოგაგნებენ?

მ ზ ი ა. ეჰ, ჩემო ვარდიკო, რომ გათხოვდები, მაშინ გაიგებ რაა ქმრის მოლოდინი.

ვ ა რ დ ი კ ო. ნეტავი რა მექმარება, თავისუფლებას რა ჯობს?

ნ ა ნ ა (შიშით). რატომ?

ვ ა რ დ ი კ ო. ვიგინდარას არ გავყვები, კარგ ქმარს კი, ახლა, სანთლით ვერ იპოვი.

ლ ი ლ ი. ესე იგი, ჩვენი ქმრები არ მოგწონს.

ვ ა რ დ ი კ ო. ღმერთმა გაჩუქოთ, მაგრამ კაცია და გუნება. ისე კი, ქმარს სწორედ ვერა ვსდევ — ქალმა თავი უნდა დაიფასოს!

ნ ა ნ ა. ეჰ, შენ სულ: „ფასი“ და „დაფასება“... პოეტი უნდა იყო, ცხოვრებაში, ჩემო ვარდიკო, პოეტი!

ვ ა რ დ ი კ ო. პოეტი, ჰა? თუ მოვინდომე პოეტიც ვიქნები და მეტიცა — რა დიდი საქმე იმას უნდა? „ეო-მეო“ და მორჩა. რითა ვარ სხვაზე ნაკლები? მაგრამ მე საქმე თქვენთან მაქვს. არ გეშინიათ, ამ შაბათ საღამოს, ან მთვრალმა შეგაშინოთ, ან ფხიზელმა? — მილეთის ხალხი მიდი-მოდის.

მ ზ ი ა. ჩვენ არ შევაშინოთ ვინმე, ჩემო ვარდიკო, ჩვენ!

(მზია, ლილი და ნანა სიცილით გადიან).

ვ ა რ დ ი კ ო. ეს კი მართალია! (იცინის.) მართლაც რას ჰგვანან. ან ფერი ჰქონდეთ, ან ხორცი!.. „ბედი ბრმაოო“ მაგ-

რამ რაღა ჩემთვის დაბრმავდება, ის დალოცვილი? ჰმ. „პოეტიო“ არ შემიძლია, თუ? (იგონებს:)

სილამაზით ქებული ვარ,
არ მჯობნია ქვეყნად ქალი.
ახლა თხოვდება, მე კი არა,
არის ქვეყნად სამართალი?

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. ვარდიკო!

ვ ა რ დ ი კ ო. მოვდივარ, დედი!

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. გზაზე გადი, ბატები შემოლალე!

ვ ა რ დ ი კ ო. ბატები! ეს ეშმაკის სახის ქალები ანგელოზივით ბიჭებს მოლალავენ შინ, მე კი, ბატები!

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. ვარდიკო!

ვ ა რ დ ი კ ო. მოვდივარ! „ბედი ბრმაააო“, თუ ბრმაა, თვალი უნდა ავუხილო, ძალით ავუხილო, ერთი შემხედოს, რითა ვარ სხვაზე ნაკლები?

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. ვარდიკო, ვერა ხედავ, ღამდება შე დასაბრმავებელო!

ვ ა რ დ ი კ ო (გაანჩხლებული). ეგრე ჰო, ეგრე, ბედის სიბრმავე არ მეყოფა — ახლა მეც დამაბრმავე. მოვდივარ, მოვდივარ მეთქი! (მირბის.)

სცენა ბნელდება. ... იგივე ოთახი: შემოდიან არჩილი, ზურაბი და ლევანი.

ა რ ჩ ი ლ ი. მზია! ბიჭო-გოგია! ჩემო ცოლო, სადა ხარ, სადა ხართ, ცოლებო!! არც ამ ოთახშია. მოიცათ, მოიცათ, კარადაში დაიმალებოდა.

ლ ე ვ ა ნ ი. კარადაში რა უნდა, — თაგვია?

ა რ ჩ ი ლ ი. თაგვზე უარესი (ეძებს).

ლ ე ვ ა ნ ი. ლილი!

ზ უ რ ა ბ ი. ნანა!

ა რ ჩ ი ლ ი. ნიბლია, ფილოსოფოსო, ბიჭო-გოგია!

ვ ა რ დ ი კ ო (აივნიდან). თქვენი ბიჭო-გოგია გაფრინდა.

ა რ ჩ ი ლ ი. რაო?

ვ ა რ დ ი კ ო. არ შეგხვედრიან?

ზ უ რ ა ბ ი. ყოვლად შეუძლებელია.

ვ ა რ დ ი კ ო. ასეა და...

ლ ე ვ ა ნ ი. კი, მაგრამ ჩვენ მათ ვთხოვეთ...

ზ უ რ ა ბ ი. ხომ არ იცით, რომელი გზით წამოვიდნენ?

ვ ა რ დ ი კ ო. ალბათ მინდვრის გზით.

ლ ე ვ ა ნ ი. ჩვენ კი დიდი გზით დავბრუნდით.

ზ უ რ ა ბ ი. დიდი ხანია?

ვ ა რ დ ი კ ო. მზეს ჯერ კიდევ ღადღადი გაჰქონდა. (თვალს მიეფარება),

ლ ე ვ ა ნ ი. როგორ ვთხოვეთ, ფეხი არ მოეცვალათ.

ა რ ჩ ი ლ ი. ეჰ, ძმაო, ვინ იცის, რა მოუვა ქალს ჭკუაში.

ზ უ რ ა ბ ი. ბანაკში თუ მოგვაკითხეს...

ლ ე ვ ა ნ ი. ამ სიბნელეში, ტრიალ მინდორზე, სადაც მგლებიც კი ჩამოდიან... ვთქვათ, ბილიკი დაეკარგათ..

ა რ ჩ ი ლ ი. ნეტავ ახლაც ჩამოვიდეს მგელი და ჩემ ცოლს შეეამდეს. ისაა ყაჩაღანა, ეშმაკის ფეხი, ის ააგულიანებდა თქვენ ქალებსაც.

ლ ე ვ ა ნ ი. ან ხევში გადაცვივდნენ...

ა რ ჩ ი ლ ი. თქვენები ნუ მოიტეხენ კისერს და... რა ვქნა, რა ვუყო, თავი მაქვს მოსაკლავი... ვეძებოთ, მაგრამ სად — ამ ოთხ კილომეტრიან მინდორზე? თქვენი ხათრი, თორემ არ წამოვალ, რაც მოუვა, თავს დააბრალოს!

ლ ე ვ ა ნ ი. ისინი ახლა გაჭირვებაში არიან, ჩვენ კი...

ა რ ჩ ი ლ ი. კი ერჩია, მგონი, მგელს შეეჭამა, არა, ხვალვე უნდა დავაჭრა ჩემს ცოლს ნაწნავები, თორემ მეც დამკარგავს და თვითონაც დაიკარგება. (ზურაბს.) შენ რაღამ დაგამუნჯა?

ზ უ რ ა ბ ი (ლამფას გაამზადებს). მივდივარ.

ლ ე ვ ა ნ ი. წავიდეთ, წავიდეთ, მართლა არაფერი მოუვიდეთ.

ა რ ჩ ი ლ ი. ლილი და ნანა რომ არ მებრალებოდნენ, კაცი არ ვიყო, თუ ფეხი გადავდგა. (პირველი გარბის. ზურაბი და ლევანი მისდევენ.)

ვ ა რ დ ი კ ო (საფარს გაშოშორდება). ესეც ახლანდელი ქმრები!

სცენა ბნელდება.

... დილა. იგივე ოთახი სოფლის სახლში, ნანა მაგიდაზე საუზმეს აწყობს. ზურაბი წასასვლელად ემზადება. ეტყობა, ორივეს უნდა ერთმანეთის გამოლაპარაკება, მაგრამ ჯიუტობენ. გვერდითა ოთახებიდან ისმის კისკისი, სიმღერა.

ზურაბი ქუდს იხურავს, ჭადის.

ნ ა ნ ა. ზურაბ! წავიდა! (სკამზე დაეშვება.) არც ისაუზმა... რა ღამე იყო, რა საშინელი ღამე!

(შემოდიან სამგზავროდ გამოწყობილი ლევანი, ლილი, არჩილი და მზია).

ა რ ჩ ი ლ ი. ზურაბი სადაა?

ნ ა ნ ა. წავიდა.

მ ზ ი ა. არ უსაუზმია?

ნ ა ნ ა. როგორ... არა...

ლ ე ვ ა ნ ი. ჩვენ უკვე ბარგიც ჩავალაგეთ. ესე იგი ეს შრომა გავწიე მე.

მ ზ ი ა. გილოცავ, ლილი! შენი ბედი საიმედო ხელშია.

ლ ი ლ ი. არ ვანებებდი, მაგრამ...

ა რ ჩ ი ლ ი. რას ამბობ! რახან მეორე ცოლი არ შეგვექნა საძებნი, ბარგს ჩავალაგებთ კი არა, ჩემოდნებს, ჩვენი ცოლებიანა, ზურგით ვზიდავთ თბილისადმე. (ჩაიღიღინებს. მზიას ხელს დაავლებს და დაატრიალებს).

მ ზ ი ა. მოიცა... ჩემი ახალი კაბა...

ა რ ჩ ი ლ ი. ისევ ჯიბეები? არიქა, ფილოსოფოსო, თუ და ხარ, მომეცი ნემსი და ძაფი!

ლ ი ლ ი. როგორ!

ა რ ჩ ი ლ ი. ვერ მივაკერებ, თუ? საერთო საცხოვრებელში მე და ლევანი... (ლევანი იდაყეს წაჰკრავს).

ლ ე ვ ა ნ ი (ნანას). ესე იგი აქ გაიყარა ჩვენი გზები. თქვენ თბილისისკენ, ჩვენ — სოფლისაკენ...

მ ზ ი ა. ზეგ ჩვენც იქ არ ჩავალთ, ამათ ქორწილში?

ა რ ჩ ი ლ ი. ქორწილი!.. რა ქორწილი გვქონდა! ღმერთმანი, კიდევ გაიმეორებს კაცი.

მ ზ ი ა. არც კი გრცხვენია! წუხელ, იმ გაჭირვებაში, მე მხოლოდ შენი დარდი მქონდა...

ა რ ჩ ი ლ ი. გავიხუმრე, ბიჭო-გოგია! (ისმის მანქანის ხმა.) აბა, დროა!

ლ ე ვ ა ნ ი. მოიცა, ერთმანეთს გზა დავულოცოთ! (ყველანი მაგიდასთან მიდიან.) ოჰ, აქ ჭიქები აკლია. (კარადიდან ჭიქებს იღებს).

ლ ი ლ ი. მოიცა, არ გატეხო! (ეშველება).

ა რ ჩ ი ლ ი. ცუდი წარმოდგენა გქონია შენს ქმარზე! ეგ, საერთო საცხოვრებელში ყველას გვჯობნიდა. ეგ, რომ... (ლევანი იდაყვს წაკრავს.)

ლ ე ვ ა ნ ი. კარგია, ზურაბიც აქ იყოს, მაგრამ, რა გაეწყობა! აბა, გავიმეოროთ ჩვენი ფიცი! (ღვინოს დაასხამს, ხელს წინ გაიშვერს. ყველა მიბაძავს და ხელებს მაგიდის თავზე შეაერთებენ.) სადაც არ უნდა ვიყოთ, ერთად ვიყოთ, ერთმანეთის ჭირ-ვარამი გავიზიაროთ. თუ რომელიმე ჩვენგანმა წაიბორძიკა, ხელი შევაშველოთ, თუ რომელიმეს უღირსი რამ შევატყვეთ, პირველი მსჯავრი ჩვენ გამოვუტანოთ.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“
— გაუმარჯოს ჩვენს ზეგინდელ შეხვედრას, ზურაბის ოჯახში. (ჭიქას ასწევს. სიმღერას იწყებს. არჩილი აპყვება.)

მეგობრობა! — უფრო ტკბილი რა არის?
მეგობრობა — სიყვარულის ზღვა არის.
მის სხივს ვეტრფი, როგორც მზის და მთვარისას
სადღეგრძელოს შევსვამ — მეგობარისას...
(სვამს.) ზეიმი დამთავრებულია.

მ ზ ი ა. მოიცათ, მოიცათ! უგულობა იქნებოდა, რომ ამ სახლს, სადაც ასე ბედნიერები ვიყავით...

ლ ე ვ ა ნ ი. სადაც ყოველ დღეს ახლდა პოეზია...

ა რ ჩ ი ლ ი. მაშ გაუმარჯოს პოეზიას, უპირველეს ყოვლისა!

ლ ი ლ ი. შენ იცინი?

ა რ ჩ ი ლ ი. ...სრულებითაც არა! ნანა, შენ რას გაჩუმებულხარ?

ნ ა ნ ა. მე გეთანხმებით. გეთანხმებით კი არა, შეუძლებ-

ლად მიმაჩნია ცხოვრება პოეზიის გარეშე... პოეზია სიყვა-
რულში, მეგობრობაში, საქმეში, შინ და გარეთ...

მ ზ ი ა. ერთი სიტყვით...

ლ ე ვ ა ნ ი. მადლობა ვუთხრათ ამ სახლს და ვუსურვოთ
ჩვენს თავს, რომ აქედან, და მთელი სიცოცხლის მანძილზე
ჩვენი თანამგზავრი იყოს.

ყ ვ ე ლ ა ნ ი. პოეზია, უპირველეს ყოვლისა!

მ ზ ი ა. ლილი, წაგვიკითხე, რა, შენი ბოლო ლექსი.

ა რ ჩ ი ლ ი. რა დროს ლექსია!

ლ ე ვ ა ნ ი. მიკვირს, როგორ მოხიბლე, ბიჭო, ფილოლო-
გი, ა?

ა რ ჩ ი ლ ი (სიცილით). მართლაც, ძმაო, ისე ვარ გარეული
თქვენს გუნდში, როგორც ყვავი ბულბულებში (ლილს.) ვეღარ
გავიგე, ინჟინერი ხარ, თუ პოეტი? ეჰ, წაიკითხე და ის იქნე-
ბა — ვყოფილვარ შენი მსხვერპლი და რა ექნა.

ლ ე ვ ა ნ ი. ლილი, გთხოვ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი. გთხოვთ, გთხოვთ!

ლ ი ლ ი. ო, ამ მინდორზე, როგორ ბნელოდა,
შენი თვალების ალმოჩენამდე...
და მე გეძებდი... გული ელოდა,
როდის ამინთებ ცაზე ჩირაღდნებს...

მოხველ და ხეთაც ფერი იცვალეს,
ჩემთვის აყვავდნენ ურჩი შვინდებიც...
და ჩვენს შეხვედრას ვლოცავ ცისმარე,
როცა შენს მხართან გავირინდები...

... ახლა მივდივართ, ასე მგონია,
ჩვენთვის აშალა ფრთები საღამომ...
წინ ბილიკია, წინ მინდორია —
იდუმალება, დაუსაბამო...

ლ ე ვ ა ნ ი (თვალს გაახელს). კარგია!

ა რ ჩ ი ლ ი. ჰოდა, რაღა გიჭირს, ძმაო, უზრუნველყოფილი
იქნები: ლექსები საუზმედ, სადილად, ვახშმად... (პათოსით:)
გისურვებთ, ლექსებით ავსებულიყოს თქვენი ბეღელი! (ჭიქას

დაცლის.) არიქა, გაგვასწრო მატარებელმა! (არჩილი, ლევანი და მზია ოთახიდან გარბიან).

ლ ი ლ ი. ხომ იცი, ვერაფერს გამომაპარებ! გითხრა რამე?

ნ ა ნ ა. უარესი... ხმა არ გაუცია. არ ვუყვარვარ, არა!

ლ ი ლ ი. რას სულელობ!

ნ ა ნ ა. ეჰ, ჩემო დაიკო, მგონი მართალია იმ წიგნის ავტორი და...

ლ ი ლ ი. ეს გოგო გამაგიჟებს!

ლ ე ვ ა ნ ი (შემოიხედავს). ნიბლო!

ლ ი ლ ი. მოვდივარ! (ნანას.) ნუ სულელობ მეთქი!

(ყველანი აივანზე გადიან. გამოდის ვარდიკო).

ა რ ჩ ი ლ ი. მშვიდობით, ვარდიკო! იცოდე, ქორწილი არ გამოგვაპარო, შენი მეჯვარე მე უნდა ვიყო. აბა, მშვიდობა დავიტოვებია.

(ვარდიკოს ეთხოვებიან. გადიან. ნანა და ვარდიკო ოთახში შემობრუნდნენ.)

ვ ა რ დ ი კ ო. ზურაბი რა იქნა?

ნ ა ნ ა. ბანაკში... პატარა საქმე აქვს...

ვ ა რ დ ი კ ო. რა ფერი გადევს, არ შეგირიგდა?

ნ ა ნ ა. ვინ გითხრა?

ვ ა რ დ ი კ ო. მე ვერაფერს გამომაპარებ! მაშ არ გაგიჯავრდა?

ნ ა ნ ა. სრულებითაც არა.

ვ ა რ დ ი კ ო. ნაცემს კი გევბარ და... საუზმისათვისაც ხელი არ გიხლიათ. ეჰ! ესეც გათხოვება! ჯერ, თურმე ქორწილიც არ გადაგიხდიათ და... „რად არ თხოვდები ვარდიკო". იმად, რომ ახლანდელი ბიჭები ქმრად არ ვარგიან, არა! თქვენ, ვინ იცის, იქ გულები გისკდებოდათ, — ესენი კი... იცი, ერთმა რა სთქვა „ნეტავი ჩემ ცოლს მართლა მგელი შეჭამდესო, განვთავისუფლდებიო". წამოსვლაც კი არ უნდოდა საძებრადა, „მე ვუბრძანეო, ფეხი არ მოეცვალაო, ასეთი ქალო, რაც ადრე დაიკარგება, ისა სჯობსო"...

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. ვარდიკო!

ვ ა რ დ ი კ ო. მოვდივარ, დედი! (გარბის.)

ნ ა ნ ა. ყველამ შეგვატყო... ვარდიკოსაც კი ვებრალები... ჰმ! ვებრალები! — ამასაც მოვესწარი! „ნეტავი მგელი შეჭამ-

დესო, თავი მომაბეზრაო, ვარდიკო ტყუილს არ იტყოდა... ან რაღა მე მითხრა? რა თქმა უნდა ვებრალები და უნდა თვალი ავიხილოს... (პაუზა.) როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ისინი... თითქო არც არაფერი მომხდარა... ზურაბი კი... არ ვუყვარვარ, არა! ჯერ ერთი თვეც არაა, რაც ერთად ვართ და აგერ რამდენი საათია ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. ჰმ! „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ჰმ, სულელო ჩემო თავო... მთელი ღამე ოხრავდა... ნანობდა, რა თქმა უნდა, ნანობდა, რომ შემირთო.. „თავი მომაბეზრაო“, ა? ისიც როგორ სთქვა? — ყველას გასაგონად... არა, ასეთ შეურაცხყოფას ვერ ავიტან, თავს არ მოვაბეზრებ, არა! მეც მაქვს თავმოყვარეობა და დავუმტკიცებ, რომ არც მისი ნივთი ვარ, არც მონა, არც... (ბარათს წერს, სასწრაფოდ ალაგებს ჩემოდანს.) მშვიდობით ჩემო ოთახო... აქ რჩება ჩემი ერთი თვის ბედნიერების ილუზია, რომელმაც პირველსავე პატარა გამოცდას ვერ გაუძლო...

(ჩემოდანით ხელში, აჩქარებით გადის. სცენა ერთხანს ცარიელია. შემოდის ზურაბი მინდვრის ყვავილების თაიგულით ხელში).

ზ უ რ ა ბ ი (მიიხედ-მოიხედავს). სად უნდა იყოს? უეცრად დამიდგა თვალწინ ნანას გაფითრებული სახე და გზიდან დავბრუნდი. წუხელ არც იმას ეძინა, ეტყობა სწუხდა, რად არ მივედი, მივუალერსე, დავამშვიდე? არ ვიცი! ჩემი პატარა ფილოსოფოსი! (მაგიდას დახედა) არც თვითონ უხლია საუზმისათვის ხელი... ვუყვარვარ! რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი! შემოვა და ვეტყვი, ვეტყვი ყველაფერს, რაც გულში მაქვს... „მიყვარხარ, ნანა, ძალიან მიყვარხარ, — ვეტყვი მე — და ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი“...

კი, მაგრამ რა იქნა? (მიიხედ-მოიხედავს.) ნანას ქუდი? კაბები? (ეძებს, მაგიდასთან მიიკრება, ბარათს შეამჩნევს, გახსნის, კითხულობს. ხელი უკანკალებს).

„დავრწმუნდი, არ მყვარებიხარ. მივდივარ. ტყუილად ნუ მეძებ“. ნანა! (სკამზე ჩაიკეცება).

ვ ა რ დ ი კ ო (შემორბის). არიქა, გათავდა კაცი სიყვარულის ნიადაგზედა! (ზურაბს მიაშურებს.)

მოქმედება მეორე

გაივლა ხანი... ლევანის და ლილის ბინა, ერთ-ერთ რაიონულ სამრეწველო ქალაქში, სასადილო მაგიდაზე ორი სურსათით სავსე ჩანთაა. საწერ მაგიდასთან ლილი ზის, მუშაობს. შემოდის ლევანი.

ლ ე ვ ა ნ ი. შენ უკვე შინა ხარ?

ლ ი ლ ი. ახლახან მოვედი.

ლ ე ვ ა ნ ი. ამ სურსათის ყიდვა როდისღა მოასწარი?

ლ ი ლ ი. შესვენების დროს.

ლ ე ვ ა ნ ი. ფუტკარი ხარ, ნამდვილი ფუტკარი. მაგრამ რამდენჯერ გითხარი: ნუ ათრევ ასეთ სიმძიმეს. ხომ არაფერი იწვის?

ლ ი ლ ი (სამზარეულოში გარბის. უკან ბრუნდება). სადილი დავდგი. უეცრად რაღაც აზრი შემომიჩნდა. ვიფიქრე, ჩავინიშნავ მეთქი. როგორ მინდოდა, მომესწრო სადილი...

ლ ე ვ ა ნ ი. საფუძვლიანად ვისაუზმე. ასე, რომ, შეგიძლია იმოღვაწეო. (ლილი სამზარეულოში გადის. ლევანი საფოსტო ყუთიდან ჟურნალ-ვაზეთებს იღებს. იატაკზე ცისფერი კონვერტი ეცემა. ლევანი აიტაცებს, კითხულობს:) „ლილი ინწკირველს“ — ვისგან უნდა იყოს? — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ბარათს კითხულობს): „ჩემო ახალგაზრდა კოლეგავ! მივიღე თქვენი წერილი“... (ჩუმად განაგრძობს კითხვას. შემოდის ლილი. ლევანი ბარათს მალავს.) ნეტავი, ისაუზმა ოთარმა?

ლ ი ლ ი. აგერ!

ლ ე ვ ა ნ ი. ყოჩაღ, ბიჭო, კარგად მოუსუფთავებია. თუმცა შენ ისე გემრიელად ამზადებ სადილს, რომ... საოცრად გემრიელი ხელი გაქვს!

ლ ი ლ ი (სიამოვნებით). ოჰ, ოჰ!

ლ ე ვ ა ნ ი. გიყურებ და ვფიქრობ: თუ არის ქვეყანაზე, მეორე — ჩემისთანა ბედნიერი? არა, თუ? შესანიშნავი ცოლ-

შვილი, საყვარელი საქმე... (ისმის ზარის ხმა კარს აღებს.) აგერ, კიდევ ქვირფასი მეგობრები!.. (ოთახში სამგზაუროდ გამოწყობილი არჩილი და მზია შემოდიან).

ა რ ჩ ი ლ ი. მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ჩვენი ბრიგადა გამოცხადდა თქვენს განკარგულებაში!

ლ ი ლ ი. არჩილ! მზია!

მ ზ ი ა. ლილი! (ყველანი ერთმანეთს ეხვევიან).

ლ ე ვ ა ნ ი. რა გაგვახარეთ! ბავშვები?

მ ზ ი ა. დედასთან დავტოვეთ.

ა რ ჩ ი ლ ი. დღესვე ვბრუნდებით. პირველიდან კი...

ლ ი ლ ი. ერთად, ისევ ერთად! რა ბედნიერებაა! ეჰ, ნანაც რომ....

ლ ე ვ ა ნ ი. ან, ნანას რა უნდა ცხრა მთას იქით? ჩვენი ქვეყანა ბაგირგზებისთვისაა გაჩენილი, მაგრამ...

ა რ ჩ ი ლ ი. თავზე კი გადაგვაფრინდა, ძმაო... და... ბრწყინვალედ დაუცავს დისერტაცია.

ლ ი ლ ი. საიდან იცი?

ა რ ჩ ი ლ ი. ჩემი ნაცნობი დასწრებია. ხომ მიულოცეთ?

ლ ი ლ ი. როგორ არა.

ა რ ჩ ი ლ ი. ზურაბის არაუერი იცი?

ლ ე ვ ა ნ ი. თითქოს სადღაც აქ უნდა იყოს, ამ რაიონში.

ა რ ჩ ი ლ ი. მერე, ვერ მოძებნე? მოსაკლავი კია! ჭკუადმყოფელი, ისეთ ქალს დაკარგავდა? ნუ გეწყინებათ, ქალებო, მაგრამ ნანა ორთავეს გჯობდათ.

ლ ი ლ ი. მართალია!

მ ზ ი ა. ტვინი იღრძო, თორემ..

ლ ე ვ ა ნ ი. იღრძო, ა? ჰა, ჰა, ჰა!

ლ ი ლ ი. ტვინის ღრძობა რას ჰქვია? ნანას თავისებური შეხედულება ჰქონდა ცხოვრებაზე, დიდი მომთხოვნელობა ადამიანების მიმართ...

ლ ე ვ ა ნ ი. ჰოდა, ალბათ აწონ-დაწონა, ვეტექიმის ცოლობა, რაიონში ცხოვრება არაფრად ეჩაშნიკა და.!..

ლ ი ლ ი. ლევან!

მ ზ ი ა. მეც ერთი-ორჯერ გავეხუმრე... ნეტავ ენა გამხმობოდა!

ლ ე ვ ა ნ ი. ადრე აეწონ-დაეწონა, იმ დალოცვილს!

ა რ ჩ ი ლ ი. არ გრცხვენია? ნანა და ანგარება? ბრწყინვალე თაყვანისმცემლები ეყლებიან თურმე თავს, მაგრამ ახლოსაც არ იკარებს.

ლ ე ვ ა ნ ი. საიდან იცი?

ა რ ჩ ი ლ ი. მითხრეს.

მ ზ ი ა. ნანა შიშმა გააქცია, ცხოვრების სიძნელეს შეუშინდა.

ლ ი ლ ი. არა! ის ეძებდა ცხოვრებაში განსაკუთრებულს და შეეშინდა.

ლ ე ვ ა ნ ი. ჰო, რასაც მზია ამბობს — სიძნელეების...

ლ ი ლ ი. არა, ის დაეჭვდა ზურაბის სიყვარულში...

ლ ე ვ ა ნ ი. დაეჭვდა! ლაჩარი!

ა რ ჩ ი ლ ი. რა უფლებით ამტყუნებ? იცი, რამ მიიყვანა გაქცევამდე?

ლ ი ლ ი. უფერული ბედით ვერ დავკმაყოფილდებიო...

ლ ე ვ ა ნ ი. ე, ხომ ვთქვი! რაიონში ცხოვრება...

ლ ი ლ ი. ლევან!

ლ ე ვ ა ნ ი. მაგრამ რითაა უფერული შენი და მზიას ბედი? არ გვიყვარხართ? არ გიფრთხილდებით?

ლ ი ლ ი. მაგაში რომ არ ვიყოთ დარწმუნებულები, ერთადაც არ ვიქნებოდით.

მ ზ ი ა. ნანას ფილოსოფიამ გამოჭამა გული.

ლ ი ლ ი. მზია!

მ ზ ი ა. ჰო, ჰო! გახსოვს, იმ სულელურ წიგნს რომ ჩაკირკიტებდა? მინდობოდა ცხოვრებას...

ლ ე ვ ა ნ ი. ჰო! ჩვენ თუ მივენდეთ, რა დაგვიშავდა? ცუდი ოჯახები გვაქვს? ბედნიერებას მოპოვება უნდა და მოპოვებულს — გაფრთხილება.

ა რ ჩ ი ლ ი. ეგ მართალია, მაგრამ ვიცით, რა მოხდა ჩვენი წამოსვლის შემდეგ? მე მაინც მგონია, ზურაბია დამნაშაე.

ლ ე ვ ა ნ ი. არა, ნანა არ ყოფილა ოჯახისთვის დაბადებული.

ლ ი ლ ი. ჰოდა არცა აქვს ოჯახი... არის სადღაც გადაკარგული... რაღა გასამართლება უნდა? (ცრემლი მოერევა).

მ ზ ი ა. მერე ვისი ბრალია?

ლ ი ლ ი. ზურაბის.

ლ ე ვ ა ნ ი. ნანასი.

ა რ ჩ ი ლ ი. არა, ზურაბის.

ლ ე ვ ა ნ ი. ნანას ბრალია.

მ ზ ი ა. სწორია. მე არავიზე ნაკლებ არ მიყვარს ნანა, მაგრამ...

ლ ი ლ ი. ზურაბია დამნაშავე.

ლ ე ვ ა ნ ი. არა, ნანა!

ა რ ჩ ი ლ ი. რა დღეში ჩავვარდით, ა? ჩაველით ქორწილში, სადაა ნეფე-დედოფალი.

ლ ი ლ ი. მერე საკუთარმა ბედნიერებამ. მეგობრების ბედიც დაგვავიწყა და...

ა რ ჩ ი ლ ი. ჩვენი ფიციც, ჰო, ჰო, შევასრულეთ? დავეხმარეთ მეგობრებს?

ლ ე ვ ა ნ ი. კი ვეღარსად მივწვდით და... დაიკარგა, დაიკარგა კაცი.

ლ ი ლ ი. ოჰ! (გამალებით აწყობს სუფრას.)

ლ ე ვ ა ნ ი. ასეა! ოჯახს გაფრთხილება უნდა! ოჯახი — ესე იგი, მყუდრო სავანე. რას ემგვანებოდა, ვთქვათ, ჩემი ცხოვრება ლილი რომ არ მყავდეს, ან შენი, არჩილ, მზიას გარეშე?

ა რ ჩ ი ლ ი. ბედნიერი კაცი ვიქნებოდი.

ლ ე ვ ა ნ ი. გყავს მეგობარი, გიყვარს...

ა რ ჩ ი ლ ი. ვინ გითხრა?

მ ზ ი ა (სიცილით). ასეა! ერთი ტკბილი სიტყვა არ წამოსცდენია.

ლ ე ვ ა ნ ი. სიყვარული! რა არის სიყვარული? რაღაც უმაღლესი, უფაქიზესი... (ლილი იატაკზე ჩაიკეცება).

ყ ვ ე ლ ა ნ ი. ლილი!

ლ ე ვ ა ნ ი (ლილის აიტაცებს, სავარძელზე აწვენს). მიშველეთ! არჩილ, მზია! ლილის რომ მოუვიდეს რამე, თავს მოვიკლავ! მიშველეთ!! ლილი!

მ ზ ი ა. ლილი! (წყალს ასხურებს).

ა რ ჩ ი ლ ი. ექიმი! (ყარისკენ გარბის).

ლ ი ლ ი (ოდნავ გასაგონად). იწვის...

ლ ე ვ ა ნ ი. სად, რა, გენაცვალე.

ლ ი ლ ი. სა-დი-ლი იწვის...

ლ ე ვ ა ნ ი. ჯანდაბას სადილი! შენ როგორა ხარ?

ლ ი ლ ი. არაფერია... არაფერი... უბრალოდ... თავბრუ დამესხა (სუსტი ღიმილით.) წარმატებებისაგან...

ლ ე ვ ა ნ ი. მლუპავ? (მაგიდისკენ გარბის.) ექიმს უნდა გამოვუძახო!

ლ ი ლ ი. არაა საჭირო!

ლ ე ვ ა ნ ი (ტელეფონს მიეარდება). პოლიკლინიკაა?

სცენა ბნელდება.

...ზურაბის ოთახი იმავე ქალაქში, სადად მორთული, სუფთად მილაგებული. კედლებზე წიგნებით სავსე თაროები და რამდენიმე ცხოველის სურათი. ზურაბს საწერ მაგიდაზე წიგნები გადაუშლია, მუშაობაშია გართული. ისმის ტელეფონის ზარი. ყურმილს იღებს.

ზ უ რ ა ბ ი. (ტელეფონში:) არა, ამხანაგო, ეს არ არის პოლიკლინიკა. (ყურმილს ჰკიდებს მუშაობას განაგრძობს. ტელეფონი დაჟინებით რეკს. ტელეფონში) კერძო ბინაა, ამხანაგო, კერძო ბინა — 2 — 25, პოლიკლინიკის ნომერი? — ვერ გეტყვით. (ყურმილს ჰკიდებს.) აღარაა საშველი! (სამზარეულოში გარბის, ჩაის ჭურჭელი გამოაქვს, მაგიდაზე დგამს. წიგნით ხელში მიდის კედელთან და ცხენის სურათს აკვირდება. სურათს შეაბრუნებს. სურათის მეორე მხარეს ნანას ფოტოსურათია. კარზე ზარი ირეკება. ზურაბი სწრაფად კვლავ შემოაბრუნებს ფოტო-სურათს და კარს აღებს. ოთახში იულონი შემოიხედავს.)

ი უ ლ ო ნ ი. ჩვენ ბოდიში, მეზობელო! წუხელ ეს დეპეშა მოიტანეს, თქვენ არ ბრძანდებოდით და...

ზ უ რ ა ბ ი. დიახ, სოფელში ვიყავი, მძიმე ავადმყოფი მყავს. (დეპეშას ართმევს).

ი უ ლ ო ნ ი. უჰ! ოჯახის წევრი? (ოთახში შემოდის).

ზ უ რ ა ბ ი. ერთი კოლმეურნეობის ცხენი. (დეპეშას ხსნის, შეშფოთება ეტყობა).

ი უ ლ ო ნ ი. უბედურება ხომ არაფერია, ექიმო?

ზ უ რ ა ბ ი. არა... ერთი... ქალი ჩამოდის.

ი უ ლ ო ნ ი. ჰე, ჰე, მაგან შეგაწუხა?

ზ ურ ა ბ ი. ჩემი... ნათესავია...

ი ულ ო ნ ი. კიდევ უკეთესი! როდის მოვდივარო!

ზ ურ ა ბ ი. დღეს.

ი ულ ო ნ ი. მარტო, თუ...

ზ ურ ა ბ ი. მარტო, მაგრამ მე... მე ვერ დავხვდები... ეს წუთია, წასვლას ვაპირებდი...

ი ულ ო ნ ი. ისევ იმ ცხენთან, ექიმო?

ზ ურ ა ბ ი. დიახ! ძალიან რთული შემთხვევაა... რამდენი დღეა თავს ვიტეხავ და ძლივს დავადგინე დიაგნოზი. (წასასვლელად ემზადება).

ი ულ ო ნ ი (ცედლებს ათვალიერებს). ეს სულ თქვენი პაციენტების სურათებია?

ზ ურ ა ბ ი. დიახ.

ი ულ ო ნ ი. მერე, ამ ცხენის თავების ყურებას, ჩვენ ბოდიში, ცოლშვილის სურათები დაგეკიდებია!

ზ ურ ა ბ ი. უკაცრავად, თქვენი სახელი?

ი ულ ო ნ ი. იულონი.

ზ ურ ა ბ ი. ყველა მაგ სურათს, პატივცემულო იულონ, თავისი ისტორია აქვს. ყველა — ძვირფას მოგონებებთანაა დაკავშირებული. ათასგვარ სნეულებებთან ბრძოლის, უძილო ღამეების, ღელვის, ძიების დღეებთან. ხელჩართულ ბრძოლებთან.

ი ულ ო ნ ი. ვისთან, ბატონო?

ზ ურ ა ბ ი. სიკვდილთან. ესენი ხომ ჩვენი მეგობრებია, ჩვენი მარჩენლები, ჩვენი გუშაგები და უენო მსახურები!.. რამდენი ცხენი დაცემულა ბრძოლის ველზე, რამდენი ძაღლი განგმირულა მტრის ხელით, რამდენს გადაურჩენია ჩვენი სიცოცხლე შინ და გარეთ...

ი ულ ო ნ ი (ათვალიერებს). დიახ, დიახ! ამ ხბოს ლამაზი თვალები კი აქვს, მაგრამ ამის მაგივრად რომ ლამაზი ქალის სურათი ეკიდოს, კი მირჩევნია, ჰე, ჰე, ჰე! ამას რაღა ისტორია უნდა ჰქონდეს?

ზ ურ ა ბ ი (წარბშეკვრით). ჩემი... სტუდენტობის დროინდელი... (დაფიქრებით) ის ისეთი კარგი იყო... ლამაზი, მეოცნებე თვალები ჰქონდა...

ი უ ლ ო ნ ი. ჩვენ ბოდიში, მაგრამ მაგ ხბოს ისტორიას, ახლა კი ჯობს ხბოს მწვადები. ჰა, ჰა, ჰა! ზედ კაი საწებელი, შენ ხარ ჩემი ბატონი და წითელი ღვინო ხომ სულ დახატავს, რას იტყვით, ა? ეგერ, თეფშსა და თეფშს შუა მაქვს დაცვარული, მისი ხახვით და მოწყობილობით...

ზ უ რ ა ბ ი. გმადლობთ, მაგრამ... მე, ახლა ისე ვიჩქარი, რომ...

ი უ ლ ო ნ ი. ჰოოო... ეტყობა, ეს ცხენიც ძალიან გყვარებიათ, ნამდვილად კარგი ჯიშისაა.

ზ უ რ ა ბ ი. დიახ. ყველას მოსწონდა. მეც გახარებული ვიყავი, მაგრამ...

ი უ ლ ო ნ ი. დაჰკარგეთ, ა? საწყენია, საწყენი! ეს კატა რიღათია შესანიშნავი?

ზ უ რ ა ბ ი. ძალიან ლამაზი იყო, ალერსიანი...

ი უ ლ ო ნ ი. ააა!

ზ უ რ ა ბ ი. მაგრამ ვერაგი აღმოჩნდა, ისე გამიკაწრა გული, რომ...

ი უ ლ ო ნ ი. გულამდეც მოგწვდათ, ა? ხო, ხო, ხო!

ზ უ რ ა ბ ი. მისწვდა. (უეცრად) უჰ! სულ დამავიწყდა! (სამზარეულოში გარბის. კარზე ზარი ირეკება. იულონი კარს აღებს: კარებთან სამგზავროდ გამოწყობილი ნანა დგას.)

ნ ა ნ ა. უკაცრავად! ლევან ინწკირველი აქ ცხოვრობს?

ი უ ლ ო ნ ი. არა, პატივცემულო.

ნ ა ნ ა. ეს ნინოშვილის თხუთმეტია, ხომ?

ი უ ლ ო ნ ი. დიახ.

ნ ა ნ ა. გასაოცარია! უკაცრავად. (წასასვლელად შებრუნდება.)

ი უ ლ ო ნ ი. მოითმინეთ, მოითმინეთ! აქვე ახლოა ნინოშვილის შესახვევიც და იქნებ...

ნ ა ნ ა. გმადლობთ. (ვადის).

გამოდის ზურაბი

ზ უ რ ა ბ ი (შეშფოთებულად). თითქო ვილაცის ხმა მომეჩვენა...

ი უ ლ ო ნ ი. დიახ. თვითონ ქალღმერთის. მაგრამ გვერდით ჩაგვიარა.

ზ ურ ა ბ ი. ჩაიდანი მთლად ამომშრალა.

ი ულ ო ნ ი. ძალიან კარგი უქნია. ჩაი რა ვაუკაცის საქმელია? როგორც მოგახსენეთ, მეზობლები ვართ. ერთმანეთს გავიცნობდით, ამ თქვენი პაციენტების სადღეგრძელოსაც მივიღებდით და... ჰე, ჰე, ჰე!

ზ ურ ა ბ ი. არა, ახლა ვერა! დიდად გმადლობთ, მაგრამ ავადმყოფთან მივიჩქარი...

ი ულ ო ნ ი. ისევ იმ ცხენთან, ა? თქვენი ნებაა! ბოდიში! (გასვლას დააპირებს).

ზ ურ ა ბ ი (უხერხულად). პატივცემულო იულონ, ძალიან ვეჩქარებათ?

ი ულ ო ნ ი. არა. რაზე მეკითხებით?

ზ ურ ა ბ ი. იცით... იქ ცხენის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია... აქ კი იმ ჩემ სტუმარს...

ი ულ ო ნ ი. ელოდებით, არა? თუ გნებავთ მე დავხვდები.

ზ ურ ა ბ ი. გმადლობთ! დიდად გმადლობთ! (უეცრად ჰკოცნის იულონს და აჩქარებით გადის.)

ი ულ ო ნ ი (გაოცებული გაადევნებს თვალს. წიგნებით სავსე მაგიდას და თაროებს ათვალიერებს. ცხოველების სურათებს აკვირდება) საწყალი! ამ წიგნებს და სურათებს გაუგიჟებია. (ჩაფიქრდება) „ძმა-ძმისთვის და შავი დღისთვისაო“ — ხალხს უთქვამს. (გადის და მალე ბრუნდება სურათით, რომელზეც მოცეკვავე ბალერინაა გამოხატული) იქნება ამ სურათმა მაინც გაახსენოს, რომ ცხენზე ლამაზი არსებებიც ცხოვრობენ ამ ქვეყნად. მაგრამ სად დავკიდო? მოდი, ამ ჯაგლაგას ადგილას მოვათავსებ. (სურათს ხსნის) ეს იქითაც რომ გადავკიდო, არა უჭირს-რა. (სურათს შეაბრუნებს) ააა? ესეც თქვენი ჯაგლაგა! კარგი ეშმაკი ყოფილა ეს ჩვენი ვეტექიმი — ვერ ამოურჩევია, გოგო, თუ? (უეცრად) მოიცა! მოიცა! ეს ხომ ისაა? ჰო! ღმერთქალი! და რა თქმა უნდა, ზურაბის საყვარელი. ისე გამოდის, მე შემიშლია ხელი, ა? — არაფერია, დაეწევა. ერთი ესენიც ვნახო! (აბრუნებს ხბოსა და კატის სურათებს) ისევ ის ქალი! ეტყობა, მაგრად კი ყოფილა ჩამწვარი, კი, მაგრამ, მაშინ ეს ვილაა? (დეპეშას დასცქერის) „ვარდიკო“ იფ, რა სახელია, მაგრამ ცოლია ნეტავ, თუ საყვარელი. ვაი, საწყალო ზურაბო, არ მომწყვდეულხარ ორ ცეცხლს შო-

რის? (კარზე ზარი ირეკება) ის არის, ის! (სასწრაფოდ უბრუნებს პირს სურათებს. კარზე რახუნი ძლიერდება. იულონი ცხენის სურათს დაავლებს ხელს, დაბნეული, შებრუნებით ჰკიდებს და კარს აღებს).

ვ ა რ დ ი კ ო (კარიდან). ვეტექიმი ზურაბ...

ი უ ლ ო ნ ი (მოხიბლული). დიახ, დიახ, აქ ცხოვრობს. მობრძანდით, მობრძანდით! (თავისთვის) აი, ბედი ზურაბმა დაიკვეხოს! (ხმა მაღლა) ჩვენ ბოდიში, თქვენ, ალბათ, ჩვენი ზურაბის პაციენტი... უჰ!.. სტუმარი... ჩვენ ბოდიში...

ვ ა რ დ ი კ ო. არაფერია, არაფერი! თქვენ...

ი უ ლ ო ნ ი. ზურაბის მეზობელი გახლავართ.

ვ ა რ დ ი კ ო. თვითონ სადღაა?

ი უ ლ ო ნ ი. რაიონში. ესე იგი... გამოუძახეს. ასე ვთქვათ რაღაც მძიმე შემთხვევაა... თქვენ ალბათ იცით, მისი თავგამეტებული სიყვარული ცხენების მიმართ (იქით იშვერს ხელს, სადაც ცხენის სურათი ეგულება.)

ვ ა რ დ ი კ ო. ააა? (ღონემიხდილი ეშვება სკამზე. იულონი კედლისკენ მიბრუნდება. შუბლში ხელს იტაცებს და ნანას ფოტოსურათისაკენ გარბის. სცენა ბნელდება).

სცენა შუქდება

არჩილის და მზიას ოთახი. მავიდა სადილისთვისაა გაწყობილი. ოთახში არიან: ლევანი, ლილი, არჩილი, მზია და ნანა.

ა რ ჩ ი ლ ი (ტელეფონში). საზოგადო სამზარეულოა? — რა გვარი? — ცეცხლაძე? სასიამოვნოა! გამარჯობათ, ამხანაგო ცეცხლაძე, ვინ გელაპარაკებათ? — ერთი უცნობი მეგობარი. სადილად მინდოდა დამეპატიჟეთ. — უკვე მიირვით? რაღა დროს სადილია? — მეც სწორედ ეგ მინდოდა მეკითხა. თქვე დალოცვილებო, სადილი ხუთი საათისათვის შეგიკვეთეთ, ახლა კი მერვეა. ორი საათია ტელეფონზე ვკიდივარ, თანამშრომლები მარწმუნებენ „წამოვიდაო“... კი, მაგრამ აქამდე შე კაცო, ბაქოში ჩავიდოდი. „ვაი თუ გზაში დაიღალა, სუსტია და ვერ იარა?“ — თქვენ, პატივცემულო დირექტორო, ალბათ შექეიფებული ბრძანდებით და გემღერებათ, — ახლა ჩვენი იკითხეთ! ამხანაგო ცეცხლაძე, კატეგორიულად გეკითხებით: „სადაა სადილი?“ გავცეცხლდი კაცი და ესაა!!!

მ ზ ი ა (ყურმილს ართმევს). კარგი, აჩიკო, დამშვიდდი.

ლ ი ლ ი. გაგიხეთქეს გული და ესაა!

ლ ე ვ ა ნ ი. ასეა, ძმაო, აბა რა გეგონა! მაგათ არაფერი ეშველებათ.

ა რ ჩ ი ლ ი. სცადე?

ლ ე ვ ა ნ ი. რამდენი ფრონტი გავხსნა, ბიჭო, ჩემ გეგმებს ძლივს ვერევი.

ა რ ჩ ი ლ ი. კი მაგრამ...

ლ ე ვ ა ნ ი. რა ვქნათ, ვეწვალებით და როგორცაა იოლად მივდივართ. შენც მიეჩვევი და დამშვიდდები — მეტი რა გზაა. რაც შეეხება დღევანდელ სადილს, ჩვენ გვექნება რამე და... აბა ნიბლო, გენაცვალე!

ლ ი ლ ი. ახლავე.

ა რ ჩ ი ლ ი. მოიცა, მოიცა, არც აგრეა საქმე. ჩემო ცოლო, გადავსინჯოთ რესურსები. ჰო, რა გვაქვს? ყველი, ძეხვი.

მ ზ ი ა. კიდევ... ჰო, კონსერვები, ბურღულის ფაფა, ნახევარი ქათამი...

ა რ ჩ ი ლ ი. ამასთან კარგი ხილი, მწვანილი და... ვისროლოთ ქუდი ჭერში.

ლ ე ვ ა ნ ი (ლილის, ხმადაბლა). ბურღულის ფაფას რა მაქმევს!

ლ ი ლ ი. ჩვენ სადილსაც შემოვუმატებთ და... (გარბის.)

ა რ ჩ ი ლ ი. აბა, ოპერატიულობა, მეტი ოპერატიულობა!

„ლალე, ლალე, დიკლი დალალალე
ერთი ძეხვი მომაწოდე,
დაეჭრათ, შევწვათ მალე“...

(მზია ძეხვს მოარბენინებს).

მ ზ ი ა. ტაფა დავდგი.

ა რ ჩ ი ლ ი (ძეხვს ჭრის). აჰა, წაიღე! (მზიას აწვდის. კონსერვს ხსნის.)

ლ ე ვ ა ნ ი. ყოჩაღ, ბიჭო, სასადილოში ხომ არ გიმუშავნია?

ა რ ჩ ი ლ ი. არც ცეცხლაძე დაბადებულა სამზარეულოში.

მ ზ ი ა. შეიძლება ხალხის ასე გამასპინძლება? შეფერის ჩვენს ადათ-წესებს? გავაკეთებდი კარგ სადილს...

ა რ ჩ ი ლ ი. საშზარეულოში რაღას მიკეთებენ? ჰყავთ სპეციალისტები, აქვთ ყოველგვარი მოწყობილობა.

მ ზ ი ა. კი ალარ გვაღირსეს და... (ტაფა შემოაქვს).

(ლილის ქვაბი შემოაქვს. სუფრასთან სხდებიან. ლილი ხორცის რამდენიმე საუკეთესო ნაჭერს აწყობს თეფშზე).

ა რ ჩ ი ლ ი. გმადლობთ, ლილი, გენაცვალე! (თეფშს იღებს).

ლ ი ლ ი. ეგ ლევანისაა... ვერავითარ ფაფას დასანახადაც ვერ იტანს.

ა რ ჩ ი ლ ი. ძალიან არ გაუნებივრებიხარ, ბიჭო?

ლ ე ვ ა ნ ი. მეც ასევე ვანებივრებ.

ა რ ჩ ი ლ ი. ყოჩაღ, ძმაო! მაშ, გაუმარჯოს ჩვენს შეხვედრას! (ცოქა ასწია).

ყ ვ ე ლ ა ნ ი. გაუმარჯოს.

ა რ ჩ ი ლ ი. თამადობა შენ გეკუთვნის, ლევან! აქ შენ გადმოგვიყვანე, ბინასაც შენ უნდა გიმადლოდეთ, ძმაო და... ერთი სიტყვით, პირნათლად ასრულებ ჩვენს წესდებას.

ლ ე ვ ა ნ ი. ეგ არაფერი! მთავარია, ვიყოთ ტკბილად, მეგობრულად.

ლ ი ლ ი. ერთმანეთს კი ვერ ვხედავთ და... აგერ, 3 დღეა ერთ ჭერქვეშ ვართ, მაგრამ...

მ ზ ი ა. არაფერია, დავეწყობით, დავლაგდებით.

ა რ ჩ ი ლ ი. ფილოსოფისიც აქ დარჩება.

ლ ე ვ ა ნ ი. რაღა თქმა უნდა!

ნ ა ნ ა. მე...

ა რ ჩ ი ლ ი. არსად არ წახვალ!

მ ზ ი ა. ბინაზე, ჯერჯერობით, ჩვენთან იქნები.

ლ ი ლ ი. რატომ თქვენთან?

ა რ ჩ ი ლ ი. ერთი სიტყვით, მოვთავსდებით, არ იფიქრო, ბავშვებმა შეგაწუხონ. ჩემს ნაწილში ისეთი დისციპლინა მაქვს, რომ... (ისმის ბავშვის ტირილი. მზია წამოდგომას აპირებს, არჩილი აჩერებს). ეს ჩემი ნახევარი ტირის. ნაწილი უხმობს გენერალს, (ვარბის და ბრუნდება შეფუთული ბავშვით ხელში).

ლ ი ლ ი. ოჰ! (მზიას). როგორ ანდობ?

მ ზ ი ა. მტერია, თუ? (არჩილი და მზია სიყვარულით დასცქერიან ბავშვს და ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. ასევე ხმადაბლა საუბრობენ ლილი და ლევანი. ეს, ერთ-ორ წუთს გრძელდება, მაგრამ საკმარისია იმისთვის რომ ნანამ იგრძნოს მარტოობა. ორივე წყვილი უცებ მიხვდება თავის უნებლიე დანაშაულს).

ა რ ჩ ი ლ ი. მე ვეუბნებოდი მზიას, რომ ეს (შეფუთულ ბავშვზე უთითებს). ჩემი ნახევარი კი არა, სამი მეოთხედია. აი, თვალები, შუბლი...

მ ზ ი ა. და მეტი არაფერი, ცხვირი ვიღასია? ღიმილი?

ა რ ჩ ი ლ ი. ხასიათით ხომ მე მგავს? რა თქმა უნდა მე.

(საერთო სიცილი).

ნ ა ნ ა (ფარული სევდით). მშვენიერი ბავშვია.

ლ ე ვ ა ნ ი (შეფუთულს დახედავს). აი, ჯიში! რატომ არ უნდა გვყავდეს, ახლა ჩვენ ექვს-ექვსი შვილი? მე შენ გეტყვი, არ ჭირდება ჩვენს ქვეყანას. ყველა უმაღლესი ცოდნით ვართ, ვმუშაობთ.

ა რ ჩ ი ლ ი. ჩვენ რას გვერჩი, ძმაო, სამი მაინც გვყავს.

ლ ე ვ ა ნ ი. არ კმარა!

ა რ ჩ ი ლ ი. მერე გაზრდა არ უნდა?

ლ ე ვ ა ნ ი. დაიზრდებიან. რით მჯობს მეზობელი ოსმანოვი? — რვა ჰყავს, საშუალო სასწავლებელი შუაცეცხლის შუქზე დავამთავრე. ომი იყო, მაგრამ ექვსნი დავიზარდეთ.

ა რ ჩ ი ლ ი. მე და შენ გაგვიჭირდება.

ლ ე ვ ა ნ ი. დედაჩემს უფრო უჭირდა.

ა რ ჩ ი ლ ი. მჭადი და ლობიო ხომ გქონდათ. და გარდა ამისა...

ლ ე ვ ა ნ ი. შენი ჯამაგირით სიმინდი და ლობიო შენც თავზე საყრელი გექნება.

ა რ ჩ ი ლ ი. მაცალე, მარტო ეგ არ წყვეტს საკითხს.

ლ ე ვ ა ნ ი. მე და შენ უმაღლესის დამთავრებამდე არ გვღირსებია კოსტუმი.

ა რ ჩ ი ლ ი. სწორია, არც ტყავისძირიანი ფეხსაცმელი, მაგრამ...

ლ ე ვ ა ნ ი. ჩემ ოთარს, ჩემო ძმაო, ჯერ დედამიწას არ

აცილებია და ძვირფასი კოსტუმი, შოკოლადი, კინო-თეატრი, დღეობები...

ა რ ჩ ი ლ ი. მე მინდოდა მეთქვა, რომ არის კიდევ სხვა პირობები, რომელსაც მოწესრიგება ესაჭიროება.

ლ ე ვ ა ნ ი. ეგ მართალია, მაგრამ ყველაფრის მოწესრიგებას თუ ვუცადეთ... რა ვქნათ, თავი უნდა შევიწუხოთ.

ა რ ჩ ი ლ ი. მაგაში გეთანხმები.

ლ ე ვ ა ნ ი. აგერ სადაცაა მეორე ბავშვიც ჩამოგვეწევა...

მ ზ ი ა. ნანა როდისღა დაგვეწევა, თორემ...

ნ ა ნ ა. დისერტაციაც შვილი არაა?

ლ ე ვ ა ნ ი. მე რომ მკითხო, ჩვენთვის ოთხ დისერტაციას, ერთი ბავშვი ჯობს.

ლ ი ლ ი. რად უპირისპირებ? არ შეიძლება შვილებიც ჰყავდეს და სამეცნიერო შრომებიც ჰქონდეს?

ლ ე ვ ა ნ ი. რატომ არა! ნანა, მითხარი, მაინც რითაა საკუსე შენი პირადი ცხოვრება? მარტო მეცნიერებით?

ნ ა ნ ა. რატომ! (სიცილით). პოეზიით უპირველეს ყოვლისა!

ლ ე ვ ა ნ ი. პოეზია — უსიყვარულოდ? — წარმოუდგენელია! მაინც როგორ ატარებ, ვთქვათ, საღამოებს?

ნ ა ნ ა. მაქვს კარგი ბიბლიოთეკა, ტელევიზორი.

ლ ე ვ ა ნ ი. და ზამთრის გრძელ საღამოებში, როდესაც ფანჯრებს აწყდება ქარბუქი...

ნ ა ნ ა. ვზივარ მყუდროდ ჩემს კაბინეტში, საწერ მაგიდასთან. ვმუშაობ და ვგრძნობ, როგორ იზრდება და ფართოვდება ჩემი სულიერი სამყარო, ცნობიერება.... მუშაობის შემდეგ ვიღებ ჩემი საყვარელი პოეტის წიგნს...

ლ ე ვ ა ნ ი. და ნანა იძინებს პოეზიის მკლავებზე.

ნ ა ნ ა. თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება!

მ ზ ი ა. გაუმარჯოს ვარდიკოს დევიზს! ესე იგი, დადიხარ დაკარგულ ხბოსავით ამ უზარმაზარ ცის ქვეშ, არც შვილი, არც ძირი... ქვეყანა ბაგირგზებით გინდა დაქსელო და ადამიანის გულთან ერთი პატარა ძაფის გაბმა ვერ მოგიხერხებია.

ლ ი ლ ი (ხელი წაჰკრა. ხმადაბლა). დაანებე თავი!

ლ ე ვ ა ნ ი. მე მინდა შევსება სამი შესანიშნავი ქალის სა-

დღეგრძელო. მართალია, მათში ჩემი მეუღლეც ურევია და მე ერთგვარად შებოჭილი ვარ...

ა რ ჩ ი ლ ი. ე, ბიჭო, უფრო შინაურულად სთქვი!

ლ ე ვ ა ნ ი. არ არიან დიდებული სადღეგრძელოს ღირსი, თუ? მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ერთი ამათგანი მარგუნა ბედმა... და მოვალე ვარ, გავუფრთხილდე მის სათუთ გულს, ნიჭსა და სიცოცხლეს...

ლ ი ლ ი (სიამოვნებით). ოჰ, ოჰ, ოჰ!

ა რ ჩ ი ლ ი. ნუ შეგვაწუხე, ბიჭო, ცოლის ქებით.

ლ ე ვ ა ნ ი რადგან არჩილი არ მაცლის, კარგი, მოკლედ ვიტყვი: თქვენ, ყველას, გენაცვალოთ ჩემი სიცოცხლე! (იწყებს სატრფიალო სიმღერას. ყველანი აპყვებიან).

როგორც დილით, მოუსვენარ სიოს ქროლვა
შეაშფოთებს, გააღვიძებს ხევებს, ბაღებს,
სიყვარულიც უკითხავად ისე მოვა,
გეწვევა და გულის კარებს შემოაღებს.
ის არც უსტარს, არც შიკრიკებს გამოგზავნის,
საბრძანებლად დასჭირდება გული მთელი
არც მინახავს სხვა ასეთი ჯადოსანი,
ასე ჩუმი, უძლეველი თავდამსხმელი...

ლ ე ვ ა ნ ი. ჰო, სხვათაშორის, მეგობრებო, ვიცი, ყველას გაგეხარდებათ; ჩვენს ტერიტორიაზე ბრწყინვალე მოედანს ვაწყობთ, კალათბურთის მოედანს, ისეთი დარბაზი გვექნება რომ... საკითხი უკვე შევათანხმე... ეს ღონისძიება, არჩილ, შენმა ჩამოსვლამ მაფიქრებინა. შენ. ხომ ინსტიტუტში პირველი კალათბურთელი იყავი.

ა რ ჩ ი ლ ი. გმადლობ, ძმაო! მართლაც ჩინებულია, სხვა რა გაქვთ კიდევ გათვალისწინებული?

ლ ე ვ ა ნ ი. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბება, კოსტუმები ცოტა ძვირი კი გვიჯდება, მაგრამ...

ნ ა ნ ა. ყოჩაღ, ყოჩაღ, ლევან, მართლაც ისევ ის ესთეტია!

ა რ ჩ ი ლ ი. მეტი?

ლ ე ვ ა ნ ი. არ კმარა, თუ?

ა რ ჩ ი ლ ი. აბა, ჩემთვის თავს ნუ შეიწუხებ.

ლ ე ვ ა ნ ი. რატომ, შე კაცო!

ა რ ჩ ი ლ ი. ერთი ხეირიანი სამრეცხაო გახსენით, ის სჯობს.

ლ ე ვ ა ნ ი. რაღაცა ხომაა, ბიჭო!

ა რ ჩ ი ლ ი. რაღაცა რას ჰქვია?

ლ ე ვ ა ნ ი. მაღაროელების ტანსაცმელი ირეცხება. ჩვენ კი ხომ მაინც ვერ გამოვიყენებთ.

ა რ ჩ ი ლ ი. რატომ?

ლ ე ვ ა ნ ი. აჰ! სამრეცხაოში მიჭეჭყილ-მოჭეჭყილ პერანგს ერთ კილომეტრზე ვცნობ.

ლ ი ლ ი (სოცილით). ცალკე საპნის სუნი დაგაღრჩობს. ცალკე ისე მიგლეჯ-მოგლეჯენ...

ა რ ჩ ი ლ ი. აგრე იყო ჩვენს ქალაქშიც, მაგრამ სამრეცხაოს დირექტორი ისე გავრეცხე და დავაუთოვე რომ...

(იცინიან).

ლ ი ლ ი. სამრეცხაო...

ნ ა ნ ა (აწუვეტინებს). რა საზიზღრობაა: „სარეცხი", „საპონი"...

მ ზ ი ა. ზედმეტი ტვირთი რომ დაადო, ურემიც აჭრიალდება-ო.

ლ ე ვ ა ნ ი. რას ვიზამთ, საათივით აწყობილი საოჯახო მეურნეობა ჯერ დიდ ქალაქშიც არა აქვთ და..

ა რ ჩ ი ლ ი. დიდი და პატარა ქალაქი არ ვიცი მე.

ლ ე ვ ა ნ ი. ხომ ხედავ, გეგმები...

ა რ ჩ ი ლ ი. იმას აღარ მეკითხები, შევასრულეთ თუ არა, მე და ჩემმა ცოლმა დღეს ჩვენი ადამიანური ცხოვრების გეგმა? აგერ, შენ თვალწინ ხომ დავკარგეთ სადილის ლოდინში საში საათი?

ლ ე ვ ა ნ ი. ისიც, რა სადილის ლოდინში! ეჰ, ღირს კი იმ მითხიპნილ-მოთხიპნილ მაკარონზე ლაპარაკი? ჯობს ჩვენი ჰიმნი წამოვიწყოთ, მეგობრობის ჰიმნი!

ნ ა ნ ა. კიდევ კარგი, შენ მაინც შეგინარჩუნებია რაღაც რომანტიულობის მსგავსი.

ლ ე ვ ა ნ ი. ვცდილობ, ჩემო ნანა! (არჩილს ხელს ხვევს. სიმღერას წამოიწყებს. ყველანი მღერიან:)

მეგობრობა! უფრო ტკბილი რა არის!
მეგობრობა! — სიყვარულის ზღვა არის!
მის სხივს ვეტრფი როგორც მზის და მთვარისას!
სადღეგრძელოს ვამბობ მეგობარისას...

მეგობარო! მარად ერთად ვიაროთ
ჭირი, ლხინი ტოლად გავიზიაროთ
და თუ ოდეს გზამ გიმუხთლა მეგობარს,
ჩემი მკლავი დასაყრდენად გეყოფა.

(კარზე ზარი ირეკება).

ა რ ჩ ი ლ ი (კარს აღებს). ოოო, მობრძანდით, მობრძანდით! (შემოდის შექეიფებული სადილების დამტარებელი ქვაბებით ხელში).

ს ა დ ი ლ ე ბ ი ს დ ა მ ტ ა რ ე ბ ე ლ ი. აქა მშვიდობა! გაამოთ! გაამოთ!

ა რ ჩ ი ლ ი. მართალია, თქვენ მხოლოდ სამი საათით დაიგვიანეთ, მაგრამ ჩვენ უკვე მოგასწარით სადილი.

ს ა დ ი ლ. დ ა მ ტ ა რ ე ბ ე ლ ი. აი, მიყვარს კულტურული ხალხი! აბა, ახლა მე ერთ ოჯახში სადილი მივართვი და მადლობის მაგივრად გამლანძღეს: სუფი დაგიქცევიაო! სუფი დაიქცა, ქვეყანა ხომ არ დაქცეულა! (ჩაიღიღინებს). მაპატიეთ, მაგრამ კიბეზე რომ ამოვდიოდი მაშინ შემომესმა ეს სიმღერა და დავდნი, კაცი. განაგრძეთ, განაგრძეთ, თქვენს ხმას დავენაცვლე და ბანი ჩემზე იყოს. სადილი, აგერ, დიდებული მოგართვით და...

ა რ ჩ ი ლ ი. ჰოო, (ქვაბებს თავს ჰხდის). ეს მაკარონი გუშინდელ მოხარშულს ჰგავს. მაშ ასეთი სადილებით ვაპირებთ კომუნიზმში შესვლას? — არა, მე ეს ვერაფერს მარგებს და ისევ თქვენს დირექტორს მიართვი, მისუსტებული იქნება. ეს კატლეტებიც, ეტყობა, ფიზიკის კანონის მიხედვით სიცივეზე შეკუმშულან, რაც შეეხება ამ წვნიანს, მე ხვალ მოვალ თქვენთან და... ისევ ცეცხლაძეს გამოადგება, თავზე დაასხით, გულს გაუგრილებს.

(ოფიციანტი ჯადის).

(პათოსით) მაპატიეთ, მეგობრებო, ჩემი ბრალი არაა, თუ პროზა კარს ეძალება.

მ ზ ი ა. რა ფერი გადევს.

ა რ ჩ ი ლ ი. არაფერია, ხვალ ცეცხლაძეს ვუცვლი ფერს.

ლ ე ვ ა ნ ი. ბიჭო, ქვაბებში ფათური რა ვაქაცის საქმეა?

ლ ი ლ ი. და ასეთი წვრილმანი არც ღირს ნერვების აშლად.

ლ ე ვ ა ნ ი. თუ სიმართლე გინდა, მაგისთანა სამზარეულო, სულაც უნდა დაიხუროს.

ა რ ჩ ი ლ ი. ეგ ადვილია.

ნ ა ნ ა. ეჰ, გიყურებთ მეგობრებო და... არა, ასე ვერ ვიცხოვრებდი!

ა რ ჩ ი ლ ი. შენებურად გეცხოვრა.

ნ ა ნ ა. თქვენ კი ცხოვრობთ, თქვენებურად? მახსოვს, ლილის ლექსების წერაც უყვარდა...

ლ ე ვ ა ნ ი (წარბშეკერილი). და ამიტომ უნდა დაინგრეს ოჯახები?

ნ ა ნ ა. მეშინია, რომ გავა წლები და... ვაი, თუ „წვრილმანებს“ გაატანოთ თან, უკეთესი — რაც გაგაჩნიათ...

ა რ ჩ ი ლ ი. ამიტომ, გზიდან უნდა ჩამოვიშოროთ.

ლ ე ვ ა ნ ი. ეჰ, მთავარი — სიყვარულია! თუ ადამიანი გიყვარს, წვრილმანებს ვერც ამჩნევ. ბებიაჩემი...

ა რ ჩ ი ლ ი. ბებიაშენი!! ახლა სხვა ცხოვრებაა, სხვა ტემპები... გინდა ყველაფერი იცოდე, არაფერს ჩამორჩე...

ლ ე ვ ა ნ ი. ამიტომ მოეშვი წვრილმანებს...

ა რ ჩ ი ლ ი. „ჩიტი სანაგვეზე იჯდა და ბოლოს არიდებდაო“.

ლ ე ვ ა ნ ი. ჩიტმა უნდა იფრინოს.

ნ ა ნ ა. მე რაღას მერჩით?

ლ ე ვ ა ნ ი. მარტო კი არა, ტოლთან ერთად იფრინოს.

ა რ ჩ ი ლ ი. მართალია, მაგრამ საკენკიც რომ ჭირდება?

ნ ა ნ ა. ეჰ, თურმე რატომ ხდება, რომ... „კაფეში ზის ქალი და მამაკაცი. თუ მამაკაცი გაზეთს კითხულობს, ქალი კი ერთ წერტილს მიშტერებია, ეს — ცოლქმარია“... წაკითხული გამახსენდა.

მ ზ ი ა. ვაი ჭკუისაგან გეპირს, ჩემო დაიკო!

ლ ი ლ ი. იმ ცოლ-ქმრის მდგომარეობაში რომ არ ჩავარდე, უნდა ეცადო, ინტერესი და სილამაზე არ მოაკლდეს ერთად ცხოვრებას.

ა რ ჩ ი ლ ი. მართალია!

ლ ე ვ ა ნ ი. და ამ შემთხვევაში, მთავარი როლი ქალს ენიჭება. სიყვარული მეტად სათუთ ნივთს ჰგავს, რომელიც ფრთხილად უნდა ატარო.

ა რ ჩ ი ლ ი. „ცალი ხელით ტაშს ვერ დაუკრავო“ — ბრძენს უთქვამს. ვთქვათ, ქალს ფეხი დაუსხლტა.

ლ ე ვ ა ნ ი. შენ სადღა ხარ? — ხელი უნდა შეაშველო.

ა რ ჩ ი ლ ი (სიცილით). ვიპოვე გამოსავალი! მამაკაცმა, რომ ფეხი არ იტკინოს, ქალის მხრებზე უნდა მოიკალათოს. (იცინიან.)

ლ ე ვ ა ნ ი. შევარცხვინე მაგისთანა ვაჟკაცი! რაც შეეხება ნანას...

ნ ა ნ ა (ნაძალადევი სიცილით). მიკვირს, რად იწუხებთ თავს? მე არაფერი შემომიჩივლია. ჩემ ყოფილ ქმარს კი, ალბათ, ახლა სამი შვილი მაინც ეყოლება.

მ ზ ი ა. ლილი შენ რას გაჩუმებულხარ?

ლ ი ლ ი. მე იმაზე ვფიქრობ, რად არ მიპასუხა პროფესორმა?

ლ ე ვ ა ნ ი. იქნებ წერილი დაიკარგა? მე ვაპირებ წასვლას და...

ნ ა ნ ა. მე მივაკითხავ. თბილისში ორი დღით მაინც შევჩერდები. და...

ა რ ჩ ი ლ ი. როგორ, მიდიხარ?

ნ ა ნ ა. აუცილებლად.

მ ზ ი ა. როდის?

ნ ა ნ ა. 28-ში.

ა რ ჩ ი ლ ი. მერე ვინ გიშვებს! ჰო, 28 — რა დღეა?

მ ზ ი ა. კაცმა რომ გკითხოს, გიყვარვარ!

ა რ ჩ ი ლ ი. ჰოოო... ოცდარვა ივნისი — ჩვენი ქორწინების დღე! და რომ გაჩვენო, როგორ გვახსოვს, ქმრები გიმართავთ გრანდიოზულ ქეიფს.

მ ზ ი ა. კაცები იქეიფებთ. ჩვენ — რა?

ა რ ჩ ი ლ ი. საჩუქრები. (დაფიქრებული.) მაგრამ რით გაგახაროთ, ისე, რომ იყოს მოულოდნელი და დაუვიწყარი?

ლ ე ვ ა ნ ი. ჰა, ჰა, ჰა! მოულოდნელი და დაუვიწყარი, ა? ბიჭო, ის ღამე გამახსენდა მინდორში რომ ვეძებდით ცოლებს. (იცინიან).

ა რ ჩ ი ლ ი. ვერაფერი მოსაგონია! ოთხი წელი ქალს ლანდივით დავსდევდი...

ლ ე ვ ა ნ ი (სიცილით). გაცეცხლებული არჩილი ფოცხვერივით გარბი-გამორბოდა ოთახში.

მ ზ ი ა. თქვენ რა!—გაჭირვებაში ჩვენ ვიყავით. (სიცილით.) ეს ჩემი უგულო ქმარი კი, თურმე, ამბობდა: „ნეტავი ჩემს ცოლს მგელი შეჭამდესო, დაიკარგებოდესო, თავი მომაბეზრაო"... ჰა, ჰა, ჰა! (ნანა გაოგნებული უცქერის).

ლ ე ვ ა ნ ი. ყველაზე პირველი კი თვითონ გამორბოდა საძებრად. ერთი მე ვიყავი ამათში სრულ ჭკუაზე. სად უნდა დაკარგულიყვნენ, ან რა უნდა მოსვლოდა სამ გონიერ ქალს?

ა რ ჩ ი ლ ი (ნანას მიშტერებია). არა, ზურაბის კი ნამდვილად შემეშინდა — დამბლა არ დაცემოდა. ენა ჩაუვარდა. (ყველა ნანას შეხედავს. ნანა ისტერიულად იცინის.)

სცენა ბნელდება

... იგივე ოთახი: არჩილს ტახტზე ჩასძინებია, გვერდით წიგნი უდევს: მზია რეჟისორებს ასწორებს: გვერდითა ოთახში ბავშვი ატირდება. მზია ფეხაკრეფით გარბის. ბავშვი ჩუმდება: მზია ისევე ფეხაკრეფით ბრუნდება.

ა რ ჩ ი ლ ი (თვალს გაახელს). უჰ, ჩამძინებია! ბავშვებმა დაიძინეს?

მ ზ ი ა. დაიძინეს.

ა რ ჩ ი ლ ი. ნანამ?

მ ზ ი ა. სძინავს.

ა რ ჩ ი ლ ი. სად ვიყავით გაჩერებული? (წიგნს ფურცლავს).

მ ზ ი ა. გეყოფა, წუხანდელი ნამორიგალი ხარ.

ა რ ჩ ი ლ ი. იცი, რა დამესიზმრა? მე და შენ სამსახურიდან დავბრუნდით. კოხტად დალაგებულმა ბინამ შემოგვანათა. ტანსაცმლის გამოცვლაც ვერ მოვასწარით, რომ ზედიზედ და-

ირეკა ზარი და შემოიტანეს დიდებული სადილი, გატკიცინებული სარეცხი, ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე. შეჩერდა მანქანები და სკოლიდან, ბაღიდან, ბაგიდან მერცხლებივით მოფრინავდნენ ბავშვები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი...

მ ზ ი ა (სიცილით). დღევანდელი ამბავი ჩაგყოლია.

ა რ ჩ ი ლ ი. მაგრამ ეს იქნება, მზია, იქნება! უკვე ისე მაგრად შევუტიეთ, ყველა ჩამორჩენილ უბანს, რომ...

მ ზ ი ა. მერე რამდენ უბანს ვუშველოთ?

ა რ ჩ ი ლ ი. მე და შენ? მთას გადავდგამთ. ჰო, იცი, ჩემი პროექტი მოეწონა მმართველს, ლევანსაც ძალიან მოსწონს. (დაფიქრებული.) ლევანმა „იოლად მივდივართო"... ლილიც თითქოს კმაყოფილია, ა?

მ ზ ი ა (სიცილით). ხომ ხედავ, ლევანი ყოველ წუთს სიყვარულს ეფიცება.

ა რ ჩ ი ლ ი. და შენ ცოტა არ იყოს გშურს, ხომ?

მ ზ ი ა. რას ჰქვია „მშურს" — მეგობრისთვის?

ა რ ჩ ი ლ ი (დაფიქრებული). ძალიან კი შეცვლილა... რატომ? (პაუზა.) რა უცნაურად იცინოდა ნანა...

მ ზ ი ა. რომ ჰკითხო, ისიც ბედნიერია...

ა რ ჩ ი ლ ი. ბედნიერი! შენ? (ხელში აიტაცებს.) მითხარი, ჰო, თუ არა?

მ ზ ი ა. არ გეტყვი!

ა რ ჩ ი ლ ი. მეც არ დაგიშვებ.

მ ზ ი ა. ოჰ, რაღაც უნდა მეთქვა!

ა რ ჩ ი ლ ი (ძირს დაუშვებს). რა?

მ ზ ი ა. კაბა დამეკმუკნა. ჰო, საჩუქრებს, რომ დაგვპირდი განსაკუთრებულს...

ა რ ჩ ი ლ ი. მართლაც რა გისაჩუქროთ, ისეთი მოულოდნელი და დაუვიწყარი?

მოქმედება მესამე

ლევანის და ლილის ბინა. ნანა საკარძელზე ზის. ხელში წიგნი უჭირავს, უაზროდ ფურცლავს. წიგნს ნერვიულად ხურავს. ოთახში ბოლთას სცემს. კარზე ზარი ირეკება. ვადის. ბრუნდება კონვერტით ხელში. კონვერტს ხსნის. გაოცებული დასცქერის წერილს. შემოდის მზია.

მ ზ ი ა (ნანას მიეპარება, წერილს გამოსტაცებს). ააა! ხომ დაგიჭირე? კაცმა რომ გკითხოს...

ნ ა ნ ა. მეც არ ვიცი, ვისგანაა.

მ ზ ი ა. საიდუმლო მიწერ-მოწერა?

ნ ა ნ ა. და მეტად უცნაური... რას უნდა ნიშნავდეს? წაიკითხე!

მ ზ ი ა (კითხულობს). „პატივცემულო ნანა, ვინაიდან აუცილებლად მიმაჩნია ჩვენი შეხვედრა, გთხოვთ მაჩუქოთ რამდენიმე წუთი და მობრძანდეთ დღეს 28 ივნისს, საღამოს 8 საათზე კლუბის ეზოში. დაგელოდებით ბაღის მარცხენა მხარეს, ბოლო სკამძელზე. საკითხი მეტად სერიოზულია და გელოდებით, დარწმუნებული თქვენს გონიერებაში.

თქვენი უცნობი კეთილისმსურველი.

რ. ბ. გთხოვთ, ეს ბარათი წაკითხვისთანავე დახიოთ". რაო, რაო?

ნ ა ნ ა. ვინ უნდა იყოს, ან ჩემთან რა ესაქმება?

მ ზ ი ა. ხუმრობას არ ჰგავს. (დაფიქრებული.) ხულიგანი თუა? მაგრამ კლუბის ეზოში დაგინიშნავდა შეხვედრას, ისიც დღეს საღამოს 8 საათზე? დღეს ხომ უამრავი ხალხი იქნება კლუბში.

ნ ა ნ ა. აჩიკო შინ არის?

მ ზ ი ა. უბანზეა. ვკითხოთ?

ნ ა ნ ა. უცნობი მთხოვს საიდუმლო შეხვედრას...

მ ზ ი ა. უნდა შეხვდე! (დაფიქრებული.) მაინც რომ ვკითხო, აჩიკოს?

(გადიან. მცირე ხნის შემდეგ შემოდიან ლევანი და ლილი. რომელიც ორ უზარმაზარ სასურსათო ჩანთას მოათრევს).

ლ ე ვ ა ნ ი (სიცილით). ამ დილით, ჩვენი აჩიკო, უზარმაზარ თაიგულს მოათრევდა. მიკვირს, რამ დააგლახა ის ბიჭი?

ლ ი ლ ი. შენც ხომ გიყვარს ყვავილები.

ლ ე ვ ა ნ ი. ვაუკაცის ხელში? — არა, გენაცვალე! ა, ფულიდა შენ თვითონ იყიდე, რაც გესიამოვნება. ხომ არ გწყინს?

ლ ი ლ ი. რა სისულელეა! (სამზარეულოში გარბის).

ლ ე ვ ა ნ ი. ლილი!

ლ ი ლ ი (ვამოდის). სადილი დავდგი გასაცხელებლად.

ლ ე ვ ა ნ ი. როდის გაამზადე?

ლ ი ლ ი. წუხელ.

ლ ე ვ ა ნ ი. რა გოგო ხარ, რა გოგო! ჰო, შარვალი დამიუთოვე?

ლ ი ლ ი. ახლავე. (უთოს ჩართავს).

ლ ე ვ ა ნ ი. პერანგების საქმე როგორღაა?

ლ ი ლ ი. აგერ! (სკამის ზურგზე უთითებს).

ლ ე ვ ა ნ ი. როდის მოასწარი?

ლ ი ლ ი. წუხელ! (შარვალს აუთოვებს).

ლ ე ვ ა ნ ი. რაც მართალია, მართალია, ჩემი ცოლის ხელით გატკიცინებულ საყელოს და გულისპირს სულ სხვა სუნი აქვს, — მისი ხელის სუნი! აი, ამ ხელების სუნი. (ხელზე კოცნის).

ლ ი ლ ი (ნასიამოვნები). ოჰ, ოჰ!

ლ ე ვ ა ნ ი. ჩვენ პატარა დასვენებასაც მოვასწრებთ. (საეარძლისკენ გაემართება).

ლ ი ლ ი. სადილი? (იატაკს აპრიალებს).

ლ ე ვ ა ნ ი. ჰო, ჯობს ბარემ ვისადილოთ და მერე დავისვენოთ. კარგი, მოეშვი ამ ზედმეტ ხეხვა-წმენდას. (ჯდება სკამზე, რომლის ზურგზე დაუთოვებული პერანგებია გადაკიდებული).

ლ ი ლ ი. ოჰ!

ლ ე ვ ა ნ ი. რა იყო?

ლ ი ლ ი. დაიკმუკნა.

ლ ე ვ ა ნ ი. ეჰ, ქალი ვიყო, მე გავუსვამდი უთოს, მაგრამ...

ლ ი ლ ი. არაფერია, არაფერი, მე თვითონ. (გადის).

ლ ე ვ ა ნ ი (გაზეთს თვალიერებს). ლილი! (გამოდის ლილი). ჰა, ჰა, ჰა! ქართველ მძლეოსანთა კიდევ ერთი გამარჯვება. ყოჩაღ, ბიჭებო! არა, რატომ არ უნდა გვყავდეს ჩვენ, აქ, მძლეოსანთა გუნდი, ა? სტუდენტობაში პირველი ვიყავი, მაგრამ საქმეს ვერ მივსდიე და... რას დავემგვანე! წაიკითხე?

ლ ი ლ ი. არა.

ლ ე ვ ა ნ ი. ოჰ! სულ დამავიწყდა, რომ შენ და გაზეთი კონფლიქტში ხართ. (იცინის.) გაგეხუმრე, გაგეხუმრე, გინდა წაგიკითხო?

ლ ი ლ ი (ამთქნარებს). ჰო, უკაცრავად! (სიცილით.) რა პროზაა, არა?

ლ ე ვ ა ნ ი (ვარჯიშობს). შენი საქმე მიკვირს, ღამე არ გძინავს, დღე კი ამთქნარებ. წუხელ რომ წვებოდი, გამეღვიძა. საათს დავხედე 2-ია. გოგო, მგონი მღუპავ და პაემანზე დადიხარ.

ლ ი ლ ი. ჰო, ქვაბებთან, სამზარეულოში. (იცინის).

ლ ე ვ ა ნ ი. „ქვაბები“, „სამზარეულო“... (ლილის სადილი გამოაქვს. სადილობენ.) დღეს პირი არ დაგიბანია?

ლ ი ლ ი (სიცილით). მგონი მართლა დამავიწყდა. ოთარიკოს სკოლაში აგვიანდებოდა და...

ლ ე ვ ა ნ ი. მერე?

ლ ი ლ ი. სარეცხის გახამება და დალილავება, სამზარეულოს მილაგება... კინაღამ სამსახურში დავიგვიანე. ჰო, სასწრაფოდ უნდა დავფინო, დილით ვერ მოვასწარი.

ლ ე ვ ა ნ ი. დაანებე თავი!

ლ ი ლ ი. სამი დღეა წყალში ყრია.

ლ ე ვ ა ნ ი. მოიცა, მოიცა, ისადილე, დაისვენე. შენ რომ საქმის ორგანიზაცია გეხერხებოდეს, არც დაიღლებოდი. იცოდე, ზეიმზე პირდაუბანელი არ წამოხვიდე, თავი არ მოვჭრა. ახალი კაბა ჩაიცვი, თორემ იტყვიან: „ცოლშვილს ვერ არჩენსო“,

ლ ი ლ ი. არ შემიკერია.

ლ ე ვ ა ნ ი. რატომ?

ლ ი ლ ი. ვერ მოვასწარი.

ლ ე ვ ა ნ ი. გასაოცარია, მზია სამ ბავშვს უვლის, ყველაფერს ასწრებს და არც თავი ავიწყდება. ჩვენ კი სულ სამნი ვართ, მაგრამ... (ციცაში წყალს ისხამს. მოსვამს.) უჰ, გამთბარა.

ლ ი ლ ი. ახლავე! (ციცა წყალს მოარბენინებს.) ბავშვი თუ გაიძახა, ნეტავი, გეოგრაფიის მასწავლებელმა?

ლ ე ვ ა ნ ი. გაკვეთილი იცოდა?

ლ ი ლ ი. ყველაფერი გავამეორებინე.

ლ ე ვ ა ნ ი. სკოლაშიც ხომ არ მიგიკითხავს?

ლ ი ლ ი. არ მომიხერხდა. ხვალ მივალ.

ლ ე ვ ა ნ ი. მითხარი, ძალიან გიყვარს?

ლ ი ლ ი. რა შეკითხვაა?

ლ ე ვ ა ნ ი. არა, მე უფრო გიყვარვარ, თუ ჩვენი შვილი?

ლ ი ლ ი (ღიმილით). ღმერთმანი, შენც ბავშვი ხარ.

პაუზა.

მიკვირს, რად არ მიპასუხა?

ლ ე ვ ა ნ ი. ვინ?

ლ ი ლ ი. ჩემმა პროფესორმა.

ლ ე ვ ა ნ ი. ძალიან ელოდები?

ლ ი ლ ი. თითქოს სამსჯავროს წინაშე იყოს, ჩემი მთელი ამ წლების ნაფიქრალი, ნაოცნებარი...

ლ ე ვ ა ნ ი. გუავს მოყვარული ქმარშვილი, გაქვს ტკბილი ოჯახი, შენ კი... (შემოდის ოთარი. ჩანთას კუთხეში მიაგდებს).

ლ ე ვ ა ნ ი. ოო, მოვიდა ჩვენი ვაჟკაცი.

ო თ ა რ ი. დედა, საღილად რა გვაქვს?

ლ ი ლ ი. წვნიანი.

ო თ ა რ ი. ქალების საქმელი!

ლ ე ვ ა ნ ი. კატლეტი, კარტოფილის პიურეთი.

ო თ ა რ ი. პიურე!

ლ ი ლ ი. ოთარ!!

ო თ ა რ ი. არ მინდა, არ ვქამ, ნახავთ, შიმშილით რომ გავფშიკავ ფეხებს.

ლ ი ლ ი. აბა, რა გინდა?

ო თ ა რ ი. შემწვარი კარტოფილი.

ლ ე ვ ა ნ ი. შეუწვი ამ ოხერს და ის იქნება.

ლ ი ლ ი. ახლავე, შვილო! (კარტოფილი გამოაქვს. თლის. ოთარს აკვირდება.) სიცხე გაქვს? ავად ხომ არა ხარ?

ლ ე ვ ა ნ ი.. მაგას რა უკვირს, ფეხსაცმელია უკანასკნელ დღეში. ფეხბურთს გადაჰყვა, ხომ?

ო თ ა რ ი. რომ მოვკვდები, მაშინ აღარც ფეხსაცმელის ყიდვა დაგჭირდებათ.

ლ ი ლ ი. ოთარიკო!

ო თ ა რ ი. „ოთარიკო, ოთარიკო". კაცისთვის სადილი ვერ გაუმზადებია!

ლ ე ვ ა ნ ი. ჰა, ჰა, ჰა!

ლ ი ლ ი. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გამოიცვალე, ხელპირი დაიბანე.

ო თ ა რ ი. სად არის ფეხსაცმელი?

ლ ი ლ ი. მოძებნე, ოთარიკო.

ო თ ა რ ი. სად არის, სად! (შეა ოთახში ტრიალებს.) „მოძებნე ოთარიკო", „დაისვენე, ოთარიკო", „ჭამე ოთარიკო", ყველაფერი მე უნდა აგისრულოთ!

ლ ი ლ ი. კარგი, კარგი! (ტახტქვეშ ძვრება, ფეხსაცმელი გამოაქვს).

ლ ე ვ ა ნ ი. რა ამბავია, რა უბედურებაა! ამოდენა ბიჭი თვითონ ვერ იპოვის თავის ფეხსაცმელს? დაჯექი, ქალო, მოისვენე! (ოთარი ფეხსაცმელს იცვლის.)

ლ ი ლ ი (ფეხსაცმელს ლებს). ახლავე უნდა შევაკეთებინო.

ლ ე ვ ა ნ ი. ხელოსანი სადაა?

ლ ი ლ ი. ჩვენს ეზოში.

ლ ე ვ ა ნ ი. რა გეჩქარება, ხვალ იყოს. ჰო, ჩემ ფეხსაცმელსაც რომ გააყოლებდე ხელს, ურიგო არ იქნება. „ქმარი", „შვილი", სულ ჩვენზე ზრუნავს. (ოთარს.) მერე, უფასებ?

ლ ი ლ ი. ოთარ, ხელი დაიბანე! (ოთარი ოთახიდან გადის).

ო თ ა რ ი ს ხ მ ა. დედაა, საპონი სადაა?

ლ ი ლ ი. სასაპნეში.

ო თ ა რ ი ს ხ მ ა. სასაპნე?

ლ ი ლ ი. პირსაბანზე.

ო თ ა რ ი. სად, პირსაბანზე! ვერ ეიპოვე, ვერაა!

ლ ი ლ ი. მოძებნე!

ო თ ა რ ი. სად არის, სად?

ლ ი ლ ი. სადაც ყოველთვის.

ლ ე ვ ა ნ ი. ტრაღედია, ტრაღედია, ტრაღედია! (ფიცხად.) ოთარი! (ოთარი გამოდის.) ფუჰ, შეგირცხვა თავი! დაულია პირი და ბღავის! გოგო ხარ, გოგო!

ო თ ა რ ი (ტირილით.) გოგო თვითონ ხარ.

ლ ე ვ ა ნ ი. ქალაჩუნა, მტირალა.

ო თ ა რ ი. არა ვარ ქალაჩუნა.

ლ ე ვ ა ნ ი. დედალი, დედალი!

ო თ ა რ ი. არ მინდა დედალი.

ა რ ჩ ი ლ ი (შემოდის). ეს რა რევოლუციაა, თქვენთან?

ო თ ა რ ი. „დედალოო“.

ა რ ჩ ი ლ ი. იფ! დედალს რა ჯობს, ისიც მოხარშულს, აგერ 6—6 თუმანი მივეცით.

ლ ე ვ ა ნ ი. ბაზარზე იყავი?

ა რ ჩ ი ლ ი. სამსახურიდან გამოვიარეთ. გილოცავთ ქორწინების დღეს, საჩუქრებს კი საღამოს გადმოგცემთ, საზეიმო ვითარებაში. მართალი გითხრა, ჯერ არც შემირჩევია, ორი საღამო ცეცხლაძის გაცნობას მოვანდომე.

ლ ე ვ ა ნ ი. ვინ ცეცხლაძის? (იცინის.) ჰოო... კიდევ არ დაგვიწყნია?

ლ ი ლ ი. ესე იგი, შესდგა ნაცნობობა.

ა რ ჩ ი ლ ი. ჯერჯერობით მხოლოდ მის საქმიანობას გავეცანი, სამზარეულოს ანგარიშებს...

ლ ი ლ ი. თვითონ?

ა რ ჩ ი ლ ი. საქორწინო მოგზაურობაში ყოფილა.

ლ ი ლ ი (სიცოლით). სადაც სამართალია, საჩუქარი იმას უფრო ერგება, ახალ დაქორწინებულს.

ა რ ჩ ი ლ ი. ფიქრი ნუ გაქვს, მაგაზეც ვიზრუნე.
(ლილი გადის და ბრუნდება ტაფით ხელში).

ლ ი ლ ი. ჭამე, შვილო!

ო თ ა რ ი. მე ასეთი კარტოფილი არ მინდა, სულ არ დაბრაწულა.

ლ ი ლ ი. კარგი. ისევ დავდგამ. (ტაფა გააქვს.) მანამდე ნოტები მონახე.

ო თ ა რ ი. სად მოვნახო, სად.

ლ ე ვ ა ნ ი. არა, მეორე შვილი ნამდვილად გოგო უნდა ვიყიდო.

ო თ ა რ ი. ფანჯრიდან გადავაგდებ.

ა რ ჩ ი ლ ი. მაშ, ჩემი ცისია ფანჯრიდან გადავაგდო?

ო თ ა რ ი. ეგ თქვენი საქმეა. მე კი, გოგოებს არც ველაპარაკები.

ა რ ჩ ი ლ ი. რა დაგიშავეს?

ო თ ა რ ი. კარგები რომ იყვნენ, მამაჩემი არ გამაბრაზებდა. ერთი ცრემლი რომ გადმომვარდეს, „გოგო, გოგოო“, როდესაც მეფერება, „ვაქკაცს“ მეძახის.

ლ ე ვ ა ნ ი. ვის ჰგავს, ეს ბიჭი?

ო თ ა რ ი. მამას. ჰო, ჰო, ასე არ ამბობთ?

ლ ე ვ ა ნ ი (იცინის). ეჰ, უნდა გავიქცე, თორემ აქ, ამ არევ-დარევაში კაცი დაისვენებს? საღამოს სიტყვით გამოვდივარ.

ა რ ჩ ი ლ ი. მართლა?

ლ ე ვ ა ნ ი. მე რად უნდა გამოვდიოდე ქალთა შეკრებაზე, მაგრამ აღარ მომეშვნენ.

ა რ ჩ ი ლ ი. შენი წარმოების ქალებია!

ლ ე ვ ა ნ ი. და ჩემივე ღონისძიება (ლილის.) რა ვქნა, გემსახურებით ქალებს, რაც შემიძლია! ჰო, ჩემი ხამუთი სადაა?

ლ ი ლ ი. შენ არ მოიხსენი?

ლ ე ვ ა ნ ი. ნეტავი სად ეშმაკშია? (შუა ოთახში ტრიალებს.) (ლილი ოთახში გარბი-გამორბის. ლევანს ხამუთს უკეთებს. ოთარს ნოტებს მოუნახავს. ტაფას შემოტანს. ოთარი სადილობს).

ლ ე ვ ა ნ ი. მივდივარ.

ლ ი ლ ი. სუფთა ცხვირსახოცი?

ლ ე ვ ა ნ ი. სადაა მერე?

ლ ი ლ ი. კარადაში, თაროზე.

ლ ე ვ ა ნ ი. რა მოძებნის! (კარისკენ მიდის).

ლ ი ლ ი. მოიცა! (ცხვირსახოცს მოურბენინებს).

ლ ე ვ ა ნ ი. აბა, კლუბში შეეხვდებით ერთმანეთს. შენც ხომ იქნები, არჩილ?

ა რ ჩ ი ლ ი. აუცილებლად.

ლ ე ვ ა ნ ი. ჰოდა, მერე ვისროლოთ ქუდი ჭერში. (ლილი სამზარეულოში ჯადის. ლევანი კარისკენ გაემართება, ჩერდება). მინდოდა თავი შემეკავებინა, მაგრამ... არ გრცხვენია, ბიჭო, რომ გაგიშლია დედაკაცივით ენა და სულ სარეცხი და სადილი გაკერია პირზე, გუშინ მმართველთან იყავი, ხომ?

ა რ ჩ ი ლ ი. ვიყავი.

ლ ე ვ ა ნ ი. და უმტკიცებდი, რომ კალათბურთის მოედანი არ გვჭირდება.

ა რ ჩ ი ლ ი. ვუმტკიცებდი, რომ ჩვენთვის პირველ რიგში საჭიროა სამრეცხაო და სხვა კეთილმოწყობა.

ლ ე ვ ა ნ ი. ესე იგი სხვა მაღაროებს ყველაფერი თავჭოსაწონი: ნაირნაირი გუნდები, საქალაქო, სარაიონო და რესპუბლიკური შეჯიბრებები, ჩვენ კი კე-თილ-მო-წყობილი სამრეც-ხაო! იმის მაგივრად, რომ კულტურულად დავისვენოთ....

ა რ ჩ ი ლ ი. ამიტომ საჭიროა თავისუფალი დრო. ესე იგი ცხოვრების მოწესრიგება.

ლ ე ვ ა ნ ი. სულ მოწესრიგება და წესიერება გაკერია პირზე, მაგრამ...

ა რ ჩ ი ლ ი. ჰო, რა!

ლ ე ვ ა ნ ი. მუშაობაში ტოლი არ გყავს, ჩემი მაღარო ფეხზე დააყენე... და ამავე დროს, რასაც ერთი ხელით აშენებ, მეორეთი ანგრევ.

ა რ ჩ ი ლ ი. მაინც რას?

ლ ე ვ ა ნ ი. მეგობრის პრესტიჟს.

ა რ ჩ ი ლ ი. ესე იგი, უფლება არ მაქვს გამოვთქვა ჩემი აზრი.

ლ ე ვ ა ნ ი. აზრი, რომელიც ეწინააღმდეგება შენი მეგობრის აზრს, დირექტორის აზრს, მის საქმიანობას... მაგრამ რა გიყო, ძმასავით ვართ შეზრდილები და... როგორ წაგეჩხუბო, ისიც დღევანდელ დღეს. (კარისკენ გაემართება. შემობრუნდება.) ოჰ, ამ არევ-დარევაში სულ გადამავიწყდა. ლილი!

გამოდის ლილი.

სად არის თუ იცი, ჩემი რვა მარტს წაკითხული მოხსენება?

ლ ი ლ ი. შენს უჯრაში იქნება.

ლ ე ვ ა ნ ი. ჰო, ჰო! (მაგიდისკენ მიდის.) მგონი მოგეწონა, არა?

ლ ი ლ ი. ძალიან.

ლ ე ვ ა ნ ი. მაშ, დღესაც დაგატკბობ, ჩემი მჭერმეტყველებით. (მაგიდის უჯრას აღებს. ქალალდებს თან ამოიყენება და იატაკზე ეცემა ცისფერი კონვერტი, რომელსაც ლევანი და ლილი ერთდროულად დასწვდებიან).

ლ ი ლ ი (კონვერტს იღებს). ჩემი წერილი?

ლ ე ვ ა ნ ი. ჰო! (შუბლზე იტაცებს ხელს.) სულ გადამავიწყდა!

ლ ი ლ ი (კითხულობს): „ჩემო ახალგაზრდა კოლეგავ! მივიღე თქვენი ბარათი. მწერთ, რომ განაგრძობთ თემაზე მუშაობას და მთხოვთ, ვიკისრო თქვენი ხელმძღვანელობა, დაგინიშნოთ ჩამოსვლის დრო. სიამოვნებით გისრულებთ თხოვნას! მახსოვს, როგორ არა, თქვენი სადიპლომო ნაშრომი. ის არ იყო რიგითი და ვფიქრობ, საკითხის სათანადო გაღრმავებით და დამუშავებით, შესძლებთ მიაღწიოთ სასურველ შედეგს. მაცნობეთ, როდის შესძლებთ ჩამოსვლას?“
როგორ ველოდი ამ წერილს... ეს კი... რატომ, ლევან?

ლ ე ვ ა ნ ი (თავს დაუფლება). შენივე სიკეთისათვის. სწორედ იმ დღეს გახდი ცუდად... ვიცოდი აგაღელვებდა... შემდეგ კი, ვუცდიდი, როდის მოიკეთებ და... როგორ, არ გჯერა? არა, მითხარი, გჯერა, თუ არა?

ლ ი ლ ი. მჯერა. (სამზარეულოში გადის).

ა რ ჩ ი ლ ი. კარგია, იმ თემას მიბრუნებია. როგორ გგონია, მალე დაამთავრებს?

ლ ე ვ ა ნ ი. არ ვიცი. და თუ სიმართლე გინდა, ცოლის ხელით დაწერილ დისერტაციას, მისი გაკეთებული სადილი მირჩევნია. ჰა, ჰა, ჰა! ვხუმრობ! (გადის.)

(არჩილი სარკმელთან დგას, ჩაფიქრებული. სამზარეულოდან გამოდის და აივნისკენ მიდის ლილი, სარეცხით სავსე ტაშტით. აივნის კართან ჩაიკეცება. ტაშტი ხელიდან გაუვარდება და ხმაურით ეცემა ძირს).

ა რ ჩ ი ლ ი (შემობრუნდება). ლილი!!

სცენა ბნელდება. იგივე ოთახი, საღამო ხანი. ლილი ტახტზე წევს. ნანა ოთახში ბოლთას სცემს.

ნ ა ნ ა. ეს იყო და ეს! გადავწყვიტე სამუდამოდ დამევიწყნა ზურაბის სახელი და გავცლოდი ყველას და ყველაფერს, რაც ჩემს მარცხს მომაგონებდა.

ლ ი ლ ი. „დავრწმუნდი, არ მყვარებიხარ“... ეს რამ დაგაწერია? ესე იგი კაცს ყველა გზა გადაუჭერი... ან როგორი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს შენზე?

ნ ა ნ ა. მართალია, მაგრამ... რაც მოხდა — მოხდა. შენ ეს მითხარი, ხომ უკეთ ხარ?

ლ ი ლ ი. უკეთ, მაგრამ ისე გულმოსული, ჩემს თავზე... ახლა მე და შენ კლუბში უნდა ვიყოთ...

ნ ა ნ ა. არაფერია, შემდეგ გამოვასწოროთ დანაშაული.

ლ ი ლ ი. ესე იგი, ჩამოხვალ. რად არ გსურს აქ დარჩენა?

ნ ა ნ ა. იქ მირჩევნია.

ლ ი ლ ი. ესე იგი, იქ არის ადამიანი, რომელიც... არა, ჩვენ არ გვინდა ხელი შევუშალოთ შენს ბედნიერებას.

ნ ა ნ ა (დაფიქრებით). უფრო ხშირად ადამიანი თვითონ უშლის ხელს თავის ბედნიერებას.

ლ ი ლ ი. ასეც ხდება: ძალიან ცდილობს, მაგრამ არ უმართლებს. აი, მაგალითად მე: ჩემში სულ ორთაბრძოლა იყო, ვერც სამუშაოს ვთმობდი და თან მინდოდა კარგი დედაც ვყოფილიყავი, მეუღლეც, დიასახლისიც... და დღეს პირველად გამოვუტყდი ჩემს თავს, რომ... ბავშვიც... შენც ხედავ, როგორ გამიცრუვდა მოლოდინი...

ნ ა ნ ა. ამ მოლოდინის გაცრუებაც შენი ბრალია.

ლ ი ლ ი. ვჩქარობდი. ვიფიქრე, უცებ დავფენ მეთქი... როგორ შევაშინე არჩილი! ძლივს დავამშვიდე და გავისტუმრე. შემდეგ... გული წამსვლია და შენ რომ არ მოგესწრო... წარმოგიდგენია, როგორ ეწყინება ლევანს?.. არა, თუ ამის მეტი არ შემეძლო, არ უნდა გავთხოვილიყავი.

ნ ა ნ ა. ესე იგი, შენ ხარ დამნაშავე!

ლ ი ლ ი. კაცმა აკეთოს ქალის საქმე? (ღიმილით.) ბაბუაჩემი, რომ კარადას მიეკარებოდა, ბებიაჩემი...

ნ ა ნ ა. შენ და შენს ქმარს, სულ ბებია და ბაბუა გაკერიათ პირზე...

ლ ი ლ ი. ლევანს არ შეუძლია და ვერც მოვთხოვ ისეთ საქმიანობას, რაც მამაკაცს არ შეჰფერის.

ნ ა ნ ა. იმ დღეს, აჩიკო რომ ედავებოდა „ეს გვჭირდება, ის გვჭირდებაო“...

ლ ი ლ ი. თუ არა აქვს სახსრები — უარი სთქვას ყველა კულტურულ ღონისძიებაზე? — ყველას ჩამორჩეს? არა, ვერც ამას მოვთხოვ. (საათს შეხედავს.) ოჰ, საზეიმო სხდომა დაიწყებოდა. გენაცვალე, ჩართე რეპროდუქტორი.

ლ ე ვ ა ნ ი ს ხ მ ა

რ ე პ რ ო დ უ ქ ტ ო რ ი დ ა ნ. ... დიახ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ქალისთვის ყველა გზა ხსნილია და არ არსებობს ძალა, რომელიც მის წინსვლას შეაფერხებდა, ლაღად ფრთაგაშლილი ჩვენი დედა, და, მეუღლე და მეგობარი, თამამად იპყრობს ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო და სულიერი ცხოვრების მწვერვალებს.

ლ ი ლ ი (ცრემლს იწმენდს). რა კარგად ლაპარაკობს.... ლევანი...

სცენა ბნელდება... და ლილი ეხედავს: გამოშუქდება ტრიბუნა. რომელზეც დგას და გატაცებით ლაპარაკობს ლევანი.

ლ ე ვ ა ნ ი. მაგრამ შეგვიძლია თუ არა, ვთქვათ, რომ ჩვენში მთლიანად აღმოიფხვრა წარსულის ისეთი მახინჯი გადმონაშთები, როგორიცაა, ვთქვათ ქალის მონური ფსიქოლოგია, ან მამაკაცის, ასე ვთქვათ, ბატონკაცური დამოკიდებულება ქალის მიმართ? — რა თქმა უნდა, არა! და ვართ თუ არა ვალდებულნი, გახურებული შანთით ამოვწვათ ეს სიმახინჯე!“

სცენა ბნელდება... გამოჩნდება კლუბის ეზოს ერთ-ერთი კუთხე. მოშორებით ხე, სკამები. ხეზე — რეპროდუქტორი. ეზოში არჩილი გადი-გამოდის, რეპროდუქტორს უსმენს, ეტყობა ღელავს.

ლ ე ვ ა ნ ი ს ხ მ ა

რ ე პ რ ო დ უ ქ ტ ო რ ი დ ა ნ. „დიალ, ჩვენი ვალია ვიზრუნოთ ქალის შრომის შემსუბუქებაზე: ყურადღების ცენტრში დავაყენოთ ოჯახურ სამუშაოთა მექანიზაცია, ერთი სიტყვით, დავეხმაროთ ჩვენს ქალებს წინსვლაში. გაუმარჯოს სა-

ბჭოთა ქალს — ჩვენი სიცოცხლის შნოსა და ლაზათს. გაგიმარჯოთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო! (მქუხარე ოვაციები. არჩილი ხელის საათს დასცქერის. კლუბიდან გამოდის მზია. არჩილს მოკრაკეს თვალს. არჩილი შეამჩნევს მზიას და ხეს მოეფარება).

მ ზ ი ა. არჩილ! არჩილ! (თავისთვის.) ის იყო, ნამდვილად ის, მაგრამ რად დამეშალა? რად უნდა დამმალოდა? ან აქ რა უნდა? (შეშფოთებული.) ნუთუ? არა, არა, ეს ყოვლად შეუძლებელია! მომეჩვენა, რა თქმა უნდა, მომეჩვენა! (აჩქარებით ვადის. კლუბიდან გამოდიან ვარდიკო და იულონი, ჩემოდნით ხელში).

ვ ა რ დ ი კ ო. ოჰ, რა საღამოა! ცა ვარსკვლავებითაა მოფენილი.

ი უ ლ ო ნ ი. სადა, ქალო, გუმბათი კუპრივითაა ჩაშავებული.

ვ ა რ დ ი კ ო. ჯერ ერთი, ვარსკვლავებს მარტო ჩვენ ვხედავთ, პოეტები: მეორე — რა არის „ქალო“, მე ქალბატონი ვარდიკო ვარ, შენ — ბატონი იულონი. კულტურული ხალხი ასე ლაპარაკობს.

ი უ ლ ო ნ ი. მაპატიეთ, ქალბატონო ვარდიკო.

ვ ა რ დ ი კ ო. ეგეც არაფერი! მოდი, სულო, აქ ჩამოვსხდეთ. (სკამძელზე სხდებიან. არჩილი ხეს მოშორდება. აკვირდება. ისევ მიიმალება.)

ი უ ლ ო ნ ი. იმე, იმე, არ დააყარა იმ მამაცხონებულმა, ხოშკაკალასავით?

ვ ა რ დ ი კ ო. ეჰ, დრო იყო, ეგ ლევანი ჩემთვის გიჟდებოდა. მაგას კიდევ ამხანაგი ჰყავდა, არჩილი — ისიც თავს იკლავდა.

ი უ ლ ო ნ ი. ინჟინერი არ ეარ, ქალბატონო ვარდიკო, მაგრამ მაგათთანა ინჟინრებს ხუთს ჩავისვამ ჯიბეში.

ვ ა რ დ ი კ ო. ოჰ! ბატონო იულონ! (წამოდგება).

ი უ ლ ო ნ ი. რაო, ქალო... ქალბატონო ვარდიკო?

ვ ა რ დ ი კ ო. მოვიდა...

ი უ ლ ო ნ ი. ვინა?

ვ ა რ დ ი კ ო. მუზა...

ი უ ლ ო ნ ი. ვინ?

ვ ა რ დ ი კ ო. ვინც ლექსებს მაწერინებს.

ი უ ლ ო ნ ი. მერე სადაა?

ვ ა რ დ ი კ ო. აქ! (შუბლზე თითს იდებს.) ქალალდი, ჩქარა ქალალდი!

ი უ ლ ო ნ ი. ა, გენაცვალე! (გულჯიბიდან წიგნაკს ამოიღებს.) არ დამიკარგო, ანგარიშებია.

ვ ა რ დ ი კ ო. კალამი! ჩქარა, თორემ გაფრინდება.

ი უ ლ ო ნ ი. წიგნაკს რა გააფრენს, შე ქალო... ქალბატონო.

ვ ა რ დ ი კ ო. მუზა.

ი უ ლ ო ნ ი. რა ვქნა, ვხედავდე, ხელს მაინც წავავლებდი.

ვ ა რ დ ი კ ო. კალამი, თორემ ვიკივლებ!

ი უ ლ ო ნ ი. ა, გენაცვალე! (აწვდის.) ახლა რა ვქნა?

ვ ა რ დ ი კ ო. კლუბში შედი, თავმჯდომარეს უთხარ, „ჩემი ცოლი ლექსს წაიკითხავს“-თქო, რომელი საათია?

ი უ ლ ო ნ ი. რვა.

ვ ა რ დ ი კ ო. რომ ვერ მოვასწრო, დავიღუპები, აბა, ჩქარა!

ი უ ლ ო ნ ი. ერთხელ მაინც მანახე, სულო, როგორ წერს ლექსს.

ვ ა რ დ ი კ ო. იულიოს!

ი უ ლ ო ნ ი. ეგ რაღა დამარქვი?

ვ ა რ დ ი კ ო. მეფის სახელი.

ი უ ლ ო ნ ი. სადაურია?

ვ ა რ დ ი კ ო. ამერიკელი. მალე, სანამ გაფრინდებოდეს! თორემ ვიკივლე!

ი უ ლ ო ნ ი. მაკოცე და წავალ!

ვ ა რ დ ი კ ო. ცელქო! (აკოცნის. იულონი კლუბში შედის).

ვ ა რ დ ი კ ო (თავისთვის).

„წარმოების ქალთა დღეა
ყველა მხიარულობს,
შექეიფებული ხალხი, გზებში ერიამულობს.
(იმეორებს).

გაუმარჯოს დღესასწაულს,
გაუმარჯოს ქალებს
და ვინც ქალებს დაგვაფასებს,
იმათ ვენაცვალე.

(სკამძელზე ჩამოჯდება. წერს, არჩილი ხეს მოშორდება, ვარდიკოს აკვირდება. ვარდიკო თავს ასწევს, არჩილი სწრაფად ამოეფარება ხეს).

ვ ა რ დ ი კ ო. მიშველეთ!

ა რ ჩ ი ლ ი. ნუ გეშინია, ქალბატონო.

ვ ა რ დ ი კ ო. ვინ ოხერი გდიხარ! მიშველეთ!

ა რ ჩ ი ლ ი. ვარდიკო!

ვ ა რ დ ი კ ო. ჩემი სახელი საიდანღა იცი, შე სახელდასაკარგავო.

ა რ ჩ ი ლ ი. არჩილი ვარ, არჩილი.

ვ ა რ დ ი კ ო. არჩილი? (თვალს იფშვნეტს.) სიდან-სადაო, წმინდა საბაო.

ა რ ჩ ი ლ ი. აქ ვცხოვრობ.

ვ ა რ დ ი კ ო. მზია? თქვენები?

ა რ ჩ ი ლ ი (სხაპა-სხეპით). ყველა აქა ვართ. წარმომიდგენია, როგორ გაეხარდებათ, ვარდიკო, თუ და ხარ, ახლავე წადი შინ.

ვ ა რ დ ი კ ო. შინ?

ა რ ჩ ი ლ ი. ჰო, ჩვენთან.

ვ ა რ დ ი კ ო. ჩემი ქმარი...

ა რ ჩ ი ლ ი. გათხოვდი? რა მიხარია! ქმრიანა წადი, შვილებიც წაიყვანე, ნათესავებიც, სტუმრებიც... მხოლოდ ახლავე წადი, ახლავე, ძალიან გთხოვ. (სკამძელიდან წამოაყენებს).

ვ ა რ დ ი კ ო. მაცა! ხანძარია? ან მე რა ხანძრის მქრობელი რაზმი მნახე?

ა რ ჩ ი ლ ი. ჩვენები გაახარე. პატარა პურმარილი გვაქვს.

ვ ა რ დ ი კ ო. მერე, სტუმრებს ბაღში აგროვებ? ჰა, ჰა, ჰა! შენც მოდიხარ?

ა რ ჩ ი ლ ი. ჯერ პატარა საქმე მაქვს.

ვ ა რ დ ი კ ო. მე რა უსაქმო მნახე — ლექსს ვწერ, სცენაზე გამოვდივარ.

ა რ ჩ ი ლ ი. ჩქარა.

ვ ა რ დ ი კ ო. რა!

ა რ ჩ ი ლ ი. კონცერტი დაიწყო.

ვ ა რ დ ი კ ო. რას შემომიჩნდა! (წერს. ახლოვდება ზურაბი. არჩილი მიიმალება.)

ზ უ რ ა ბ ი (ჩემოდანს ფეხს წამოჰკრავს). ოჰ! (სკამძელზე ჩამოჯდება.) უკაცრავად.

ვ ა რ დ ი კ ო. ზურიკო!!

ზ უ რ ა ბ ი. მაშ შენ ბრძანდები ის უცნობი კეთილისმყოფელი, წერილით რომ გამომიწვიე? შენი სიკეთით აქამდე ვარ, ა! (კისერზე უჩვენებს.)

ვ ა რ დ ი კ ო. უცნობი?

ზ უ რ ა ბ ი. ჩემს მეტი გასამასხარავებელი ვერავინ ნახე?

ვ ა რ დ ი კ ო. ამას დამიხედე! მე გაგამასხარავე, თუ შენა?

ზ უ რ ა ბ ი. რა ვქნა, სად გადავვარდე! ერთი რაიონიდან გამომაქცე, მეორედან, მესამედან...

ვ ა რ დ ი კ ო. ეგრე, ჰა? მაშინ ხომ კარგი ვარდიკო ვიყავი, როდესაც კინაღამ ხელში ჩამაკვდი, დაგიყვავე, მოგიარე, სიცოცხლე შეგინარჩუნე... ახლა... დეპეშას გიგზავნი, ჩამოვდივარ, შენ — მემალები.

ზ უ რ ა ბ ი. მითხარი, რით გადაგიხადო პატივისცემა და კაცი არ ვიყო, თუ... მხოლოდ (დაყვავებით.) ვარდიკო, აბა, დაფიქრდი, რა იქნებოდა ჩვენი ერთად ცხოვრება — ცხოვრება უსიყვარულოდ...

ვ ა რ დ ი კ ო. განა არ ვიცი? შენ ახლაც ის გიყვარს, შენი შემარცხვენელი და თაველაფდამსხმელი, ის...

ზ უ რ ა ბ ი. გაჩუმდი!! თორემ... თორემ, იცოდე, შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ! არა, სოფელში მაინც როგორ მომძებნე, როგორ მომაგენი? (არჩილი გაოცებული უსმენს).

ვ ა რ დ ი კ ო. წმინდა სამებავ, შენ შემეწიე! მე მოგძებნე თუ შენა? მუზა დამიფრთხო და აქეთაც მედავება. ემანდ ჭკუით იყავ, თორემ ჩემ ქმარს ორ ლუკმად არ ეყოფი.

ზ უ რ ა ბ ი. ქმარს?

ვ ა რ დ ი კ ო. დიაღ, ვარდი იყოს, თორემ ბულბული ცხრა მთას იქედან მოვა. დაგიდგა თვალი, ვერ ხედავ, ვარდივით გავიშალე! ჩაცმა არ მაკლია და დახურვა, ჭამა და სმა... აგერ, რაც გავთხოვდი ეს ერთი ჩემოდანი ლექსებით ავავსე, ეგრეა! „ხარმა ხარს ურქინა და უკეთეს ბაგაზე მიაგდოო“.

ი უ ლ ო ნ ი (ახლოვდება). ვარდიკო!

ვ ა რ დ ი კ ო (ბმადაბლა). აგერ, ჩემი ბულბული ჰყეფს (წამოდგება.) დამილოცნია ის გამოტიალებული ოთახი. კედლებზე რომ ცხენის თავებია მიხედე, თორემ ცრემლი ჩამოსდით.

ი უ ლ ო ნ ი. ქალბატონო ვარდიკო!

ზ უ რ ა ბ ი (გაოცებული). იულონი?

ვ ა რ დ ი კ ო. დიახ, დიახ! (იძახის.) მოვდივარ, ბატონო იულონ! (იულონისკენ მიდის, ეხვევა, დარბაზში შედიან.)

ზ უ რ ა ბ ი. არაფერი არ მესმის! (საათს დახედავს.) „რეალზეო", ახლა კი ცხრის ნახევარია. ნამდვილად ვარდიკოს ფანდებია, ნამდვილად. უნდოდა ეჩვენებია, რომ გათხოვდა და ბედნიერია. (სიხარულით.) ნუთუ თავისუფალი ვარ! (ზეზე წამოიჭრება, ყვირის:) თავისუფალი, თავისუფალი, თავისუფალი!! (გაქცევას დააპირებს. არჩილი ხეს მოშორდება.)

ა რ ჩ ი ლ ი. ოჰ, ზურაბ! ზეიმზე მოხვედი?

ზ უ რ ა ბ ი (იცინის). ...მაგრამ... საზეიმო ნაწილს ვერ მოვუსწარი.

ა რ ჩ ი ლ ი. კონცერტზე არ რჩები?

ზ უ რ ა ბ ი. მეჩქარება.

ა რ ჩ ი ლ ი. სად ხარ, რად ვერ გხედავ?

ზ უ რ ა ბ ი. არ ვიცი. (არჩილს ანჯღრევს.) რომ იცოდე რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი! (იცინის.) შენ სად ცხოვრობ?

ა რ ჩ ი ლ ი. აქ. წამოდი, ჩვენთან!

ზ უ რ ა ბ ი. აჰ! ახლა ვერა. უნდა ჩავჯდე მანქანაში და დილამდე ვაქროლო.

ა რ ჩ ი ლ ი. მე კი, ორი დღეა, ვეტექიმს ვეძებ.

ზ უ რ ა ბ ი. რად გინდა?

ა რ ჩ ი ლ ი. ძაღლი გაგვიხდა ავად.

ზ უ რ ა ბ ი (დაინტერესებული). რა მოუვიდა?

ა რ ჩ ი ლ ი. კატას რას შეატყობ, ლაპარაკი იმან არ იცის და არაფერი.

ზ უ რ ა ბ ი. კატაა ავად, თუ ძაღლი?

ა რ ჩ ი ლ ი. ოჰ, ძაღლი, ძაღლი. გონება ამერია.. ჰო, ცოლშვილი როგორ გყავს?

ზ უ რ ა ბ ი. ცოლშვილი?

ა რ ჩ ი ლ ი. არ შეგირთავს, თუ?

ზ უ რ ა ბ ი. შე კაცო, ორი კვირაა, რაც ჩემთან იყავი. მის მერე ქალი რომ შემერთო, შვილი მაინც არ შეყოლებოდა.

ა რ ჩ ი ლ ი. ჰა, ჰა, ჰა! მართლაც ვერა ვარ დალაგებულად. რას გთხოვ, ძმაო, თუ იცი: მე წავალ, იმ კატას პატარა შევამზადებ.

ზ უ რ ა ბ ი. კატას, თუ ძაღლს?

ა რ ჩ ი ლ ი. ოჰ, რას ავიჩემე ეს ოხერი კატა! ისეთი ენა მაქვს, ნახე, თუ კატაც ავად არ გახდეს. ერთი სიტყვით ნუ მეტყვი უარს...

ზ უ რ ა ბ ი. კი მაგრამ დღეს...

ა რ ჩ ი ლ ი. არ გრცხვენია, ბიჭო? ჩვენ რა დაგიშავეთ?

ზ უ რ ა ბ ი. სტუმრები გყავს?

ა რ ჩ ი ლ ი. აჰ, ჩვენ ვართ და ლევანი ცოლშვილით.

ზ უ რ ა ბ ი. დალაგებით მითხარი ძაღლის ამბავი. რა ჭირს?

ა რ ჩ ი ლ ი (აწყვეტინებს). აბა, ის უბედური, არც ჭამს, არც სვამს, მაგრამ შენი იმედი მაქვს, ვიცი, ისეთი ხელი გაქვს, უცებ წამოფრინდება ზეზე.

ზ უ რ ა ბ ი. ასე მაინც უხერხულია.

ა რ ჩ ი ლ ი. ჰო, გალამაზდი, გალამაზდი და გელი. თუ ძმა ხარ, არ მომატყუო, თორემ რაღა დაგიფიცო და ოჯახი ამერევა. (ზარბის, ზურაბი გოცებული უცქერის. სცენა ბნელდება).

...იგივე საღამო ლევანის და ლილის ბინაზე. ლილი ტახტზე წევს, ნანა სუფრას აწყობს.

ნ ა ნ ა (ნაძალადევი სიცილით). გახსოვს, ის დღე, სამხედრო ბანაკის მახლობლად და ჩვენი ოცნებები?

ლ ი ლ ი. რა შეეინარჩუნეთ იმ ოცნებებიდან? ან რაც დავკარგეთ, რატომ?

ნ ა ნ ა (დაფიქრებული). რატომ... რატომ... ჩემი და შენი ბრალიც ხომ არ არის, ლილი?.. აგერ, მზიამ შესძლო... (შემოდის მზია.)

მ ზ ი ა. არჩილს შინაა?

ნ ა ნ ა. არა.

მ ზ ი ა (თავისთვის). ის იყო, ის!.. (სკამზე დაეშვება).

ნ ა ნ ა (მიეარდება). რა მოგიყიდა?

მ ზ ი ა. არა.. არაფერი! (თავს დაუფლება. ლილის.) შენ რა მოგივიდა? ვფიქრობ: „აი, ახლა მოვლენ, აი ახლა“...

ლ ი ლ ი. ისე ცუდად გავხდი, ნანა და ბავშვები გადავრიე. ექიმიც გამოიძახეს.

მ ზ ი ა. მერე რაო?

ლ ი ლ ი (ტირილი წასკდება). ლევანი მეცოდება... ისე... ისე უნდოდა მეორე ბავშვი...

ნ ა ნ ა. რა გითხრა ექიმმა!

მ ზ ი ა. ჰო, რაო?

ნ ა ნ ა. სრული სიმშვიდე გესაჭიროებაო, არავითარი ფიზიკური შრომა, გონებრივი და ნერვიული დატვირთვა.

ლ ი ლ ი. ერთი სიტყვით, ინვალიდი ვარ. რა ეშველება ლევანს და ოთარიკოს...

მ ზ ი ა. თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო... მამაკაცები შესაბრალი არ არიან... არც... არც სიყვარულის ღირსი.

ლ ი ლ ი. რაზე ამბობ?

მ ზ ი ა. ისე... არც ღირს იმათზე ლაპარაკი. მაინც რა გჭირსო?

ნ ა ნ ა. უკიდურესი გადაღლა, გულის კუნთების მოდუნება, ნერვოზი, დაბალი წნევა...

მ ზ ი ა. ჰო, ასეა, როდესაც ადამიანს თავი არ უყვარს.

ლ ი ლ ი. საღამომ კარგად ჩაიარა?

მ ზ ი ა (მსუბუქი ირონიით). ლევანი მკერმეტყველების მწვერვალზე ავიდა.

ლ ი ლ ი (გული უჩვილდება). ჩემი ლევანი შესანიშნავი ორატორია.

მ ზ ი ა. არც მეგონა, თუ ქალებს, აქ, ჩვენი ინტერესების ასეთი დამცველი გაგვაჩნდა.

ლ ი ლ ი. ლევანი ისეთი კეთილია...

მ ზ ი ა. ძალიან, ძალიან... სულ ანგელოზებითაა სავსე ეს ქვეყანა.

ნ ა ნ ა (მზიას, ხმადაბლა). მე რაღას წამოვიდოდი... კინაღამ ხელში ჩამაკვდა. კლუბის ეზოში ხომ არ გაგიხედავს?

მ ზ ი ა. როგორ არა. (თვალს აარიდებს).

ნ ა ნ ა. დაინახე ვინმე?

მ ზ ი ა (გაღიზიანებულ). ერთ... მოხულიგნო ტიპს მოვკარი თვალი. (ფიცხად.) აბა, პატიოსანი კაცი შენი ხნის ქალს ღამე ქუჩაში პაემანზე გაიყვანს?

ნ ა ნ ა (გაოცებული). წელან ასე არ ამბობდი...

მ ზ ი ა. „წელან, წელან"... ყოველი საათი ცხოვრების ახალი გაკვეთილია. ადამიანი კი... (ხმამაღლა.) ჰო, ვინ სთქვა „ადამიანის სული დაბურული ტყეაო?"

ლ ი ლ ი. ბიჭო-გოგია მთლად ფილოსოფიაში გადავარდა.

მ ზ ი ა. თქვენც მეყოფით ფილოსოფოსები. კარგად კი წაიყვანეთ თქვენი ცხოვრება.

ნ ა ნ ა. შემოგჩივლეთ რამე? შენ ხომ ბედნიერი ხარ...

მ ზ ი ა. რატომაც არა! — მაქვს ჩემი საქმე, მყავს სამი შვილი.

ლ ი ლ ი. არჩილი...

მ ზ ი ა. რას ჩამაციედით ამ არჩილით? „არჩილი და არჩილი"... თითქოს, უარჩილოდ ცხოვრება აღარ შეშეძლოს. (ლილი და ნანა გაოცებით უცქერიან, კარზე ზარი ირეკება. მზია კარს აღებს. შემოდის ვარდიკო, ჩემოდნით ხელში).

ყ ვ ე ლ ა ნ ი. ვარდიკო!

ვ ა რ დ ი კ ო. გოგოებო, გამარჯობათ. (ყველანი ესალმებიან.) არ მელოდით, ჰა?

ლ ი ლ ი. საიდან, როგორ? მაპატიე, ჩემო ვარდიკო, ცოტა უქეიფოდ ვარ და ექიმმა...

ვ ა რ დ ი კ ო. იწექი, იწექი! დღეს ჩამოვედი. ახლა კი კლუბიდან მოვდივარ. ლევანი რომ დავინახე, სიხარულით ვეტირე. სიტყვა რომ დაამთავრა, მილეთის ხალხმა დაანგრია ტაშით იქაურობა. მივედი, ქმარიც გავაცანი.

მ ზ ი ა. გყავს? (მსუბუქი ირონიით.) გილოცავ!

ვ ა რ დ ი კ ო. რატომ არ უნდა მყავდეს? აქ მუშაობს, ვაჭრობის დარგში. ჰო, ლევანს ისე გაეხარდა, მითხრა „ახლავე რომ არ წახვიდე ჩემთან, მეწყინებაო. მეც მალე მოვალო". ბაღში გამოვედი, იქ არჩილი დამხვდა. იგრე გაეხარდა, იგრე გაეხარდა, რომ მოკვდა კაცი, სანამ აქეთ გამომაგდებდა. „ჩქარა და ჩქარაო",

მ ზ ი ა (ნაძალადევი სიცილით). თვითონ? თვითონ რაღა იქნა?

ვ ა რ დ ი კ ო. იქვე დარჩა.

ლ ი ლ ი. ალბათ ლევანს ელოდა.

ვ ა რ დ ი კ ო (ხაზგასმით). ვის ელოდა, ვერ გეტყვით, მაგრამ, რომ ელოდა, ცხადია. იმათსას გაიგებ რამეს? გაწყდა მამაკაცების ქოქი! (ნანა ფაოგნებული უცქერის).

მ ზ ი ა (ისტერიული სიცილით). ქმარი რაღა უყავი?

ვ ა რ დ ი კ ო. პატარა საქმე ჰქონდა, ახლავე მოვა. მე გულმა აღარ მომითმინა და... (თავმომწონედ.) როგორც კი ლექსი წავიკითხე... მოისმინეთ?

ლ ი ლ ი. ლექსი?

ვ ა რ დ ი კ ო ჰო, საკუთარი. „წარმოების ქალთა დღეა..."

ლ ი ლ ი. მაშ ეს შენ იყავი?

ვ ა რ დ ი კ ო. მაშა. ოთხი ჩემოდანი ლექსებით და პიესებით მაქვს სავსე. ეს ბოლო ლექსებია (ჩემოდანზე უთითებს.) შინ ვერ დამიტოვებია, არავინ მომპაროს მეთქი. (ნანას.) შენ რა წარბი შეგიკრავს? ჩემი მოსვლა თუ გეწყინა, წავალ.

ნ ა ნ ა. რას ამბობ!.. უბრალოდ, თავი მტკივა.

მ ზ ი ა (ხმადაბლა ნანას). რა ცხვირი ჩამოგიშვია, შენ ხომ არა ხარ დამნაშავე თუ არჩილი...

ვ ა რ დ ი კ ო (ნანას). ქმარშვილი სადა გყავს?

ნ ა ნ ა. არსად.

ვ ა რ დ ი კ ო. აღარ გათხოვილხარ? მაშ ი კაცი რაღად გამწარე? მე რომ არა, ცოცხალი აღარ იქნებოდა, გმინვა შამომესმა, შევშინდი, ოთახში შეველ, შენ არსად ხარ, ი შენი ქმარი კი გაოგნებული ერთ წერტილს მიშტერებია. ჩავეკითხე, არა მიპასუხა-რა. მოკვდა კაცი და აღარ დარჩა. საწყალი გული მაქვს... მივხედე, მოვუარე, თან გადავყევი, მაგრამ შრომა ვის დაფასებია? გულჯიბით მაინც შენ სურათს ატარებდა. მეც ვუცქირე, ვუცქირე და, რა გაოცებული მიყურებ?

ნ ა ნ ა. მე...

ვ ა რ დ ი კ ო. ვიცი, ვიცი! რომ გყვარებოდა, იმ დღეშიც არ ჩააგდებდი.

მ ზ ი ა (სიტყვა გადააქვს). შენ მართლაც ვარდივით გაშლილხარ.

ვ ა რ დ ი კ ო. რა ვქნა, ნამცხვრისა და შოკოლადის მეტს არასა ვჭამ, მაგრამ მაინც ვსუქდები.

ნ ა ნ ა. შვილები... გყავს?

ვ ა რ დ ი კ ო. ბავშვი მე თვითონა ვარ. ლოგინში ჩაის მართმევენ.

ლ ი ლ ი. ვინ?

ვ ა რ დ ი კ ო. იულონი. შემდეგ სამზარეულოდან საუზმესა და სადილს გამომიგზავნის ხოლმე.

მ ზ ი ა. სამზარეულოდან?

ვ ა რ დ ი კ ო. ჰო. საზოგადო სამზარეულოს დირექტორია.

ლ ი ლ ი. რა გვარია?

ვ ა რ დ ი კ ო. ცეცხლაძე.

მ ზ ი ა. ცეცხლაძე?

ვ ა რ დ ი კ ო. იცნობთ, თუ? თუმცა, იმას ვინ არ იცნობს!

ლ ი ლ ი. საერთო სადილს გიგზავნის?

ვ ა რ დ ი კ ო. აჰ! იმას რა მაჭმევს! ჩვენთვის სპეციალურად კეთდება კერძი. თქვენ როგორღა ხართ, მუშაობთ, ჰა! გეტყობათ კეთდება.

ლ ი ლ ი. რაზე გვეტყობა?

ვ ა რ დ ი კ ო. შუბლზე ნაოკი, თმაში ჭაღარა... არა, გეთაყვათ, განა პრასა ვარ, მეორედ ამოვიდე!

ლ ი ლ ი. ლექსის წერა შრომა არაა?

ვ ა რ დ ი კ ო. უნიჭოებისათვის ეგრე იქნება.

(კარზე ზარი ირეკება. მზია კარს აღებს. შემოდის იულონი ტორტით და თაიგულით ხელში).

ი უ ლ ო ნ ი. ბოდიში, ჩვენ ბოდიში! ქალი დამეკარგა...

ვ ა რ დ ი კ ო. ოჰ, იულონ! (იქ მყოფთ.) ესეც თქვენი სიძე!

ი უ ლ ო ნ ი. ცოტა ქეიფიანად ქვე ვარ მარა, მთვრალი კაცი, კაი კაცი, ქალების შეკრებულობას გაუმარჯოს.

ვ ა რ დ ი კ ო. ცელქო, შეჭიკჭიკება როდისღა მოასწარი?

ი უ ლ ო ნ ი. ჰა, ჰა, ჰა! ქალბატონო ვარდიკო, პატარა პირი მართლა ქვე გევისველე, მარა... კაი გამარჯობა!

ლ ი ლ ი. მე... უკაცრავად, მაგრამ...

ი უ ლ ო ნ ი. ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ! (ნანას.) ოჰ, ეს თქვენ... მრავალ შვიდ ნოემბერს დასწრებოდეთ.

ვ ა რ დ ი კ ო. შვიდი ნოემბერი რევოლუციის დღეა.

ი უ ლ ო ნ ი. ესეც რევოლუცია არაა? ქალებმა, ქვე შენი ჭირიმე, ძირს გადმოგვაყირავეთ, „ახლა ჩვენია ბატონობაო“ ლევანის ცოლი რომელი ბრძანდებით?

ლ ი ლ ი. მე გახლავართ.

ი უ ლ ო ნ ი. კაი მოჯამაგირე გიშოვია! მე არ ვეფერები ისე რევიზორებს, რავარც ის ქალებს ეფერება. „ასეთებო და ისეთებოო“.

ვ ა რ დ ი კ ო. ბატონო იულონ!

ი უ ლ ო ნ ი. რა იყო, ქალბატონო ვარდიკო!

ვ ა რ დ ი კ ო. აბა, ციც!

ი უ ლ ო ნ ი. გენაცვალოს იულონი! (ჩაიმღერებს.)

„იას ვარდი მირჩევნია
ოუ ნანინა.
კუკურ ვარდსა — გაშლილიო,
ოუ ნანინა.
ყველა ქალებს მირჩევნია
ოუ ნანინა.
ვარდო წიოკაშვილიო
ოუ ნანინა!!!

ჩვენ ბოდიში, მეც გავპოეტდი. „ხარი ხართან რომ დაბა, ორი ხარი იქნებაო“, მთვრალი კაცი, კაი კაცი. არა გვაქვს საზეიმოთ საქმე, თუ? თქვენ მაგ წაწვეტილი ქუსლებით კლუბებში იპაკუნეთ, ქმარს კი, შენ ხარ ჩემი ბატონი, უკაცრაული პასუხია. სარეცხი არეცხიეთ, ბავშვები აზრდევინეთ, ქვაბები ახეხიეთ... კაი ჭკუას კი გასწავლიან...

(შემოდის არჩილი. ნანა ოთახიდან დემონსტრატიულად გადის. მზია არჩილს პირს ირიდებს).

ი უ ლ ო ნ ი. ძლივს არ მომივიდა ერთი მომხრე? ქალების ხელში, ქვე შენი ჭირიმე, მტერი ჩავარდა. ახლა... (ჩაიღიღინებს).

„დარია, თუ ავდარია, ოუ ნანინა
ჩვენი გული მაგარია, ოუ ნანინა“...

ა რ ჩ ი ლ ი. გამარჯობათ!

ვ ა რ დ ი კ ო. ჩემი ქმარია.

ა რ ჩ ი ლ ი. ოო, სასიამოვნოა!

ი უ ლ ო ნ ი. რომელია ქმარი, ჩვენ ბოდიში, მე, თუ შეს? (ჩაიღიღინებს).

„აქეთ შიში, იქით შიში, ოუ ნანინა
ამერია ანგარიში, ოუ ნანინა"...

ვ ა რ დ ი კ ო. აგერ მოვა ლევანი და კიდევ წაგიკითხავს მოხსენებას.

ი უ ლ ო ნ ი. ეჰ, სხვა სიკეთე თქვი, თორემ მოხსენება, კონტროლი და რევიზია არ აკლია იულონს. ტყუილია, თუ? ჰე, ჰე, ჰე!

ა რ ჩ ი ლ ი (ლილის). ნამდვილად მოსალოცი ხარ, ლილი. ერთად გავიზარდეთ, მაგრამ ლევანი თუ ასეთი ორატორი იყო, ვერც წარმომედგინა. ჰო, ეს პატარა საჩუქარი მოგართვი (შეხვეულს ხსნის).

ლ ი ლ ი. უნაგირის მოდელი!

ა რ ჩ ი ლ ი. ჰო და ამის მიხედვით შეუკეთე, შენი ზურგის მოსარგები. განსაკუთრებით იმას გამოადგება, ყველაზე პატარას, რომელიც თავისით ვერც სვამს, ვერც ჭამს, ვერც დადის და შენისთანა ძიძის ხელში ვერც გაიზრდება. ასე არაა, ჩემო ცოლო?

მ ზ ი ა. ყველა კარგი ხართ.

ა რ ჩ ი ლ ი (ჯიბიდან გაზეთს იღებს). რომ იცოდე, რა სასიამოვნო ამბავი წერია ამ გაზეთში. სულ იხტუნებდით, ჰო, ნანა სადაა?

მ ზ ი ა (წარბშეკრული). წავიდა.

ა რ ჩ ი ლ ი. წავიდა? (სკამზე დაეშვება). რატომ?

ლ ი ლ ი. არა, არ წასულა!

ა რ ჩ ი ლ ი. ჰოო? ჰა, ჰა, ჰა! აბა, მისმინეთ ყველამ, ყველამ, ყველამ. „ჩვენი ჯარები იერიშზე გადავიდნენ და ცხარე ბრძოლების შედეგად დაიკავეს ფრიად მნიშვნელოვანი პუნქტი". (ყველანი გოცებით უსმენენ).

ი უ ლ ო ნ ი. იმე, იმე! მე ვარ, ვითომ ნასვამი, თუ?..

ა რ ჩ ი ლ ი. ერთი სიტყვით, მეგობრებო, ჩვენი გემოკვების საქმე, შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოს. მემალა, მემალა ის ცოგანი ცეცხლაძე. მაგრამ ისეთი ჭიაკოკონა შევუკეთე, რომ მოაძრობენ, ნიორივით მოაძრობენ. (იულონი ჩაიკეცება).

ვ ა რ დ ი კ ო. იულონ! მომიკლეს ქმარი! რატომ, რატომ, რა დაგიშავეთ? (იულონს მივარდება).

ა რ ჩ ი ლ ი (გაოცებული). სიძე ყოფილა?

(შემოდის სამგზავროდ გამოწყობილი ნანა)

ა რ ჩ ი ლ ი. შენ საით?

ლ ი ლ ი. რა მოხდა?

ნ ა ნ ა. უნდა წავიდე... მეტი დრო არა მაქვს... თბილისში ექიმებსაც უნდა ვეჩვენო... ავად ვარ...

ა რ ჩ ი ლ ი. არსადაც არ წახვალ! (მზიას.) შენ რას გაჩუმებულხარ?

მ ზ ი ა. თუ ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია...

(კარზე ზარი ირეკება. არჩილი კარს აღებს და შემოჰყავს ზურაბი თაიგულით ხელში).

ა რ ჩ ი ლ ი. ესეც სიცოცხლის ექიმი!

(ნანა და ზურაბი დაბნეული უცქერიან ერთმანეთს. მზია არჩილს მივარდება).

მ ზ ი ა. აჩიკო!

(კარზე ზარი ირეკება. არჩილი კარს აღებს. შემოდის ლევანი).

ლ ე ვ ა ნ ი. ოჰ, არჩილ! იყავი? დაესწარი?

ა რ ჩ ი ლ ი. როგორ არა.

ლ ე ვ ა ნ ი. მოგეწონა?

ა რ ჩ ი ლ ი. ძალიან (სილა გააწნა).

ლ ე ვ ა ნ ი. გაგიჟდი? კი მაგრამ, რატომ?

(სცენა ბნელდება და გარკვევით ისმის რამდენიმე ხმა „რატომ"? „რატომ"? „რატომ"?

ფ ა რ დ ა

სარჩევი

„ეპრიკინა“ (მარინე) 3
ჩემი ყვავილები [illegible]
რატომ? 167

რედაქტორი ბ. მირცხულავა
მხატვარი ვ. ჭუმბურიძე
პასუხისმგებელი რედაქტორი თ. ციციშვილი
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ნ. აფხაზავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XI-62 წ. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 11,6. სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,03. სააეტორო თაბახი 9,16.

ტირაჟი 2 000. შეკვ. № 398.

ფასი 80 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტამბა № 1,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.